

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი



სადოქტორო პროგრამა „თანამედროვე ქართული ლიტერატურა და ლიტერატურის თეორია“

თამარ კობერიძე

„აფხაზეთი ქართულ ლიტერატურულ კონტექსტში“

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის  
მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელები: ვლადიმერ ჭელიძე - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, იერუსალიმის ებრაული უნივერსიტეტის ფოლკლორის კვლევის ცენტრის აფილირებული მკვლევარი

ნინო მინდიაშვილი - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

თბილისი, 2024 წელი

## სარჩევი

|   |     |
|---|-----|
| შესავალი-----   | 3   |
| თავი I. აფხაზეთი ძველ ქართულ ლიტერატურაში-----  | 12  |
| თავი II. აფხაზეთი ახალ და უახლეს ქართულ მწერლობაში-----   | 25  |
| 2.1 აფხაზური კონცეპტები აკაკი წერეთლის პოემა „გამზრდელში“-----  | 25  |
| 2.2 აფხაზეთის ტრაგედიის წინასწარმეტყველება „კონსტანტინე გამსახურდიას რომანში „მთვარის მოტაცება“-----  | 34  |
| 2.3 სოხუმის დაცემის ინტერპრეტაცია ლეო ქიაჩელის „ჰაკი აძბა“-----   | 44  |
| თავი III. აფხაზეთი თანამედროვე ქართულ მწერლობასა და<br>პუბლიცისტიკაში-----  | 56  |
| 3.1 ტრავმული კონცეპტები მხატვრულ ტექსტებში (ნოდარ დუმბაძე, გურამ<br>ოდიშარია, ჯემალ თოფურიძე, ნუგზარ შატაიძე, გია მოშიაშვილი, ნუგზარ<br>ჯანაშვილი)----- | 62  |
| 3.2 აფხაზეთი თანამედროვე ქართულ პუბლიცისტიკაში-----   | 112 |
| დასკვნა-----  | 121 |
| ბიბლიოგრაფია-----   | 130 |

## შესავალი

**თემის აქტუალურობა.** აფხაზეთი ოდითგანვე საქართველოს ერთიანობის აკვანი იყო; მეფეთა ტიტულატურაც მისით იწყებოდა: „მეფე აფხაზთა და ქართველთა, რანთა და კახთა...“; ერთიანი საქართველოს პირველი მეფე, ბაგრატ მესამე, აფხაზეთში განისვენებს. ვახტანგ გორგასლიდან მოყოლებული, მეფეთა თუ დიდებულთა ზრუნვა-ძალისხმევა არ მოჰკლებია ამ მხარეს. აქ განისვენებს მატათა მოციქული, წმინდა ვასილისკო; ბუნების მშვენიერებით გამორჩეული კუთხე მშვენიერი ეკლესია-მონასტრებითაც გამორჩეულია: ბედიის, ახალი ათონის, ბიჭვინთის, ილორის, მოქვისა თუ ლიხნის ტაძრები ბუნებასთან შერწყმული არქიტექტურით კიდევ უფრო მიმზიდველს ხდის მხარეს. უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე წლების განმავლობაში წინამძღვრობდა ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიას.

აფხაზეთი ქვეყნის ეროვნული, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული მთლიანობის ორგანული ნაწილია, რასაც ადასტურებს ქართული ლიტერატურა, დაწყებული აგიოგრაფიული მწერლობით (აფხაზეთში „მოგზაურნი“ თუ მისი მკვიდრნი ერთნი არიან „ნათესავით“ და ტომით) და დამთავრებული ახალი თუ უახლესი მწერლობის ნიმუშებით.

ამ კუთხესთან დაკავშირებული თემატიკა ქართულ სამწერლო თუ სამეცნიერო ლიტერატურაში აქტუალური იყო ყოველთვის და მრავალი ნაწარმოები, კრიტიკული წერილი, დისერტაცია მოგვეპოვება აფხაზეთზე. ჩვენი ნაშრომი გამოირჩევა იმით, რომ მასში კვლევა ძველი ქართული ლიტერატურის ნაწარმოებების განხილვით იწყება, მოიცავს ახალი და უახლესი მწერლობის ნიმუშებისა და პუბლიცისტიკის, დღემდე შეუსწავლელ ავტორების თხზულებათა ანალიზს, ასევე - ებრაელ პოეტთა ლირიკას, აფხაზეთისადმი მიძღვნილს.

**საკვალიფიკაციო ნაშრომის მიზნები და ამოცანები.**

ნაშრომის მიზანია ფართო საზოგადოებას გააცნოს, როგორ წარმოაჩენს თანამედროვე ქართული მწერლობა აფხაზეთს ქართული სახელმწიფოებრიობის განუყოფელ ნაწილად. ახალი და უახლესი ქართული მწერლობა ღირსეულად აგრძელებს აფხაზეთის თემატიკის რეფლექსირებას, კვლევას საკითხისა, როგორ (გამო)ისახება, მხატვრულად როგორ ტრანსფორმირდება კუთხის მკვიდრთა პორტრეტები, კუთხესთან დაკავშირებული თემები და მოტივები; როგორია ომისშემდგომი, პოსტტრავმული ლიტერატურა აფხაზეთის შესახებ. ტრავმული კონცეპტები თანამედროვე მწერლების ნაწარმოებებში უხვად გვხვდება. ამავდროულად, ნაშრომი არის მცდელობა ლიტერატურულ ნაწარმოებებში გადაკვეთის წერტილების, კავშირის პოვნისა.

პირველი თავის \_ „აფხაზეთი ძველ ქართულ ლიტერატურაში“ \_ მიზნად დავისახეთ სასულიერო მწერლობაში არსებული ცნობების მოძიება კუთხის ტერიტორიის, მკვიდრი ეთნოსის, დამპყრობელთა მონაცვლეობისა, ასევე - ანალიზი ენობრივ-სარწმუნოებრივი მდგომარეობის შესახებ არსებული მასალისა. აქედან გამომდინარე, ჩვენს ამოცანას წარმოადგენდა უძველეს ქართულ ტექსტებში \_ „წამებაი წმიდისა ჰაბოისა“, „ცხოვრებაი წმინდისა გრიგოლ ხანძთელისა“, „ცხოვრება წმინდა მამათა იოვანესი და ექვთიმესი“ \_ მიგვეკვლია სასურველი ინფორმაციისათვის, რომ ეს მხარე ოდითგანვე ქართული სახელმწიფოს განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა.

მეორე თავის \_ „აფხაზეთი ახალ და უახლეს ქართულ მწერლობაში“ \_ მიზანი იყო აფხაზეთთან დაკავშირებული მასალის, თემები, მოტივების მოძიება ახალ და უახლეს ქართულ მწერლობაში. კვლევის ამოცანად პირველ ქვეთავში დავისახეთ აკაკი წერეთლის პოემა „გამზრდელის“ ანალიზი; მეორე ქვეთავში კონსტანტინე გამსახურდიას რომანი „მთვარის მოტაცება“ განვიხილეთ, მესამე ქვეთავი მივუძღვევით ლეო ქიაჩელის მოთხრობა „ჰაკი ამბას“.

მესამე თავის \_ „აფხაზეთი თანამედროვე ქართულ მწერლობასა და პუბლიცისტიკაში“ \_ მიზანს წარმოადგენს ტრავმული და პოსტტრავმული ლიტერატურული ნარატივის ანალიზი. პირველ ქვეთავში შევისწავლეთ ნოდარ დუმბაძის მოთხრობა „ჰელადოსი“, გურამ ოდიშარას დოკუმენტური რომანი „სოხუმში დაბრუნება“, ჯემალ თოფურაძის მრავლისმთქმელი ნაწარმოები

„დოსკურია ზღვაში ჩადირული ქალაქია“, ნუგზარ შატაიძის მოთხრობა „მოგზაურობა აფრიკაში“, ასევე - ქართველი ებრაელების - გია მოშიაშვილისა და ნუგზარ ჯანაშვილის ლირიკული ლექსები მიძღვნილი აფხაზეთისადმი.

მეორე ქვეთავის **ამოცანას** წარმოადგენს კვლევა თანამედროვე ქართული პუბლიცისტური ნარატივისა, რომელიც წარმოვადგინეთ ნოდარ დუმბაძის, აკაკი ბაქრაძის, ბექა ქურხულისა და დავით ჭელიძის წერილების მიხედვით.

**კვლევის საგანი და ობიექტი.** კვლევის საგანია აფხაზეთის თემატიკის განსაზღვრა ზოგადქართულ სალიტერატურო დისკურსში; **ობიექტი** - ის ავტორები და მათი ლიტერატურული ნაწარმოებები, რომელთა მხატვრულ ნარატივშიც ასახულია აფხაზეთის მოსახლეობის ყოფა-ცხოვრება სხვადასხვა ეპოქაში. საკვლევ ობიექტად იოანე საბანისძის, გიორგი მერჩულეს, გიორგი მთაწმინდელის, აკაკი წერეთლის, კონსტანტინე გამსახურდიას, ლეო ქიაჩელის, ნოდარ დუმბაძის, გურამ ოდიშარას, ჯემალ თოფურიძის, ნუგზარ შატაიძის ლიტერატურულ ნაწარმოებებში არსებული ჩვენთვის საინტერესო კონცეპტების პოვნა და გამომზეურება განვსაზღვრეთ; სადისერტაციო ნაშრომში ასევე ჩავრთეთ თანამედროვე ქართული პუბლიცისტური ნარატივი და ქართველ ებრაელთა ლექსებში პოეტურად გადმოცემული პატრიოტული განცდები აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით.

**თემის შესწავლის მდგომარეობა.** საკითხთან დაკავშირებით ქართულ სამეცნიერო დისკურსში არსებობს არაერთი სტატია და ნაშრომი. ომის თემაზე შექმნილ ტექსტებს იკვლევენ მეცნიერები: მარიამ მირესაშვილი, ნინო მინდიაშვილი, მარინე ტურავა, ნინო ვახანია, ლევან ბრეგაძე, ირმა რატიანი, ნანა გაფრინდაშვილი, გიორგი ხორბალაძე, ნანა კუცია და სხვები. ამ მკვლევართა უმეტესობას გამოცდილი აქვს დევნილობის ტრავმა და შემდგომი, შესაძლოა ითქვას, უფრო რთული, პოსტტრავმული მდგომარეობა. რუსეთ-საქართველოს ომის აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ეპიზოდებმა. ომისშემდგომმა პერიოდმა ქართულ და მსოფლიო სალიტერატურო სივრცეში სულ სხვა რაკურსით გააშუქა აქამდე უცნობი **მხატვრულ-დოკუმენტური** სახე დევნილისა. მსოფლიო ლიტერატურულ დისკურსში ჩნდება ახალი ლიტერატურული მიმართულება - „ლიტერატურა დევნილების შესახებ“, რომლის ქრესტომათიული მაგალითია გურამ ოდიშარას მხატვრულ-დოკუმენტური

რომანი – „სოხუმში დაბრუნება“, სამეცნიერო დისკურსში საკითხს განიხილავს მკვლევარი ნინო მინდიაშვილი ნაშრომებში „დევნის პარადიგმა ეპოქალური დისკურსის კონტექსტში“ და „ტრავმული მეხსიერება და ზნეობრივი ფასეულობები თანამედროვე მხატვრულ ტექსტებში“. ავტორი ყურადღებას ამახვილებს ლტოლვილთა მხატვრული სახის განსაზღვრაზე ლიტერატურაში.

საინტერესოა ასევე მკვლევრების - ნინო მინდიაშვილისა და ნანა კუციას ერთობლივი წერილი „კოლექტიური ტრავმა დევნილთა ლიტერატურაში“. მკვლევრები იზიარებენ ამერიკელი თეორიტიკოსების მოსაზრებას, რომ „კულტურული ტრავმა წარმოიშობა მას შემდეგ, როდესაც საზოგადოების წევრები იაზრებენ, რომ იძულებით გადაიტანეს საშინელი მოვლენები, რომელთა მეხსიერებაში ჩაბეჭდვამ სამუდამოდ და ძირფესვიანად შეცვალა მათი ცნობიერება“ [მინდიაშვილი, კუცია, 2021: ელრესურსი].

აღსანიშნავია ასევე, ნანა კუციასა და ნანა კუპრეიშვილის წერილები გურამ ოდიშარიაზე, დაბეჭდილი კრებულში „აფხაზეთის ქართული მწერლობის ისტორიიდან“, რომლებშიც ყურადღება გამახვილებულია დიალოგისა და „მოგონილი სტერეოტიპების“ მსხვრევის აუცილებლობაზე.

ნანა კუცია წერილში „ჟამის რეფლექსია მეოცე საუკუნის ოთხმოციანი წლების ქართულ კრიტიკაში“, განიხილავს რეჟიმის რღვევის დაწყებაზე მეოცე საუკუნის 50-იანი წლებიდან, რაც გამწვავდა 70-80-იან წლებში და ტრაგიკულ მოვლენებად იქცა საუკუნის ბოლოსათვის. ავტორი იმპერიის მიერ ინსპირირებულ-წაქეზებული სამოქალაქო თუ ეთნოკონფლიქტების წარმოქმნის ერთ-ერთ მიზეზად ურწმუნობასაც მიიჩნევს, „რადგან, თუ რამ იცავდა საუკუნეთა მანძილზე ქართველს, უამრავი მტრით გარემოცულს, მშვიდობის მნატვრელს, ვერმდირსებელს -სწორედ რწმენა, ღვთის მცნებათა ერთგულება“ [კუცია, 2015: 161]

პროფესორ მარიამ მირესაშვილის წერილი – „ქართველები აფხაზების თვალთახედვით. ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ურთიერთობები: წარსული, დღევანდელი, მომავალი“ – შეეხება ამაჟამად საქართველოში მცხოვრებ, მაგრამ არა ძირძველ მოსახლეობასთან ქართველთა ურთიერთობებს - დროის სხვადასხვა პრიზმით დანახულს.

კლარა გელაშვილი საკვალიფიკაციო ნაშრომში „**ომის პარადიგმა თანამედროვე ქართულ მწერლობაში**“ ქართველ მწერალთა შემოქმედების მაგალითზე მიმოიხილავს სამაჩაბლოს ომთან დაკავშირებულ ტრავმულ ლიტერატურას.

ანა იმნაიშვილი ნაშრომში – „**XX საუკუნის 90-იანი წლების ქართული პროზის ტენდენციები (პოსტსაბჭოთა თაობა)**“ – ყურადღებას ამახვილებს ძველ და ახალ თაობებს შორის „ბრძოლაზე“, გვამცნობს, რომ 90-იან წლებში წინააღმდეგობები არა მხოლოდ ორ, არამედ სამ თაობას შორისაც გამოიკვეთა, ამის ნათელი დადასტურებაა, ჩვენს კვლევაში განხილული ნაწარმოები ჯემალ თოფურაძისა - „დიოსკურია ზღვაში ჩაძირული ქალაქია“, სადაც აშკარად იკვეთება თაობათა შორის დაპირისპირება გაცილებით უფრო ადრეულ პერიოდში, კერძოდ, 70-80-იან წლებში.

ანა იმნაძის დისერტაციაში „**ფაქტი და ლიტერატურული რეფლექსია (XX საუკუნის 90-იანი წლების რეალობა ქართულ ბელეტრისტიკაში)**“ – საუბარია საქართველოში მიმდინარე პროცესებზე მეოცე საუკუნის მიწურულში და ამ მოვლენების ამსახველი ლიტერატურაა გაანალიზებული, ყურადღება გამახვილებულია ინსპირირებულ სამოქალაქო დაპირისპირებაზე, რომელიც წარმოჩენილია ო. ჩხეიძის, ნ. გელაშვილის, გ. დოჩანაშვილის, დ. ტურაშვილის ნაწარმოებებზე დაყრდნობით.

**კვლევის თეორიული ბაზა.** ნაშრომზე მუშაობის პროცესში გამოვიყენეთ თეორიები ტრავმის, კოლონიალიზმის და პოსტკოლონიალიზმის შესახებ. უპირველეს ყოვლისა, გავეცანით ამერიკელი მეცნიერის - ჯეფრი ალექსანდერის სტატიას „კულტურული ტრავმა და კოლექტიური მეხსიერება“. ავტორი ყურადღებას ამახვილებს სამგვარი სახის ტრავმაზე (სამედიცინო, ფსიქოლოგიურ და სოციალურ), რომლის ობიექტიც გარკვეული სოციალური ჯგუფია. ტრავმების ამ სამი სახეობის არაერთი ლიტერატურული მაგალითია წარმოდგენილი ჩვენს კვლევაში. [Alexander, 2001:7]

სადისერტაციო თემაზე მუშაობისას, ასევე, გავითვალისწინეთ პოლონელი მეცნიერის, პიოტრ შტომპკას სტატია „ტრავმა, როგორც სოციალური ცვლილებები“. სტატია ძალზე საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ ავტორი ტრავმას მიიჩნევს სოციალურ ფაქტად, რომელიც შესაძლოა გაჩნდეს საზოგადოების გარკვეული

ჯგუფის ბიოლოგიურ თუ დემოგრაფიულ დონეზე და მოსახლეობაში გამოვლინდეს ბიოლოგიური დეგრადაციის სახით. [Шτόμπка 2001:7].

რაც შეეხება **კოლონიალიზმს**, მკვლევართა აზრით, იგი „იმპერიალიზმის სახეობაა, რომელიც გულისხმობს სხვა სახელმწიფოს დამორჩილებას და მისი ბუნებრივი და ადამიანური რესურსების გამოყენებას დამპყრობელი ქვეყნის მიერ“ [სამოქალაქო განათლება...,2011, 304].

ჩვენი ქვეყანა საუკუნეების განმავლობაში განიცდიდა დამპყრობელთა სხვადასხვა კატეგორიისაგან ჩაგვრასა და შევიწროებას, მაგრამ უშუალოდ კოლონიზატორული პოლიტიკის სიმძიმე საქართველოს სახელმწიფოებრიობამ განიცადა ჯერ მეფის რუსეთის, ხოლო შემდეგ - საბჭოთა იმპერიის ბატონობის პერიოდში, რაც თითქმის მთელ ორ საუკუნეს გაგრძელდა. როგორც მკვლევარი მარიამ მირესაშვილი წერს, „კოლონიალიზმი ამა თუ იმ ქვეყნის ისტორიაში არ წარმოადგენს ერთხელ და სამუდამოდ მოცემულ რეალობას“. [მირესაშვილი 2016, გვ. 1] ნებისმიერი იმპერიის ადრე თუ გვიან ნგრევის გარდაუვლობიდან გამომდინარე, საბჭოთა იმპერიაც დაინგრა, საქართველომაც, სხვა რესპუბლიკების მსგავსად, თავისუფლება მოიპოვა მე-20 საუკუნის ბოლოს, და პოსტკოლონიურ/პოსტსაბჭოთა რეალობაში განაგრძო ცხოვრება.

**პოსტკოლონიალიზმთან** დაკავშირებით მარიამ მირესაშვილი აღნიშნავს: „პოსტკოლონიური კვლევების თეორია მოიცავს არა მხოლოდ კოლონიზატორი ქვეყნების ინტერესების, არამედ - კოლონიური სახელმწიფოების თვითგამორკვევის კვლევებსაც“. [მირესაშვილი 2016, გვ. 3]

პოსტკოლონიური კვლევების ფუძემდებლად მიიჩნევენ კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორს, წარმოშობით პალესტინელ ედვარდ ვადი საიდს (Edward W. Said; 1935-2003). მის „ორიენტალიზმში“ წარმოდგენილია დასავლეთის დამოკიდებულება აღმოსავლეთის მიმართ (კვლევა, ამავდროულად, უკავშირდება ნეოკოლონიურ პრაქტიკას).

მკვლევართა თეორიული მიდგომების გათვალისწინება დაგვებმარა საანალიზო მხატვრული ტექსტების უკეთ გაგებასა და გააზრებაში.



სამეცნიერო სივრცეში არსებულ ლიტერატურულ-კრიტიკულ დისკურსებსა და სამეცნიერო წყაროებში (მონოგრაფიებში, წიგნებში, სტატიებში, პერიოდულ გამოცემებსა და ელექტრონულ რესურსში) ცნობილი ქართველი მეცნიერები: პავლე ინგოროყვა, კორნელი კეკელიძე, ზურაბ პაპასკირი, თეიმურაზ გვანცელაძე, ამირან გომართელი, მარიამ მირესაშვილი, ლუარა სორდია, ნინო მინდიაშვილი, მაია ჯალიაშვილი, მარინა ტურავა, ნანა კუცია და სხვები ნაშრომში განხილულ პრობლემათა ცალკეულ ასპექტებს ანალიზებენ. ამ ავტორთა მოსაზრებები, ერთი მხრივ, წინააღმდეგობრივი პოზიციების ანალიზისას, მეორე მხრივ კი, საინტერესო პრობლემის გასაღრმავებლად და ახალი რაკურსით წარმოსაჩენად გამოვიყენეთ.

**კვლევის მეთოდები და მეთოდოლოგია.** წარმოდგენილი ნაშრომი აგებულია კომპლექსური ლიტერატურათმცოდნეობითი მიდგომის საფუძველზე. კვლევისას, ძირითადად, ვეყრდნობოდით ისტორიულ-შედარებით, ინტერდისციპლინარულ, ტიპოლოგიურ-დესკრიფციულ მეთოდებსა, ასევე - რეცეფციული ესთეტიკის თეორიულ გამოცდილებას.

სადისერტაციო ნაშრომში გამოვიყენეთ **კვლევის თანამედროვე მეთოდები:** მხატვრულ-პუბლიცისტური ტექსტების ანალიზისას ვეყრდნობით ჰერმენევტიკულ (განხილული მწერლები ხშირად მიმართავენ სახე-სიმბოლოებს, „შეფარვით თქმას“) და დიალექტიკურ მეთოდებს (ლოგიკურ მსჯელობას, არგუმენტაციას, ანალიზს), ლიტერატურული ტექსტების გარკვეული მონაკვეთებისთვის კი ვიშველიებთ ნარატოლოგიურ განხილვას.

### **ნაშრომის მეცნიერული სიახლე**

\* გამოვიკვლიეთ და გავაანალიზეთ ძველ ქართულ მწერლობაში არსებული ცნობები აფხაზეთის შესახებ. **პირველი** თავის ფარგლებში ყურადღება გავამახვილეთ იოანე საბანისძისეულ ცნობებზე აფხაზეთის სამეფოს დასაზღვრის შესახებ; აგრეთვე დასავლეთ საქართველოს სარწმუნოებრივ და პოლიტიკურ ვითარებაზე. კვლევაში გამოიკვეთა აფხაზეთის როლი, მნიშვნელობა და სწრაფვა საქართველოს პოლიტიკური ერთიანობის ჩამოყალიბებისაკენ, ასევე რელიგიური ერთსულოვნებისადმი მისწრაფება, რამაც მატერიალური ხორცშესხმა

პოვა დასავლეთისა და აღმოსავლეთის, ჩრდილოეთისა და სამხრეთის გზაგასაყარზე წმინდა გრიგოლ ხანძთელის მიერ აგებული უბისის მონასტრის სახით. გიორგი მთაწმინდელის თხზულების „იოანესა და ექვთიმე მთაწმინდელების ცხოვრებაში“ კი ხაზი გავუსვით პირველად ქართულ აგიოგრაფიულ ლიტერატურულ დისკურსში აფხაზეთის, როგორც მთელი დასავლეთ საქართველოს კონტექსტში მოხსენიების მაგალითს: „...მიმოსლვაი ჩვენი ზღვით და ხმელით და *აფხაზეთს და ქართლს* სავედრებელთა წიგნთათვის ბერძენთა მეფეთა წინაშე...“ [ქართული მწერლობა, 1987: 56].

- ❖ ნაშრომის სიახლედ მიგვაჩნია ის გარემოებაც, რომ ახალი ქართული მწერლობის ის ნიმუშები, რომლებიც ჩვენი კვლევის არეალში მოხვდა, ამ კუთხითა და თვალსაზრისით არ ყოფილა მკვლევართა დაინტერესების ობიექტი. ამ მხრივ ნაშრომის **მეორე** თავი სიახლეს წარმოადგენს და გარკვეულ დახმარებას გაუწევს აღნიშნული თემატიკით დაინტერესებულ საზოგადოებას.
- ❖ მესამე თავში განხილული მწერლებიდან და ნაწარმოებებიდან, სიახლის თვალსაზრისით, გამოვყოფდით ჯემალ თოფურიძის ვრცელ მოთხრობას (ზოგი განსაზღვრებით, რომანს) „დიოსკურია ზღვაში ჩადირული ქალაქია“, აგრეთვე, ქართველ ებრაელთა პოეზიას. რაც შეეხება პუბლიცისტიკას, ჩვენი ინფორმაციით, დავით ჭელიძის წერილი მამის, ვახტანგ ჭელიძის წერილთან დაკავშირებით, ასევე პირველად მოხვდა სამეცნიერო ნაშრომის ფურცლებზე.

ამრიგად, დისერტაციის სამეცნიერო სიახლე მოიცავს როგორც ძველი, ასევე ახალი და უახლესი ლიტერატურული ძეგლების კვლევა-ძიებას აფხაზეთის, როგორც ქართული პოლიტიკური ერთეულის, ასევე მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობისა და რელიგიურ-კულტურული არეალის წარმოჩენას ლიტერატურულ დისკურსში.

**ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა.** მხატვრული ნაწარმოებების ლიტერატურული და იდეოლოგიური კონტექსტების წარმოჩენა მყარ თეორიულ

საფუძველს ქმნის კონფლიქტური სიტუაციების შემეცნებისა და გააზრებისათვის, რაც ხელს შეუწყობს სხვა ანალოგიური პროცესების კვლევასა და ანალიზს.

ნაშრომი მნიშვნელოვანი და საინტერესო იქნება ლიტერატურის ისტორიკოსებისა და ლიტერატურული კრიტიკისათვის, ასევე, მომიჯნავე სფეროს ფართო წრისათვის, კერძოდ, ისტორიოგრაფიის, რეგიონთმცოდნეობის, საზოგადოებათმცოდნეობის და პოლიტიკურ მეცნიერებათა დარგის სპეციალისტებისთვის. წარმოდგენილი კვლევა გასათვალისწინებელი იქნება ექსპერტ-კონფლიქტოლოგთა და მასობრივი კომუნიკაციების საშუალებათა წარმომადგენლებისათვის. ნაშრომი გამოდგება ძირითად წყაროდ შემდგომი კვლევებისათვის. ასევე შესაძლებელია მისი ფართოდ გამოყენება სხვადასხვა საავტორო-სალექციო კურსის ფარგლებშიც.

**სადისერტაციო ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა.** ნაშრომი შედგება შესავლის, სამი თავის, ხუთი ქვეთავის, დასკვნისა და ბიბლიოგრაფიისგან, რომელიც 142 ერთეულს შეიცავს.

## თავი I

### აფხაზეთი ძველ ქართულ მწერლობაში

აფხაზეთი ოდითგანვე საქართველოს ერთიანობის სიმბოლო იყო. მეფეთა ტიტულატურაც მისით იწყებოდა – „მეფე აფხაზთა და ქართველთა, რანთა და კახთა...“ [ქართლის ცხოვრება, 1942:178]; ერთიანი საქართველოს პირველი მეფე, **ბაგრატ მესამე**, აფხაზეთში განისვენებს. ვახტანგ გორგასლიდან მოყოლებული მეფეთა თუ დიდებულთა ძალისხმევა არ მოჰკლებია ამ მხარეს. როგორც ვიცით, აქ განისვენებს **მატათა** მოციქული, წმინდა **ვასილისკო**, ბუნების მშვენიერებით გამორჩეული კუთხე ეკლესია-მონასტრებითაც გამორჩეულია: **ბედიის**, **ახალი ათონის**, **ბიჭვინთის**, **ილორის**, **მოქვისა თუ ლიხნის** ტაძრები ბუნებასთან შერწყმული არქიტექტურით კიდევ უფრო მიმზიდველს ხდის ამ მხარეს. ჩვენი უწმინდესი წლების განმავლობაში წინამძღვრობდა **ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიას**.

აფხაზეთი საქართველოს ეროვნული, პოლიტიკური თუ კულტურული მთლიანობის ნაწილია. ამის ნათელი დადასტურება ჩვენი ჰაგიოგრაფიული მწერლობაა, რომლის გმირები - აფხაზეთში „მოგზაურნი“ თუ მისი მკვიდრნი, ერთნი არიან „ნათესავით“ და ტომით.

იოანე საბანისძის თხზულებით „წამებაი წმიდისა და ნეტარისა ჰაზოისი“, ქართულ ჰაგიოგრაფიაში ახალი ერა იწყება. ივანე ჯავახიშვილის თქმით, ტექსტი პირველი ძეგლია, სადაც ნათლად იკვეთება „**ეროვნულ-საეკლესიო მიმართულება**“ [სირაძე, 1987: 49]. რევაზ სირაძის აზრით, დაცვა „მამულისა ჩვეულებისაებრ სლვისა“ და დაძლევა დიდი საფრთხისა, რომ „აღვერიენით ერსა უცხოსა“ უნდა განხორციელდეს ეროვნული თვითშემეცნების გზით [სირაძე, 1987: 50].

ასეთი ურთულესი პოლიტიკური ვითარების დროს, რა თქმა უნდა, უცხოტომელ პროზელიტთა (მოქცეულთა) ზიარება დიდი მორალური გამარჯვება იყო მტერზე. ამას არა მხოლოდ ნერსე, არამედ აფხაზეთის მთავარიც აცნობიერებს, როდესაც მოუწოდებს თავისთან აბოს და ეტყვის: „**ნუ განხუალ შენ ამიერ ქუეყანით, რამეთუ ქუეყანაი იგი ქართლისაი სარკინოზთა უპყრიეს. და მეშინის მე შენთვის,**

ნუუკუე კუალად განგდრიკონ შენ სარწმუნოებისაგან ქრისტიისასა“ [ქართული მწერლობა, 1987: 455]

მთავარი ქრისტიანულ მზრუნველობას ავლენს უცხო ტომის ჭაბუკის მიმართ. ამავდროულად, იგი შორსმჭვრეტელია, კარგად იცის, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია არაბი ჭაბუკის გაქრისტიანება „ძლიერ ქართაგან“ „რყეულ ლერწამთათვის.“ ამ მონაკვეთიდან ნათლად ჩანს - ლეონი აქტიური დამცველია ქართლის, და აქედან გამომდინარე, ზოგადად, საქართველოს ინტერესებისა და ქრისტიანული სარწმუნოების. კორნელი კეკელიძის აზრით, არაბების პოლიტიკამ, რომელიც მიმართული იყო ქართველების ეროვნული განადგურებისაკენ, საპირისპირო რეაქცია გამოიწვია - გააღვიძა ეროვნული თვითშეგნება. იოანე საბანისძის თხზულება გვიჩვენებს, რაოდენ ღრმად აქვს ფესვი გადგმული ეროვნულ იდეას, რომლის მქადაგებელიცაა თავად და, ამავდროულად, გამტარებელიც საზოგადოებრივ ცნობიერებაში. იოანეს აზრით, ქართველები წარმოვადგენთ ეროვნულ კოლექტივს, რომლის სიდიადე და კულტურული ღირებულება განიზომება ქრისტიანული სარწმუნოებით [კეკელიძე... 1969: 77] ისტორიული ცნობების მიხედვით, აფხაზეთის ეს მთავარი ლეონ I-ის ძმისწული ლეონ მეორე უნდა იყოს, რომელიც აფხაზეთს სამეფოს (დასავლეთ საქართველოს) პირველი მეფეა [ჭელიძე, კავკასიოლოგიური... 2016: 216].

ლეონ II დაახლოებით 753 წლიდან იყო აფხაზეთის ერისთავი (მთავარი) და ითვლებოდა ბიზანტიის იმპერატორის ვასალად. მან VIII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში ისარგებლა ბიზანტიის იმპერიის დასუსტებით, დაიხმარა ხაზართა ხაკანი (რომლის და მისი დედა იყო), აუჯანყდა იმპერატორს და თავი მეფედ გამოაცხადა. ახალმა სამეფომ, რომელიც მთელ დასავლეთ საქართველოს მოიცავდა, სამეფო დინასტიის მიხედვით, „აფხაზეთა სამეფოს“ სახელწოდება მიიღო. ლეონ II-მ სამეფოს დედაქალაქად ქუთათისი (ქუთაისი) გამოაცხადა. მისი მეფობის დროიდან მტკიცე საფუძველი ჩაეყარა აფხაზეთში ქართლის საეკლესიო ტრადიციების დამკვიდრებას [ჭელიძე, კავკასიოლოგიური.. 2016: 216] - „ვედრა ნერსე მეფესა მას ჩრდილოისასა, რაითა განუტეოს იგი მიერ ქუეყანად აფხაზეთისა, რამეთუ პირველადვე წარეგზავნნეს დედაი, დაი და ცოლი, და შვილნი და მონაგები, და ყოველნი სახლისა მისისანი, რამეთუ კრძალულ იყო ქვეყანაი იგი შიშისაგან სარკინოზთაისა“ [ქართული მწერლობა; 1987: 453].

„ნათესავით“ ერთობა განაპირობებს, რომ ნერსე აფხაზეთის მთავარს ანდობს მთელ „სახლეულს“ - ხოლო „მთავარმან მის ქუეყანისამან შეიწყნარა ნერსე ყოვლით ერთ მისითურთ“. ავტორი გვეუბნება, რომ „კრძალულ იყო ქვეყანაი იგი“ სარკინოზებისაგან.

ამდენად, საქართველოს ეს მხარე ქართველთათვის და, ზოგადად, ქრისტიანთათვის, ერთგვარ თავშესაფარსაც წარმოადგენდა. კორნელი კეკელიძე ერთმნიშვნელოვნად აღნიშნავს, რომ „იოანე საბანისძეს ძალზედ აშინებს და აფიქრებს ის გარემოება, რომ „აღვერიენით ერსა უცხოსა... რომელთაგან ვისწავენით საქმენი მათნი“ [კეკელიძე... 1969: 77]. საშიშროება აშკარა იყო, რადგან, სარწმუნოებრივ გადაგვარებასთან ერთად, ეროვნული გადაგვარების გზაზეც მალე შევდგებოდით - ეროვნული გადაგვარება უცილობელი შედეგი იქნებოდა სარწმუნოებრივი გადაგვარებისა. ეროვნული სახის შენარჩუნება შესაძლებელი იყო მხოლოდ ქრისტიანობის დაცვით. აქედან გამომდინარეობდა აუცილებლობა ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მტკიცედ და ურყევად დგომისა. იოანე საბანისძე, ბრძენი და შორსმჭვრეტელი მამულიშვილი, განჭვრეტს აბოს გაქრისტიანების მნიშვნელობას საქართველოს ეროვნული ინტერესებისათვის და ამიტომაც უწოდებს მას „ახალ ქრისტეს მორწმუნეს“, რომელიც „**მოძღვარ ჩუენდა იქმნა**“ [ქართული მწერლობა, 1987: 449].

ქრისტიანობის გავრცელების თვალსაზრისით თუ რა მდგომარეობაში იმყოფებოდა ეს მხარე და, ამავდროულად, უშუალოდ რომელი ტერიტორია ითვლებოდა იმ დროისათვის აფხაზეთად, იოანე საბანისძე ამის შესახებ დაწვრილებით მოგვითხრობს, მიუთითებს, რომ „ნეტარი ჰაბო **უფროდსლა** ჰმადლობდა ღმერთსა, რამეთუ იხილა მან ქუეყანაი იგი სავსე ქრისტეს სარწმუნოებითა და არავინ ურწმუნოთაგანი მკვდრად იპოვების საზღვართა მათთა. რამეთუ საზღვარ მათდა არს „**ზღუად იგი პონტომსა**, სამკვდრებელი ყოვლადვე ქრისტეანეთად, მისაზღვრადმდე ქალდიამსა, ტრაპეზუნტიად მუნ არს, საყოფელი იგი **აფსარეამსა** და **ნაფსა**მ ნავთსადგური.“ [ქართული მწერლობა, 1987: 454].

ამ გეოგრაფიულ პუნქტებთან დაკავშირებით პავლე ინგოროყვას მოსაზრება უაღრესად საინტერესოა. მკვლევრის თვალსაზრისით, იოანე საბანისძისთვის ეგრის-

აფხაზეთის სამეფოს საზღვრებში ორიენტირის ფუნქცია მოციქულთა ქადაგებასთან დაკავშირებულ გეოგრაფიულ პუნქტებს ენიჭება. სამივე დასახელებული პუნქტი საქართველოშია და მოციქულთა ქადაგებას უკავშირდება: ტრაპეზუნტიდან წმ. ანდრია შემოვიდა საქართველოში. „ტრაპიზუნტია“ (აფხაზეთის სამხრეთი) - ქალაქი შავი ზღვის სანაპიროზე, რომელიც, ისტორიკოსთა ცნობით, აფხაზეთის შემადგენლობაში შედიოდა. აფსაროსშია წმ. მატათას საფლავი. „აფსარეია“ (შუა ნაწილი) მდებარეობს ჭოროხის შესართავთან, ნაფსაძს ნავსადგურში კი განისვენებს სიმონ ქანანელი. „ნაფსაი“ (უკიდურესი ჩრდილოეთით, მდ. ყუბანის მიმდებარე ტერიტორია) უნდა აღნიშნავდეს ნიკოფსიას. დავით აღმაშენებელმა საქართველოს საზღვრები სწორედ „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე“ გადაჭიმა, ხოლო დავითამდე აფხაზეთის, როგორც ქართული პოლიტიკური ერთეულის, არსებობა შორეულ წარსულში იღებს სათავეს.

ფარნავაზის მიერ გაერთიანებული ქვეყნის საზღვრების შესახებ ლეონტი მროველი გვამცნობს: „ხოლო ეგრის წყალს ქუემოთ დარჩა ბერძენთა“. სწორედ ამიტომ იოანე საბანისძე აფხაზეთის ტერიტორიის შემოსაზღვრის შემდგომ ამბობს: „და არს ქალაქები იგი და ადგილები საბრძანებელად ქრისტჳს მსახურისა იონთა მეფისა, რომელი მოსაყდრე არს დიდსა ამას ქალაქსა კონსტანტინეპოლისასა“ [ქართული მწერლობა, 1987: 454].

ნანა კუცია წერილში „აფხაზეთი - ენის კონცეპტი“ იმავე აზრს ავითარებს, რომ ტერიტორიის კონცეპტი იოვანე საბანისძესთანაც (ისევე, როგორც გიორგი მერჩულესთან) პირდაპირ კავშირშია სარწმუნოებასთან და, რა თქმა უნდა, არაა შემთხვევითი, რომ მწერალი პედანტური ჩაკირკიტებით მოხაზავს აფხაზეთის საზღვრებს.

იოანე საბანისძე მხოლოდ მწერალი არ არის - ის, ამავდროულად, დიდი პოლიტიკოსიცაა, იმდენად, რამდენადაც ერთ ნაწარმოებში აფხაზეთის სამეფო-სამთავროს საზღვრების შესახებ ინფორმაციას არა ოდენ მის დროს არსებული საზღვრების მიხედვით გვაწვდის, არამედ იმასაც გვაგებინებს, რომ აფხაზეთის ტერიტორიის დიდი ნაწილი (კერძოდ, სამხრეთ-დასავლეთი მხარე) ბიზანტიის იმპერიის გავლენის ქვეშაა.

ისტორია ხშირად მეორდება და დღეს **ჩრდილო-დასავლეთი** ნაწილი აქვს ასევე მართლმადიდებლურ, მაგრამ უკვე სხვა იმპერიას მიერთებული. როგორც ცნობილია, სამხრეთ-დასავლეთით საზღვრები ჩვენ დღემდე არაა აღდგენილი. უკვე მეოთხედი საუკუნე გავიდა ჩრდილო-დასავლეთის ოკუპირების შემდგომ და სულ უფრო და უფრო რეალური ხდება საშიშროება, სამხრეთის ბედი არ გაიზიაროს ჩრდილო-დასავლეთმაც. ჩვენი ქვეყნის ისტორიის ბედუკუდმართობის გამო ცალკეული კუთხეები სხვადასხვა დროსა და ეპოქაში დროებით სწყდებოდა ქვეყნის საზღვრებს. „აღნიშნული მხარის შემოერთების საქმეში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართლის მეფემ - ვახტანგ გორგასალმა (ჩრდილო კავკასიაში ბრძოლების შემდგომ): „მაშინ მეფემან... იწყო ბრძოლად ციხეთა აფხაზეთისათა... და სამ წელ წარტყუნნა ყოველნი ციხენი აფხაზეთისანი“, [ჭელიძე, კავკასიოლოგიური... 2018: 216]. როგორც ცნობილია, ვახტანგ გორგასალმა აფხაზეთის ერისთავად დასვა თავისი მესამე ძე და ბერძენთა კეისრის ლეონ მაკელის ასულის წული - ლეონ, რაც მომდევნო პერიოდის აფხაზეთის ერისთავთა და მეფე-მთავართა საგვარეულო სახელი ხდება“ [ჭელიძე, კავკასიოლოგიური... 2018: 217]. რამდენად შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსი იყო ვახტანგ გორგასალი, რომ დასავლეთ საქართველოში ბერძენთა კეისრის ნათესავს, კეისრის შვილიშვილს, ამლევს ტახტს - ამით მან, ფაქტობრივად, გალავანი შემოავლო დასავლეთ საქართველოს, იმდენად, რამდენადაც საკუთარი შვილიშვილის წინააღმდეგ არ გაილაშქრებდა იმპერატორი.

მეორე მნიშვნელოვანი ნაწარმოები, რომელშიც აფხაზეთის შესახებ ვხვდებით ცნობებს, არის გიორგი მერჩულის „ცხოვრებაი წმიდისა გრიგოლ ხანძთელისაი“. ავტორი ნაწარმოებში ქართული სახელმწიფოს საზღვრებს მოხაზავს: „ქართლად ფრიადი ქუეყანაი აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების“ [ქართული მწერლობა, 1987: 564]

გიორგი მერჩულემ ჩამოაყალიბა ის სამი ფენომენი, რომლებიც აუცილებელია ქვეყნისათვის, რომ შედგეს სახელმწიფოდ: **ტერიტორია** - „ფრიადი ქვეყანა“ („ფრიადი“ სულხან-საბას განმარტებით ნიშნავს მრავალს. ავტორს ნაგულისხმები უნდა ჰქონდეს *მრავალი კუთხე*), **ენა** - „ქართულითა ენითა“ და **სარწმუნოება** - „ჟამი შეიწირვის,



ლოცვაი აღესრულების“. ეპიზოდის ანალიზისას გვახსენდება ილია ჭავჭავაძისეული „მამული, ენა, სარწმუნოება“.

ნანა კუციას განხილული აქვს მერჩულისეული ტრიადა (თუ შეიძლება ასე ეწოდოს), უდიდესი მნიშვნელობა ქართული ენისა, რომლის წყალობითაც მამულიცა და სარწმუნოებაც შევინარჩუნეთ. ავტორი, საუბრობს რა წერილში ქართული ენის პრობლემებზე აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორიაზე, მკაფიოდ და ხაზგასმით ამბობს, რომ ენის საკითხი იქამდე ვერ გადაიჭრება, ვიდრე ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა არ მოგვარდება. [კუცია ნ. 2019 ელრესურსი]

წმინდა გრიგოლ ხანძთელის დროს აფხაზეთში მეფობს დემეტრე II, ლეონ II-ის ძე, რომელიც ენერგიულად იბრძოდა სამეფოს დამოუკიდებლობის დასაცავად, IX საუკუნის 40-იან წლებში არაერთხელ დაამარცხა ბიზანტიელთა ლაშქარი. ამ ცნობებს **კორნელი კეკელიძე** ეხმაურება ნაშრომში „ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა“: „პოლიტიკურად, ამ თხზულების მიხედვით, დასავლეთი საქართველო ბერძნების ხელშია. აქ ზის მეფე, რომელიც ბიზანტიის იმპერიის მფარველობაში იმყოფება. აღმოსავლეთ საქართველოს ერთი ნაწილი არაბთა ხელშია... სამხრეთ-დასავლეთ საქართველო, ტაო-კლარჯეთი, მათგან თავისუფალია“. [კეკელიძე... 1969: 103] როგორც ვხედავთ, ლიტერატურის კრიტიკოსის ყურადღების ცენტრშიც პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობა ექცევა, იმდენად, რამდენადაც ეპოქისა და პოლიტიკური ვითარების გათვალისწინების გარეშე სრული ანალიზი ლიტერატურული ნაწარმოებისა შეუძლებელია. სწორედ ამ დროიდან გამოიკვეთა საქართველოში კულტურულ-ეროვნული ერთობის იდეა.

853 წელს საქართველო აღუდგა არაბთა სარდალს ბულა თურქს, გრძელდებოდა ბრძოლა ქართლიდან არაბთა განდევნისა და საქართველოს გაერთიანებისათვის. სამინაო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იყო **აღმოსავლეთ საქართველოს ეკლესიის გავლენის განმტკიცება დასავლეთ საქართველოში**. ამ მიზანს ემსახურებოდა დემეტრე მეფის ხელშეწყობით IX საუკუნის I ნახევარში დასავლეთ საქართველოში გრიგოლ ხანძთელის მიერ მონასტრის დაარსება.

გრიგოლ ხანძთელის მოგზაურობა აფხაზეთში სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის აქტია - აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს შესაყარზე უბისის ტაძრის ასაგებად, წირვა-ლოცვის ენად ქართულის დასამკვიდრებლად, ბერძნულის ქართულით ჩასანაცვლებლად, მის მკვიდრთ მოუხდათ ბიზანტიის ენობრივი ექსპანსიის გავლენიდან გამოსვლა, მათი სურვილისდა მიუხედავად. გენიალური მწერალი წმინდა მამის აფხაზეთში მოგზაურობის მიზანს და შედეგს აქარაგმებს და გვაძლევს იმ ფორმულირებას ქართული სახელმწიფოსას, რომლის შესახებაც ზემოთ გვქონდა საუბარი. [კუცია ნ. 2019, ელრესურსი]

გიორგი მერჩულეს სიტყვები – „ქართლად ფრიადი ქუეყანა აღირაცხების...“ მიანიშნებს, რომ აღმოსავლეთ თუ დასავლეთ საქართველოს მმართველნი ქვეყნის ერთიანობას ესწრაფვიან. გრიგოლ ხანძთელის მოწაფეთა „გაქცევა“ აფხაზეთს, „კეთილი მწყემსის“ დადევნება და ქართლისა და აფხაზეთის საზღვართან უმშვენიერესი ტაძრის აგება გრიგოლ ხანძთელის მიერ, ზემოთქმულის ნათელი დადასტურებაა.

უბისა ერთადერთი ძეგლია ხანძთელის მიერ აგებულ ტაძართაგან, რომელიც საქართველოს იურისდიქციის ფარგლებშია. ჩვენს წმინდა მამებს კარგად ჰქონდათ გააზრებული, საქართველოს „ფრიად“ კუთხეებს მოვლა-პატრონობა რომ ესაჭიროებოდა და ამიტომაც თითქმის შიშველი ხელებით ღვთისაგან მონიჭებულ ედემს საოცარი მარგალიტებით ამკობდნენ, სადაც ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვოდა და ლოცვაი ყოველი აღესრულებოდა. ბიჭვინთის სამონასტრო კომპლექსში საკათალიკოსო ტახტიც იდგა და „ქართულ ეკლესიაში „აფხაზეთის კათოლიკოსის“ თანამდებობაც არსებობდა, აფხაზეთის კათოლიკოსს საუკუნეების განმავლობაში ჰქონდა რეზიდენცია და ტახტი ბიჭვინთაში; იქ, სადაც აფხაზეთის კათოლიკოსი იჯდა, მრევლი ქართველი იყო და ეკლესიისა და ხალხის სამეტყველო ენაც - ქართული. „აფხაზი“ და „აფსუა“ ერთი და იგივე ეთნოსის სახელი არ არის. აფხაზი ქართველია, აფსუა კი ადიღეურ-ჩერქეზული მოდგმის ხალხია. აფხაზები აფხაზეთის აბორიგენი მოსახლეობაა. ამიტომ ჰქვია საქართველოს ამ პროვინციას აფხაზეთი. აფსუა დროთა განმავლობაში ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსახლებული ხალხია ისევე, როგორც ოსები ჩამოვიდნენ იმიერკავკასიიდან შიდა ქართლში. ეს

საქართველოს ბედდამწვარი ისტორიის ჩვეულებრივი პროცესია ... ამ ბრძოლაში გადამწყვეტი ძალა ცნობიერება და შეგნება იყო“. [ბაქრაძე, 2002: 365].

ეროვნული ცნობიერებითა და სარწმუნოებრივ-მოქალაქეობრივი შეგნებით იყო ის ოთხი წმინდა მამა შეიარაღებული, როცა ხანძთაში „იწყეს დავაკებად“, ეკლესიის ასაშენებლად – „ესე ოთხნი შეანაწევრნა და შეამტკიცნა საღმრთომან სიყვარულმან, ვითარცა სული ერთი, ოთხთა გვამთა შინა დამტკიცებული“. [ქართული მწერლობა, 1987: 530] ამ ერთსულოვნებამ სასწაულები მოახდინა, საქართველოს მეფე-მამფალთა და, უპირველეს ყოვლისა, რასაკვირველია, ღმერთის შეწევნით, ქვეყნის ერთიანობის საფუძვლები ჩაყარა, „ფრიადი ქუეყანა“ მოიცვა და წმინდა მამანიც ვალმოხდილნი მიეახლნენ უფალს!

წმინდა გრიგოლის დროს აფხაზეთის მეფე-მთავარი უნდა ყოფილიყო ვახტანგ გორგასლის შთამომავალი დემეტრე. სწორედ ამ კეთილმორწმუნე მმართველის დაჟინებით („არა ეგების უნაწილობაი თქვენგან ამა ქვეყნისაი“), „მამამან გრიგოლ სარწმუნოებისაებრ მეფისა აღაშენა მონასტერი და უწოდა სახელი მისი უბეი“. [ქართული მწერლობა, 1987: 555]

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანი საკითხი (ტერიტორიასთან, სარწმუნოებასთან ერთად), როგორც უკვე ვთქვით, აფხაზეთთან დაკავშირებით არის ენა. როგორც წესი, ყველაზე უკეთ გეოგრაფიული სახელები გვაუწყებენ ამა თუ იმ ადგილის მცხოვრებთა წარმომავლობას. ზემოთქმულთან დაკავშირებით არსებობს პავლე ინგოროყვას ფუნდამენტური გამოკვლევა - „გიორგი მერჩულე“, დასავლეთ საქართველოს ფეოდალური სახელმწიფო ("აფხაზეთის სამეფო"), ასევე, ზურაბ რატიანის საგულისხმო წერილი „აფხაზეთის ტოპონიმიკის შესახებ“.

სიყვარულით ა(ღა)შენებდნენ ჩვენი წმინდა მამები ღვთის ტაძრებსა თუ ადამიანთა სულებს. „ქართველმა ხალხმა ქრისტიანობიდან მიიღო და შეისისხლხორცა ის, რაც მისთვის ყველაზე მშობლიური აღმოჩნდა - შემწყნარებლობის იდეა და აღმშენებლობის, სიყვარულით შენების, პათოსი“ [ასათიანი, 1982:32].

სიყვარულით მამუნებელთა რიცხვს განეკუთვნებიან ათონელი მამები: იოანე, ექვთიმე, გიორგი მთაწმინდელები.

გიორგი მთაწმინდელია ავტორი ჰაგიოგრაფიული თხზულებისა „იოანესა და ექვთიმეს ცხოვრება“. წმინდა მამას ბრწყინვალედ ჰქონდა გააზრებული მამათა ღვაწლის მნიშვნელობა და სიდიადე ქვეყნისა და ერის წინაშე; ამ სიდიადეს გრიგოლ რობაქიძე სტატიაში „საქართველოს ხერხემალი“ „ენის ქმნას“ უწოდებს. „ქმნადობა-შემოქმედება სიბრძნის ძალით ხდება“, - გვეუბნება რევაზ სირაძე, როდესაც გიორგი ათონელის ლიტერატურულ-ესთეტიკური თვალთახედვის შესახებ საუბრობს [სირაძე, 1987: 172].

სამივე წმინდა მამას ღვთაებრივი სიბრძნე აკავშირებს. რევაზ სირაძეს „იგავთა“ წიგნიდან მოჰყავს მაგალითი: „სიბრძნემან იშენა თავისა თვისისა სახლი, და ქუეშე შეუდგა მას შვიდნი სვეტნი“ [სირაძე, 1987: 173].

სიბრძნით განაგებს იოანე ათონელი თავის სულიერ ცხოვრებას და ამიტომაც „ღირსი იყო და საყვარელი ღმრთისაი ნეტარი მამაი ჩვენი იოვანე, რომელმან, მსგავსად აბრაჰამისა, უცხოებაი აღირჩია, ... ესეცა ადიდა ღმერთმან და სახელოვან-ყო ყოვლითა სათნოებითა... და უფროის მის შვილისა მინიჭებითა,... რომელი-იგი გამოჩნდა სამკაულად ნათესავისა ჩვენისა და მობაძავად წმიდათა მოციქულთა, განანათლა ქართველთა ენაი და ქუეყანაი, ...რომლისა იგი ნამუშავევი ახარებს შორიელთა და მახლობელთა და თარგმნილთა მისთა წიგნთა სიტკბოებაი, ვითარცა ნესტვი ოქროისა ხმამაღალი, ოხრის ყოველსა ქუეყანასა არა ხოლო ქართლისასა, არამედ საბერძნეთისასაცა...“

ფრაზის ნამდვილი დიდოსტატია ამ სიტყვების ავტორი; რაოდენი მაღლი და ინფორმაცია ჩაატია ერთდროულად პატარა მონაკვეთში, ასევე - შეფასება პირუთვნელი და მაღალმხატვრული, „ვითარცა ნესტვი ოქროისა“. მწერალმა ორი სიტყვით გადმოგვცა იმ წარმოდგენელი შრომის შედეგი, რომელსაც წმინდა მამა ეწეოდა „საღმრთო მოქალაქობითი“ ცხოვრების განმავლობაში.

რევაზ სირაძის თქმით, გიორგი ათონელი პერსონაჟებს წარმოაჩენს არა ერთიანი გაბმული თხრობით, არამედ - რამდენიმე სანიმუშო ეპიზოდით. ასეთ ეპიზოდს ექვთიმეს (როგორც წმინდანისა და მთარგმნელის) სახის გადმოსაცემად წარმოადგენს მისი ქართულად ამეტყველების ამბავი. სულთმოზრდავი შვილის მამა ღვთისმშობლის

ხატს მიმართავს ვედრებით, „რაითა შემწე ეყოს და ყოს ლხინებაი“, ლოცვის შემდგომ მისწრაფის შვილის სენაკისაკენ, გააღებს რა კარს, „მეყვსეულად ვიყნოსე სული სულნელებისაი საკვირველი. რამეთუ იქმნა მოხედვაი წმიდისა ღვთისმშობელისაიო“, გადმოგვცემს მწერალი იოანეს მონათხრობს და მოადევნებს ექვთიმესა და ყოვლადწმინდა დედის გასაუბრებას: „აწლა წარმომიდგა ვინმე დიდებული დედოფალი და მრქვა *ქართულითა ენითა*: - რაი არს, რაი გელმის, ეფთვიმე? - ხოლო მე ვარქუ: მოგკვდები, დედოფალო! ...მან მიპყრა ხელსა და მრქუა - არარაი არს ვნებაი შენ თანა, აღდეგ, ნუ გემინინ და ქართულად ხსნილად უბნობდი!“ „ნესტვი ოქროისაი“ ამ ღვთაებრივი განგებულების შედეგი იყო.

რაც შეეხება ფრაზას - „**განანათლა ქართველთა ენაი და ქვეყანაი**“ - რევაზ სირაძის აზრით, „განანათლა“ მოციქულებრივ მისიასაც ითვალისწინებს. აქ მნიშვნელობს ზოგადი იდეალი. „სვეტო და სიმტკიცეო.. ახალო მოციქულო“, - მიმართავს ექვთიმეს საგალობელში ბასილ მთაწმინდელი. ამდენად, ნათლად შეგვიძლია დავინახოთ, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი იყო ექვთიმეს ღვაწლი ქართველთა წინაშე და როგორ აღასრულა მან მამის სურვილი და მოწოდება: „აწ იღვაწე, რაითა განამრავლო სასყიდელი შენი ღმრთისაგან.“

გიორგი მთაწმინდელი, აღფრთოვანებულია რა ექვთიმეს საქმიანობით, ამბობს: „ეგევითარი თარგმანი არღარა გამოჩინებულ არს ენასა ჩვენსა და ვგონებ, თუ არცაღა გამოჩინებად არს.“

მივუბრუნდეთ ფრაზას „**უცხოებაი აღირჩია**“. რატომ აღირჩია იოანემ „უცხოებაი“, რატომ „ივლტოდის სპანაიდ“. რევაზ სირაძე ასე აღწერს იოანეს მოღვაწეობის „ტრაექტორიას“: დაუტევა რა „მეუღლე და შვილნი თვისნი და ნათესავნი“, „აღილო ჯუარი მხართა თვისთა ზედა“, „დავით კურაპალატის წინაშე მოვიდა“, ხოლო მან „ოთხთა ეკლესიათა წარმოგზავნა“ - „ოთხთა ეკლესია, ულუმბოს მთა, შემდეგ - ათონი, ათანასეს ლავრა.“\* [სირაძე, 1987: 171]

როგორც ვხედავთ, ოთხთა ეკლესიიდან იოანე მიდის. მისი წასვლის მიზეზს ავტორი არ გვიმხელს, სამაგიეროდ, მოგვიანებით გვეუბნება, თუ რის გამო განიზრახეს წასვლა ოთხთა ეკლესიიდან იოვანე გრძელისძემ და ბასილ მთაწმინდელმა - „რამეთუ ვითარ იგი უნდა *მყუდროებით ცხოვრებაი*, ვერ

იყოფებოდის, რამეთუ აწყინებდიან მამასახლისნი და ძმანი მონასტრისანი“, „წარვიდეს უცხოსა ქვეყანასა... კერძოთა პონტოსათა უდაბნოთა ადგილთა...“ გიორგი მთაწმინდელი ობიექტური მწერალია და მიზეზს არ მალავს; არ მალავს არც მეორე შემთხვევისას, როდესაც „უცხოობაში“ მყოფი იოანე მთაწმინდელი უფრო შორეულ უცხოობაში წასვლას გადაწყვეტს შვილით და რამდენიმე მოწაფითურთ – „ივლტოდის სპანიად“.

მიუღწევიათ კიდევაც აბიდოსამდე – „წარვიდა ვიდრე ავიდოსამდე“, საიდანაც, აბიდოსის მთავრის წყალობითა და ღვთის ნებით, „ძლით დაარწმუნეს მეფეთ მონასტრადვე“ მიქცევად. ამ გადაწყვეტილების მიზეზს იგი შემდეგნაირად განუმარტავს „მეფეთ“ – რომ მოვიდა თვისი თორნიკ და მისითა გზითა დიდთა შულთა შთავარდა და ერისკრებასა. ჰნებავს, რაითა ამის ყოვლისაგან თავისუფალ იქმნას და სულისა მისისა ზრუნვასა შეუდგეს. „გიორგი ათონელის ნაწარმოებში ძალზე დიდად მნიშვნელობს ართქმა ბევრი რამისა, ასეთი ართქმა ქმედითი ფსიქოლოგიური ფაქტორია. თანაც ართქმა ზრდის თქმულის, მონათხრობის მნიშვნელობას.“\* [სირაძე, 1987: 171], რევაზ სირაძის ეს სიტყვები განსაკუთრებით მიესადაგება ზემოთქმულ მონაკვეთს. როგორ უნდა გაემწარებინათ ისეთი ღვთივსათნო მამა, როგორც იოანე ათონელი იყო, რომ მეფეთაც კი ძლივს დაერწმუნებინათ მონასტერში დაბრუნებაზე. ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ იგი არ ფიქრობს სამშობლოში დაბრუნებას, არამედ სამშობლოს გარეთ ეძებს „ქართველთა ნათესავთ“; რაც შეეხება „სპანიას“, როგორც რევაზ სირაძე გვაუწყებს, „ესაა პირველი და ერთადერთი მოხსენიება უძველეს ქართულ პროზაში „ესპანეთის იბერებისა“, ანუ ქართველებისა“.

კორნელი კეკელიძის აზრით, ივირონელები ინტერესდებოდნენ ხალხთა გენეალოგიის საკითხებით, რის გამოხატულებაცაა „ხალხთა მოდგმის წიგნის“ ეპიზოდების ქართულად გადმოღება. [კეკელიძე, ეტიუდები, ტ. I, 1962: 168-182]. გიორგი ქავთარაძე სტატიაში „არიან-ქართლის საკითხისათვის“ გადმოგვცემს: საგულისხმოა, რომ ილია აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონის“ მიხედვით, ტერმინი *ქართველი*, გარდა კავკასიელი იბერიელისა, აღნიშნავს ესპანეთის იბერიელსაც“ [ქავთარაძე, 2006: 40, 451]. მაგალითად მოჰყავს ექვთიმე მთაწმინდელის [დაახლ. 995-1028 წწ.] მიერ თარგმნილი სალამისის ეპისკოპოსის, ეპიფანე კვიპრელის

[დაახლ. 311-403 წწ.] თხზულებაში ნახსენები ადრექრისტიანული ხანის თვალსაჩინო მწერლის, იპოლიტე რომაელის [დაახლ. 170-236 წწ.] ქრონიკებში შემავალ „წარმომავლობის წიგნში“- liber Generations მოხსენიებული პირინეის ნახევარკუნძულზე მცხოვრები კელტ-იბერების სახელწოდება (Κελτίβηδες), რომელიც თარგმნილია, როგორც *კელტ-ქართველნი დასავლისანი*“ [11,172.176].

ბასილი კესარიელის [დაახლ. 330-379 წწ.] თხზულების „ექუსთა დღეთაისას“ თარგმანში პირენეელი იბერები მოხსენიებულნი არიან *დასავლეთის ქართველებად*: „რომელი იგი გარე-მოადგს ჭალაკსა მას ბრიტანიისასა და ქართველთა მათ დასავლისათა“ [სირამე, 1987: 174]. როგორც ვხედავთ, აქ თვით „კელტიბერებიც“ ასე იწოდებიან - „ქართველნი დასავლისანი“.

იცოდნენ რა ასეთი ახლობლობა დასავლეთისა და აღმოსავლეთის იბერთა შორის ქართველმა ათონელმა მამებმა, ამიტომაც თვლიდნენ, რომ ესპანეთში, ანუ პირინეის იბერიაში „ქართველნი არამცირედნი ნათესავნი და ერნი მკვიდ“ იყვნენ [სირამე, 1987: 174]. ამდენად, გასაგებია იოანე ათონელის ლტოლვა *დასავლელი ნათესავებისაკენ*.

აბიდოსის მთავარმა „მეგობრობისა მისისათვის“ გულწრფელად მოახსენა, რომ „მეფეთა“ ნებართვის გარეშე ვერ გაამგზავრებდა სასურველი მიმართულებით. გაიგეს რა სამეფო კარზე იოანეს განზრახვა, „უბრძანეს მეფეთა, რაითა სამეფოს წარავლინეს.“ [ქართული მწერლობა, 1987: 20], „დიდითა ქენებითა ძლით დაარწმუნეს მონასტრადვე შექცევაი და დიდითა ბოძითა განუტევეს“ [იქვე]. ათონელმა მამებმა დაუღალავი ღვაწლით „აღმართნეს ეკლესიანი ცათა მობაძავნი და აღავსნეს იგინი წიგნითა მიერ ღვთივსულიერითა და განაბრწყინვნეს იგინი ხატთა მიერ პატიოსანთა“ [ქართული მწერლობა, 1987: 7].

ღვთივსულიერი საქმიანობის ურიცხვი მაგალითის მიუხედავად, გაუტანლობამ, შურმა და ღვარძლმა (თვით სასულიერო პირებშიც კი) განაპირობა წმინდა იოანესა და ექვთიმეს დაუცხრომელი ღვაწლის შედეგად აგებული მონასტრის დაკარგვა, მალევე ექვთიმეს გარდაცვალებიდან.

მამა გიორგიმ, ახალმა წინამძღვარმა, „წესთაგანნი შეცვალნა და თვისსა ნებასა განზრახვასა შეუდგა... ბერძენნი ფრიად რაიმე შეიყვარნა და განამრავლა და სრულიად მათდა მიმართ მიდრკა, ხოლო ქართველნი, ვითარცა ნასხურნი რაიმე და უნდონი, უგულუბელს-ყვნა და შეამცირნა“. [ქართული მწერლობა, 1987: 52-53]. სასჯელიც არ დააყოვნებს: „განდგომილები და ორგულები დასწამეს დიოგენისა ვისთვისმე... და ამის მიზეზისათვის ესქორია იქმნა გიორგი მონოვაცს“ [ქართული მწერლობა, 1987: 53], სადაც აღესრულა კიდეც. ხოლო „მონასტერი და ჩვენ ყოველნი, - წერს გიორგი მთაწმინდელი, - დიდსა ღელვასა და მიმოდატაცებასა შთავცვივენით, რამეთუ სამგზის დაიტყვენა მონასტერი და რაიცა დრისტი ტურფაი იყო მამათა ჩვენთა მოგებული, ყოველი იავარ იქმნა და ეგრეთვე განძი და კუმაში“ [ქართული მწერლობა, 1987: 54].

ავტორი ჩამოთვლის მამათა მიერ „მოგებულ განძს“ - წარმოუდგენელ სიმდიდრეს მონასტრისა. „ობლად“ დარჩენილი მამები, რომელთაც „წმინდა გული“ შესტკიოდათ მონასტრისათვის, ნეტარი ბერი გრიგოლის წინამძღვრობით, მიუხედავად ბერძენთა მხრიდან მრავალი გინებისა, შეურაცხებისა და ყვედრებისა, ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ ბერძენთა სურვილს, „ენება, რაითამცა სახელიცა მაშენებელთა აღმოჰხოცნეს“ [ქართული მწერლობა, 1987: 56] წინ აღუდგნენ, „რავდენნი ღვაწლნი მოითმინნეს... მიმოსლვაი ჩვენი ზღვით და ხმელით და **აფხაზეთს და ქართლს** სავედრებელთა წიგნთათვის ბერძენთა მეფეთა წინაშე...“ [ქართული მწერლობა, 1987: 56]. „ათონელების ცხოვრებაში“ გიორგი მთაწმინდელი მხოლოდ აღნიშნულ პასაჟში ახსენებს **აფხაზეთს და ქართლს, როგორც დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს სამეფოებს**. ეს არის უნიკალური მაგალითი იმისა, რომ **აფხაზეთი მთელი დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროებს ეწოდებოდა ჯერ კიდევ ათონელი მამების ეპოქაში**.

ამრიგად, აფხაზეთი, როგორც სახე-იდეა, ძველ ქართულ მწერლობაში მნიშვნელოვანი ლიტერატურული კონცეპტია.



## თავი II

### აფხაზეთი ახალ და უახლეს ქართულ მწერლობაში

საკვალიფიკაციო ნაშრომის მეორე თავში განვიხილავთ, როგორ აირეკლა აფხაზეთის თემატიკა ახალ და უახლეს ქართულ მწერლობაში. საანალიზო მასალად შევარჩიეთ აკაკი წერეთლის პოემა „გამზრდელი“, კონსტანტინე გამსახურდიას რომანი „მთვარის მოტაცება“ და ლეო ქიაჩელის მოთხრობა „ჰაკი აძმა“.

#### 2.1 აფხაზეთი აკაკი წერეთლის პოემა „გამზრდელში“

აკაკი წერეთლის პოემა „გამზრდელს“ რამდენიმე ასპექტის მიხედვით განვიხილავენ კრიტიკოსები. აკაკი ბაქრაძის ყურადღების ცენტრში ექცევა ჰაჯი-უსუბის თვითმკვლელობა, რაც საფარ-ბეგის დანაშაულმა განაპირობა. მკვლევარი თავის სტატიაში საგულისხმოდ ხსნის საფარ-ბეგის მიერ ჩადენილი ცოდვის მიზეზებსა და შედეგებს. გურამ ასათიანი ბათუს მხატვრულ სახეს აანალიზებს და პოემის პედაგოგიურ მნიშვნელობასაც დიდ ყურადღებას აქცევს. კრიტიკოსები (ამირან გომართელი, აკაკი ბაქრაძე, გურამ ბენაშვილი, გურამ ასათიანი) ერთმნიშვნელოვნად აღნიშნავენ, რომ ბათუს პერსონაჟი წმინდა ქართული მოვლენა და ქართული რაინდული ხასიათის მკაფიო გამოხატულებაა, თუმცა ყურადღებას არ აქცევენ, არაფერს მიანიშნებენ გარკვეული დეტალების, კერძოდ, ბათუს აფხაზობის, ასევე - ნაზიბროლას სამეგრელოს ასულობის, საფარ-ბეგის ყაზარდოელი თავადობისა თუ ჰაჯი-უსუბის მაჰმადის წმინდა მცნების, შესახებ.

აკაკის პოემის აღნიშნული რაკურსით ანალიზი არსებითი მნიშვნელობის მქონეა. ნაწარმოები 1898 წელს გამოქვეყნდა და ერთ-ერთი დამაგვირგვინებელი ქმნილებაა XIX საუკუნის ქართული რეალიზმის ისტორიაში. [ასათიანი, 1982, 368]. ნაწარმოების ეპიგრაფში ავტორი მიუთითებს, რომ ტექსტში ნამდვილი ამბავია აღწერილი და თავის პედაგოგებს უძღვნის. ამით პოეტმა თითქოს უკვე განსაზღვრა პოემის ლიტერატურულ-აღმზრდელობითი დანიშნულება და მიმართულება; მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ, როგორც ამირან გომართელი შენიშნავს, აკაკის არ დაუტოვებია

მეცხრამეტე საუკუნის ქართველ მოღვაწეთაგან თითქმის არავინ, რომ *ფარული ლიტერატურული პოლემიკა* [გომართელი, 2013: 7] არ გაემართა და თავისთავადი, სრულიად განსხვავებული სიტყვა არ ეთქვა მათთვის.

გურამ ასათიანი აკაკის „გამზრდელის“ ანალიზისას საუბრობს ამ პოემისა და ილიას „განდეგილის“ დასაწყისის საკვირველი დამთხვევის შესახებ - *ორივე შემთხვევაში ეს ადგილი საგანგებოდ მოწყვეტილია მიწას - ბარს და ვაკეს, კაცთ ჟრიაბულს და უშუალოდ ცის მახლობლად მდებარეობს* [ასათიანი, 1982: 368]. ავტორი აქვე შენიშნავს განსხვავებას ამ უნივერსალურ ვნებათა საუფლოში - *თუ ილიასთან განდეგილის სამყოფელი წარმოსახულია დიდებულების დომინანტური განცდით, რომელიც პირველ სტროფში ორბთა და არწივთა მეფური სახეების შემოტანითაა აქცენტირებული, აკაკისთან ასეთი დომინანტის როლს უბრალოებისა და სიღაღის განცდა ასრულებს. პეიზაჟის ცოცხალ მეტაფორულ კომპონენტად აქ მერცხალი გვევლინება* [ასათიანი, 1982: 368]:

„მთის მწვერვალზე, ცის მახლობლად, მერცხლის ბუდედ რაღაც მოჩანს“. [წერეთელი, 1956: 235]

კიდევ ერთი ძირეული განსხვავება არსებობს ამ ორ, ღმერთთან მიახლოვებულ თუ მისაახლოვებულ სამყოფელს შორის - მათი მკვიდრნი - ერთ შემთხვევაში, განდეგილი ბერი, ხოლო მეორეში, „ერთი ვინმე ახალგაზრდა აფხაზია, ამ მთის შვილი, რთულ ცხოვრების უარყოფი, მცირედითაც კმაყოფილი“. [წერეთელი, 1956: 235]

ნაცვალსახელით ვინმე ავტორი მიგვანიშნებს გმირის მხატვრული სახის განზოგადებაზე, ხოლო წარმომავლობის დაკონკრეტებით (აფხაზია), შემდეგ - ამ კონკრეტულის სიღრმისეული დაზუსტებით (ამ მთის შვილი) უმარტივესად გადაჭრის მეცნიერთათვის დღემდე „დასამტკიცებელ“ პრობლემას - *აფხაზები ამ მთის, საქართველოს, შვილები არიან ისევე, როგორც ნაზიბროლაა სამეგრელოს ასული.*

აქ აუცილებლად უნდა გავიხსენოთ კონსტანტინე გამსახურდიას მიერ დასმული იგივეობის ნიშანი თამარსა და ძაბულის, აფხაზ ქალსა და მეგრულ ქალს შორის - ორივენი როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში საქართველოს განუყოფელ

მთლიანობას წარმოადგენენ, ბათუსა და ნაზიბროლას შემთხვევაში კი ამას ემატება ერთმანეთის **ცალობა, ნაწილობა**: „გულში გულს სდებს, სულში სულს სცვლის, ხორცს ეწმახვნის სურო-ვაზი“. [წერეთელი 1956, 235].

წმინდა მამათა აზრით, ყველაზე დიდი სიმდიდრე *მოთხოვნილებათა სიღარიბეა*. სწორედ ამ სიმდიდრის მფლობელია რთულ ცხოვრების უარმყოფი და მცირედითაც კმაყოფილი ბათუ. *სიხარბე მხოლოდ ადამიანის თვისებაა, ბუნება ამ გრძნობას არ იცნობს, მან იცის მხოლოდ აუცილებელი. ადამიანი კი ყოველთვის ცდილობს აუცილებელს მიუმატოს სიხარბე და სწორედ აქ ჩნდება დანაშაული* [ბაქრაძე, 2013: 25], რომელიც მართალსაც ითრევს, ბათუს სახით, და სიწმინდესაც ბღალავს - ნაზიბროლას გაუპატიურებით. ბათუმ კარგად იცის, რომ საფარ-ბეგის განზრახვა უკუღმართია, მაშინ რატომღა მიდის მუძუმტის სურვილის შესასრულებლად? მისთვის სიყვარული ლამპარით წმინდაა და ჰგონია, რომ საფარ-ბეგსაც იგივე გრძნობა ამოძრავებს (სიყვარულის ტკბილი სენი შეჰყრიაო, ფიქრობს მმადნაფიცზე), ჰგონია არა გულუბრყვილობის გამო, არამედ სხვანაირად ვერ წარმოუდგენია, რადგან თავად არაა ისეთი, როგორც საფარ-ბეგი - *ბათუს ხასიათი ... მრთელი და ჰარმონიული პიროვნების ხასიათია. ეს ის კრისტალია, რომელიც ამ რთული ცხოვრებისაგან მიღებული უმტკივნეულები დარტყმის შედეგადაც კი არ იბზარება* [ასათიანი, 1982, 369]. ბათუს შინაგანი სამყაროს ასეთი **სისუფთავე, სისადავე და სიმტკიცე** განპირობებულია იმით, რომ ის თავისი ხალხის ღვიძლი შვილია, მისი ჭეშმარიტი ზნეობრივი იდეალის გამომხატველი. ეს ზნეობრივი იდეალი პოემის სიუჟეტის განვითარების არც ერთ საფეხურზე არ ტოვებს მას, დაწყებული სტუმრის მოსვლიდან, როცა სიბნელისა და თავსხმა წვიმის გამო არც კი იცის მისი ვინაობა, მაგრამ მთავარი მისთვის ეს არაა - მთავარი ამ თავსხმაში მოსული ადამიანის თანაგრძნობა და სამსახურია (განდევლისაგან განსხვავებით), რასაც გურამ ასათიანი *გულისხმიერ გონიერებას* უწოდებს. ამ გულისხმიერების წყალობით მასპინძელი ისე სთავაზობს სტუმარს დახმარებას, რომ *არ შეურაცხყოს მისი მამაკაცური ღირსება* [ასათიანი 1982: 372]. აქვე აუცილებლად უნდა გავიხსენოთ, როგორ გასცემს მოწყალებას ილიას ოთარაანთ ქვრივი ისე, რომ არ ბღალავს გლახაკის პიროვნულ ღირსებას.

„ერთმანეთის მინამსგავსი შიში სხვაა, სიფრთხილე სხვა...“ [წერეთელი, 1956: 240]. ამიტომაც ბათუ, თითქოს ძალიან იოლ საქმეზე მიდიოდეს, საუბარს ხუმრობით ამთავრებს, გამარჯვების შემთხვევაში მოგთხოვ ფეხის ქირასო, არადა, მშვენივრად უწყის, რომ ამ *უკადრის საქმეს* შესაძლოა შეეწიროს კიდეც. ძუძუმტის თავგანწირვის სანაცვლოდ, საფარ-ბეგი ისეთ ცოდვას ჩაიდენს, რომელსაც შენდობაც არ უხერხდება.

საინტერესოა საფარ-ბეგისა და ზია-ხანუმის ანგარებაზე დაფუძნებული ვნების შედარება ბათუსა და ნაზიბროლას *ღრუბლებში ამალღებულ* სიყვარულთან. ბათუ რთული ცხოვრების უარყოფია, ბინადარი შორეული ფაცხა-მღვიმისა, რომელიც *მთის მწვერვალზე, ცის მახლობლად* მდებარეობს.

ბათუს საცხოვრისის აღწერისას რამდენიმე მნიშვნელოვანი არეალი დააკავშირა პოეტმა ერთმანეთთან - **მღვიმე, მთა და ცა**. ეს სამი სივრცე ილიას „განდეგილშიც“ ფიგურირებს. ასევე ფიგურირებს თავსხმა წვიმა, ჭექა-ქუხილიანი ბნელი ღამე, ცეცხლი და უდროოდ მოსული სტუმარი.

საგულისხმოა თუ რას უკავშირდება ქრისტიანობაში ეს სამი სახე-სიმბოლო; **მღვიმეში**, რომელიც სამყაროს სიმბოლოა, იშვა ჩვენი მაცხოვარი - იესო ქრისტე. **მთის** საშუალებით, წმინდა წერილის თანახმად, ადამიანს ხელეწიფება შემოქმედთან კავშირის დამყარება: მთაზე მიიღო მოსემ ათი მცნება, მთაზე იხილა ცეცხლწაკიდებული მაყვლის ბუჩქი, რაც ღვთისმშობლის მიერ მაცხოვრის შობის წინასწარმეტყველებაა; მთაზე იცვალა ფერი მაცხოვარმა; მთაზე აღესრულა კაცობრიობის გამოხსნა იესოს ჯვარცმით; მთიდან ამალდა ზეცად უფალი; მთაზე ადის დავით წინასწარმეტყველი (*ვინ აღვიდეს მთასა უფლისასა, ანუ ვინ დადგეს ადგილსა წმიდასა მისსა?! - ფსალმუნი*), მთაზე ირწმუნებს ქრისტეს ჭეშმარიტებას მირიან მეფე; მთასა და უდაბნოში იწყებენ მოღვაწეობას ასურელი მამები; მთაწმინდაზე უერთდება ბარათაშვილი გონებით შემოქმედს; მთაზე მყოფი ვაჟა ელაპარაკება ღმერთს, მთაზე დგომისას ჩაესმის გალაკტიონს *სიჩუმის იდუმალი ხმა*; მთაზე ელის ტერენტი გრანელი *ქრისტეს გამოცხადებას*; დაბოლოს, ვისაც სულიერი კათარზისი სურს, მთაში მიდის; არსენი დიდი პირდაპირ ითხოვს მონაზვნებისგან მთაში წასვლას. რაც შეეხება **ცას**, ქრისტიანობისათვის იგი **საყდარია ღვთისა**. [სახარება მათესი, 5: 34].

ამ ღვთაებრივი სივრცის პატრონია ბათუ. ამიტომაც მიაჩნია იგი თავის ცალს, ცით მოწყვეტილ ვარსკვლავს, ედემის ალვად ასულ ნაზიბროლას ცა და ქვეყნის შუამავლად, და ამიტომაც, უხმო აღსარების წყალობით, „ერთად გრძნობენ ამ ქვეყნადვე სასუფევლის ნეტარებას“ [წერეთელი, 1956: 244]. ნაზიბროლას მხატვრული სახეც საკმაოდ დატვირთა ქრისტიანული სიმბოლიკით აღსავსე ეპითეტებითა თუ მეტაფორებით პოეტმა - ცის ვარსკვლავი, ედემის ალვის ხე, ელფერობით - ვარდი, სინაზით - ია.

რას წარმოადგენს საპირისპირო წყვილი, ვინ არის საფარ-ბეგის რჩეული ზია-ხანუმი? „ჯერ გაჰღალავს, მიიბირებს, დაიმონებს, იგდებს ხელში,

მერე უნდა გამოსცადოს, აგდებს მის მსხვერპლს განსაცდელში“ [წერეთელი 1956, 238].

როგორც ვხედავთ, ზია-ხანუმის დასახასიათებლად აკაკი ძალაუფლების გამომხატველ ზმნებს იყენებს. სწორედ ასე აფასებს აკაკი ბაქრაძე ნაზიბროლას საპირისპირო პერსონაჟს, ანტიგმირს - *ზია-ხანუმს ძალაუფლების მოყვარეობა აწამებს... მისი სიხარბე ადამიანთა ურთიერთობის იმ სახეობას ცნობს, რომელსაც მორჩილება ეწოდება* [ბაქრაძე 2013: 251].

ესაა ძირეული განსხვავება, როგორც წმინდა მამები განმარტავენ, ქრისტიანობასა და მაჰმადიანობას შორის - ქრისტიანობაში უმთავრესი გრძნობა სიყვარულია, როგორც იოანე მახარებელი გვაუწყებს: ღმერთი სიყვარული არს, ხოლო მაჰმადიანობაში - მორჩილება. ზია-ხანუმს თავმომწონე ინალიფა მხოლოდ იმიტომ არ მოსწონს, რომ იცის *სხვებსავით ის მას ვერ იმსახურებს. აღმასხიტი არ გახდება ზია-ხანუმის სიხარბის მსახური, ამიტომ ქალი სხვებს აქეზებს მის წინააღმდეგ* [ბაქრაძე, 2013: 251].

საფარ-ბეგიც მსხვერპლია და თან - ისეთ განსაცდელში ჩავარდნილი, რომ აუცილებლად სხვაც უნდა იმსხვერპლოს, მაგრამ ვინაა იგი?! როგორც აკაკი ბაქრაძე ბრძანებს, *ჩადენილია დანაშაული - ჯერ შედარებით უბრალო, ცხენის მოპარვა და შემდეგ უკვე უპატიებელი - ძუძუმტის ცოლის გაბახება* [ბაქრაძე, 2013: 251].

წმინდა მამათა სწავლებით, *მინდა* არის ვნება. დაუოკებელი სურვილიდან (ან თუნდაც ინტერესიდან) მომდინარეობს ნებისმიერი ცოდვა, რომელიც, თავის მხრივ, ახალ, უფრო მძიმე, სათქმელად საძნელო ტრაგედიამდე შესაძლოა მივიდეს. ასე გადაება ჯაჭვურად ზია-ხანუმის *მინდა* საფარ-ბეგის ვნებას.

იმ დროს, როცა თვით ეშმაკიც ეძებს ძრწოლით თავშესაფარს, საფარი აფხაზის, ფაქტობრივად, **ღვთის კარს** მიადგა - „სტუმარი ღვთის კარზე ვდგავარ. ცხენს და კაცსა გვინდა ბინა“ [წერეთელი, 1956: 250]. საფარ-ბეგის ძიძიშვილის ფაცხა-მღვიმე ღვთაებრივ სიწმინდესთანაა გაიგივებული. ბათუ წამიერადაც კი არ უშვებს მის მიმართ უნდობლობას (მორდუობა ხომ ქვეყანას რჯულზე უფრო უმტკიცესად მიაჩნია). როგორც აკაკი ბაქრაძე ამბობს, ბათუმ ადამიანის უკეთილშობილესი გრძნობა გამოამყლავნა - ნდობა“ [ბაქრაძე, 2013: 256], მაშ რა მოხდა მერცხლის ბუდესავით წმინდა ფაცხაში?! აკაკი, ილიასაგან განსხვავებით, შეცოდების პროცესს არ გადმოგვცემს, არც განდევილივით გარბის ცოდვის ადგილისა და ობიექტისაგან საფარ-ბეგი; პირიქით, მართალია, შემკრთალი და დარცხვენილი წამოვარდება ზეზე, მაგრამ ბათუს მშვიდ სახეზე ღიმილს შეამჩნევს. საფარ-ბეგის ფიქრებიდან გამომდინარე, თუ ვერ გაიგო ძიძიშვილმა მისი შეცოდება, თუ ქალმა ნამუსი შეინახა და მის სამარცხვინო საქციელს ვერავინ გაიგებს, მაშინ შეგიძლია უკადრებელიც იკადრო. ილია ლუარსაბ თათქარიძეს ათქმევინებს, *განა უწინ კი არ იყო მაგისთანა ამბები, მაგრამ უწინ სულ დაფარული იყოო* [ჭავჭავაძე, 1985: 298].

საფარ-ბეგისთვის ნაზიბროლას გაბახება ისევე არაფერს წარმოადგენს, როგორც დათიკოსათვის - თამროს დაუფლება (არც სოციალური პრობლემა რჩება აკაკის ყურადღების მიღმა). ეს განასხვავებს მას განდევილისაგან. ამიტომ არ გარბის არსად. ფსიქოლოგიაში მის საქციელს აგრესიული სექსუალური ენერგია ჰქვია, ადამიანი აფექტის მდგომარეობაში იმყოფება და საკუთარ ქცევას ვეღარ აკონტროლებს, ხოლო ქრისტიანული რელიგიის თვალსაზრისით, ეს შეპყრობილი(ს) მდგომარეობაა, საიდანაც ადამიანის გამოსვლა შესაძლოა ტრაგედიითაც კი დამთავრდეს, როგორც განდევილის შემთხვევაში. საფარ-ბეგის ბუნების ბოლომდე გაშიშვლება ზია-ხანუმის სიხარბის ირიბი მსხვერპლის მხატვრული სახის წარმოჩენით ხდება; როგორც კი ბათუ

თმაგაშლილ, ჩუმიად მტირალ ნაზიბროლას იხილავს, რომელიც ტინის კედელს თავს ახლის და ხმას არ იღებს, მიხვდება, რაც მომხდარა, და იქვე უხმოდ ჩაიკეცება.

ნიკო სამადაშვილი ლადო ასათიანის შესახებ წერს, *სულის კვამლი უწვავდა თვალებსო* [აგიაშვილი, 1986, 193]. ბათუს უხმო ჩაკეცვა სწორედ *სულის წვაა*, როცა ადამიანი ვეღარ უნდა არჩევდეს ვერაფერს, მაგრამ გონს მოსული, ვაჟას ჯოყოლას მსგავსად, დიდსულოვნად ანუგეშებს ცოლს, გადაიგოს გულიდან *ცრუ ზღაპარი და სიზმარი*, რადგან მათი სიყვარული უწინდებურად *ლამპარივით წმინდაა. ლამპარივით წმინდა სიყვარულმა და სიხარბისაგან თავისუფლებამ დაბადა ბათუს დიდბუნებოვანი საქციელი, მისი სულდიდობაო*, წერს აკაკი ბაქრაძე [ბაქრაძე, 2013: 257], ხოლო გურამ ასათიანისათვის ბათუს საქციელი *ქართული სულის რაინდული დიდსულოვნების ნამდვილი აპოთეოზია* (ციტატა დასტურია იმისა, რომ ბათუ - აფხაზი - ისეთივე ქართველია, როგორც სამეგრელოს ასული ნაზიბროლა), *ახლობელი ადამიანის ტანჯვის ხილვით და ამ ტანჯვისადმი თანაღმობით ის თითქოს არისტოტელესეული კათარზისის მსგავს ემოციურ მდგომარეობას ეზიარება* [ასათიანი, 1982: 373].

ფაცხაში დატრიალებული ტრაგედიის უშუალო მონაწილეს დაუბრუნა ბათუმ იმედი, შეაძლებინა სიცოცხლის გაგრძელება; მაგრამ რჩება მეორე პერსონაჟი - სტუმარი, ძუძუმტე და დამნაშავე ერთად. გამოცდა, რომელიც საყვარელ ადამიანს შეეხებოდა, ბათუმ წარმატებით ჩააბარა, მეორე გაცილებით რთულია, რადგან საქმე ისეთ ცოდვას ეხება, რომელსაც შენდობაც კი არ უხერხდება. ამის მიუხედავად, აფხაზი მასპინძლის მოვალეობას პირნათლად შეასრულებს, არ დააკლებს, რაც წესია, სამსახურს, რომ სტუმარი არ გაუშვას გულნაკლი და უმადური, ნერვიც არ შეუთამაშდა სახეზე, მაგრამ *საკუთარი დამაბულობის განსამუხტავად წამოწყებული ჭენება მოულოდნელად მუხრუჭდება* [ასათიანი, 1982: 371], ბათუ უკვე აღარ მიმართავს საფარს, როგორც ძუძუმტეს, რადგან *არის ზოგი შეცოდება, რომ სათქმელად საძნელოა... არც შენდობა უხერხდება!* [წერეთელი, 1956: 272].

როგორც ნაზიბროლას მდგომარეობის ხილვისას იყო სიტყვა უძლური (უხმოდ ჩაიკეცა), ასევეა უძლური საფარ-ბეგის შეცოდების გადმოსაცემად. ბათუს ამ სიტყვებს ძუძუმტე ცნობიერ გონებაზე მოჰყავს და აღიარებს თავის დანაშაულს, *შემაცდინა*

თვით ეშმაკმა და დამრია ცოდვის ხელიო [წერეთელი, 1956: 273]. ისეთ უმძიმეს ცოდვას, როგორც მან ჩაიდინა, მხოლოდ ცრემლი ვერ განწმენდს. ეს კარგად უწყის საფარ-ბეგმაც, ამიტომაც ივედრება, სიკვდილით გაუმრთელონ სინდისი. ბათუ, მართალია, შეუწდობს შეცოდებას, მაგრამ დამსხვრეული სინდისის გამრთელება არ ხელეწიფება. ამიტომაც სხვა გამოსავალს სთავაზობს - ნახოს მოძღვარი, ვინც შვილივით გამოზარდა და მომხდარი უამბოს. ამით თითქოს გადააბარა მოძღვარს ის *ნამსხვრევები*, რასაც საფარ-ბეგის სული წარმოადგენს, თავად კი ფაცხისაკენ მიმავალი აღმართი ძლივს ბარბაცით, მაგრამ აიარა. ბათუს ბარბაცი მისი სულიერი დაღლილობის გამოხატულებაა, ოღონდ ეს არა დათრგუნული, არამედ მძიმე სახადისაგან განკურნებული, სიმრთელეშენარჩუნებული სულის დაღლილობაა. სხვანაირად წარმოუდგენელიც იყო, რადგან ავტორს აუცილებლად უნდა ეთქვა მკითხველისათვის, *თუ რა არაადამიანური დამაბვის ფასად დაუჯდა გმირს იმ უფსკრულიდან ამოღწევა, რომელშიც ჩაჩეხეს* [ასათიანი, 1982: 374].

უფსკრული კი ძალიან ღრმაა. აკაკი ბაქრაძე ლევ ტოლსტოის სიტყვებს იმოწმებს, ადამიანი იტანს მიწისძვრებს, ეპიდემიებს, ავადმყოფობათა საშინელებებს და ყოველგვარ სულიერ წამებათ, მაგრამ ყოველ ხანაში მისთვის უმწვავესი იყო, არის და იქნება *საწოლი ოთახის ტრაგედია*. ვისაც ძალუმს ამ ტრაგედიას შეგნებულად შეხედოს, ემოციას არ აჰყვეს, გონებით განსაჯოს, მას აქვს პატიების ღვთაებრივი უნარი. ეს უნარი გამოავლინა ბათუმ ნაზიბროლას მიმართ. ასეთი ადამიანები იშვიათობას წარმოადგენენ, ამიტომაც ბათუს *ადამიანური ბუნების სიღრმე განსაკუთრებით დასაფასებელია, ეს სიღრმე მოჩვენებითი და ცრუ კი არ არის, არამედ - ნამდვილი* [ბაქრაძე, 2013: 259], წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი ვერ შეძლებდა საფარ-ბეგის პატიებას; როგორც წმინდა მამები გვასწავლიან, ცოდვა უნდა გვძულდეს და არა ცოდვილი. ბათუსაც სძულს არა ადამიანი, არამედ - ცოდვა. სწორედ ცოდვის სიძულვილის გამო ბათუ დანაშაულს არ ურიგდება, როგორც აკაკი ბაქრაძე ბრძანებს, *დანაშაული შეგნებულია, შენდობის აქტიც აღსრულებულია, მაგრამ საფარ-ბეგის ბედი მაინც არ არის გადაწყვეტილი* [ბაქრაძე, 2013: 259].

აფხაზმა გადაწყვეტილების მიღება ყაბარდოელ მოძღვარს მიანდო, ვინც შვილივით გამოზარდა საფარი. პოემის სათაურის ადრესატს ნაწარმოებში მხოლოდ ბოლო თავი



ეთმოზა, მაგრამ, სათქმელის ტევადობის თვალსაზრისით, დიდტანიან თხზულებაზე მეტს გვამცნობს გმირის მხატვრული სახის გადმოცემისა თუ ზნეობრივი აქტის დემონსტრირების მხრივ: „არც გვართ, არც ვაჟკაცობით, არც სიმდიდრით, არც ქონებით, ჰაჯი-უსუბ ცნობილია მხოლოდ ჭკუით და გონებით...“ [წერეთელი, 1956: 276]

პოეტმა შექმნა სულიერი სიმაღლით გამორჩეული, *მაჰმადის წმინდა მცნების* ერთგული პიროვნების პორტრეტი. ჰაჯი-უსუბის პერსონაჟს ორი განსხვავებული არეალი შემოაქვს პოემაში: ერთი - გეოგრაფიული (ყაზარდო), ხოლო მეორე - რელიგიური (მაჰმადიანური სამყარო). სავარაუდოდ, არავისთვის არის უცხო ის ფაქტი, რომ აკაკი რითმის გულისთვის ამ ორ მნიშვნელოვან ფაქტორს არ შემოიტანდა ნაწარმოებში. თავისთავად დაისმის კითხვა - რის თქმა სურს პოეტს? აფხაზ გლეხ ბათუსა და ყაზარდოელ თავად საფარს შორის მორდუობის წმინდა კავშირია დამყარებული. მოგვიანებით ქართულმა მწერლობამ მორდუობის სხვადასხვა შემთხვევა დახატა უკვე ეთნოსის სახელდასაკუთრებულ აფხაზთა და ქართველთა ურთიერთობისა, კერძოდ, კომუნისტ არზაყან ზვამბაიასა და თარაშ ემხვარს, ჰაკი ამბასა და უჯუმ ემხას შორის. ერთი სიკვდილისთვის წირავს ძუძუმტეს, ხოლო მეორე საკუთარ სიცოცხლეს სწირავს. ურთიერთობის ამ ფორმამ რადგან ასეთი განვითარება პოვა ქართულ მწერლობაში, ხომ არ არის შესაძლებელი ვიფიქროთ, რომ პოეტი მიდის გაცილებით შორს, ვიდრე წარმოგვიდგენია?! შემოქმედი ხედავს, მორდუობის საშუალებით როგორ შემოდიან იმიერკავკასიიდან უცხო ტომისა და სარწმუნოების ადამიანები ამიერკავკასიაში და რა ძვირად უჯდება ქართველურ ტომებს - აფხაზებსა და მეგრელებს მათი თვითგამორკვევა; ამის თქმა რომ არ ყოფილიყო მტკივნეული ჩვენს მამულში შემოსული ხიზნებისათვის, აკაკიმ მაჰმადის მცნებას განსაზღვრებად *წმინდა წარუმძღვარა*. ჰაჯი-უსუბი მოყვასისადმი დარღვეული სიყვარულის გასამთლიანებლად წირავს საკუთარ სიცოცხლეს, საფარ-ბეგის მონანიებისას ჰაჯი-უსუბმა თავი გაზრდილის დანაშაულის თანამონაწილედ მიიჩნია და, ერთი შეხედვით, ხვეისბერი გოჩასაგან განსხვავებით, მოულოდნელი განაჩენი გამოიტანა, მაგრამ მას *გამოჰქონდა არა იურიდიული, არამედ ზნეობრივი* [ბაქრაძე, 2013: 260] განაჩენი.

სხვათა დანაშაულის თანამონაწილეობის განცდა მხოლოდ ერთეულებს გააჩნიათ. ჰაჯი-უსუბის ეს განცდა მკითხველს აუცილებლად მოაგონებს დავით აღმაშენებლის სინანულს და კონსტანტინე გამსახურდიას სიტყვებს, *ათასების ტკივილი ერთმა უნდა გადაიტანოს, ათასების მაგივრად ერთია მლოცველი და ჯვარზე გამსვლელი* [გამსახურდია, 1976: 335]. *ჰაჯი-უსუბის პატიოსნება არის პატიოსნება, რომელსაც უნარი აქვს სხვისი დანაშაულის საფუძველი თავისთავში იპოვოს და თავად აგოს პასუხი* [ბაქრაძე, 2013: 261] - აი, ამ სიმაღლემდე აიყვანა აკაკიმ ყაზარდოელი მოძღვარი - მაჰმადის წმინდა მცნების მიმდევარი.

თუ გავიხსენებთ ილიას მოთხრობას „სარჩობელაზე“, ვნახავთ, რომ პეტრე ვერაფრით ხვდება, რა დანაშაული მიუძღვის სარჩობელაზე დაკიდებული ახალგაზრდა ბიჭის მიმართ. ბოროტის თანაზიარი ყოველთვის არის საზოგადოება, მაგრამ, როგორც წესი, იგი ამ ტვირთს ჰაჯი-უსუბივით არ იღებს თავზე.

*აკაკი წერეთლის გამზრდელი სჯის დანაშაულს, მაგრამ არ არღვევს არსებობის მარადისობის კანონს, წარსულის სახელით არ კლავს მომავალს* [ბაქრაძე 2013, 267]. ჩვენი დიდი მწერლები, ეტყობა, ხედავდნენ ეთნოსის სახელის მითვისების საშიშროებას შემოსული ტომის მხრიდან და ამიტომაც დელიკატურად სვამენ ტოლობის ნიშანს აფხაზსა და მეგრელს შორის. ოსტატურად გადმოგვცემენ მორღუობის ტრადიციას წარმოაჩენენ სტუმრად მოსულ გარეულს, რომელმაც შინაური გააგდო.

ბოროტება ბოროტებით არ იკურნება - მას მაღალი ზნეობისა და გმირობის მაგალითი აცამტვერებს....

**2.2 აფხაზეთის ტრაგედიის წინასწარმეტყველება კონსტანტინე გამსახურდიას რომანში „მთვარის მოტაცება“**

დიდი მწერლები ხშირად წინასწარმეტყველნიც არიან. ეს სიტყვები თავისუფლად შეგვიძლია გავიმეოროთ კონსტანტინე გამსახურდიასა და მისი რომანის შესახებ. „მთვარის მოტაცება“ წლების განმავლობაში შეცვლილი ვარიანტით იბეჭდებოდა და ვრცელდებოდა. *მწერალმა იგრძნო აპოკალიპსური კატასტროფის მოახლოება, ამიტომ როცა ეს ნამდვილად მოხდა, მოითხოვეს რომანის კორექტირება. ამოიღეს კაცის ინცესტური სიზმარი, მამისმკვლელობის სცენა, სტალინის შედარება ნაპოლეონთან და ასე დაბეჭდეს 1947 წელს* [სიგუა, 1977: 204]

1990 წლამდე, ვიდრე ზვიად გამსახურდიას რედაქტორობით არ დაიბეჭდა რომანის თავდაპირველი ვერსია, მკითხველმა მხოლოდ გადმოცემით იცოდა, რომ კაც ზვამბაიას ტარბები კი არა, საკუთარი შვილი - არზაყანი კლავს. ეს მკვლელობა, რა თქმა უნდა, არ გახლავთ ოდენ ფიზიკური - კაც ზვამბაიას მკვლელობა შეგვიძლია სიმბოლურად წარმოვიდგინოთ, როგორც ტრადიციებისა და წინაპრების მოკვეთა, ასევე - თვით შემოქმედთან, ზეციურ მამასთან ყოველგვარი კავშირის გაწყვეტა. ნანა კუცია წერილში კონსტანტინე გამსახურდიას „მთვარის მოტაცების“ კონცეპტების შესახებ, წერს, რომ არზაყანი რევოლუციის, დაუნდობლობის, სისხლის, ძალადობის პერსონიფიკაციაა – კაც ზვამბაიას სიზმარში იგი ინცესტს ახორციელებს, რეალურად კი, ოდნავ მოგვიანებით, კლავს მამას. ბოლშევიზმის პერსონიფიკაცია არზაყანი ინცესტით წაბილწული და მამისმკვლელია, ძაბულის ძალად გამბახებული (იქვე გდია მამის ძვლებით სავსე ხურჯინი) – გამსახურდიასეული პარაბოლა გამჭვირვალეა და მამბილებელი [კუცია, 2008: 122] ინცესტიც ძალაუფლების სიმბოლოა, აკრძალულის გადალახვა, გზა მშობელი დედის დაუფლებიდან – მშობელი მიწის დაუფლებამდე. გავიხსენოთ იულიუს კეისრის შემზარავი სიზმარი რუბიკონის გადალახვისას და შევუთანადოთ საქართველოს 1921 წლის ტრაგედიას [სიგუა, 1990: 11].

„მთვარის მოტაცება“ მრავალი კუთხითა და ასპექტით მნიშვნელოვანი რომანია, მაგრამ უმთავრესი პარაბოლა სწორედ კაც ზვამბაიას სიკვდილია, საკუთარი შვილის ხელით განხორციელებული.

ჩვენ მიერ „ახალ განათლებაში“ გამოქვეყნებულ წერილში „მთვარის მოტაცებაზე“, როგორც აფხაზეთის ტრაგედიის წინასწარმეტყველებაზე, ვწერთ: „არზაყანი ნაწარმოებში მიზანდასახულ, ახალგაზრდა კაცად წარმოგვიდგება, მაგრამ

საინტერესოა რა მიზნები აქვს ახალი ადამიანის ჩამოყალიბებისათვის მეზრდოლ ჯერ კომკავშირელ, შემდეგ კომუნისტ არზაყან ზვამბაიას? მხოლოდ ყაჩაღების დევნით, რა თქმა უნდა, იგი არ შემოიფარგლება, არამედ მას ცისფერი სისხლი სწყურია“: [კობერიძე, ელრესურსი] „ათასწლობით ემსახურებოდნენ შარვაშიძეებსა და ემხვარებს ზვამბაია, ეშა და ლაკობა. მრავალი საუკუნის მანძილზე ჭირისოფლი უღვრიათ მათთვის... ახლა ზვამბაიების დროა, ფიქრობდა არზაყან ზვამბაია სახნავიც ჩვენია და სათესიც, ზღვაცა და ცაც. **ზღვისფერი თვლებიც და ცისფერი სისხლიც**“.

[გამსახურდია, 1990: 124]

მოცემულ ციტატაში მწერალი მნიშვნელოვან ისტორიულ რეალობაზე საუბრობს. კერძოდ, აფხაზეთის მოსახლეობის არისტოკრატია და სამღვდელოება (ნახუცარი ბაბუა ტარიელი გვარად შარვაშიძეა) ქართველი აფხაზები არიან, აფსუა აფხაზები კი სოციალურად დაბალ წრეს განეკუთვნებიან. კონსტანტინე გამსახურდიას რომანის დასაწყისშივე თავად შემოაქვს ასეთი დიფერენციაცია (თუ შეიძლება ასე ითქვას), ქართველი აფხაზი და აფსუა აფხაზი: „მიდის ჩაბალახით თავგაკრული აფხაზი ვაჟკაცი“ [გამსახურდია, 1990: 130], მომდევნო აბზაცში კი წერს, მიდის უშიშარი და შეუპოვარი აფსუაო. ეს აფხაზი ვაჟკაცი და შეუპოვარი აფსუა იდენტიფიცირდება კაც ზვამბაიასთან, სწორედ კაც ზვამბაიაა ოქუმიდან ზუგდიდს მიმავალი. *მსგავს მინიშნებას მწერალი სხვა შემთხვევებშიც მიმართავს. იგი ეთნიკურად ორი აფხაზის არსებობას აფხაზეთში უდიდესი ტაქტიკითა და სიფრთხილით აგებინებს მკითხველს – ერთი უშუალოდ აფხაზია, ანუ ისეთივე ქართველი ეთნიკურად, როგორც მეგრელი, სვანი, აჭარელი და ა.შ., ხოლო მეორე - შემოსული (მიხეილ ჯავახიშვილის ტერმინით - შემოხიზნული) აფსუა, რომელმაც მიითვისა ეთნოსის სახელწოდება (აფხაზი) და მეგრული გვარების დაბოლოება.*

რაც შეეხება პირველ შემთხვევას, თამარ შარვაშიძისა და ძაბულის პარალელური დახასიათებისას მწერალი მათ შესახებ ამბობს: „თამარი ხომ აფხაზი ქალია, ძაბული მეგრალი ქალია“ [გამსახურდია, 1990: 118]. ეს აფხაზი და მეგრელი ქალი ისეთივე თანაფარდობითაა ნათქვამი, როგორც კახელი, რაჭველი, გურული ქალების შესახებ გვსმენია ხოლმე. ამაზე უკეთ, ჩვენი აზრით, იმის გადმოცემა, რომ თამარ შარვაშიძე ისეთივე ქართველი=აფხაზი ქალია, როგორც ძაბულია ქართველი=მეგრელი, უბრალოდ, შეუძლებელია“. [კობერიძე, ელრესურსი]

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ აღმოსავლეთ საქართველოშიც მსგავსი ვითარება გვაქვს (წოვა-თუმებისა-წოვები ჩეჩენ-ინგუშური მოდგმის ხალხია და ქართველი თუმების მაგალითი).

*რაც შეეხება, არზაყანის ბნელ ინსტინქტებს, პარტიაზე რელიგიური ფანატიზმით შეყვარებული არზაყანებისათვის მიზანი საშუალებას ამართლებს. ამიტომ ყველა გზითა და საშუალებით ცდილობს იგი ინსტინქტის დაკმაყოფილებას.*

მეცნიერებაშიც სწყურია არზაყანს სახელის მოხვეჭა, მაგრამ - მხოლოდ იმისთვის, რომ თარაშმა არ აჯობოს რომელიმე სფეროში. გულზე მოხვდება ძაბულის სიტყვები, „თარაშმა გვაჯობაო ყველას, თარაშის პირველი მეცნიერული გამოკვლევა აფხაზური ენისათვის პრუსიის სამეცნიერო აკადემიას გამოუცია... აფხაზური ენის მეცნიერულად მცოდნე მთელ ქვეყანაზე სულ ორიოდ კაცი მოიპოვებო“ [გამსახურდია, 1980: 121].

არც ის უკვირს ვინმეს, თარაში კარგი მოქართულე რომ იყო, ემხვარისა და შარვაშიძეების ოჯახში მუდამ ქართული ჯაბნიდა თურქულსა და რუსულს! ამის გამგონე არზაყანს მოთმინება ღალატობს და გაურბის ქალს. ძაბულის პირით მწერალი მნიშვნელოვან, ყურადსაღებ ინფორმაციას გვაწვდის - *იმ დროისათვის ე. წ. აფხაზური ლიტერატურა და დამწერლობა, რა თქმა უნდა, არ არსებობს, ასევე არ არსებობს ამ ენის მეცნიერულად მცოდნე, ანუ აფხაზოლოგი, ოჯახებში ქართული ენაა გაბატონებული, რასაც შენარჩუნება ესაჭიროება.*

მეოცე საუკუნის 20-30-იანი წლები ქვეყნიდან, და საერთოდ, საზოგადოებრივი ასპარეზიდან იმ სოციალური ფენის განდევნის ხანა გახლდათ, რომელიც სწორედ ქართულენოვანი, ქართული ცნობიერების მქონე იყო. ქართველი/აფხაზი არისტოკრატისა და სამღვდლოების ისტორიული არენიდან გასვლამ ასპარეზი დაუთმო აფსუა/აფხაზ გაკომუნისტებულ ზვამბაიებსა და არენბებს. ნანა კუციას მოსაზრებით, *არზაყანი ახალი ძალაა, უკეთ – მოძალადე, რევოლუციის ქმნილება და სახე-ხატება, თარაში – სიძველე, ტრადიცია, კულტურა, მელანქოლია, დეკადანსი... როგორც მიხეილ ჯავახიშვილი წერდა, ჯაყო ბიოლოგიაა, თეიმურაზი – ესთეტიკაო. რომანში ესთეტიკა თარაშის პიროვნებაშია პერსონიფიცირებული, ბიოლოგია – არზაყანში. მარინა ცვეტაევა იმავე ისტორიულ ეპოქასა და იმავე კონტექსტში იტყვის:*

*Уходящая Расса – спасибо тебе. თარაშიცა და თამარიც რევოლუციის საქაჯავში მოხვედრილი წარმავალი რასაა* [კუცია, 2008: 122].

რაც შეეხება გვარების დაბოლოებას, დღეს სადავო აღარ არის, რომ აფსუური გვარების სამოცდაათი პროცენტი მეგრულ-სვანური ფუძისაა, მეგრული დაბოლოებით. *შემთხვევით არ ჩამოთვლის კონსტანტინე გამსახურდია, ძველ დროში თითოეულს რაზემეულს ცხენოსნობისას დადიანი, შარვაშიძე, ემხვარი ან ლიპარტიანი მეთაურობდა. ახლა ფიფიას, აგირბას, ესვანჯიას, მალაზონიას ან ტარბას მოჰყავდა ცხენიც და ცხენის ამლაცო* [გამსახურდია, 1990: 338] *ლაკერზაია, ალშიზაია, ზვამზაია გამეგრულელებული აფსუური გვარებია. რაც შეეხება თარაშ ემხვარის სახელისა და გვარის წარმომავლობასა და სიმბოლიკას, ეს ცალკე საუბრის თემაა, მკვლევარი სოსო სიგუა აღნიშნავს, თარაშის წინაპარი – ვარდან ემხვარი იპყრობდა კარნუ ქალაქს, რისთვისაც თამარ მეფემ უბოძა სამკვიდრო ეგრისწყლიდან კილასურამდის, მაგრამ იგივე ვარდანი დაწყევლა კათალიკოსმა ფსალმუნის ას და მერვე (108-ე) ლექსით, როგორც 700 წლის შემდეგ – ტარიელ შერვაშიძემ – თარაში... ემხვარების დასაბამი და დასასრული წყევლით არის დადდასმულიო* [სიგუა, 1990: 7]. არამხუტ(უ) ამირანის მეგრული ეკვივალენცია, თარაშის მრავალპლანიანი სულის ერთ-ერთი ჰიპოსტასი ა მ ი რ ა ნ ი ა, ძველი საქართველოს მუდმივი ტანჯვის ხატი. [კუცია, 2008: 123]. სწორედ ამიტომ თარაშ ემხვარი, იგივე ამილახვარი, რასაც თავად ავტორიც ათქმევინებს თამარ შარვაშიძეს, ემხვარები ამილახვრები ყოფილანო, მუდმივ ამირანისეულ ტანჯვას განიცდის. რომანში მოხსენიებულია თავად-აზნაურთა გვარები: **დადიანი, შარვაშიძე, ემხვარი, ლიპარტიანი, ჩიქოვანი** (გუდუ), გვანჯი აფაქიძე, ერამხუტ ემხვარი, მარშანია ტატამ, გუმა, არმადარი **ფარჯანიანისა**, კონსტანტინე **დადეშქელიანი**, ვამეხ **ანჩაბაძე** (ანჩაბაძეები მესხეთიდან, სოფელ ანჩიდან არიან წარმოშობით, ქართლში მაჩაბლებად იწოდებოდნენ, დასავლეთში კი, კერძოდ, აფხაზეთში - ანჩაბაძეებად; არსებობს მეორე ვერსიაც ამ გვარის წარმოშობასთან დაკავშირებით – შესაძლოა იგი აფსუური გვარიდან აჩზა მომდინარეობდეს), **ვარდანიძე**.

გლეხების გვარებია: ზვამზაია, ფიფია, აგირბა, ესვანჯია (*სვანჯი მეგრულად მოსვენებას ნიშნავს*), მალაზონია (*მალაზოჯია წამობრძანდია მეგრულად ან შესაძლოა*

სიტყვა – მონაზონიდანაც მომდინარეობდეს ეს გვარი), ტარბა, ალშიზაია (შარდინ), ხეცია (სეული), აშხვაცავა (შხვა - მეგრულად სხვა), გრიგოლია, ქოიავა, ლაკობა, კაკაჩია, კიუტი (ყველაზე მრავალრიცხოვანი გვარი აფხაზეთში), ჭანბა (ედიშერ), ჩიჩაგი (ინალიპა), გეჩიცა (რეშიდ), ხვიჩია (ხვიჩა - მხიარული, გაბადრული), გვიჩია, ალანია (ულამაზესი), მალანია (მსწრაფლმავალია მეგრულად), მაქაცარია (ქაცარი – თიკანი, თიკანაძე), მაჩაგვა ეშბა, გაანია, შელია, სასანია, ლუკაია ლაბახუა, ლომკაც ესვანჯია, ლადარია, კილასონია, შელეგია, ომარ ლომია, გეგი ბერაია, ქობულია (ქობალ – პური/მეპურე), ლაფარიანები, ქუჯი გვახარია, შურღაია (შურ - სული, სულაძე), ფერაძე, ჯოტო გვასალია (გვალ - მთა, კლდოვანი მაღლობი) როგორც ვხედავთ, რომანში მოხსენიებული თავადთა გვარები პირწმინდად ქართულია, ხოლო გლეხებისა - უმეტესად ქართული (მეგრული).

*ჯამლეთ ტარბას მკვლევლობის მიზეზი კომუნისტი არზაყან ზვამბაიაა. მწერალმა იწინასწარმეტყველა, რომ კომუნისტები გააკეთებდნენ იმას, რაც ვერ შეძლო მეფის რუსეთმა - ერამუტ ემხვარი მეფის რუსეთის წინააღმდეგ იბრძოდა და, საბოლოოდ, რუსეთმა შეიწირა იგი. კომუნისტების შემთხვევაში კი, საქმე სხვანაირადაა - თარაშ ემხვარი თავისდაუნებურად ხდება ჯამლეთ ტარბას მკვლელი (ძიძიშვილის დაცვის საბაბით). მეფის რუსეთმა მართლაც საუკუნოვან ძმებს შორის - აფსუა აფხაზებსა და ქართველ აფხაზებს შორის სისხლის დაღვრა ვერ შეძლო, მაგრამ კომუნისტებმა (ამ შემთხვევაში, არზაყან ზვამბაიამ) ეს შეძლეს და თარაშ ემხვარი უკვე საკუთარ ქვეყანაშივე ხდება ლტოლვილი.*

ჩვენს წერილში ყურადღებას ვამახვილებთ სიმბოლიკაზე, რომელიც დაკავშირებულია სამასი ათასი ქართველისა და თარაშ ემხვარის ლტოლვილობის ერთსა და იმავე გზაზე - გადარჩენაზე სვანეთის მთების გავლით (რასაც, შესაძლოა, ვერც კი წარმოიდგენდა მწერალი რომანის წერისას, მაგრამ, ქვეცნობიერად, ალბათ, გრძნობდა, რომ ადრე თუ გვიან ეს მოხდებოდა).

არზაყანი მხოლოდ მოძმის მკვლევლობის თანაზიარს არ გახდის თარაშ ემხვარს; სვანეთში ხიზნობისას თარაშისათვის სრულიად მოულოდნელად, ის კლავს მეზირს, რაც, ფაქტობრივად, ქორა მახვშის სიკვდილისა და მისი დიდი ოჯახის, რღვევის მიზეზი ხდება - არც სვანურ პატრიარქალურ სივრცეს ინდობს ცივილიზაცია -

*არზაყანი წილს დაიდებს მახვშის დაღუპვაშიც. მეზირის, ფუძის მფარველი ტოტემ(ურ)ი გველის, მოკვლა პარაბოლური დეტალია რომანისა.*

ბუნებრივია, ეს მკვლელობა აბსოლუტურად განსხვავებულია ნოველა „ტაბუში“ მორიელის მოკვლისაგან. ასევე პარაბოლურია ბოლშევიკ არლან არენბას მიერ სოფელ დურიფში ხუთასწლოვანი ტოტემური მუხის მოჭრა (პარაბოლურად – ფესვების განადგურება). ტოტემური მუხაც, მეზირიც კულტურის არქეტიპული ენიგმებია [კუცია, 2008: 124].

*თუ დავაკვირდებით კაც ზვამბაიასა და ქორა მახვშის ურთიერთობას, მკითხველისათვის ადვილად წარმოსადგენი გახდება არა მხოლოდ მეგრელებისა და აფსუა აფხაზების ტრადიციებსა და ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული ურთიერთობა, არამედ სვანებსა და აფსუა აფხაზებს შორის არსებული არანაკლები ურთიერთპატივისცემა და სიყვარული. სწორედ ეს ურთიერთობა გაწყვიტა და გათიშა არზაყანმა მაშინ, როცა მაუზერით თავი წააწყვიტა მეზირს და თარაშ ემხვარს მეორეჯერ უწევს გაქცევა ძიძიშვილის წყალობით. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქორა მახვშის შვილიშვილი კომკავშირელია და არზაყანის მსგავსი კომუნისტი სვანეთში ჩანასახის მდგომარეობაში იმყოფება.*

არზაყანი თარაშ ემხვარს წილს დაადებინებს მამამძუმეს სიკვდილშიც იმდენად, რამდენადაც თარაში ვერ (ან არ) ხვდება იმას, თუ როგორ მიათრია არზაყანმა, ვითომ ტარბების მიერ მოკლული, კაც ზვამბაია დევების ქვაბში.

ჩვენს პუბლიკაციაში იმაზეც ვამახვილებთ ყურადღებას, რომ არზაყან ზვამბაია არის სწორედ თამარის გარდაცვალების უპირველესი მიზეზი. თამარის მელანქოლია, დეპრესია და სასიცოცხლო ძალებისაგან დაცლა სწორედ დედისეული ჯვრის დაკარგვით იწყება. თამარის სიკვდილის თანამონაწილედ გახდის თარაშ ემხვარს არზაყანი და მხოლოდ უკვე გარდაცვლილ სატრფოსთან გაატანს ჯვარს, სიწმინდეს, რომლის დროულ დაბრუნებასაც თამარისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა იმდენად, რამდენადაც ჯვარი არის მფარველი ადამიანისა და ამ საფარველს ართმევს არზაყანი თამარ შარვაშიძეს. საფარველის/მფარველის გარეშე დარჩენილი ნახუცარის ქალიშვილი წარმოუდგენელ მკრეხელობას ამბობს მაცხოვრის შესახებ, როდესაც



შეცდენილ მომაკვდავ მაგანიას ქალს მიიყვანენ ხერიფსთან, ქრისტეც ხომ ბუში იყო. ასე საშინლად გაასწორებს მიწასთან აფხაზი აფსუა, არზაყან ზვამბაია, ქართველ აფხაზ დიდებულებს - შარვაშიძეებსა და ვარდანიძე-ემხვარებს.

*საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ტარიელ შარვაშიძის ოჯახი ზუგდიდს სწორედ კომუნისტების გამოა ლტოლვილი. კომუნისტი არზაყანი მამასაც გაუყოფს კარმიდამოს და სიცოცხლესაც წაართმევს თარაშ ემხვარს. უნებურად ჯაყო წარმოგვიდგება თვალწინ - ხიზანი აფსუა, ხიზანი ოსი. მათ შორის განსხვავება მინიმალურია - სისხლისმსმელი კომუნისტი, სისხლისმწოველი მედროვე. საუკუნით დასაწყისში საუკუნის მიწურულის ტრაგედია ორმა დიდმა მწერალმა იწინასწარმეტყველა.*

კონსტანტინე გამსახურდიას ყურადღებას იპყრობს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი, კერძოდ – რა იცავდა აფხაზეთს და, ზოგადად, კოლხეთს დამპყრობლებისაგან. თარაშ ემხვარი კაროლინას სწერს, რომ ციება განუახლდა და ალპურ ზონამდისაც კი მისდია ჭაობებიდან გამოყოლილმა აფთარმა. სწორედ ეს აფთარი იყო კოლხეთის ერთ-ერთი საიმედო მცველი, მწერლის აზრით. *შავი ზღვა იყო ჩვენი ქვეყნის დიდი გუშაგი, მისი კულტურის, განათლების დიდი აკვანი. შავი ზღვა და კავკასიონი გახლდათ საქართველოს ბუნებრივი დამცველნი* [გამსახურდია, 1990: 226]. უძველესი დროიდან მოყოლებული, ჩვენს მეფეებსა და მთავრებს საიმედოდ ჰქონდათ ჩაკეტილი კავკასიონის ქედი. ვახტანგ გორგასალმა ოსეთში ლაშქრობის შემდეგ დარიალის ხეობაში სპეციალური მცველნი დააყენა, დღევანდელი ქართული გვარი – დვალი იმდროინდელი გუშაგებიდან მომდინარეობს. ჯერ მეფის რუსეთის, ხოლო შემდგომ კომუნისტების ზეობის დროს მოიშალა ორივე საგუშაგო.

*გავბედავთ და ორიოდე სიტყვას რომანის სათაურთან დაკავშირებით ვიტყვი. საინტერესოა, რას ნიშნავს სახელი თარაშ მეგრულად. მეგრულ-ქართული ლექსიკონის მიხედვით, თარაში – თარისა, ღვთისშვილი, მთავრისა, ბატონიშვილი; უმთავრესი; ტოლებში დიდი; თარეში (ითარაშ-თარეშობს), თარბედინერი - უზენაესი; მთავარი ღვთაება, ბედის გამრიგე თარბოში რჩეული ვაჟკაცი - თითქოს ზუსტი დახასიათება თარაშ ემხვარისა (კონსტანტინე გამსახურდიას ამბობდა, რომ მას სახელის გენიის სწამდა).*

ასევე საინტერესოა, საიდან მომდინარეობს გვარი **ემხვარი**. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ემხვარები იგივე **ამილახვრები** არიან, მაგრამ რას უნდა აღნიშნავდეს მეგრულში მსგავსი ფუძის სახელი **ერემხუტუ**. თარაშის ბიძას სწორედ **ერამხუტი** ერქვა, აღნიშნავს ირმისა, ირმის მკერდთან გაზრდილ, **ირმის ძუძუნაწოვ ზღაპრულ პერსონაჟს**.

**ხემხვაიე** - ხვარიელს აღნიშნავს. ხელხვავიანი და ხვავრიელი **ვაზის ეპითეტებია**, „ხელხვავი“, გუნდური სიმღერა, სრულდებოდა მოსავლის აღებისას.

ასევე საინტერესოა მდინარე **ენ-გური**-ს სახელწოდება. **ენჩურუა** ნიშნავს აღმა ცურვას, აცურვას, გადაცურვას (აღმა-აღმა, პირშელმა, **დინებისსაწინააღმდეგოდ**)

**გურიმ** - სინთელე, გულის სიმთელე, **გური** - გული (კაცისა); **ცენტრი**; ლებანი (ნაყოფისა), **ყვითრი** (კვერცხისა), ანუ ის ადგილი, სადაც ემბრიონი ვითარდება, გვარის ბუდე, ძვალგვარი (იხ. გუდა; გვარდიდი, გვარჭიჭე, ძვალგვარი). გვარის **თავდაპირველისამყოფლოდან გამოსული კაცი, გურიაფხაზა** - ნამდვილი, ძირძველი აფხაზი.

მოცემული განმარტებების მიხედვით, *თარაშ ემხვარი ღვთის შვილად მოიაზრება, ირმის ძუძუნაწოვ ზღაპრულ პერსონაჟად, მისი გვარის ფუძეში მეგრული ენა ვაზის ეპითეტსაც მოიაზრებს, გვახსენდება რომანიდან ის მონაკვეთი, როცა თამარი ვაზის ჯიშების შესახებ საუბრისას იტყვის, რომ ემხვარების მამულიდან მოაპარინაო მამამ კაც ზვამზაიას განსაკუთრებული ჯიში ვაზისა და, რაც მთავარია: ემხვარი ნამდვილი, ძირძველი აფხაზია. ემხვარების განძარცულ, გაცამტვერებულ კარ-მიდამოს გვარის უკანასკნელი შთამომავალი უკანმოუხედავად ტოვებს და თითქოს განგების ნებით შეუპოვრად გადაეშვება ადიდებულ ენგურში, რომელსაც იცის, რომ ვერ გადალახავს, მაგრამ მაინც გასცურავს დინების საწინააღმდეგოდ.* მთვარეს წყალი მხოლოდ და მხოლოდ დიდი მსოფლიო კატაკლიზმების დროს იტაცებს. სწორედ ამ კატაკლიზმების დაწყებაზე მიგვანიშნებს მწერალი, როცა სამი, განსაკუთრებული გენის მქონე, სულიერი ტოვებს ამქვეყნიურ სამყოფელს – თამარი, თარაში და არაბია და ასპარეზი ზვამზაიებსა და ალანიებს რჩებათ.

საანალიზო მასალის კონტექსტში ჩვენთვის, ასევე, საინტერესოა კონსტანტინე გამსახურდიას ნოველა „ტაბუ“. ამ ნაწარმოებს ლუარა სორდიამ მიუძღვნა

შესანიშნავი წერილი, „ნოველა „ტაბუ“ საქართველოს დიდი ტრაგედიის განჭვრეტა“, რომელშიც ავტორი სიღრმისეულად განიხილავს მწერლის შიფრით ნაწერ, ალეგორიულ მხატვრულ სიტყვას. კონსტანტინე გამსახურდიამ *ტროას ცხენი* უწოდა სოციალისტურ რეალიზმს, უარყო იგი და შექმნა ახლებურ, სულიერ ხედვაზე დაფუძნებული რეალიზმი. *ქორმეძებრული ცენზურის პირობებში მწერალი საკუთარი ღრმააზროვანი მითის საშუალებით გვახედებდა მეფისტოფელური საუკუნის შინაარსში* [სორდია, 2011: 239].

მეფისტოფელის ალეგორიული სახის შესახებ ვრცლად გვექნება საუბარი ჯემალ თოფურიძის მოთხრობის „დიოსკურია ზღვაში ჩადირული ქალაქია“ განხილვისას. ლუარა სორდია გვაცნობს ზვიად გამსახურდიას საინტერესო მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც, ნოველაში აღწერილია წმინდა გიორგის ტრიუმფი ბოლშევიზმის სატანაზე, რომელიც სიმბოლიზირებულია წითელი ეშმაკისა და ქალაბიჭა აკუმის - ხვარამზეს მიერ შობილი მორიელით. წითელმა ეშმაკმა ჯერ ერთმანეთს მიუსია მარგალები და აფსუები, ხოლო შემდეგ თავის მიერ შობილ მორიელს დააგესვლინა და ამოაწყვეტინა. განა ეს არ არის კონკრეტული წინასწარმეტყველება მომავლისა?! [სორდია, 2011: 239].

სიტყვას აკუმი, სულხან-საბა ორბელიანი ასე განმარტავს: „აკუმი - ესე არს არც მამალი, არც დედალი, გინა ქალი ბუნებით ქმრისაგან განუხრწნელი“ [ორბელიანი, 1991: 44].

ლუარა სორდიას მოსაზრებით, კონსტანტინე გამსახურდიას ნოველა ნამდვილად წინასწარმეტყველებაა, რომელიც, სამწუხაროდ, უკვე აგვიხდა ქართველებს. აქვე გავიხსენებთ, რომ მიხეილ ჯავახიშვილიც *წითელ ეშმას* უწოდებს კომუნისტებს და იმავე პრობლემას, ხიზნისა და ძირძველი მოსახლეობის ურთიერთობას, ეხება რომანში „ჯაყოს ხიზნები“.

სამაჩაბლო, სადაც რომანის გმირები ცხოვრობენ და მიმდინარეობს ნაწარმოებში აღწერილი მოქმედება, სწორედ ხიზნების წახალისებითა და მხარდაჭერით მოსწყვიტა დედასამშობლოს მტერმა. ქართლის შუაგულიც ისევა ოკუპირებული, როგორც აფხაზეთი. ბევრი პარალელი შეიძლება დაიძებნოს ამ ორი მწერლის

შემოქმედებაში, რაც საკვლევი საკითხის კონტექსტს სცდება და სხვა კვლევის თემაა; ამჯერად მხოლოდ *სოფლების სახელწოდებებზე* შევჩერდები გამსახურდიასა და ჯავახიშვილის ტექსტებში.

როგორც ლუარა სორდია შენიშნავს, ნოველაში მოქმედება ხდება სოფელ, ნაჭყვედში. სიტყვა *ნაჭყვედი* ნიშნავს ამონაწყვეტს, ნასოფლარს, ნასახლარს“ [სორდია, 2011: 240]. *ნაშინდარი* ჰქვია მიხეილ ჯავახიშვილის რომანში იმ სოფელს, საიდანაც თეიმურაზ ხევისტავია წარმოშობით და სადაც დაფუძნდება ჩრდილოეთიდან, როკის მთის იქიდან გადმოვარდნილი დათვი - ჯაყო, თავისი ბიძაშვილებითურთ.

ნოველაშიც ადგილობრივ ხარბედიებს წინდაუხედავი დადიანი ლომკაცა ბისკაიას და მის ძმებს ჩაუსახლებს. *ნა* წინსართი დიდად მნიშვნელობს ორივე მწერალთან - ნახუცარი, ნაკაცარი, ნათავადარი, და ა. შ. თითქოსდა ორივე ავტორი მიგვანიშნებს, რომ თუ *სარწმუნოებას, ღირსებას, ნაყოფიერებას* არ დაიბრუნებს ქართველი, ნაჭყვედად და ნაშინდარად იქცევა იქაურობა და სამწუხაროდ, იქცა კიდევაც.

### **2.3 სოხუმის დაცემის ინტერპრეტაცია - ლეო ქიაჩელის „ჰაკი აძბა“**

ლეო ქიაჩელის მოთხრობასთან დაკავშირებით ე. წ. სოციალისტური რეალიზმის ეპოქის კრიტიკოსთა აზრი არაერთგვაროვანი იყო: ზოგი მას წმინდა რევოლუციურ მოთხრობად აღიქვამდა, ზოგი კი იმას ნამდვილად ხვდებოდა, რომ მასში ავტორი სოციალურ-კულტურულ-ეთიკურ-ეთნიკურ პრობლემებს ეხებოდა, და არამხოლოდ რევოლუციას, მაგრამ ამის აღნიშვნა 1933 წელს, როდესაც ეს მოთხრობა თუ ნოველა დაიბეჭდა, უბრალოდ, შეუძლებელი იყო.

სხვათა შორის, ნაწარმოების ლიტერატურული ჟანრის განსაზღვრაც გაუჭირდათ კრიტიკოსებს. სერგი ჭილაია წერდა, ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში ლეო ქიაჩელის ნაწარმოებების („თავადის ქალი მათა“, „ალმასგირ კიბულანი“ და „ჰაკი აძბა“) ჟანრთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობაა, ზოგი მკვლევარი მათ მოთხრობად, ზოგი კი ნოველად აღიქვამს. ლეო ქიაჩელი ქართული ლიტერატურის კარს

ნოველებით შემოაღებს. ეს ნაწარმოებები, ზოგიერთი რეალისტური ნოველის გამოკლებით, დეკადენტურ-სიმბოლისტური ხასიათისააო [ჭილაია, 1975: 125].

მწერლის სტილზე იმპრესიონისტული ლიტერატურული სკოლის გავლენას უსვამს ხაზს სარგის ცაიშვილიც. მკვლევარი მიიჩნევს, რომ სწორედ *იმპრესიონიზმმა, სტილის ლაკონიურობასა და უბრალოებასთან ერთად, განუვითარა ლეო ქიაჩელს ღრმა ქვეტექსტებისა და იდუმალის გრძნობის გამმაფრებისაკენ მიდრეკილება. ლეო ქიაჩელი ეროვნული თემების, ეროვნული კოლორიტის მხატვრული წარმოსახვის ჩინებული ოსტატია. ტაქტი და ზომიერების ძალზე გამახვილებული გრძნობა გზას უხშობს ყოველგვარ მოჩვენებითს* [ცაიშვილი, 1990, 344].

ნანა კუცია განიხილავს ლეო ქიაჩელის პროზის მოდერნისტულ ასპექტებს, გამოკვეთს პეიზაჟის განსაკუთრებულობას, კოლხეთის მიწის ნისლიან პეიზაჟებს, ჭაობებითა და ოჩოკოჩებით დასახლებულ ნისლიან მხარეს [კუცია, 2021: 203] - მწერლის მშობლიურ მხარეს, რომელიც მან, დავით კლდიაშვილის იმერეთისა და ეგნატე ნინოშვილის გურიის მსგავსად, მენტალობის, კულტურისა თუ ტრადიციის ასპექტით წარმოაჩინა.

კრიტიკოსი გურამ გვერდწითელი ქიაჩელის სამი მოთხრობით აღფრთოვანებულია, ნათლავს *სამ მ ა რ გ ა ლ ი ტ ა დ, რომლებიც ძვირფასი თვლებივით ამშვენებს ლეო ქიაჩელის შემოქმედებასაც და მთელ ქართულ მწერლობასაც. ეს სამი მოთხრობა ლეო ქიაჩელის ნოველისტიკის მწვერვალია, შედეგრი* [გვერდწითელი, 1984, 21].

ვიზიარებთ კრიტიკოსის პოზიციას და რამდენიმე პასაჟით შევეხებით მწერლის ფსევდონიმსა და გვარს.

სოლომონ ცაიშვილმა (მკვლევარ სარგის ცაიშვილის მამამ, ასევე ლიტერატურათმცოდნემ), ერთმა პირველმა გაამჟღავნა მწერლის ფსევდონიმის - ქიაჩელის საიდუმლო: *წმინდა გიორგის ხატი ოჩამჩირის მახლობლად მდებარე სოფელ ქიაჩიდან (აწ ნასოფლარია დარჩენილი), აფხაზეთიდან წამოუბრძანებიათ სამეგრელოში, ლეო ქიაჩელის მშობლიურ სოფელ ობუჯში... მასზე გადასცემდნენ მტყუანს და მავნეს. მწერლის წინაპრები - შენგელაიები (შერგელაიები) ხატის მცველები ყოფილან* [ცაიშვილი, 1990: 344]. მოკლე ამონარიდიდან ნათელი ხდება,

ლეო ქიაჩელის პიროვნებაში საქართველოს ეს ორი მარგალიტი, აფხაზეთი და სამეგრელო, როგორ ძირფესვიანადაა გადაჯაჭვული ერთმანეთზე, თითქოს სუროსავით შემოჭხვევია აფხაზეთი წარმომავლობა მეგრულ ფესვებს. ეს სულს შეწმახნილი სურო-ვაზი შექმნის სწორედ იმ შედეგებს ქართულ ლიტერატურაში, რომლებსაც სოციალისტური რეალიზმის კრიტიკოსები ვერაფერს გაუგებენ და რომელთა წყალობითაც იმ ჩამტვრეული ხიდის აღდგენა უნდა დაიწყოს ქართულმა ლიტერატურულმა კრიტიკამ და მთელმა საზოგადოებამ, რომელიც ენგურის ხიდზე უფრო მალე გადაგვალახინებს იმ უფსკრულს, რომელიც მესამე ძალამ გააჩინა.

ლეონ შენგელაია (ლეო ქიაჩელი), დაიბადა 1884 წლის 19 თებერვალს ზუგდიდის მაზრის სოფელ ობუჯში, აზნაურ მიხეილ შენგელაიასა და მართა ხვიტიას ოჯახში. ჩვილი ლეონი ჯიხაშკარში, თედორე არაჩემიასა და ელენე ჟვანიას ოჯახში გაუძიძავებიათ. *ისევე, როგორც აკაკი წერეთლის პიროვნების ფორმირებაში უდიდესი როლი შეასრულა სავანეში გატარებულმა წლებმა, ლეო ქიაჩელის ხასიათის ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი მნიშვნელობისაა ის შვიდი წელი, რომელიც მან ჭაქვინჯის ისტორიული ციხის კედლებთან, მდინარე ჭანისწყლის ნაპირებთან გაატარა... ქიაჩელის მხატვრული აზროვნების სამყაროში გაბატონდა ლაკადა, სოფელი, გლეხი, სიწმინდეო, წერდა აკაკი თოფურია. იპოლიტე ვართაგავა შენიშნავს, რომ სამეგრელოში მხოლოდ ორი გვარი არსებობს, რომლებიც ერთმანეთისაგან ერთი ასო-ნიშნით არიან გასხვავებულნი: შენგელაია და შერგელაია. ისინი იმითაც განხვავდებიან ერთმანეთისაგან, რომ შერგელაიები აზნაურები და დიდად განსწავლული გვარი გახლდათო. სწორედ ამ გვარის წარმომადგენელი იყო ლეო ქიაჩელი.*

ქართულ მწერლობაში კონსტანტინე გამსახურდიას რომან „მთვარის მოტაცების“ გარდა, არსებობს შესანიშნავი ნაწარმოები, რომელიც აფხაზეთის, კერძოდ კი სოხუმის დაკარგვის წინასწარმეტყველებას წარმოადგენს - „*აკაკი ამბა*.“ ლეო ქიაჩელის მოთხრობა განსაკუთრებით საყურადღებოა იმ თვალსაზრისით, რომ იგი ნამდვილ ამბავზეა აგებული. ამბავს კი აკაკი ბაქრაძე გადმოგვცემს: 1918 წლის 15 თებერვალს სოხუმის ნავსადგურში მოულოდნელად შეჩერდა დამხმარე კრეისერი „დაკია.“ იგი ტრაპიზონიდან სევასტოპოლში ბრუნდებოდა - კავკასია-თურქეთის

მოშლილი ფრონტიდან რუსეთში გადაჰყავდა ჯარისკაცები [ბაქრაძე, 2013: 374]. გვახსენდება გალაკტიონის სიტყვები: „თვით რესპუბლიკა მოვიდა გემით, ტყვიით, ტერორით, აქაც იწყება, იქაც იწყება, ქვეყანა სისხლით რომ მოირწყება, ეს ნათელია!“

მართლაც, იწყებოდა საქართველოში სისხლის წვიმები.

ნაწარმოებს ლეო ქიაჩელი სწორედ სოხუმის პორტში გემის შემოსვლით იწყებს. ტექსტში ინტერპრეტირებულია რეალობაში არსებული „დაკიას“ სვლის მიმართულება, სახელწოდება თუ ეკიპაჟის წევრთა რაოდენობა.

ლეო ქიაჩელი ნაწარმოებს შემდეგნაირად იწყებს: *„ეს მოხდა ქ. სოხუმში, 1918 წელს, როცა რუსეთში ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ უსასტიკესი ომი მიმდინარეობდა. განსაკუთრებით მძაფრი იყო ეს ომი სამხრეთ რუსეთში... აფხაზეთი მაშინ ამიერკავკასიის კომისარიატის ხელისუფლებას ემორჩილებოდა... თებერვლის 27-ს დილაადრიან ქალაქ სოხუმში ხმა გავარდა მოულოდნელად: ბოლშევიკების კრეისერი შმიდტი ქალაქის ნავსადგურს უახლოვდება, ეტყობა, შემოსვლას აპირებსო“* [ქიაჩელი, 2006: 5].

მწერალმა საექსპოზიციო პასაჟში ორი მნიშვნელოვანი ფაქტი გადმოგვცა. პირველი – საბჭოთა რუსეთის ფარგლებში ჯერ კიდევ არ შედის შავი ზღვა, მეორე და უმთავრესი, აფხაზეთი ამიერკავკასიის კომისარიატს ემორჩილება და, ფაქტობრივად, რუსეთს მოწყვეტილია. რაც შეეხება ამიერკავკასიის კომისარიატს, აკაკი ბაქრაძის გადმოცემით, *ამიერკავკასიას განაგებდა ამიერკავკასიის სეიმი. რომელიც ეროვნებების მიხედვით ჭრელი იყო; ვის არ მოეყარა აქ თავი - ქართველ მენშევიკებს, სომეხ დაშნაკებს, აზერბაიჯანელ მუსავატელებს... ეს ნაირნაირი პოლიტიკოსები თავისი ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე ითხოვდნენ ამიერკავკასიის პოლიტიკურად მოწყობის საკითხის გადაწყვეტას, მხოლოდ ქართველი მენშევიკები იცავდნენ რუსეთთან სრული ერთიანობის თვალსაზრისს* [ბაქრაძე, 2013: 375].

სრული ერთიანობა, ოღონდ არა მენშევიური, არამედ ბოლშევიკური, არ დაახანებს და ბოლშევიკების კრეისერი ქალაქის ნავსადგურს უახლოვდება.

რეალური, ჯარისკაცებით დატვირთული კრეისერ „დაკიას“ ნაცვლად, ნაწარმოებში რამდენიმე მეზღვაურისგან შემდგარი კრეისერი „შმიდტია“ დახატული. ისმის კითხვა: რატომ შეუცვალა მწერალმა სახელი, შემადგენლობა და გეზი გემს? აკაკი ბაქრაძის მოსაზრებით, არც დაკია და არც დერზკი მკითხველს არაფერს ეუბნება, შმიდტი კი უცხად აღძრავს ასოციაციას და დაგაკავშირებს იმ წლებში მეტად პოპულარული ადამიანის სახელთან - შავი ზღვის ფლოტის ლეიტენანტის, პეტრე შმიდტისა [ბაქრაძე, 2013: 375].

რაც შეეხება ეკიპაჟსა და გეზს, მწერალს სურს დაგვანახოს ადგილობრივი ხელისუფლების უსუსურობა, რომ, გემის მცირე შემადგენლობის მიუხედავად, ქალაქის ხელისუფალთ აზრადაც კი არ მოსვლიათ წინააღმდეგობის გაწევა. რეალურად მომხდარი ფაქტის შესახებ აკაკი ბაქრაძე წერს, ადგილობრივ ხელისუფლებას ძალა არ შესწევდა, კრეისერი დაკია ქალაქში არ შემოეშვაო [ბაქრაძე, 2013: 375].

*გემის სვლის მიმართულებას რაც შეეხება, ნაწარმოების მიხედვით, კრეისერი ჩრდილოეთის მხრიდან მოადგება ქალაქს და არა სამხრეთიდან. ავტორს თითქოს სურს მიგვანიშნოს, საიდან უნდა ველოდოთ საფრთხეს მომავალშიც.*

სოხუმი აფუსფუსდება და აღელდება, მაგრამ ყოველნაირი პასუხისმგებლობის თავიდან ასაცილებლად [ქიაჩელი, 2006: 11] ხერხს მიმართავს ქალაქის თავი. ამ სიტყვების ავტორი ნამდვილად დიდი მწერალია; *ეს ქვეყნის დამაქცევარი აზრი, რომლითაც დავანაძის მთელი არსება იყო მოცული, არის სწორედ ის უმთავრესი მიზეზი, რის გამოც არა მხოლოდ XX საუკუნის დასაწყისში, არამედ საუკუნის ბოლოსაც დავკარგეთ სოხუმი და, მასთან ერთად, მთელი აფხაზეთიც, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არაფერია იმ მზაკვრულ აზრთან და გეგმასთან, რომელსაც დავანაძეს მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარე – ნარიქ ეშბა მიაწვდის. მისი აზრით, პასუხისმგებლობას ან თავად რატომ კისრულობდა, ან მას რატომ აკისრებდა, თუ პასუხისმგებლობამდე მივიდოდა საქმე, სჯობდა ეს ტვირთი ისე განაწილებულიყო, ...რომ ბრალი ყველას და, ამავე დროს, არავის არ დასდებოდა. კომუნისტების იდეოლოგიალა აკლდა დავანაძის უპასუხისმგებლობას და არაჩვეულებრივი ქართულ-აფხაზური (აფსუური), მენშევიკურ-ბოლშევიკური*



**წრედიც შეიკრა;** წრედი, რომელიც თვალისდაუხამხამებლად გაწირავს ტრადიციას, ღირსებას, სარწმუნოებას (უჯუშ ემხასა და ჰაკი ამბას სახით) და, მათთან ერთად, აფხაზეთსაც.

სასწრაფოდ მოწვეულ სხდომას ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე – ბექირბი ჩაჩბა ხსნის, რომელსაც მწერალი დაწვრილებით ახასიათებს: „*აფხაზთა შორის მეტად პოპულარული პიროვნება ... გარდა დიდი გვარისა, იშვიათი ტანადობაც და განსაკუთრებული აფხაზური იერით შემკული სახიერება... ჩაჩბა ისე ატარებდა თავისი მოდგმის არისტოკრატიულ ნიშნებს, რომ ყოველი თავმომწონე აფხაზი მოვალედ თვლიდა თავს მიებაძნა მისი სიტყვა-პასუხის, მოქცევისა და ჩაცმადახურვისათვის*“ [ქიაჩელი, 2006: 11]. აღწერილობას რომ თავი დაეხანებოთ, მხოლოდ ფრაზა – *აფხაზური იერით შემკული სახიერება*, მეტყველებს და მიუთითებს იმაზე, თუ როგორ ფასდებოდა აფხაზთა არისტოკრატიული გარეგნობა. XX საუკუნის დასაწყისში აფხაზეთში, ქართველებისა და აფსუების გარდა, ცხოვრობდნენ რუსები, ბერძნები, სომხები....

დავუბრუნდეთ ნაწარმოების იმ მონაკვეთს, სადაც პრეზიდენტის გაერთიანებული სხდომა მიმდინარეობს და ბექირბი ჩაჩბას კითხვას, რა ვქნა, ბოლშევიკები კარს მოგვადგენო, სიჩუმით უპასუხებს დარბაზი. ჩანს, როგორაა საზოგადოება დაზაფრული. ხმის გაღებას მხოლოდ ის კაცი გაბედავს, ვისაც ყველაზე მეტად ზაფრავს ომი (ქონების დაკარგვის შიშით) - უპარტიო ვაჭარი რაჟდენ თორია. მას, რა თქმა უნდა არ სურს, რომ მისი ქონება ცეცხლმა თვალისდაუხამხამებაში ჩანთქას, ამიტომაც გემიც და მისი მეზღვაურებიც მთელმა ქალაქმა ისეთი პატივისცემით უნდა მიიღოს, ეჭვიც კი არავის დაებადოს ბოლშევიკებისადმი თანაგრძნობასა და მეგობრულ განწყობილებაში.

ჩვენი სახელმწიფოს სისუსტის და ტერიტორიების დაკარგვის კიდევ ერთ მიზეზს გვამცნობს მწერალი – **პოლიტიკური ანგარიშების გასწორება**. ზემოაღნიშნულმა „მიზეზმა“ გაბედა და XX საუკუნის დასაწყისში ერის წინამძღოლს – ილია მართალს – ტყვია ესროლა, საუკუნის დასაწყისში სახელმწიფოებრიობა დაგვაკარგინა; ამ მიზეზმა იმავე საუკუნის მიწურულს აფხაზეთი და სამაჩაბლო მოგვწყვიტა.

ქალაქის საბჭოში შემოწმებული ცნობის მოტანისთანავე ისეთი განგაში ატყდა, გეგონებოდათ, პატარა, წყნარი და კობტა სოხუმის ადგილას საიდანღაც ვეება, აურზაურიანი ქალაქი გაშენებულაო - „მოქალაქენი სახლებს უტრიალებდნენ და წითელი დროშებით ამკობდნენ, რომ რაც შეიძლება მალე გამოეკიდათ თავისი სახლის წინ წითელი დროშა“ [ქიაჩელი, 2006: 14].

მხოლოდ ფანჯრებდახშულ ოთახში ჩაკეტილიყო ხუთი კაცი. ავტორი მიუთითებს მკითხველს, რომ ისინი რეალურ სამყაროს მოწყვეტილნი არიან, ბანქოს თამაშობენ, მაგიდა ფულითაა მოფენილი. საინტერესოა ამ ფულების წარმომავლობა – „ცალკე ეწყობო რუსეთის იმპერიის გაუქმებული ასიგნაციები და ოსმალური ლირები, ცალკე - სხვადასხვა კუთხის, ოლქის თუ რესპუბლიკის მეტწილად ამიერკავკასიის ბონები, კერენკების ჩათვლით“ [ქიაჩელი, 2006: 14].

როგორც ვხედავთ, რუსეთის იმპერიის გაუქმებული ასიგნაციები და თურქული ლირები გამოყოფილია ამიერკავკასიის ბონებს. ფულის ერთეულების საშუალებით ადვილად შეგვიძლია აფხაზეთში არსებული პოლიტიკური ვითარების გარკვევა. ჩვენი აზრით, ავტორი შემთხვევით არ აკეთებს აქცენტს ორი იმპერიის ფულის ერთეულზე: ერთი ჩრდილოელი მეზობელია, მეორე – სამხრეთელი. ორივე მათგანი ერთნაირი საფრთხე იყო ჩვენი ქვეყნისათვის და არის დღესაც.

ხუთი კაციდან ერთს სავარძელში ეძინა, მაგრამ მიუხედავად ამისა, *სახეზე რაღაც ღრმა წუხილის ლანდები მიმოურბოდნენ... შინდისფერი მოკლე ახალუხი ბუნებრივი კანივით შემოკვროდა* [ქიაჩელი, 2006: 17]. **შინდისფერი ახალუხი, ბუნებრივი კანივით** - ამას შემთხვევით არ უნდა წერდეს მწერალი. გავიხსენოთ ნიკოლორთქიფანიძის **შვინდაძე** მოთხრობიდან „შელოცვა რადიოთი.“ შინდისფერი იმდროინდელი თავისუფალი საქართველოს დროშის ფერია და უჯუმ ემხასათვის ის **ბუნებრივი კანია**.

უჯუმ ემხას ჰყავს რეალური პროტოტიპი - ნიკოლოზ ემხა/ემხვარი. გვარის შესახებ ჩვენ ვრცლად ვისაუბრეთ კონსტანტინე გამსახურდიას გმირის – თარაშ ემხვარის დახასიათებისას. კონსტანტინეს რომანში გმირი ენგურში იღუპება, ლეო ქიაჩელის მოთხრობაში კი, მას კლავენ და გვამს ზღვაში აგდებენ. მოთხრობის პროტოტიპსაც

კლავენ. სამივე ემხვარი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ილუპება სხვადასხვანაირად, მაგრამ - გმირულად და, რაც მთავარია, ორივე მწერალს სხვადასხვა ხედვა აქვს მათ მომავალთან დაკავშირებით: თარაშ ემხვარი მდინარეში იხრჩობა, რითაც მწერალი გვეუბნება, რომ მისი მარადისობაში გადასვლა არ გამორიცხავს დაბრუნებას განახლებული სახით; უჯუმ ემხას კლავენ და მის გვამს ზღვაში აგდებენ. ზღვა ბოროტ ძალთა სიმბოლოა/მეტაფორაა (ზღვაში ჩანთქა იონა წინასწარმეტყველი ვეშაპმა, ზღვაში კარგავს ბოროტების სიმბოლო - დავარი - თავის ძმიშვილს - ნესტან-დარეჯანს - „წაიყვანეთ და დაკარგეთ, მუნ სადა ზღვისა ჭიპია, წმიდისა წყლისა ვერ ნახოს მყინვარი, ვერცა ლიპიაო“. უჯუმ ემხას სიცოცხლის ამგვარი დასასრულით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ავტორი იმ ურთიერთპატივცემაზე დაფუძნებული ურთიერთობების დასამარებას გვაუწყებს, რომელიც აფსუებსა და ქართველებს შორის არსებობდა. ფაქტია, ეს ნამდვილად მოახერხა რუსეთმა მეოცე საუკუნის ბოლოსთვის.

ბოლშევიკების კრეისერის შემოსვლას სოხუმელები საყვირით იგებენ, რომლის ხმის შესახებაც ავტორი წერს: „მკვეთრი და ძლიერი იყო,... გეგონებოდათ დედამიწა ვერ დაიტევსო, - ოთახში შემოიჭრა, ფანჯრის მინები ააწკარუნა და გაბოლილ მძიმე ჰაერში დევური მოქნევისაგან აწივლებული მახვილივით შეერჭო“ [ქიაჩელი, 2006: 17]. როგორც ვხედავთ, მწერალმა რამდენიმე სიმბოლო გამოიყენა და, ვფიქრობთ, მიზანს მიაღწია. თითქოს ერთგვარი პარადოქსია ის, რომ სამხედრო გემის შემოსვლას პორტში სოხუმელები საყვირით იგებენ, შემდეგ კი მწერალი ჰიპერბოლას მიმართავს - დედამიწა ვერ დაიტევსო, განსაკუთრებულად დიდი უბედურება რომ მოსდგომია ამ კრეისერის სახით აფხაზეთის სანაპიროს, ამას ნამდვილად გრძნობს მკითხველი. შემდეგ ისევ სიმბოლოს მიმართავს - **დევური მოქნევისაგან** და გასაოცარი შედარებით ამთავრებს - **აწივლებული მახვილივით**.

ყურადღებას იქცევს ისიც, თუ როგორ წარმოთქვამს ემხა კრეისერის სახელს: „უცებ ტურები შეუცახცახდნენ... უხმო ჩაშიშინებით ჰაერში მოხაზეს: შმიდტ. ჩაშიშინებით“. [ქიაჩელი, 2006: 18].

„შმიდტის“ გამოჩენა სწორედ უხსენებლის გამოჩენის ტოლფასია ემხასათვის.

სამხედრო გემისაკენ ნავით მიმავალი სოხუმელები რასაც პირველად დაინახავენ კრეისერზე, ეს **რკინისფერი პროფილია**. ამის შემდეგ ქოსა სახე ჩნდება, ეს გახლდათ არტილერიისტი ვასილ ხრიტანიუკი, იგივე ვასკა-პირატი, რომელსაც მთელი აფხაზეთის სახელით ქალაქის თავი ამხანაგ კუზმასათვის სალამს გადასცემს. ბოლოს გემის უჩინარი კაპიტანიც გამოჩნდება, რომელსაც სოხუმელები გაკვირვებით შესცქეროდნენ სიდინჯით მათკენ მიმავალ **საკვირველებას** - ამ კაცის ერთ ტანზე ორ პირსახესა და სამ თვალს ხედავდნენ [ქიაჩელი, 2006: 19]. ლეო ქიაჩელი **რკინისფერი პროფილისა და ქოსა სახის** დახატვით, ფაქტობრივად, იმპერიის სახეს წარმოაჩენს. *მწერალმა ზუსტად გადმოგვცა, თუ როგორ დაამახინჯა სოციალისტურმა რევოლუციამ „სახე ყოვლისა ტანისა“, როგორ აქცია უგრძნობ კაცად და ქოსა სახედ. მეზღვაურში ე. წ. ახალი ადამიანის სხვადასხვანარად დეგრადირებული სახეა გადმოცემული. აი, ვის, უფრო სწორად, რას ეგებება მთელი სოხუმი წითელი დროშებითა და ზურნა-დუღუკით. მთელ ქალაქს მონუსხავს ეს ბოროტება, ერთი ადამიანის გარდა, რომლის ჯიშსა და ჯილაგს უკან დახევა არა სჩვევია. იგი გახდება იმ საბედისწერო გასროლის ავტორი, რომელიც სოხუმის მოსახლეობის ყველა ფენას ბრბოდ გადააქცევს: „ყველამ იგრძნო, რომ რაღაც დიდი უბედურება დატრიალდა.... მერე ბრბო შეიკუმშა, შექუჩდა... და დუქნებსა და სახლების კედლებს დამფრთხალი ფარასავით შეეფინა“ [ქიაჩელი, 2006: 20].*

მწერალი არაჩვეულებრივად ხატავს თავზარდაცემული ქალაქის მოსახლეობას, რომელიც ყოველგვარ დამცირებას ეგუება და პირფერობით ცდილობს გადარჩენას. საბედისწერო გასროლამ მოქალაქეების შიში კიდევ უფრო შემზარავი გახადა: „სოხუმის მთელი მოსახლეობა დიდიან-პატარიანად იმ განაპირა უბნისკენ დაიძრა, სადაც ოფიცერ უჯუმ ემხას სახლ-კარი ეგულებოდათ“ [ქიაჩელი, 2006: 20]. ყველაზე მეტად რაჟდენ თორია აქტიურობდა. როგორც ვხედავთ, *ომის უმეცარმა ვაჭარმაც* კი იარაღი აიღო, მხოლოდ - არა მტრის, არამედ მოძმის წინააღმდეგ. *ეს მდგომარეობაც გამეორდა აფხაზეთში იმავე საუკუნის ბოლოს, მხოლოდ უფრო ფართო მასშტაბით, სამწუხაროდ. რაჟდენ თორია ემხას სახლ-კარის გადაწვისაკენ მოუწოდებს ბრბოდ ქცეულ საზოგადოებას და ხალხის უმაღვე დათანხმდება – სიკვდილი, სიკვდილი ემხას, ყვირიან ეგზალტირებული ადამიანები.*

როგორც აკაკი ბაქრაძე წერს, *უჯუშ ემხა მიტოვებული, განწირული და იმედდაკარგული აღმოჩნდა. ერთადერთი კაცი, ვინც მისი გადარჩენისათვის იბრძვის, ჰაკი აძბაა, უჯუშის ძიძიშვილი, მაგრამ მარტო ჰაკი რას გახდება. შიშით არა მარტო ღირსება და თანაგრძნობის უნარი დაკარგეს, არამედ მატყუარებიც გახდნენ...* [ბაქრაძე, 2013: 383].

ემხას უშიშარია – მე და შიში ერთმანეთს არ ვიცნობთო, ამბობს. მისთვის ყველაფერზე უფრო დიდი საშინელება უიმედობაა. საზოგადოების ყველა ფენისაგან განწირული უჯუში მხოლოდ ერთი კაცის სახელს იმეორებს: ჰაკი, ა, ჰაკი!

*მაინც ვინ იყო ჰაკი აძბა, რომელსაც ყველაფერი შეეძლო გაეკეთებინა შეუვალი ბედისწერისა და საზოგადოებისაგან განწირული ძმისათვის? „ის იყო აფხაზი გლეხი, რომელსაც მთელი აფხაზეთი იცნობდა, როგორც ემხას ძიძიშვილს... ნაკვთიანი, სწორად სხმული, მარდი და მოქნილი, როგორც გარეული შავი კატა“* [ქიაჩელი, 2006: 22].

თოუხან მარშანის საშუალებით ემხა დედის, დისა და ბექირბი ჩაჩბას ამბავს შეიტყობს და მიიღებს იმ ერთადერთ გადაწყვეტილებას, რომელიც მის გვარსა და მოდგმას ეკადრება – *მესმის, ძმებო, ყველაფერი, დაფიქრებაც კი პატივს ამყრიდა თქვენს თვალში. საჭირო არ არის ზედმეტი სიტყვა. მზად ვარ, გამოვცხადდეო* [ქიაჩელი, 2006: 23]. ჰაკი აძბა მაშინვე ხვდება, რომ მისი ძუძუმტე თოუხან მარშანმაც გაწირა და ამ მწარე სიმართლეს მას პირში ეტყვის.

ჰაკი არასოდეს კარგავს სწორად განსჯის უნარს. მისთვის ნათელია, რომ ბექირბი ჩაჩბას გაცილებით უსაფრთხო მდგომარეობა აქვს ბოლშევიკების ხელში, ვიდრე ეს უჯუშს ექნება, ამიტომაც ეუბნება ძიძიშვილს, რომ მის თავს სიკვდილს არ დაუთმობს, მამის ანდერძის – *უჯუში შენი მზე არის... სიცოცხლე იმისთვის მომიცია, რომ იგი უჯუშს შესწირო* [ქიაჩელი, 2006: 23] ღალატს არ აპირებს.

*ერთგულება ჰაკი აძბას პიროვნების თვისებაა, თორემ არც თოუხან მარშანი აღუზრდიათ ორგულების ქადაგებით, მასაც თავდადებისა და სიყვარულის იდეალებით ზრდიდნენ, მაგრამ რაკი მის პიროვნებაში არ იდო ერთგულების თვისება,*

უცხად დათანხმდა, უჯუმ ემხას საწინააღმდეგოდ ემოქმედნაო, წერს აკაკი ბაქრაძე [ბაქრაძე, 2013: 388].

ჰაკი თავგანწირვას იჩენს მაშინაც, როცა კრეისერის მეზღვაურების დაუზოგავი მუშტების მსხვერპლი აღმოჩნდება.

ნაწარმოების ფინალს ლეო ქიაჩელი ამინდის აღწერით იწყებს: „მშვიდი და წყნარი დღე ავდრიანმა ღამემ შეცვალა. ბნელში გახვეული ზღვა ახლა ისე ბობოქრობდა და ღმუოდა, თითქოს მთელ ქვეყანას წარღვნით და დანგრევით ემუქრებო. ზეცა არ ჩანდა“ [ქიაჩელი, 2006: 25].

ამ ღამით კაი ყმები უნდა ჩანთქას ზღვამ და ასე საოცრად სწორედ ამიტომაცაა **ბნელში გახვეული**, ზეცის არგამოჩენით ამკარად მიგვანიშნებს მწერალი, უღმერთო ქმედება რომ უნდა აღსრულდეს რკინისა და ფოლადისაგან შეკრულ კრეისერზე.

საოცრად ხვდებიან კაი ყმები სიკვდილს, ჩანს, ამკარად ხედავენ ნათელი დღის კარს – ემხა თავაწეული მიაბიჯებდა... ეს იყო ნაღვლიანი ღიმილის ძლივს შესამჩნევი ციმციმი, რომელიც სიცოცხლის უკანასკნელ დარდს გამოხატავდა, უნდო შეგნებით დაძლეულს. ემხამ მართლაც სძლია შიშს, სიკვდილს და შეინარჩუნა ადამიანის ღირსება [ბაქრაძე, 2013: 387].

ტრაგედიის შემსწრე ჰაკის საშინელი გოდება აღმოხდება: „ვაჰაი, შენს ჰაკის, უჯუმ!... კუზმაც კი შეზარა მისმა შესახედაობამ,... სახის მუდამ უძრავი ნახევარიც კი მოუქცია და აუკანკალა“. [ქიაჩელი, 2006: 224].

უგრძნობი კაცისათვის *უცნობია ადამიანის სულის მოძრაობის უსასრულო მრავალფეროვნება, მათ შორის, ერთგულებით და ეროვნული ტრადიციებით გამოწვეული მოძრაობაც* [ბაქრაძე, 2013: 383]. აფსუა აფხაზებისათვის ისეთივე ეროვნული გახდა ქართული ტრადიციები, როგორც ქართველი აფხაზებისათვის. *ამას მომხვდური, მესამე ძალა, რა თქმა უნდა, ვერ გაიგებდა, ამიტომაც თავად კლასობრივი ეგოიზმის მონა, ასეთ შეფასებას აძლევს ჰაკის ერთგულებისათვის თავგანწირვას - ეს მონა ადამიანად მაინც არ გამოდგებოდაო* [ქიაჩელი, 2006: 25].

რაც შეეხება რეალური პიროვნებას, სმელ ბადიას, რომლის პროტაგონისტაცაა ჰაკი ამბა. აკაკი ბაქრაძის აზრით, *მწერალმა თავადსაც და ძიძიშვილსაც სტილიზაციის გამო შეუცვალა სახელები. თუმცა ჩვენ ვფიქრობთ, რომ მხოლოდ ეს არ უნდა ყოფილიყო მიზეზი. ბადია ქართული, მეგრული, გვარია. ემბა, უკვე ვთქვით, იგივე ემბვარია. ლეო ქიაჩელმა აფსურული ფუძის გვარი, ალბათ, იმიტომ შეურჩია სმელ ბადიას, რომ სურდა ხაზი გაესვა ქართველთა და აფსუათა ერთგულებით, სიყვარულით, ტრადიციების დაცვით და ერთმანეთის პატივისცემით გაჯერებული ურთიერთობებისათვის, რომელიც სრულიად მოსპო და გაანადგურა ჩრდილოეთიდან საბჭოეთის სახით შემოსულმა უცხო, მესამე ძალამ.*

*ახალი ყოფა ებრძვის წარსულს, ტრადიციას, ღირებულებებს არა მხოლოდ ბატონიშვილების ბატონიშვილებოვებად გარდაქმნით (ლეო ქიაჩელის რომანი „სისხლი“), არამედ, უპირველესად, რღვევით ზნეობრივი ფასეულობებისა, რომელნიც ოდითგან განსაზღვრავდნენ ქართველის სულიერ სახეს. განსაკუთრებით ტრაგიკულად აღიქმება გარდაგულარძნა ღვთისმსახურისა [კუცია, 2021, 201]. მწერალმა მოთხრობაში ღვთისმსახურის გარდაგულარძნა კი არ აღწერა მხოლოდ, არამედ აჩვენა საზოგადოების თითქმის ყველა ფენისა და ამავედროულად იმ ტრადიციის, ასევე საუკუნოვანი ურთიერთობის უგულვებელყოფა, რასაც ათასწლეულების განმავლობაში ყველა სხვა ეთნოსის წარმომადგენლების მიმართ იჩენდა ქართველი კაცი.*

### თავი III

#### აფხაზეთი თანამედროვე ქართულ მწერლობასა და პუბლიცისტიკაში

მეოცე საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების საქართველოში განვითარებულმა მოვლენებმა განსაკუთრებული გავლენა იქონია ლიტერატურულ პროცესებზეც. რუსეთის მიერ ინსპირირებულმა კონფლიქტებმა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში ასახვა პოვა ქართულ ლიტერატურულ ნარატივში.

მესამე თავში ტრავმულ ლიტერატურას შევხებით და განვიხილავთ ნოდარ დუმბაძის, მოთხრობას „ჰელადოსი“, გურამ ოდიშარის რომანს „სოხუმში დაბრუნება“, ჯემალ თოფურიძის თხზულებას „დიოსკურია ზღვაში ჩადირული ქალაქია“, ნუგზარ შატაიძის ნაწარმოებს „მოგზაურობა აფრიკაში“ და ქართველ ებრაელთა ლექსებს; ასევე გავანალიზებთ, თუ როგორაა აღნიშნული თემატიკა წარმოდგენილი ქართულ პუბლიცისტიკაში.

ომებმა და ომისშემდგომმა პერიოდმა (ომმა ე. წ. მშვიდობიანობის დროს) უახლეს ქართულ ლიტერატურაში წარმოშვა ახალი მიმართულება *ტრავმული* და *პოსტტრავმული* ლიტერატურისა;

ვიდრე უშუალოდ ზემოთ ჩამოთვლილი ნაწარმოებების შესახებ ვისაუბრებთ, შევხებით იმ თეორეტიკოსთა ნააზრევს, რომლის ფარგლებშიც განვიხილავთ მესამე თავში არსებულ საკვლევ მასალას.

პირველი პიოტრ შტომპკაა, რომლის შეხედულებებიც გასათვალისწინებელი და საყურადღებოა ჩვენი ნაშრომისათვის. მკვლევრის თვალსაზრისით, *ტერმინი ტრავმა სოციალურ სფეროს უკავშირდება, რომელსაც გააჩნია დესტრუქციული ზემოქმედების ძალა სოციალურ სხეულზე* [Штомпка, 2001: 7].

მეოცე საუკუნის ბოლოს განვითარებულმა მოვლენებმა - ერთი მხრივ, საბჭოთა იმპერიის ნგრევით გამოწვეულმა, ხოლო, მეორე მხრივ, ამ ნგრევის შედეგად შექმნილმა ვითარებამ განსაზღვრა გარემოებები, რომლებიც ახალი კულტურული ლიტერატურული მიმართულების დასაბამად შეიძლება მივიჩნიოთ.



როგორც მკვლევარი ნინო მინდიაშვილი აღნიშნავს, *ტრავმის თეორია, როგორც ჰუმანიტარული მეცნიერებების შესწავლის ობიექტი, ყალიბდება 1990-იანი წლების დასაწყისიდან, თუმცა კოლექტიური ტრავმისა და კოლექტიური მეხსიერების კონცეფციები ჯერ კიდევ იწვევს კამათს და აზრთა გარკვეულ სხვადასხვაობას. არაერთი მკვლევრის შეხედულებით, ფსიქოლოგიური საკითხების სიმრავლე ერთგვარად აძნელებს კვლევის ტრადიციულ გაგებას, იმდენად, რამდენადაც ტრავმის თეორია, როგორც თეორიული ჩარჩო მხატვრული ტექსტების ანალიზისას, ხშირად, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, ართულებს კვლევის საბოლოო შედეგის აღქმას* [მინდიაშვილი, 2022: ელრესურსი].

ლიტერატურულ კრიტიკაში შეიქმნა ტერმინები **ომის ანუ ტრავმული ლიტერატურა, კოლექტიური მეხსიერება**, ანუ როგორც ამერიკელი მეცნიერი ჯეფრი ალექსანდერი უწოდებს, *კოლექტიური ტრავმა*.

მკვლევრები ნინო მინდიაშვილი და ნანა კუცია ციტირებენ ცნობილი ამერიკელი თეორიტიკოსის მოსაზრებას, რომ *კულტურული ტრავმა წარმოიშობა მას შემდეგ, როდესაც საზოგადოების წევრები იაზრებენ, რომ იძულებით გადაიტანეს საშინელი მოვლენები, რომელთა მეხსიერებაში ჩაბეჭდვამ სამუდამოდ და ძირფესვიანად შეცვალა მათი ცნობიერება* [მინდიაშვილი, კუცია, 2021: ელრესურსი].

ჩვენ მიერ შესწავლილ ნაწარმოებებში არაერთგან შევხვდებით კოლექტიური ტრავმის მაგალითებს.

ნინო მინდიაშვილი აღნიშნავს, რომ კოლექტიური ტრავმა არის შეგრძნებების კომპლექსი, რომელიც უყალიბდებათ ტრაგიკული მოვლენების თვითმხილველებსა თუ მონაწილეებს, რომლებსაც არა მხოლოდ უშუალოდ ომის დროს უწევთ გადარჩენა, არამედ - ომის შედეგად მიღებულ ფსიქოლოგიურ სტიგმასთან გამკლავება მთელი სიცოცხლის განმავლობაში [მინდიაშვილი, კუცია, 2021: ელრესურსი].

ეს თეორია მკაფიოდ ვლინდება იმ შემოქმედთა თხზულებებში, რომელთა მოთხრობები თუ რომანები ჩვენი კვლევის საგანს წარმოადგენს. პროფესორი მარიამ მირესაშვილი აღნიშნავს, რომ, ჯეფრი ალექსანდერის მოსაზრებით, *XX საუკუნეში მიმდინარე ომებმა ვიეტნამსა და კორეაში წარმოშვა ე. წ. ვიეტნამის სინდრომი, რამაც*

აუცილებელი გახადა ტრავმის შემცველი მოგონებების გააზრება და მათ წინააღმდეგ ბრძოლა [მირესაშვილი, 2004: 35].

ჩვენს საზოგადოებაშიც, რომელიც სოციალურ ჯგუფებად დაიყო, აღნიშნულმა ომებმა გარკვეული სინდრომი აშკარად წარმოშვა, რომელსაც ერთმნიშვნელოვანი სახელი ევერ დაერქმევა (ჩვენი ეროვნული იდენტობიდან, თვისებრივი მრავალფეროვნებიდან თუ გეოპოლიტიკური არეალის თავისებურებებიდან გამომდინარე).

აღსანიშნავია ისიც, რომ ტრავმული მეხსიერებისა და პოსტკოლონიალიზმის თეორიებს დაეფუძნა ცნობილი ფრანგი მკვლევრის *კლაირ გალიენის თეორია დევნილების შესახებ, რაც გულისხმობს მხატვრულ ლიტერატურაში დევნილის როგორც ტრავმირებული ობიექტის, სახე-ხატის გააზრებას* [მირესაშვილი, 2004: 37].

მსოფლიოს კრიტიკოსთა და მკვლევართა თეორიებისა და ნაშრომების გაჩენა ასეთი სიმრავლითა და ინტენსივობით მიუთითებს, რომ ეს პრობლემა მხოლოდ რომელიმე ერს არა აქვს, მთელი პლანეტისათვის დამახასიათებელ გლობალურ საფრთხეს წარმოადგენს. ეს გახლავთ უმთავრესი მიზეზი იმისა, რომ ევროპის ქვეყნების დედაქალაქებმა თუ დიდმა ქალაქებმა ნაწილობრივ დაკარგეს საკუთარი იერსახე და მათ ქუჩებში ხშირად ე. წ. ღია სასტუმროებსაც კი შეხვდებით, სადაც ადამიანები კარვებში ან ხიდებქვეშ ცხოვრობენ.

აღნიშნული რეალობა ნუგზარ შატაიძის გმირებთან გარკვეულ ასოციაციებს იწვევს, ისინი ნანგრევებსა და კარდონის ყუთებში ათენებენ ღამეებს. მიწისქვეშა გადასასვლელებში ლეიბებგაფენილ ადამიანებს ჰგვანან, რომლებიც 90-იანი წლების თბილისში მრავლად იყო და, სამწუხაროდ, დღესაც გვხვდებიან. საქართველოს და, ზოგადად, მსოფლიოში არსებული რეალობიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ე. წ. **ტრავმული ობიექტები**, რომელთა უპირველესი პრობლემა უსახლკაროდ დარჩენაა, გადარჩენილი სიცოცხლის შემდეგ, მსოფლიო გამოწვევას წარმოადგენს და რამდენად ღირსეულად გაუმკლავდება ამას კაცობრიობა, ადამიანთა გონიერებასა და მსგავსი **სუბიექტებისადმი** გულისხმიერ მიდგომაზეა დამოკიდებული.

კიდევ ერთი პრობლემა გამოიკვეთა კვლევისას - საზოგადოების არასწორი დამოკიდებულება ამ ადამიანების მიმართ. ისინი არა ობიექტები, არამედ სწორედ

სუბიექტები არიან, რომელთაც საცხოვრისი დაკარგეს და ხიდებქვეშ ან მიწისქვეშა გადასასვლელებსა თუ ნანგრევებში დაიდეს ბინა.

ლიტერატურის თეორეტიკოსები მთელ მსოფლიოში უღრმავდებიან თანამედროვე სამყაროს ერთ-ერთ ტრაგიკულ პრობლემას.

ნინო მინდიაშვილი სამართლიანად აღნიშნავს, რომ *უცხოელი მკვლევრები თეორიულ დისკურსში ამკვიდრებენ კონსტრუქციას, დევნილთა ლიტერატურა (Refugee Literature). გასათვალისწინებელია, რომ დიფერენცირდება დევნილთა ლიტერატურა და ლიტერატურა დევნილთა შესახებ* [მინდიაშვილი, 2019: ელრესურსი].

ამერიკელი მეცნიერი ჯეფრი ალექსანდერი ყურადღებას ამახვილებს სამგვარი სახის ტრავმაზე **სამედიცინო, ფსიქოლოგიურ და სოციალურ ტრავმაზე**. უკანასკნელის ობიექტი არა ინდივიდი, არამედ ჯგუფია. ამ შემთხვევაში, უკვე საქმე გვაქვს კულტურულ ტრავმასთან. ზემოთქმულის დადასტურება ქართულ ლიტერატურაში არაერთი მწერლის შემოქმედებაა. ავტორთაგან გამორჩეული სოხუმში დაბადებული მწერალი გურამ ოდიშარიაა.

თეორეტიკოს ვოლფს მიაჩნია, რომ დასავლეთ ევროპელების თვალთახედვით, რუსეთი, ერთდროულად, იყო ევროპა და არც იყო. მას თვლიდნენ ისეთ ქვეყნად, რომელსაც ევროპასა და აღმოსავლეთს შორის შუამავლის ფუნქცია უნდა ეტვირთა. ევროპის ცნებასთან ამგვარი პრობლემატური დამოკიდებულება იმ ტექსტებში ჩანს, რომლებიც რუს ავტორთა მიერ დაპყრობილი კავკასიის ქვეყნების შესახებ შეიქმნა: „მართლაც, რუსულ ლიტერატურაში კავკასიის აღქმის მოდელს ნამდვილად გასდევს წითელ ზოლად, რომ რუსეთი თავად იყო ორიენტალიზაციის ობიექტი ევროპის მხრიდან, ანუ, აზიაში იმპერიის მშენებლობა, ერთგვარად, ევროპული პროექტი იყო“ [მირესაშვილი, 2016: 30].

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ საბჭოთა კავშირის ზოგიერთ რესპუბლიკაში (საქართველო, უკრაინა და ასევე ბალტიისპირეთის სამივე ქვეყანა) პოსტკოლონიური ცნობიერების ჩამოყალიბება საბჭოთა იმპერიის დაშლამდე, ჯერ კიდევ სამოცდაათიანი წლებიდან დაიწყო, რაც, შესაბამისად, ამ ქვეყნების ეროვნულ ლიტერატურებშიც აისახა. ამის მაგალითია ნააზრევი დისიდენტებისა, კერძოდ კი,

საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიასი, ეროვნული გმირის, მერაბ კოსტავასი, რომელთა ცხოვრებაცა და ლიტერატურული შემოქმედებაც კოლონიური აზროვნებისაგან საზოგადოების ცნობიერების გათავისუფლებას ეძღვნება.

ნინო მინდიაშვილი აღნიშნავს, რომ მკვლევრები ლიტერატურათმცოდნეობით დისკურსში ტრავმული მეხსიერების ასახვის რამდენიმე რაკურსზე ამახვილებენ ყურადღებას და ჩამოთვლის ცხრა მიმართულებას. აქედან ჩვენ მიერ გამოკვლეულ ლიტერატურულ ნაწარმოებებს, ყველაზე მეტად, სამი მათგანი მიესადაგება:

1. *„ქალების ტრავმული ისტორიები ლიტერატურაში (სექსუალური ძალადობა, ინცესტი, სასტიკი მოპყრობა);*
2. *პოსტკოლონიალური ტრავმა ლიტერატურაში;*
3. *დევენილობის ტრავმა ლიტერატურაში“ [მინდიაშვილი, 2021: ელრესურსი]*

კვლევის ფარგლებში განხილულ ლიტერატურულ ნაწარმოებებში თვალნათლივ ვლინდება ქალთა ტრავმული ისტორიები, პოსტკოლონიალური და დევენილობის ტრავმები.

ნინო მინდიაშვილი და ნანა კუცია სტატიაში „**კოლექტიური ტრავმა დევენილთა ლიტერატურაში**“ განიხილავენ კრებულებს „14 გიგაბაიტი“ და „ალილუია“, რომელშიც იმპერიის მიერ ინსპირირებული ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტებია წარმოჩენილი.

მკვლევრები აღნიშნავენ, რომ „14 გიგაბაიტის“ უნიკალურობას განაპირობებს რედაქტორ ნანა გაფრინდაშვილისა და შემდგენელ თეა კალანდიას მიერ განსაზღვრულია კონცეპტი - *14 მთხრობელი რუსეთ-საქართველოს ომის აფხაზეთის ეპიზოდის ამბავს ჰყვება. პერსონალური ისტორიები ქმნის მონუმენტურ ტილო-რეფლექსიას ბავშვობაწარმეული ახალგაზრდების განცდებისა* [მინდიაშვილი, კუცია, 2021: ელრესურსი]

წერილის ავტორები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ განხილული ნაწარმოებები არ ირეკლავს მტრობის სურვილსა და აგრესიას არათუ კონფლიქტის მხარეების, არამედ

დაპირისპირების მთავარი მაპროვოცირებელი ძალის - რუსეთის მიმართაც კი. ესეც ქართული ეროვნული თვისებაა, კერძოდ, მტრების მიმართ მუდამ ტოლერანტული და მიმტევებლური დამოკიდებულება წინათაც და ახლაც, იმ ათასი სივერაგის მიუხედავად, რაც საქართველოსთან მიმართებით ჩაიდინეს ან სჩადიან დღესაც.

მკვლევართა აზრით, საბჭოთა კავშირის დაშლამ და რუსეთის მიერ ინსპირირებულმა კონფლიქტებმა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მცხოვრები მოსახლეობა აიძულა გადაეტანა ომის საშინელებები, რამაც ძირფესვიანად შეცვალა ადამიანთა ცნობიერება. დევნილობაში მყოფთ უწევთ, ერთი მხრივ, ლტოლვილობის სტიგმასთან, ხოლო, მეორე მხრივ, კოლექტიური ტრავმის შედეგად ჩამოყალიბებულ აზროვნებასთან გამკლავება.

ანა იმნაიშვილი სადოქტორო ნაშრომში აღნიშნავს, რომ ლიტერატურულ სინამდვილეში დაპირისპირებები არასდროს ყოფილა უცხო, მაგრამ ეს ბრძოლა მიმდინარეობდა, ძირითადად, ძველ და ახალ თაობას შორის. ლიტერატორის დაკვირვებულ თვალს შეუმჩნეველი არ რჩება *XX საუკუნის 90-იანი წლების უმთავრესი თავისებურება, კერძოდ, იმ პერიოდში წინააღმდეგობები უკვე, ორის ნაცვლად, სამ თაობას შორის გამოიკვეთა - „ძველი, რომლისათვისაც საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური იდეოლოგიის დაშლა წარმოუდგენელი იყო; საშუალო თაობა, რომელიც მენტალურ-მორალურად ყოველთვის ეწინააღმდეგებოდა საბჭოთა იდეოლოგიას, მაგრამ 90-იანი წლების რეალობასაც უნდობლად უცქერდა და ახალი, რომელიც, ახლის ჟინით შეპყრობილი, შეგნებით თუ შეუგნებლად მიისწრაფოდა ტრადიციების რღვევისა და დასავლური ცნობიერებისაკენ“* [იმნაიშვილი, 2010: 3].

ჩვენ მიერ განხილულ ნაწარმოებებში თვალნათლივადაა გაანალიზებული და წარმოჩენილი თაობათა შორის ბრძოლის ეს სახეცვლილება. მეოცე საუკუნის 90-იანი წლების მოვლენების შესახებ შექმნილი მხატვრულ-დოკუმენტური ხასიათის ქართული ლიტერატურა კომპლექსური კვლევის საგანს წარმოადგენს. კოლონიური მწერლობის ჩარჩოს ნაჩვევი მკითხველებისათვის უჩვეულო აღმოჩნდა დოკუმენტური ჟანრის ისეთი ლიტერატურა, სადაც ეპოქალური ძვრების გამომწვევი მიზეზები არაერთგვაროვნადაა წარმოჩენილი და თავდაყირა აყენებს ან სრულიად ამსხვრევს არსებულ სტერეოტიპებს. ძველის ობიექტურად ასახვისა და შეცვლის მცდელობაა მე-

20-21-ე საუკუნეების მიჯნაზე აღმოცენებული ქართული მწერლობა. ახლებური ინტერპრეტაციის შემოთავაზებაა მიზეზი იმ ინტერესისა, რომელიც ბუნებრივად ჩნდება 90-იანი წლების მოვლენების ამსახველი მხატვრულ-

დოკუმენტური პროზისადმი.

წარმოდგენილ ნარატივში ნათლად იკვეთება არაერთი მკვლევრის პოზიცია ეპოქალურ თავისებურებებთან, მხატვრული ტექსტების არაერთგვაროვნებასთან დაკავშირებით. ჩვენი მხრივ ასევე ვიზიარებთ ზემოთ აღნიშნულ დებულებებს და ახლებურ ინტერპრეტაციებს წარმოვაჩინთ საანალიზო მასალასთან მიმართებით.

საკვალიფიკაციო ნაშრომის წინამდებარე თავის მიზანია, წარმოვაჩინოთ და გავანალიზოთ *ტრავმული კონცეპტები მხატვრულ ტექსტებში*.

### 3.1. ტრავმული კონცეპტები მხატვრულ ტექსტებში

#### ნოდარ დუმბაძე, “Hellados.”

ნოდარ დუმბაძის მოთხრობით „ჰელადოს“ მკითხველი ეცნობა, რაოდენ მრავალფეროვანი იყო აფხაზეთის მოსახლეობა ეთნიკური თვალსაზრისით; მოთხრობის გმირების ურთიერთობის ფონზე ვიაზრებთ იმ საოცარ დამოკიდებულებას ერთმანეთისადმი, რომელიც არსებობდა, დიდი სიყვარულით იყო განმსჭვალული. ავტორი დამახასიათებელი უბრალოებით იწყებს თხრობას სოხუმელი ბერძნის, ხრისტო ალექსანდრიდისა და მისი შვილის, ნაფოტივით თხელი, ბეჭებგანიერი თოთხმეტი წლის იანგულის შესახებ, რომელიც კატასავით სწრაფი, კაჟივით მაგარი და ჯანმრთელი იყო... თავდაპირველად, იანგულის ყაჩაღობისა და უსაქმურობის დახასიათების შემდეგ, მკითხველს, თითქოსდა, უარყოფითი შეხედულება უჩნდება მთავარი გმირის მიმართ, მაგრამ მოთხრობის სიუჟეტის განვითარებისთანავე ხვდება, რომ უჩვეულო, გამორჩეულ პერსონაჟს ეცნობა.

დედით ობოლი იანგული მამასთან ერთად ვენეციის გზატკეცილზე ცხოვრობდა; მდინარე ჩალბაშის პირას მამა-შვილს მიწის ნაკვეთი ჰქონდათ, ხელისგულისოდენა ბოსტნით, ერთი მარჩენალი ძროხა ჰყავდათ და ნაცრისფერი ჩოკინა. მაწონს, რძესა და

მწვანილს ყიდდნენ და ასე გაჰქონდათ თავი ამ პატარა მეურნეობით. თითქოს ღარიბული, დუხჭირი ყოფა დახატა მწერალმა, მაგრამ მოთხრობის კითხვისას აშკარად იგრძნობა, რომ მამა-შვილი მცირედითაც კმაყოფილია.

იანგული სკოლაში არ დადის, სამაგიეროდ, რკინიგზის გადასასვლელთან ... სკოლიდან დაბრუნებულ ბიჭებს ჯიბეებს უჩხრეკს. მოთხრობელი თოთხმეტი წლის დიქტატორს უჩვეულო მდგომარეობაში გაიცნობს: იანგული ქვაფენილზე იჯდა ფეხმორთხმული და კაკალს ამტვრევდა აგურის ნატეხით. მუსიკის მასწავლებლიდან მომავალი დეიდა-დისშვილი ამ დროს ჩაუვლიან გვერდით. იანგული დეიდა ნინას თავაზიანად მიესალმება, მაგრამ იმავე პასუხს ვერ იღებს; ჯემალს დააინტერესებს მისი ვინაობა, დეიდა კარგს არაფერს ეტყვის, არ დაგინახო მაგასთან გავლილი, ხულიგანია, დღე და ღამე ქუჩაში გდიაო. ამგვარი დახასიათებისა და გაფრთხილების შემდგომ, წესით, ჯემალს მისგან თავი შორს უნდა დაეჭირა, მორიდებოდა, მაგრამ სკოლაში სიარული რკინიგზის ლიანდაგის გავლის გარეშე შეუძლებელი იყო და, ამდენად, იანგულისთან ყოველდღიური შეხვედრა გარდაუვალი შეიქმნა. გარკვეული ხნის განმავლობაში **სკრიპკა** (როგორც იანგულიმ შეარქვა ჯემალს) ისე ჩაუვლიდა უბნის ბიჭებში კოჭობანასა და პაჟარობანას თამაშით გართულ იანგულის, რომ ის ყურადღებას არ აქცევდა. ჯემალიც იმ ასაკში იყო, როცა მოზარდს თავის გამოჩენა სურს: ერთი სული ჰქონდა, ბიჭებში გარეულიყო და, იანგულის მსგავსად, თავადაც ეჩვენებინა შნო და მარიფათი, „მაგრამ ჯერ უბანში უცხო, უამხანაგო, უმეგობრო და უდამქაშო ვიყავიო“ [დუმბაძე, ელვერსია], ამბობს. მას მხოლოდ დეიდაშვილი კოკა იცნობდა და ისიც იანგულის ქვეშევრდომი იყო. ამიტომ, მასთან და მის **მრევლთან** მისვლას ვერ ბედავს, თუმცაღა გრძნობს, რომ მათი ურთიერთობა ერთ მშვენიერ დღეს იფეთქებს. ძალიან მარტივად, ყველა ასაკისა და სოციალური ფენის მკითხველისათვის, გასაგებ ენაზე გადმოგვცემს მწერალი ურთულეს ასაკში მყოფ მოზარდებს (რომლებიც ჯერ არც კი იცნობენ ერთმანეთს) შორის არსებულ დამაბულობას, რომელიც აუცილებლად შეტაკებით დასრულდება, მაგრამ როდის და რა იქნება ამის მაპროვოცირებელი, ჯერ არავინ იცის. ავტორისათვის დამახასიათებელი ჩუმი იუმორით, მსუბუქად და მარტივად იგებს მკითხველი პროვოცირების მიზეზსაც, ყოჩების დაჯახების ამბავსაც. როდესაც მოთხრობელი, მუსიკის მასწავლებლის, მთელ სოხუმში სახელგანთქმული ელენე მიხაილოვნა

ნანდროვსკაიას ოქროს თევზებს მოწამლავს, უნებურად, და უცებ გახდება „Паршивый мальчик и варвар“, უკან დაბრუნების იმედგადაწურული, თავზარდაცემული, შერცხვენილი და ცოცხალ-მკვდარი მიაბიჯებს სახლისაკენ, სწორედ მაშინ გაუწევს გული იანგულისა და მისი დამქაშებისაკენ - თითქოს შარს ეძებდა და გადაეყარა კიდეც.

იანგული ჩვეულებისამებრ შეეცდება მის დამორჩილებას, მაგრამ, რა თქმა უნდა, წინააღმდეგობას გადააწყდება. როდესაც ჯემალს საკუთარი ვიოლონო ბრტყლად დაემხოთა თავზე და შუაზე გადაიხსნება, იგი მისთვისაც მოულოდნელი რეაქციით უპასუხებს მეტოქეს, დაჰკრავს ყბაში გაციებულ მუშტს. მამლაყინწების გასაოცარი ორთაბრძოლა აღწერილი, კიდეც უფრო უჩვეულოდაა გადმოცემული დეიდა ნინას რეაქცია, როცა იანგულის მარჯვენა ხელი და მათი მეზობელი პეტია, დამტვრეულ ვიოლინოს, თავის ყუთიანად, შესასვლელ კართან დაუგდებთ: „დეიდაჩემმა ჯერ პეტია შეიცხადა, მერე - ვიოლინო, მერე - იანგული ალექსანდრიდი, მერე - მე და სულ ბოლოს - დედაჩემი“. [დუმბაძე, ელვერსია]

ჯემალის მუსიკალური ოდისეა სრულდება და იწყება ბრძოლა არსებობისათვის. რა თქმა უნდა, იანგული ვერ აიტანდა უბანში შერცხვენას, მას აუცილებლად იმავე „საზოგადოების“ წინაშე ისე უნდა დაესვა მოწინააღმდეგე, როგორც თავად დასვეს, მაგრამ იმ ერთი დარტყმის შედეგად იანგული ხვდება, რომ ეს არც ისე იოლი შეიძლება იყოს და ჯერ ცალკე აპირებს ჩხუმს პატიოსნად - ჩხუმში სხვა არ უნდა ჩაერიოს, გინება არ იყოს, ქვა არ იყოს, წაქცეულის ცემა არ იყოს.

ქუჩაში გაზრდილი ბავშვის პირობაზე კი არა, ზოგადად, უკვე ჩამოყალიბებული პიროვნებისათვისაც კი ზემოთქმული უჩვეულო ცხოვრებისეული კრედოა - სხვის იმედად ბრძოლა ვაჟკაცობა არაა, არც მტრის შეურაცხყოფა, არც მოწინააღმდეგის სასიკვდილოდ გამეტება არათანაბარი იარაღისა და ძალის გამოყენებით და, რაც ყველაზე მთავარია, დამარცხებულის დაჩაგვრა.

გავიხსენოთ თორნიკე ერისთავის სიტყვები აკაკის პოემიდან: „ნურვინ გაბედავს, დატყვევებულებს რომ მიაყენოს შეურაცხყოფა, ვაჟკაცს რომ ბედი სხვას დაამონებს, დასატანჯავად ისიც ეყოფა!“ [წერეთელი, 1956: 200]. შეუძლებელია ასევე არ



გაგვახსენდეს ნუგზარ წერეთლის მოგონება გურამ რჩეულიშვილზე - გურამმა მთაწმინდაზე, გარდაუვალი შეტაკების წინ, დანა, რომელსაც სულ სხვა საჭიროებების გამო თან ატარებდა, ჯიბიდან ამოიღო და ხევში გადააგდო, რომ უცაბედი რეაქციის შედეგად ვინმეს არ გამოეყენებინა.

პატარა „დიქტატორი“ იანგული ღირსებითა და პატიოსნებით გამორჩულ პერსონაჟებს უტოლდება, ვაჟას ალუდა ქეთელაურსაც წააგავს, გარკვეული შტრიხებით, მაგრამ ამის შესახებ მოგვიანებით ვისაუბროთ.

ჯემალი ჯერ უარზეა, ეუბნება, რომ მას ყოჩობა არ აინტერესებს, და თავი დაანებოს, მაგრამ აქაც თავისი წესი და კანონი ჰქონია ქუჩას: შენ რომ ჩემზე დიდი იყო, დაგანებებდი, მაგრამ შენ ჩემზე ერთი წლით პატარა ხარო, ეუბნება იანგული; ამიტომ შეტაკება გარდაუვალია, თუ მოგერიე, ხვალ იმავე უბნის ბიჭებთან გცემ, რომლებთანაც დამსვი, მერე მოგეშვებო, ჰპირდება. იანგული თავგამოდებით იცავს საკუთარ თავმოყვარეობას, თან პატიოსნად, პირადად, ვინმეს დახმარებისა და ჩარევის გარეშე; ორთაბრძოლის წინ იანგულიმ შავი სატინის ხალათი, რომელსაც ზამთარ-ზაფხულს გაუხდელად ატარებდა, გაიხადა და მის გაშლილ მკერდზე ჯემალმა ლათინური ასოებით ამოსვირინგებული სიტყვა HELLADOS ამოიკითხა, რამაც, დაუფარავად გვეუბნება, უცებ შეაკრთო, მაგრამ უკან აღარ იხევს ვაჟკაცურად. იანგულიმ რაღაც უთხრა პეტეას ბერძნულად, რის შემდეგაც პეტეამ ორი დიდი ქვა ამოიღო ჯიბეებიდან და უხალისოდ გადაყარა; პეტეა, სახელის მიხედვით, ალბათ, რუსი უნდა იყოს, მაგრამ მეგობრის ბერძნული კარგად ესმის. მოთხრობაში კვლავ ვნახავთ, რომ სოხუმში მცხოვრები სხვადასხვა ეთნოსის მოზარდები ერთმანეთის ენებს სალაპარაკო დონეზე თავისუფლად ფლობენ. მათ ურთიერთობას, ამ თავლსაზრისით, წინ არაფერი ელობება.

ჩხუბი ორ-სამ წუთს გრძელდება, გულშემატკივრები ბერძნულ-ქართული შემახილებით ამხნევებდნენ. მეტოქეებმა ღირსეულად იბრძოლეს და, როცა ზუსტად ისე ჩაჯდა ჯემალი მიწაზე, როგორც წინააღმდეგ - იანგული, იგი ტუჩშესიებული და წარბგახეთქილი დაემშვიდობა. შინ დაბრუნებული, ბულკივით სახედასივებული ჯემალი, რატომღაც დეიდამ არ შეიცხადა, პირიქით, ცივი კომპრესები დაადო სახეზე; მეორე დილით კი იანგულის მამას, ხრისტოს, ზუსტად ისე დააფშვნა მაწვნის ქილა

თავზე, როგორც იანგულიმ მის დისშვილს - ვიოლინო და ციხეში ამოღობას დაჰპირდა მის გათახსირებულ და ხულიგან შვილს, საბჭოთა პიონერის ასე უღმერთოდ ცემისათვის.

მოთხრობის სიუჟეტის განვითარებისას ვხედავთ, რომ დედის დაპირება დაპირებად დარჩა და უფროსების ჩხუბი მხოლოდ მაწვნის ქილის თავზე დაფშვნიტ შემოიფარგლა.

მომდევნო დღესაც, ჩხუბის დაწყების წინ, იანგულიმ ტრიბუნავით ხელი მაღლა ასწია, „ბრბო დააწყნარა და ისტორიული სიტყვით მიმართა თავის ხალხს“. [დუმბაძე, ელრესურსი]. სიტყვას **ბრბო** მწერალი შემთხვევით როდი იყენებს, არც ამ თოთხმეტი წლის დიქტატორის მიერ წარმოთქმული მიმართვა შეუფასებია მწერალს შემთხვევით ისტორიულ სიტყვად. ამ სიტყვაში ბერძენი სოხუმელის პირით აფხაზეთში არსებული განწყობა დანარჩენი საქართველოს (თბილისელი მთელ საქართველოს წარმომადგენლად რომ მოიაზრება მოთხრობაში, ნათელია), მიმართ ისე ოსტატურად წარმოაჩინა და გააშიშვლა მწერალმა, რომ ვერავინ ვერაფერზე შედავებოდა. ვენეციის გზატკეცილის ტომის თავისუფალ შვილებს მიმართავს მათ მიერ არჩეული ბელადი, ჩვეულებრივი ქუჩის ბიჭების ქურდულ გარჩევას ხატავს ვითომ: მკრთალსახიან თბილისელ ჰარიფსა და მის დეიდაშვილს, ტომისა და სამშობლოს მოღალატე წკვინტილიან კოკას მიმართავს იანგული, „ამ მკრთალსახიან გადამთიელს, იმის ნაცვლად, რომ ესარგებლა ჩვენი სტუმართმოყვარეობით, დიდსულოვნებითა და სულგრძელობით, სურს მიისაკუთროს ჩვენი კურთხეული მიწა, ზღვა, მდინარე, ოქრო, ვერცხლი, სამოვარი და გაზონები...“ [დუმბაძე, ელრესურსი].

იანგულის სიტყვები იმდენად შეუსაბამოა ბიჭების ჩხუბის რეალურ მიზეზსა და მოთხრობის კონტექსტთან, მკითხველი აშკარად ხვდება, ძალიან მნიშვნელოვან, მტკივნეულ თემას ეხება მწერალი და ოსტატურად ამბობს სათქმელს ცამეტი-თოთხმეტი წლის მოზარდების პირით, თითქოსდა ლაზღანდარობით. ბრბოდ ქცეული აფსუები დაარწმუნეს ექსტრემისტებმა, ვითომც „ისტორიულ სამართლიანობას“ აღადგენდნენ ქართველებთან ომით, დაარწმუნეს, რომ თბილისელი (და, მასთან ერთად, დანარჩენი საქართველოს მკვიდრი) მათთვის გადამთიელია და ვინც ამ გადამთიელს მიემხრობა, გამყიდველი და „სამშობლოს

მოლაღატა“; რომ ჩვენ, ქართველები, სტუმრები ვიყავით აფხაზეთში და ამ კურთხეული მიწისა და ზღვის დასაკუთრებას ვცდილობდით. ასე ხუმრობით, ლაწირაკების ჟარგონით და არა აფსუას, არამედ ბერძნის პირით (გავიხსენოთ დიდი ილია, რომელიც თავის „აჩრდილში“ არ ახსენებს რუსეთს, მაგრამ რაც მის შესახებ სურს, გვითხრას, ალექსანდრე მაკედონელს მიაწერს), ეჭვი რომ არავინ არაფერზე მიიტანოს. სინამდვილეში რის თქმაც სურს, ალეგორიულად გვამცნობს მწერალი - რომ ახლოსაა დენტის აფეთქება, რასაც რუსეთი, დღიდან კავკასიაში შემოსვლისა, ცდილობდა ჩვენსა და აფსუებს შორის, აფხაზეთსა და დანარჩენ საქართველოს (ამ შემთხვევაში, ალეგორიულად, თბილისს) შორის, და დაგეგმილს აუცილებლად აღასრულებდა, როგორც კი დასჭირდებოდა.

იანგული გადაწყვეტს, ცალი ხელით შეებრძოლოს მტერს, მაგრამ არათანაბარ მდგომარეობაში მყოფ მოწინააღმდეგეს, მიუხედავად იმისა, რომ იგი გამეტებით ურტყამდა, ჯემალი ხელს არ უბრუნებს. გულწრფელად უხარია ხრისტოს ბიჭების შერიგება და შვილის გამო მიღებული შეურაცხყოფა დიდსულოვნად აქვს მიტევებული. ამ ბერძნის გულის სითბოსა და სიდიადეში, ვფიქრობთ, მწერლის შემრიგებლური პოზიცია ჩანს. მეტოქეები საღამოს რკინიგზის ხიდის ქვეშ შეხვედრაზე შეთანხმდებიან. ჩხუბი ამჯერად უფრო დიდხანს გაგრძელდა. მათი ეს შერკინება ძალიან წააგავს ალუდასა და მუცალის ორთაბრძოლას, ცხადია, არა სიდიადის თვალსაზრისით, არამედ მეტოქეების ერთმანეთისადმი დამოკიდებულებით. ორივე, მართალია, გამეტებით ურტყამს ერთმანეთს, მაგრამ ამ ბრძოლაში ისინი ისევე ამოიცივნობენ ერთურობის ვაჟკაცობასა და სიმართლეს, როგორც ალუდა და მუცალი. მომაკვდავი მუცალი თავისი ნებით აბარებს იარაღს მეტოქეს: „ეხლა შენ იყოს რჯულმაღლო, ხელს არ ჩავარდეს სხვისასა“ [ვაჟა-ფშაველა, 1953: 116], ხოლო ალუდა, ხედავს რა მუცალის ღირსეულ აღსასრულს, გამარჯვება არად უღირს: „ალუდას თოფი არ უნდა, ატირდა, როგორც ქალიო, არ აჰყრის იარაღებსა, არ ეხარბება თვალიო“ [ვაჟა-ფშაველა, 1953: 116]. დავაკვირდეთ, რა განცდა ეუფლება გამარჯვებულ ჯემალს და როგორ ღირსეულად იღებს იანგული მარცხს. „საოცარი ის იყო ჩხუბის აღარც ხალისი მქონდა, აღარც სურვილი“ [დუმბაძე, ელვერსია], ამბობს თავის მხრივ ჯემალი, ხოლო იანგული უპასუხობს, არ გინდა, ბიჭებს მე ვეტყვი, რომ მაგარი ხარო.

რა თქმა უნდა, ალუდასა და მუცალის დარ სიმაღლემდე პატარა გმირები ვერ ავლენ, ეს შეუძლებელიცაა, მაგრამ მორალისა და დაუწერელი კანონების თავისებურ სიმაღლესა და სივრცეს აშკარად იპყრობენ და ქმნიან. ამ აზრს კიდევ უფრო ამყარებს მოთხრობის ფინალი, მაგრამ იქამდე კიდევ ერთ დეტალს უნდა შევხვით მათი ურთიერთობისა; ეს გახლავთ დედების გინება. ერთი ქართულად და მეორე - ბერძნულად, მთელი ნახევარი წლის განმავლობაში ამ ფორმით ესალმებოდა ერთმანეთს, ვიდრე ერთ მშვენიერ დღეს იანგული მონუსხულივით არ შედგა, თვალეში შეხედა ჯემალს და პასუხის დაბრუნების ნაცვლად თავი დახარა, შეტრიალდა და ასე თავდახრილი მონუსხულივით წავიდა. რამ მონუსხა ეს ურჩი, თავზეხელაღებული, მკერდგანიერი და ამაყი ელადელი?! მოწინააღმდეგის გარდაცვლილი დედის პატივისცემამ. ძალიან სათუთი და მრავლისმთქმელი შტრიხია, რომელიც იანგულის მხატვრულ სახეს კიდევ უფრო შთამბეჭდავად ავსებს: იმ დღიდან იგი ერთი ათად გაიზარდა ჩემს თვალში, ჩვენ შორის სამუდამოდ დამთავრდა ომი და ქიშპობაო, ამბობს ჯემალი. როგორც ვხედავთ, ეს მამლაყინწები ღირსეულად აგებენ და იგებენ ერთმანეთში ომს, უფროსებისა თუ ძმაკაცების დაპირისპირების გარეშე. სწორედ ღირსებიდან და სიყვარულიდან მომდინარეობს იანგულის თავგანწირვა სამშობლოსადმი, დიახ სამშობლოსადმი, რადგან მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „ჩემი ელადა, ჩემი სამშობლო სოხუმია, ვენეციის გზატკეცილი, ჩალბაში, კოკა, პეტია, კურლიკა, ფემა... შავი ზღვა, ჩემი ვირი, რკინიგზის ხიდი... მიდა... მიდა და შენც“ [დუმბაძე, ელრესურსი]. იანგულიმ კარგად იცის, რომ მისი სამშობლო, მშობლიური მიწა, დიდებული ელადაა... მოვალეცაა, წავიდეს, მკერდზეც ამიტომაც ამოუსვირინგებია HELLADOS, მაგრამ სამშობლო უფრო ღრმადაა, უფრო შიგნით, უფრო შიგნით კი გულია, ის უმაღლესი ორგანო, რომელსაც, როგორც წმინდა მამები გვასწავლიან, თავისი სმენა აქვს, საკუთარი ხედვა და დაუვიწყარი მეხსიერება; მხოლოდ იოანე საბანისძის „მომიპყართ ყურნი გულისა თქვენისანი“ რად ღირს?!

ვერ შეძლებს იანგული გულისხმის დახშობას (თავგანწირვას შეძლებს). გემის ქიმზე მდგარი იანგულის უკანასკნელ სიტყვებს, ჯემალო, მე მიყვარს დედაშენი და მზერას ჯემალი ვეღარ უძლებს და ატირებული ბრუნდება შინ. ვერც იანგული

გაუძლებს სამშობლოს მოწყვეტას. მიუხედავად იმისა, რომ გემის ქიმზე მდგარი ბიჭი მამამისს ხელით ეჭირა, მაინც გადმოხტება და გამოცურავს.

„მესამე დღეს მდინარე კელასურის შესართავთან ზღვამ ახალგაზრდა ბიჭის სხეული გამოირიყა; უფრო სწორად, იგი სტაროვერმა მეზადურაბმა გამოიტანეს... ბიჭს სახე წაშლილი ჰქონდა... მხოლოდ მე ვიცანი, როდესაც თავზარდაცემულმა მის გაშლილ მკერდზე ლურჯად ამოსვირინგებული HELLADOS წავიკითხე“. [დუმბაძე, ელრესურსი].

მართალია, უსულოდ, მაგრამ მაინც დაუბრუნდა სხეული სამშობლოს: იანგული დაბრუნდა....

ყმაწვილის თავგანწირვით ნოდარ დუმბაძე ისეთ მნიშვნელოვან პრობლემასა და რეალობაზე აფიქრებს მკითხველს, რომლის გაგებისა და გათვალისწინების გარეშე ჩვენ ვერ შევძლებთ იმპერიისაგან მართულ აფსუებთან ჩატეხილი ხიდის აღდგენას. ეს არის ორი სამშობლოს პრობლემატიკა. იანგულის გენეტიკური სამშობლო აქვს, მშვენიერი ელადა, მაგრამ მისთვის რეალური სამშობლო სოხუმია. ვენეციის გზატკეცილზე მცხოვრები ბავშვების ურთიერთობას თუ დავაკვირდებით, იმავე განცდასა და დამოკიდებულებას დავინახავთ ყველა ეთნოსის ბავშვის მხრიდან, ყველასათვის ის ადგილია სამშობლო, სადაც დაიბადა. იანგულისთვის სხვა სამშობლო არ არსებობს; არ არსებობს სხვა სამშობლო აფხაზეთში მცხოვრები აფსუებისთვისაც, სომხებისთვის, რუსებისთვის და ჩვენთვის, მკვიდრთათვის, მითუმეტეს.

ორიოდ სიტყვით შევხებით მთავარი გმირის სახელს. სახელში **იანგული გული** ფიგურირებს. არ ვიცით, ბერძნულ ენაში სუფიქსი **იან** რამეს თუ აღნიშნავს, მაგრამ ქართულში მფლობელს მიუთითებს (ქუდიანი, ჩოხიანი).

იქნებ, გმირის სახელი მწერალმა სიტყვიდან **გულ-იანი** მიიღო, ანაგრამის პრინციპით? ცხადია, ზემოთქმული მხოლოდ ვარაუდია....

იანგულისთან დაკავშირებით დავიმოწმებთ ამონარიდს ნელი ქუთათელაძის წერილიდან, რომელიც 1978 წელს დაიწერა და 1984 წელს გამოქვეყნდა ჟურნალ

„დროში“. წერილში საუბარია იანგულის, როგორც პიროვნების შესახებ - *იანგული კი იყო ადამიანი უსწავლელი, მემწვანილე, უბნის ყოჩი, ხულიგანი, მაგრამ - ადამიანი დიდი გრძნობებით, უზარმაზარი გულით, მშვენიერ მკერდში რომ უფეთქავდა, მკერდში, რომელზეც სამშობლო ეწერა, გულით, რომელიც მამას ემორჩილებოდა, ხელებით, რომლებიც მამის წინ ძირს რომ იყვნენ დაშვებულნი* [ქუთათელაძე, 1984: 1]

პერსონაჟს გულით უყვარდა მიუწვდომელი ყვავილი - მიდა, თავისი მეტოქეც (ვაჟკაცი უნდა იყო, რომ ისეთი მეტოქე შეიყვარო, რომელმაც გაჯობა); მის გულს განსაკუთრებული სისათუთით უყვარდა თავისი დიდყურა და დიდთვალეა ცხოველი. სილადით უყვარდა ზღვა, ქვიშა და ზღვის კენჭები; სიამაყით, რომლითაც თავისი ღირსება უყვარდა, უყვარდა, უყვარდა, უყვარდა. იცოდა სიყვარული. სად ხართ, ასეთებო [ქუთათელაძე, 1984: 1], რიტორიკულ და მრავლისმთქმელ კითხვას სვამს ავტორი.

თითქოს ემახის იანგულისნაირ ვაჟკაცებს ავტორი, რომელიც აატირა ამ მოთხრობის წაკითხვამ, მიხვდა, რომ ეს უბრალო მოთხრობა არ იყო და არაჩვეულებრივ სამყაროს ხატავდა მწერალი, იმ გმირებისას, რომელთა გაქრობის შემდეგაც ის დაგვემართებოდა აფხაზეთში (და, საერთოდ, მთელ ქვეყანაში), რაც დაგვემართა ოთხმოცდაათიან წლებში, რაც დღემდე გრძელდება მცირეოდენი სახეცვლილებით. „მე დედაშენი მიყვარს, - უთხრა იანგულიმ ჯემალს, - სხვისი დედა კი არა, საკუთარიც ამძიმებთ, რადგან ყურადღებას ითხოვს. ყურადღება კი სიყვარულითაა“ [ქუთათელაძე, 1984: 1].

დუმბაძის პერსონაჟის სიკვდილით სწორედ ის გრძნობა ინავლება, რომელიც **დედამიწას ატრიალებს**, ამიტომაცაა არა მხოლოდ ქართველთა და აფსუათა, არამედ, ზოგადად, ადამიანთა ურთიერთობები ჩიხში.

სიყვარულის დეფიციტი არის კაცობრიობის გლობალური პრობლემა დღეს. ამ პრობლემის წინაშე, რა თქმა უნდა, ჩვენც აღმოვჩნდით და ვიდრე ნოდარ დუმბაძისნაირი მზიანი გულის მწერალთა შემოქმედებას არ გავუხსნით გულებს, ვიდრე ერთმანეთის გულებისაკენ მიმავალ გზას არ გავკაფავთ, იქამდე იქნება გამეფებული უგრძნობელობა, *სალის ყინულის ტახტზე მჯდომი*, ადამიანეთი კი - შეპყრობილი უგრძნობლობის ტრაგიზმით: „არ ებრალება მოყვასი, მის წინ რომ აცვან

ჯვარზედა, ისე მოკვდება, ვერ შადგეს ერთს წამს ტრფობისა მთაზედა“ [ვაჟა-ფშაველა, 1953: 222].

სწორედ უგრძობობმა კაცებმა დაატრიალეს ჯოჯობეთი, რომელსაც გურამ ოდიშარია ცხადად გადმოგვცემს რომანში „სოხუმში დაბრუნება.“

### გურამ ოდიშარია, „სოხუმში დაბრუნება“

„შენ ჩემთვის მარტო მშობლიური ქალაქი როდი ხარ, სამივე ჟამი ბრუნავს შენში... ჩემო ერთადერთო ქალაქო...“, - ასე იწყებს სოხუმელი მწერალი გურამ ოდიშარია რომანს „სოხუმში დაბრუნება“.

მწერალი საუბრობს, თუ როგორ ამსხვრევდა ომი, ნაწილ-ნაწილ როგორ აკვდინებდა, მარცვავდა, სწვავდა, აწამებდა [ოდიშარია, 1999: 3] მის საყვარელ ქალაქს, მაგრამ ვერაფერი მოვახერხეთ მის შესაჩერებლად: „ვეღარ გიშველე, სოხუმო! მაპატიე უსუსურობა!“ [ოდიშარია, 1999: 3].

სამწუხაროდ, საუკუნის ბოლოსაც საქართველო, სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით, ისეთსავე მდგომარეობაში იმყოფებოდა, როგორშიც ავბედით 1918 წელს, როდესაც წითელი კრეისერი მიადგა მის სანაპიროს. არა მარტო ბატონი გურამი, არამედ ვერავინ წარმოვიდგენდით ომს სოხუმის დიად დღესასწაულში, სისხლს მის ქუჩებში, ცხედრებს მის ზღვაში,... ცეცხლწაკიდებულ ცას...

ვკითხულობთ პასაჟებს, თვალნათლივ ვხედავთ ტრაგედიას, რომელიც 1992-1993 წელს დატრიალდა პატარა, ლამაზ, მყუდრო ქალაქში.

ნოდარ დუმბაძე აფხაზეთისადმი მიძღვნილ წერილში, „გული“ ეუბნებოდა მკითხველს, რომ აფხაზთა გულის სიმებს ძალიან ფრთხილად უნდა შევებოთ, მაგრამ აფხაზებიც ასევე ფრთხილად უნდა შევებონ ქართველთა გულის სიმებს. ორმხრივი ურთიერთპატივისცემა და სიყვარული უნდა აღდგეს ჩვენ შორის, თუ გვსურს ჩვენ, ქართველებს, სამუდამოდ რომ არ დავემშვიდობოთ ულამაზეს, უმშვენიერეს ქართულ კუთხეს. აფსუებს უკვე მეოთხედ საუკუნეზე მეტია, არ მიეწოდებათ სისხლი იმ უმთავრესი ორგანოდან, რომელსაც გული წარმოადგენს (მეტაფორულად რომ ვთქვათ,

არ გვგონია, სხვა გულის გადანერგვის პროცესმა მათ სასიცოცხლო ძალები შეჰმატოს, რადგან ასეთმა პროცესმა - მხედველობაში გვაქვს მუჰაჯირობა -ისინი ერთხელ უკვე კინაღამ გამოასალმა სიცოცხლეს, რომ არა საქართველოს ცხელი გული).

წარმოდგენელია ის ტკივილი, რომელსაც მწერალი განიცდის, როცა ორი (უკვე - ოცდაათი) წელი აშორებს მშობლიურ ქალაქს, ყველაფერი აინტერესებს, რაც სოხუმთანაა დაკავშირებული, მამისეული სახლი რა დღეშია, საგვარეულო სასაფლაო... მშობლიურ ქალაქს გაენდობა, *მე შენს წვიმებში ვიზრდებოდი, სხვაგან კი ვსველდები მხოლოდო* [ოდიშარია. 1995: 3]. რამდენი მონატრება და რამდენი ტკივილია ჩატეული ფრაზაში, რომელიც ასე გრძელდება, „შენ ჩემი სულის ნაწილი ხარ, ჩემი ერთადერთი ოაზისი, ჩემი სახელმწიფო, პლანეტა, გალაქტიკაო [ოდიშარია. 1995: 4]. რამდენი გულმოკლული მამულიშვილის სათქმელი გადმოგვცა მწერალმა ამ სიტყვებით. ყველა მთავრობამ მიღალატა და ყველა პოლიტიკოსმა გამწირაო, ეპოქის უზუსტესი შეფასებაა წარმოდგენილი.

ტრაგიკულ რეალობას ადასტურებს დოკუმენტური რომანის ორი უმძიმესი მონაკვეთი - „დევნილთა უღელტეხილი“ და „ომამდე დამარცხებული“.

გვსურს გავიხსენოთ მწერალ ბექა ქურხულის ჩანაწერიც აფხაზეთის ომის შესახებ: „როდესაც აფხაზეთის ომის კადრებს ვუყურებ, მახსენდება, ამ არაორგანიზებულ, არეულ შპანას როგორ ეჭირა ზუსტად 13 თვე და 13 დღე ფრონტის ხაზი, როგორ იგერიებდა სოხუმზე შეტევებს, როგორ გაანადგურეს ტამიშთან გასაიდუმლებული რუსული ქვედანაყოფი ლეტუჩიე მიში.... ჩვენი თბილისელი ქურთის ბიჭების ანაბარა... სულ მგონია, რომ ამ ომში საქართველო კი არ დამარცხდა – მოკვდა!“ [ქურხული, ელრესურსი]

ამავეს აღწერს გურამ ოდიშარია რომანის ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილში, როდესაც ლტოლვილთა უღელტეხილზე ხვდება დამარცხებულ ჯარისკაცებს. საშინელი ბრძოლების გადამტანნი საცოდავად გამოიყურებიან - დამარცხება მათი ბრალი სრულიად არ იყო.



აკაკი ბაქრაძე ილია ჭავჭავაძის შესახებ წერს, მან საქართველოს დაჭრილ-დასახიჩრებული სხეული ქირურგის მაგიდაზე დადო და ქირურგისავე სიზუსტით შეუდგა მისი ჭრილობების დამუშავებასო [ბაქრაძე, 2013: 233].

ბატონი გურამიც, როგორც თვითმხილველი და განმცდელი იმ უბედურებისა, რომელიც აფხაზეთს (და მთელ საქართველოს)) თავს დაატყდა, აღწერს სამშობლოსადმი მიყენებულ ჭრილობებს, როგორც ილია; განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ XIX საუკუნეში სამოქალაქო ომი არ ყოფილა, ომი ერთი კაცის წინააღმდეგ წარმოებდა და მსხვერპლიც ის იყო, წიწამურის ტრაგედიის შედეგად. ჭკუა მაინც ვერ ვისწავლეთ...

ცხენისწყალთან მოღწეულ ნაუღელტეხილარ სოხუმელებს, სიქაგამოცლილ ქალებსა და ბავშვებს, ... ლამის აფხაზეთის ომი სანატრელი გაუხდათ [ოდიშარია, 1999: 70] - ცხენისწყალს გაღმელ-გამოღმელი ქართველები ძლივს თანხმდებიან, რომ ტყვიას, შიმშილსა და ყინვას გადარჩენილ თანამემამულეებს როგორმე გზა დაუთმონ, ორივე მხარე ეკითხება ნაწამებ სოხუმელებს, როგორ მიიღებს დარდიანი და მშვიერი, სასოწარკვეთამდე მისული დედაქალაქი მათ? თბილისი მიეაღერსა სოხუმელებსო, შეუძლებელია არ შეძრას ადამიანი ამ სიტყვებმა, მაგრამ ავსიტყვანი, რა თქმა უნდა, თბილისშიც მრავლად დახვდათ. მათ წარმოდგენა არ აქვთ, რა გადაიტანეს სოხუმელებმა ან ქალაქის დაბომბვიას, ან მას შემდეგ, რაც სამკვიდრო დატოვეს და დევნილთა უღელტეხილს შეუდგნენ.

მწერლისათვის კი ომის სურათი სოხუმში, ქუჩაში დაღუპული ბავშვის ცხედარია, გალაკტიონის სიტყვებს ახსენებს („შემლილი სახით კიოდა ქუჩა“),..., „არა, არ კიოდა ქუჩა და არც შემლილი სახე ჰქონდა მას... მას საერთოდ არ ჰქონდა სახე“ [ოდიშარია, 1995: 162].

უსახო და უსახელო ომმა მწერალს წაჰგვარა სიმშვენიერისა და სიდიადის შეგრძნების სიხარული - ზღვა [ოდიშარია, 1995: 163], სალვადორ დალის ურჩხულად აქცია... „ომის ზღვამ, ცხედრებმოტივტივე ტალღები მოაყენა კარს“ [ოდიშარია, 1999: 165].

ვფიქრობთ, ქართულ მწერლობაში არ მოგვეპოვება მსგავსი პროზაული ნაწარმოები, რომელიც საშინელ ტრაგედიას პოეზიის სიმაღლემდე აყვანილი პროზით გადმოგვცემდეს. ომი არ არჩევს ქართველს და აფხაზს, რუსსა და სომეხს, გიჟსა და

ჭკვიანს, ბავშვსა და ქალს, პოეტსა და მკვლელს, დამნაშავესა და უდანაშაულოს.. ომი უძლები ვამპირივით ზოგს კლავს, ზოგს თავს აკვლევინებს, ზოგს საკუთარ სახლში უხეთქავს გულს, ზოგი ოცი წუთით გადის შინიდან და ველარ ბრუნდება, ზოგს ფეხს ართმევს, ზოგს - შვილს, ზოგს - ცოლს, ზოგს - დედას, ზოგს - სიცოცხლეს....

ზოგს მფარველი ანგელოზი სწყალობს, ჩვენი მწერალივით, და განარიდებს იმ უბანს, რომელიც ხუთი წუთის შემდეგ იბომბება.

კითხულობ ამდენ უბედურებას და ისმის კითხვა: სად არის ამ განსაცდელში ღმერთი, უძლურთა შემწყნარებელი? მისი ნებისა და დაშვების გარეშე ხომ არაფერი ხდება ამქვეყნად?!

გასაოცარ პასუხს იძლევა მწერალი, როცა „კაცთა სიბრიყვისა და სისასტიკისაგან გადაღლილ, სევდიანად მომზირალ იესოს სახეს ხედავს, როცა ბუნების გონი მასთან კავშირის დამყარებას ზღვის შემწეობით ცდილობს“ [ოდიშარია. 1995: 164-65] ცდილობს: „ - უღელტეხილი ბევრად ადრე დაიწყო, უფალო, ვიდრე მასზე შევდგი ფეხი... და ეს მერამდენე საუკუნეა, რაც მე და შვილი ჩემი, მშობელი ჩემი,.. ყველანი ერთად მივაბიჯებთ ამ უღელტეხილზე... შენ დაიფარე ყველა გაჭირვებული, მამავ ჩვენო, ნათელო დიადო, რწმენავ...“ [ოდიშარია. 1995: 63].

მწერალი, თითქოს, **ლოცულობს**. ჩვენი ყურადღება მიიპყრო **სამი დროის გაერთიანებამ**, დაფიქრებაც კი არაა საჭირო იმისათვის, რომ მიხვდე ადამიანი რამდენად მწარე სიმართლეს წერს ავტორი.

სოხუმში უჯაროდ და უპატრონოდ დარჩენილი თანამემამულეები რა დღეში აღმოჩნდნენ, ამაზე ფიქრისათვის არავის ეცალა. იმის მაგიერ, მოსახლეობის ევაკუაციაზე ეზრუნათ, აეროპორტიდან დააბრუნეს ხალხი, როგორც მწერალი გვაუწყებს, რუსული დივიზია შემოვა და ყველაფერი რიგზე იქნებაო, მაგრამ **პასუხისმგებლობა** დივიზიის შემოყვანის თაობაზე არავინ იკისრა. ცდას მოსახლეობის გადასარჩენად, რომ არ დაკარგულიყო სოხუმი და აფხაზეთი მთლიანად, წინ რა ედგა? არაფერი, გარდა იმისა, რომ აღმოჩენილიყო ადამიანი, წინამძღოლი, რომელიც ამ **პასუხისმგებლობას** საკუთარ თავზე აიღებდა. 1918 წლის ისტორია გამეორდა: ვერც სოხუმსა და ვერც თბილისში ვერავინ აღმოჩნდა სათანადო სიმაღლეზე, გმირობის ტოლფასი ნაბიჯი გადაედგა და უდიდესი უბედურებისა და მსხვერპლის თავიდან აცილება ეტვირთა. ეს კიდევ არაფერია იმასთან, რასაც ჩვენს ჯარს

მომოქმედებინებენ ის ვაი-ქართველები, რომელთა ხელშიც ქვეყანა და ამ ომის ბედი აღმოჩნდა, საუბედუროდ. ჯარს უკან დახევა და პოზიციების დათმობა უბრძანეს, მაგრამ უკან დასახევი გზაც აღარ ჰქონდათ იმ ადამიანებს, რომლებიც მართლაც სამშობლოსათვის იბრძოდნენ. საქართველოს ისტორიას არ ახსოვს ქართულ ჯარს მოსახლეობა მტრის ხახაში ჩაეტოვებინოს. „...და უცებ,...ქართული ჯარი ტოვებს სოხუმს და გაქცევით შველის თავს...“ [ოდიშარია. 1995: 187].

მოსახლეობის ნაწილი სახლებში რჩება. „ახლა ქართველობა გახდა ყველაზე დიდი უბედურება და სასჯელი სოხუმსა და გულრიფშში დარჩენილი ქართველებისათვის და ისინიც ღმერთს სწყევლიდნენ - ქართველებად რატომ დაგვბადეო! ეს უკვე ჭეშმარიტი დამარცხება იყო“ [ოდიშარია. 1995: 187] (ხაზი ჩვენია - თ. კ.).

ჩვენი მრავალსაუკუნოვანი არსებობის განმავლობაში სულ ომში ვართ, რა არ გადაგვიტანია, მაგრამ ქართველად რატომ გამაჩინეო, ეს საყვედური ღვთის წინაშე არასოდეს გვითქვამს; დასკვნაც შესაბამისი გამოაქვს მწერალს - ეს უკვე ჭეშმარიტი დამარცხებაა, რომელიც დღემდე გრძელდება, რომელიც არა მხოლოდ მტრის ხელში დარჩენილ სოხუმსა და გულრიფშში, არამედ თავისუფალი საქართველოს დედაქალაქით დაწყებული, ბევრგან და ბევრჯერ გაიმეორა ქართველმა კაცმა. სამწუხაროდ, უგუნური თავუნები მრავლად გამოჩნდნენ, რადგან „ჩვენ, სხვა უბედურებასთან ერთად, რაინდული ღირსება დაგვიჩლუნგდა,... ეს ღირსება თითქმის გაგვიქრა“ [ოდიშარია. 1995: 188].

ცხადია, სამოცდაათწლიანმა უღმერთობამ, რუსიფიკატორულმა იმპერიულმა პოლიტიკამ თავისი კვალი დააჩნია ქართულ ცნობიერებას, მაგრამ შადიმანობა, ლუარსაბობა, ხევსთავობა-ჯაყობაც კარგად რომ გვაქვს შეთვისებულ-ათვისებული და ამდენი „ობას“ წინააღმდეგ არც ერთი ბერკეტი არ ამოქმედებულა, ფაქტია. გულისტკივილით წერს მწერალი: „საკუთარ ხალხს ისე არ ექცევიან, როგორც ჩვენ მოგვექცით... ამას რომ ვამბობ, უპირველესად, პარლამენტს, რიგ პოლიტიკურ პარტიებსა და პოლიტიკოსებს,... ვგულისხმობ“ [ოდიშარია, 1999: 173].

მართალია, ეს სიტყვები 90-იან წლებშია დაწერილი, მაგრამ დღესაც, სამწუხაროდ, თამამად შეგვიძლია გავიმეოროთ. რომ არა ღვთის განსაკუთრებული მფარველობა,

ჩვენი უღირსების მიუხედავად, ღვთისმშობლის წილხვდომილობის წყალობით, „ჰოი, დედაო ჩემო, არა უგულბელგყო ერი იგი საზეპურო, უფროის ყოველთა ნათესავთა, მეოხებითა შენითა მათთვის!“, მაცხოვრის ეს სიტყვები მოგვდევს და გვაცოცხლებს საუკუნეების განმავლობაში, აცოცხლებს ქართულ სისხლსა და გენს, გენს, რომელიც, ავკაცებისა და მაროდორების არსებობის მიუხედავად (რაც ყველა ომის თანმდევია), ღირსეულად იბრძოდა მამულისა და რჯულისათვის აფხაზეთსა და სამაჩაბლოში, გმირული და ალალმართალი სისხლი დაღვარა, მაგრამ ამჯერად, სამწუხაროდ, ვერ გავიმეორებთ ილია მართლის სიტყვებს: „ორივ დაიცვა, მაგრამ ყველა მათ ანაცვალა“, რადგან, როგორც მწერალი აღნიშნავს, „ჯარისკაცთა უდიდეს ნაწილში, რა თქმა უნდა, იყო რაინდული შემართება, ვაჟკაცობა, პატიოსნება“, [ოდიშარია. 1995: 188], მაგრამ „ომი წააგეს არაპროფესიონალმა მეთაურებმა... დილექტანტებმა და უღირსებმა, პოპულისტებმა“. [ოდიშარია. 1995: 188]. ეს რომ ნამდვილად ასე იყო, ყველამ ვიცით; მწერალი გაცილებით ზუსტ, საგულისხმო, დასაფიქრებელ მიზეზს აგნებს ამ ომში დამარცხებისა: „საქართველო ომამდე იყო დამარცხებული!...ესაა ომი საკუთარ თავთან,... და როგორც ვერავინ და ვერასოდეს ვერ გაექცევა საკუთარ თავს, საქართველო ამ ომსაც ვერ გაექცევა ვერასოდეს“ [ოდიშარია. 1995: 189].

ვერც გავიქეციოთ და, უკვე მეოთხედ საუკუნეზე მეტია, გურამ ოდიშარიას წინასწარმეტყველური სიტყვები - ომის შემდგომი მშვიდობაც თავისებური ომიად - გვისრულდება. ამ *თავისებურ ომში* ვიმყოფებით დღესაც. „ჩვენ მაშინ დავმარცხდით, როცა სიძულვილის ესკალაცია განვავითარეთ“. [ოდიშარია. 1995: 190], - ვკითხულობთ ამ სიტყვებს და, გვგონია, 90-იანი წლების შესახებ კი არა, დღევანდელი რეალობის შესახებ წერს მწერალი: „მოდულე კაცზე უბედური ამ ქვეყანაზე არ დადის. დღევანდელი მოძულეები ხვალინდელი ომის შემოქმედები არიან“. [ოდიშარია. 1995: 190].

*მოდულეთა შემოქმედება* ვიხილეთ თბილისელებმაც - გადამწვარ-გადაბუგული რუსთაველი, სოხუმელებმაც - ცეცხლწაკიდებული ზღვა, ცხინვალელებმაც - დაბომბილ-გაუბედურებული გორი და ცხინვალი და სრულიად საქართველომ - საკუთარ სამშობლოშივე ლტოლვილი ათასობით ადამიანი.

„აქ, თბილისში წავაგეთ აფხაზეთის ომი. ჩვენ დაგვამარცხა უღმერთობამ“ [ოდიშარია. 1995: 190-191]. ფრაზა მნიშვნელოვანია და გააზრებას მოითხოვს. „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების მიხედვით“, „ოთხნი შეანაწევრნა და შეაერთნა საღმრთომან სიყვარულმან, ვითარცა სული ერთი, ოთხთა გვამთა შინა დამტკიცებული“ [ქართული მწერლობა, 1987: 200] საღმრთო სიყვარულით გაერთიანებული ოთხი სულის ერთსულოვნება სასწაულებს მოახდენს ტაო-კლარჯეთში, საქართველოს სახელმწიფოს ერთიანობას ჩაუყრის საფუძველს, ღვთაებრივ მადლსა და ნათელს მოჰფენს ქვეყანას, ხოლო დანაწევრებული და ჩაკლული სული კი უიარაღო მოსახლეობას მტერს დაუტოვებს და თვითონ სამშვიდობოს გარბის; სატვირთო მანქანებით ჯართს ეზიდება, არ ადარდებს თოვლსა და ყინვაში მიმავალი მოხუცები, ქალები, ბავშვები, რომელთა გადარჩენაც შეიძლება და რომელთა ნაწილიც სიცოცხლეს უღელტეხილზე ტოვებს; არ ადარდებს სამეგრელოში დატრიალებული უღმერთობა, ფულისა და სიმდიდრისათვის დაუთოებელი ადამიანები, გაუპატიურებული ქალწულები, ობლად დარჩენილი ბავშვები.

„აფხაზი გაჭირვებაში ჩავარდნილ აფხაზს არასოდეს მოექცევა ისე, როგორც ჩვენ ერთმანეთს უღელტეხილზე მოვეპყარით. ჩვენ ტერიტორიულ ომში კი არ დავმარცხდით, არამედ - ზნეობრივ ომში... საკუთარ თავთან... სულჩარჩიანმა დიდჩინოსნებმა,... ვყიდეთ და ვყიდეთ მკვდარი სულები ამ ომში, რომელიც არა და არ უნდა დაწყებულიყო... კაცობა გავყიდეთ და გავყიდეთ იმედი და რწმენა...“ [ოდიშარია, 1999: 195]. კიდევ ერთი დიდი მწერალი გვახსენდება - ნიკო ლორთქიფანიძე - საუკუნის დასაწყისში ხომ სწორედ ამას გოდებდა, რომ იყიდებოდა საქართველო ყველგან და ყველას მიერ. საუკუნის ბოლოსაც იგივე ხდება.

**გადაგვარების** მოსურნე შეჭამოს ტურა-მელამაო, წერდა დიდი აკაკი. სამწუხაროდ, ეს მოსურნეები არც ჩვენს ეპოქაში დაჰკლებია საქართველოს, ან, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, გაუსრულებიათ გადაგვარება. „ნურავის ჰგონია, რომ გადავლახეთ ის ავადსახსენებელი უღელტეხილი. ჩვენ შუა უღელტეხილზე ვიმყოფებით, სიკვდილ-სიცოცხლის სამანზე... **გადაგვარებული** მამულიშვილები“. [ოდიშარია. 1995: 193]. ვფიქრობთ, რომანის ეს მონაკვეთი ზეპირად უნდა ვასწავლოთ

ბავშვებს, რომ დიდობაში თანამედროვე პოლიტიკოსებს არ დაემსგავსონ. დიდი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები კი ყველა საუკუნეში ერთნაირი სიზუსტით აგნებენ ერის წყლულებს და მათი მოშუშებისათვის ერთნაირად არიან დამაშვრელნი.

ავტორი გულდასმით ათვალთვლებს, როგორც უკვე ვთქვით, საქართველოს დასახიჩრებულ სხეულს და ყველა იარას თავის სახელს არქმევს. ამდენი ხნის განმავლობაში ჩვენი ამდენჯერ დამარცხების უმთავრესი მიზეზი სწორედ ისაა, რომ ვერა და ვერ ვისწავლეთ ამა თუ იმ მოვლენასა და პრობლემას თავისი სახელი დავარქვათ, დავინახოთ მისი დადებითი თუ უარყოფითი მხარე, დავადგინოთ გამომწვევი მიზეზი, რომ მოვაგვაროთ პრობლემები, მოვიშუშოთ წყლულები, შევძლოთ წინსვლა, არ ვიტრიალოთ წრეზე. ერთ-ერთ ჭრილობას ჩარჩული სულის აღზევება ჰქვია. ბატონი გურამი იხსენებს რაინდი მეომრის - ვასიკო ჯიშკარიანის სიტყვებს: „მოვა დრო და აუცილებლად შევრიგდებით ქართველები და აფხაზები, უპირველესად, ნამდვილი მეომრები შევრიგდებით.... მამული, მთები და მდინარეები, გეოგრაფია და გეოპოლიტიკა კი არ არის, მამული ადამიანია!“ [ოდიშარია, 1995: 193-195].

მწერლის თვალსაზრისით, მოშლილია სახელმწიფოს ერთიანობის და მისი სინდისის ერთიანობის სტრუქტურა, ასევე ერთიანი პასუხისმგებლობის გრძნობაც [ოდიშარია. 1995: 196]. ობიექტურად და სწორად მოაზროვნე მწერალი ამბობს, რომ ომის მსხვერპლი ყოველთვის უდანაშაულო და უმანკო ადამიანები არიან: პოეტი ეთერ სამხარაძე-ჯღამაძე, ...ჟვანიას გვარის ოქროსფერთმიანი ქალიშვილები, ... თენგიზ ვადაქარია - ნაადრევად გაჭაღარავებული მხატვარი... მისი აფხაზი მეზობელი ვოვა, რომელმაც თავი გაწირა ქართველი მეგობრისათვის - ემუდარა ე. წ. ბაგრამიანის ბატალიონის ჯარისკაცებს, გაუშვითო, მაგრამ არაფერმა გაჭრა. მაშინ ჯერ მე დამხვრიტეთო, ...ახლავეო, - უპასუხეს და დაცხრილეს... [ოდიშარია. 1995: 197]. ჰაკი ამბას თავგანწირვის მაგალითი გამეორდა. ამიტომაც სწამს და სჯერა მწერალს, რომ ხალხების სიბრძნე და სიყვარული ერთმანეთისაკენ გაიკვლევს ომით დანგრეულ გზას [ოდიშარია. 1995: 198].

ომმა ბევრი ადამიანის ცხოვრების გზა დაანგრია. რომანში ერთი პატარა მონაკვეთია ძალიან საინტერესო სათაურით - „მონასტრიდან გამოსული დიანა“.

დიანა თავისი არამიწიერი სილამაზით ძალიან ჰგავს გოგლა ლეონიძის მარიტას; მწერალი საოცარი ეპითეტებით აღწერს მას: „ღიმილი ნათელი და კეთილშობილი, თვალები ღრმა და იდუმალი... ქალი კი არა, უკვდავება“ [ოდიშარია. 1995: 102]. ეს გარეგნული სილამაზეა, რომელსაც საოცრად ავსებს სულიერი სიძლიერე: „...არიან ქალები, რომლებიც გამაღლებენ, სხვა შნოს გაძლევენ, რაინდულს გხდიან. ქალები - ფრთები...“ [იგივე]. მწერალს რამდენჯერმე უნახავს ეკლესიაში, ისეთი თვალები ჰქონდა, თითქოს ახლახან ანგელოზებს უყურებდაო, იხსენებს იგი, როცა თბილისის ოხშივარადენილ მეტროში იხილავს მწერალი დიანას, მისი თვალებიდან კვლავ ზღვის სითბო იღვრება, მაგრამ ეს თვალები იმასაც ეუბნება, ხედავ, რა დღეში ვარ, მაგრამ მეტი რა ჩარა მაქვსო.

მაინც რა დღეში უნდა ყოფილიყო ქალი-უკვდავება, ქალი-ანგელოზების მაყურებელი, ქალი-ფრთები? მზერა არ მოეწონა მწერალს, ღიმილი, ბოლოს კი სიარული - პორნოფილმების ქალებს დაემსგავსა რაღაცითო... ამის გაფიქრებაც კი ჰზარავს ავტორს: „ღმერთმა ნუ ქნას! თუ ეს მართლა ასეა, მაშინ შეუძლებელი გახდება სოხუმის დაბრუნება - ის ხომ ნაწილია სოხუმის. ზღვას აკლია იგი -მონასტრიდან გამოსული დიანა“ [ოდიშარია. 1995: 104].

რომანის ამ პატარა მონაკვეთში ტრაგედიამდე მისულ დრამას გადმოგვცემს მწერალი მეტაფორულად, კიდევ ერთ უმთავრეს უბედურებას გვამცნობს ჩვენი ქვეყნისას, რომლის შესახებაც მიხეილ ჯავახიშვილი ამბობდა: „ქალს და მიწას ერთი და იგივე თვისება აქვს - მისია, ვინც უვლის და პატრონობს“. სამწუხაროდ, ვერც გოგლას და ვერც კოლხეთის მარიტას ვერ უპატრონა ქართველმა კაცმა, ისე, როგორც თეიმურაზ ხევისთავმა ვერ უპატრონა საკუთარ მეუღლეს, წინაპართა განძსა და მამულს.

მნიშვნელოვნად მიგვაჩნია რომანის ამ მონაკვეთის სათაურიც - „მონასტრიდან გამოსული დიანა“. ავტორი თითქოს მიგვანიშნებს, რომ ღვთაებრივი მადლის ადგილი მიატოვა გმირმა და, შესაბამისად, მისი ცხოვრებაც დრამატულად სწორედ ამიტომ განვითარდა.

მრავალწლიანმა ათეისტურმა სივრცემ ღმერთი დაგვავიწყა, შედეგად, ღვთაებრივი მადლიც დაგვარგეთ. მაშინაც კი ვებრძოდით ერთმანეთს იარაღით, როცა სოხუმელები და გულრიფშელები ჯოჯოხეთურ გზას - დევნილთა უღელტეხილს შეუდგნენ. ალბათ, მხოლოდ შემთხვევითობას ვერ მივაწერთ იმას, რომ უფლის ცხოველსმყოფელი ჯვრის ამალგების დღესასწაულზე, 27 სექტემბერს დაეცა სოხუმი. „კოდორის ხიდი ვერადავერ გაარღვიეს სხვადასხვა ნომრისა და დასახელების ბატალიონებმა. ხალხი ხსნის ერთადერთ, სვანეთისაკენ მიმავალ გზას დაადგა.... მოდიან... მაგრამ მათ არ მოუძღვით წინ არც მოსე, არც მწყემსი კეთილი... მოაბიჯებს ჯვრის სიმძიმით გათანგული ჯვარცმული ხალხი!“ [ოდიშარია. 1995: 78].

მწერალი უმწყემსოდ დარჩენილი ხალხის ტრაგედიაზე ჰყვება.

„ლტოლვილთა უღელტეხილის“ ანალოგი საქართველოს ისტორიაში არ მოიძებნება. მთის განსაკუთრებულობას უსვამს ხაზს მწერალი, რომელსაც სჯერა, რომ სწორედ *უფალმა მოიყვანა ამ უღელტეხილთან, არ შეიძლებოდა სხვაგან გადაეხვია მის შარას, არ უნდა ქცეულიყო იგი კომფორტაბელურ გზად.*

ვფიქრობთ, მშობლიური ქალაქისა და ქვეყნის უზომო სიყვარულს გადმოგვცემს ეს სიტყვები. ზემოთქმულში უფრო მეტად დავრწმუნდით, როცა შემდეგი მონაკვეთი წავიკითხეთ: „თუ გადარჩება ჩვენი მამული დაღუპვას, მას მხოლოდ სიყვარულის, სიბრძნისა და სიკეთის ძალა, ნებისმიერ იარაღზე უძლეველი ძალა გადაარჩენს“ [ოდიშარია. 1995: 75].

ამ სიტყვების ავტორს თავისუფლად შეიძლება ვუწოდოთ სიყვარულის მწერალი, როგორც იოანე მახარობელს ეწოდება სიყვარულის მოციქული. სწორედ სიყვარული ამღევს შესაძლებლობას ადამიანს, ტრაგიკულ პეიზაჟში წიქარა დაინახოს, ჩვენი უბედურება ხარის გაქვავებულ სხეულში, მის მუშტისოდენა თვალებში ამოიკითხოს და პატიება სთხოვოს ადამიანთა სისასტიკის გამო: „აბა, ჩემო წიქარავ, კარგად იყავი, ძამიკო, მხსნელო ჩვენო და დამპურებელო. გვაპატიე ადამიანებს სისასტიკე და შეგვინდე ცოდვები!“ [ოდიშარია. 1995: 80].



ამ სიტყვებს მხოლოდ დიდი სულიერების მქონე ადამიანი თუ დაწერს: „თვისთა ცოდვათა განცდა“, რასაც ასე მხურვალედ ევედრებოდა ღმერთს წმინდა ეფრემ ასური, სულიერების გარეშე შეუძლებელია. ჩვენ უკვე ვთქვით, რომ ტაძარს ადარებს მწერალი მთას, რომ უფალმა მოიყვანა ამ უღელტეხილთან, მაგრამ ეს ყველაფერი როდია - მისთვის „მთა დიდი სიყვარულივითაა... მთა ომივითაა -რენტგენის სხივებით ამქლავნებს ყველას...“ [ოდიშარია. 1995: 74]. გვახსენდება მთის არსენი დიდისეული დახასიათება, რომელიც, ვფიქრობთ, პოეტური პროზის უზადო ნიმუშია: *მთები - ეს მარადისობის იეროგლიფებია. მთები - ეს სიმბოლოა მიწის სიყვარულისა და სევდის, ზეცის უსასრულო ლაჟვარდებისადმი. ცის ფირუზისფერ ოკეანეში ატყორცნილი მთები სახეა მარადისობისა და წარმავალის ერთიანობისა.*

სწორედ მარადიულისა და ამქვეყნიურის შერწყმის მაგალითებს აწყდება მწერალი სიკვდილ-სიცოცხლის გზაზე. ვის აღარ ხვდება იგი აქ, „თითქოს ერთ ქვაბში ჩაუყრია ყველა ვიღაცას. გაუძლებ ბედისწერის გამოცდას? - იცოცხლებ!“ რამდენი საშინელი აღსასრულის ხილვა ელოდება მწერალსა და მის მეგობარს. ამ საოცარ გარდაცვალებებს, სვანეთის მკაცრი მთების ალპურ ზონაში, გამაოგნებლად გადმოგვცემს მწერალი: *„ზეციური საქართველოს საზღვრებამდე ისედაც თავიანთი ფეხით ამოსულები ჟამის ერთ გაელვებაში გვტოვებდნენ... გული, ეს უსათნოესი და უფაქიზესი მეგობარი, უწმინდეს საიდუმლოთა საღარო ყუჩდებოდა“* [ოდიშარია. 1995: 84] სათქმელის ასე დაწურვის, ამდენი ტკივილის ასე პოეტურად და, ამავდროულად, სულისშემძვრელად გადმოცემა დიდი ოსტატობაა. დიდი ადამიანობა და გმირობაა ომის სასტიკი სპექტაკლის მონაწილენი შემდეგი სიტყვებით ანუგეშო: *„ნეტარი სიკვდილით გარდაიცვალნენ ისინი. დაღუპულებს, რომლებსაც გზაზე ვხვდებოდით, მშვიდი სახეები ჰქონდათ და ტანჯვის არავითარი ნიშანი არ ეტყობოდათ... მერწმუნეთ, სულ სხვაა, როცა უღმერთო გზის შემდეგ მშვიდად უბრუნდები მშობლიურ სახლს... მარადისობას...“* [ოდიშარია. 1995: 86]. ჩემი აზრით, ნამდვილად არ გადავაჭარბებ თუ ვიტყვი, რომ მეგონა, რომელიმე, წმინდა მამის ნააზრევს ვკითხულობდი. თუ არ ვცდები, სერაფიმ საროველი პირდაპირ ასე წერს, რომ ის მდგმურია ამქვეყნად, ხოლო მატრონუმკა მოსკოველის ტროპარში წერია - „ამქვეყნად მდგმურსა და მწირს“.

მთის სიმკაცრისა და ყინვის შემდეგ დევნილებს ადამიანთა უგვანობისთვისაც უნდა გაეძლიათ. მწერალი ჰყვება, რომ რეალურად არსებული ყაჩაღები მარცვავდნენ დევნილებს, ჯარისკაცებს ართმევდნენ იარაღს და არა მხოლოდ იარაღს ართმევდნენ, არამედ სიცოცხლესაც ასალმებდნენ. ამდენი უღმერთობის ჩამდენთ თანამემამულეების წინააღმდეგ, ღმერთი როგორ შეგვეწყოდა?!

მწერალმა ესეც დაგვანახა, თუ როგორ დაეცა იქამდე ზოგი, რომ მოძმის სისხლის ფასად მოპოვებული იარაღით ვაჭრობა დაიწყო, ბრძოლის ნაცვლად, და ომს როგორღა მოიგებდა!? მოძმის სისხლი ხომ ცაში ღმერთს შეჰღალადებს და სამართალს ითხოვს?! „საცოდავი სანახავია დამარცხებული ჯარი. მიდიან თავჩაქინდრული სიამაყემელახული მეომრები, თვალს ვერავის უსწორებენ...“. [ოდიშარია. 1995: 66] ზოგს ზურგზე მიბმული პატარა ბავშვები ეყინება. ამდენი ტრაგედიის შემსწრე პატარა ჯარისკაცი კი უკვე ვეღარც ტირის... გაშემდება და გაქვავდება ადამიანი ამდენი დედისა თუ ამდენი შვილის საცოდავობით. ორი შვილი რომ გაეყინება ქალს, მესამის მოსავლელად და გზის გასაგრძელებლად ძალა აღარ ყოფნის ბავშვს ლტოლვილებს მიაბარებს და საკუთარ თავს კი - უღელტეხილის უფსკრულებს.

ნიკო ლორთქიფანიძის „ტრაგედია უგმიროთაც“ მეორდება სვანეთის მთებში. ავტორს მწერალი სერგო წურწუშია უყვება ახალგაზრდა ქალის ამბავს, რომელმაც კვერები სთხოვათ ბავშვისათვის და ცოტა ხანში, „*ვხედავ, ხეს ამოეფარა და სწრაფად დაიწყო ცხელი კვერების ჭამა. რატომღაც ყველაზე მეტად მაშინ შემეცოდა ხალხი*“ [ოდიშარია. 1995: 92] ამაზე დიდი ტრაგედია თითქოს მართლაც არ უნდა არსებობდეს, მაგრამ ამ ჯვარცმულ უღელტეხილზე ნამდვილად არსებობს - მის შუაგულში მდგარი მკერდში მომაკვდავვილჩაკრული ახალგაზრდა მამა, რომელიც ხმამაღლა წყევლის პოლიტიკოსებს და არაპოლიტიკოსებს,... ვინც თავისი წილი თიხა და ღორღი მოზიდა, ცოდვები და ვაება მოიტანა, შექმნა, ააგო, აღმართა და ააბოხოქრა ეს უღელტეხილი. უკვე აღარ მიკვირს, რომ ამ ყველაფრის შემსწრე და გამგონე მწერალი იტყვის უღელტეხილის შესახებ: „*იგი სამივე ჟამში გაიხირა, წარსულისა და მომავლის, აწმყოს მაგიურ ტრიპტიქად მექცა ... ჯვარცმული უღელტეხილი... მამულის უწმინდესი ჰაერით გაჟღენთილი...*“ [ოდიშარია. 1999: 9].

ავტორი რომანში ერთი მნიშვნელოვანი დეტალის შესახებაც საუბრობს, კერძოდ, იგი ამბობს, რომ, მთებში ყოფნისას, წინასწარმეტყველური სიზმარი ნახა... „იდუმალმა არსებამ მეყსეულად მიჩვენა მთელი გზა... ეს სწორედ მან გამაღვიძა პირველ ოქტომბერს გამთენიისას, მიბრძანა, გადავსულიყავი უღელტეხილზე...“ [ოდიშარია. 1999: 69].

შეუძლებელია მკითხველს არ გაახსენდეს **დავით გურამიშვილის ხილვა-სიზმარი**, სადაც ბნელ ხაროში ჩაგდებულ, ქრისტიანულ სამყაროს მოწყვეტილ პოეტს, ღვთისმშობელი ჩასძახებს: „ადეო, ადეო... შორს ახლიხარ საყვარელს, ახლოს განემზადეო..., ადექ, წამოდი, წავიდეთ, მე წაგიძღვები წინაო“ [გურამიშვილი, 1955: 180].

მიუხედავად ქართულ-აფხაზური კონფრონტაციისა, იგონებს მწერალი, მამაჩემს იმდენი აფხაზი მეგობარი ჰყავდა, რომ ვერასოდეს წარმოიდგენდა მსგავსი ომის შესაძლებლობას, მას მხოლოდ ამერიკა-საბჭოთა კავშირის ომი აშინებდაო.

ეს ომი დღემდე გრძელდება და თუ ჩვენი ქვეყნის ე. წ. თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის სამ ათეულ წელს გადავხედავთ დავრწმუნდებით, რომ რუსთაველზე დაწყებული ომი სწორედ იმპერიათა ომია კავკასიისათვის, მაგრამ ახლომხედველი (ან საერთოდ ბრმა), ნაკლებმორწმუნე (ან საერთოდ ურწმუნო) ქართველების ხელით წარმოებული. არც კავკასია გვიხსენებია შემთხვევით; კავკასიის ერთიანობის იდეას, დავით აღმაშენებლის შემდეგ, ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში მხოლოდ ორმა ქართველმა მიაქცია ყურადღება - წმინდა ილია მართალმა და საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა - ზვიად გამსახურდიამ. ორივე ქართული სახელმწიფოს დაუძინებელმა მტრებმა ქართველების ხელითვე გამოასალმეს სიცოცხლეს. ყოველმა იმპერიამ ყოველთვის უწყოდა, რომ კავკასიაში ბატონობის უმთავრესი პირობა საქართველოს ფლობაა.

*ჯემალ თოფურიძის „დიოსკურია ზღვაში ჩაძირული ქალაქია.“*

მოთხრობა (თუ მცირე რომანი), მიუხედავად მცირე ფორმატისა, იმდენად მძიმე წასაკითხია, პერსონაჟების ტრაგიკული ბედიდან გამომდინარე, ორჯერ-სამჯერ

მივუბრუნდით, მაგრამ ტექსტზე წერა მაინც ვერ დავიწყეთ. ალბათ, კიდევ დიდხანს გაგრძელდებოდა ფიქრი ამ *უცნაური ნასკვის* გამოსახსნელად, რომ არა ბატონ გურამ ოდიშარიას შესანიშნავი ფეისბუქსტატუსი. დიდი გულისტკივილით ნათქვამმა სიტყვამ კვლავ გაგვახსენა ჩვენთვის, ქართველებისთვის, „ჩაძირული“ აფხაზეთი და პირველად დავფიქრდით – როდის დაიწერა ჯემალ თოფურიძის მოთხრობა? ავტორის ბიოგრაფიას არ ვიცნობდით და გვეგონა, 90-იან წლებში იქნებოდა მოთხრობა დაწერილი, მაგრამ, ინფორმაციის მოძიების შედეგად, აღმოვაჩინეთ, რომ მწერალი 1978 წლის 22 აპრილს, სრულიად ახალგაზრდა, ოცდათერთმეტი წლის ასაკში ტრაგიკულად დაღუპულა. მისი გარდაცვალებიდან ძალიან მალე, ჟურნალ, „ცისკარში“ იბეჭდება ეს მოთხრობა.

კონსტანტინე გამსახურდია ამბობდა, „სათაური მწერლის სანახევრო გამარჯვებაა“. ვფიქრობთ, სწორედ ასეთი გამარჯვებაა, უფრო სწორად, წინასწარმეტყველება (ნაწარმოების დაწერის თარიღიდან გამომდინარე) სათაური - „დიოსკურია ზღვაში ჩაძირული ქალაქია“.

ზღვაში ჩაძირვა მხოლოდ ამ ძველი ქალაქის ტრაგედია არაა, თავად მოთხრობის გმირების თავგადასავალია ტრაგიკული. მოთხრობა ტრავმული პროზის საუკეთესო ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს. მწერალი სიუჟეტს ძირითადად ორ დროში, აწმყოსა და წარსულში, ავითარებს. ნიშანდობლივია ფაქტი, რომ მომავალი დრო მხოლოდ სიკვდილთან ასოცირდება – „მემახიან, ბიჭის ლოგინი ცარიელია, მარინა წასულია, კოტიკა მოკვდება“ [თოფურიძე, ელვერსია].

ეს მოჩვენება, სიცარიელე, მიტოვება და სიკვდილი ლაიტმოტივად გასდევს მთელ ნაწარმოებს. მწერლის ენა საოცარი ლაკონიზმით გამოირჩევა - ავტორი დიდ ოჯახურ ტრაგედიას უმარტივესი, ხშირად ორსამსიტყვიანი წინადადებებით გადმოგვცემს. ნაწარმოებში, შეიძლება ითქვას, ეპოქალური მოვლენებია გადმოცემული, რომლებიც მთავარი პერსონაჟების შინაგანი, ღრმა, ფსიქოემოციური ფონის წარმოჩენით აირეკლება. ამავდროულად, გავიმეორებთ ზემოთქმულს, თუ გავითვალისწინებთ ნაწარმოების დაწერის თარიღს და ავტორის ნაადრევ ტრაგიკულ გარდაცვალებას, ტექსტი ერთგვარ წინასწარმეტყველურ თხზულებადაც შეიძლება მივიჩნიოთ. ნაწარმოებში მოქმედება ერთდროულად სამივე დროში მიმდინარეობს და მწერალი

შეუმჩნევლად, დიდი ოსტატობით ამოგზაურებს მკითხველს წარსულში, აწმყოსა და მომავალში - ისე, თითქოს გაერთიანებულიყოს დროის ჰიპოსტასები იმ სამ თაობასთან ერთად, რომელთა ტრაგიკულ ცხოვრებასაც აღწერს ავტორი.

ნაწარმოები ვერაგი განცდის, შიშის აღწერით იწყება. მთავარ გმირს ღია ფანჯრის შიში აქვს, რაზეც მის მეუღლეს, რომელიც მასთან უკვე აღარ არის, ეცინება; ბიჭი, ერთი წელია, აქ აღარ ცხოვრობს. ბიჭის ლოგინი ცარიელია, ისევე, როგორც ცარიელია საწოლის ის მხარეც, სადაც მარინა უნდა იწვეს, და ბუნებრივია, მთავარ გმირს თავი „შუაზე გაჭრილი ვაშლი ჰგონია“ [თოფურიძე, ელვერსია].

მწერალმა რამდენიმე წინადადებით დანგრეული ოჯახის დრამატული მდგომარეობა უკვე დახატა. მოთხრობის ფინალში მკითხველი კვლავ ხვდება არა მოქმედ, არამედ - პერსონაჟის მოგონებებით დახასიათებულ გმირებს - მარინას და ბიჭს, რომელთაც საბოლოოდ დაკარგავს მეუღლე და მამა, რომელიც სიცოცხლეს ტრაგიკულად დაასრულებს.

რა ტრიალებდა მთავარი გმირის თავს იქამდე, რატომ განვითარდა ოჯახის ისტორია დრამატულად?! ყველაფრის სათავე ბავშვობასა და ყრმობაში გადატანილი ტრაგედიებია – „ყველაფერი მამაჩემით დაიწყო. მამაჩემით კი არა, იმ მამაკაცით, მეფისტოფელს რომ მიუგავდა სახე და ბაბუაჩემს რომ ემახდნენ“ [თოფურიძე, ელვერსია], - ამბობს მთავარი გმირი, რომელიც ერთდროულად მთხრობელიცაა და პერსონაჟიც.

ბაბუის დახასიათება ერთობ მნიშვნელოვანი ფრაზით იწყება - მეფისტოფელს მიუგავდა სახეო. ჯემალ თოფურიძისეული ბაბუა ნოდარ დუმბაძის პერსონაჟს მოთხრობიდან „სისხლი“ - ბაბუას, რომელიც, მართალია, ჭადარზე ჭლიკით დაკიდებას ჰპირდება ბიჭს, მაგრამ მხსნელად, მეგობრად, თანამოაზრედ და მამის სახე-სიმბოლოდ ევლინება.

თემურისთვის გაუგებარია, თუ „რატოა ამ ხალხში ისეთი აზრი, თითქოს ბებიები და ბაბუები გადასარევეები იყვნენ“ [თოფურიძე, ელვერსია]. მას სწორედ ბაბუის ქმედების გამო ჰქონდა ღია ფანჯრის შიში, ხოლო მარინას ბებიის დახასიათებით – „ბროდიაგები, გიჟები, ნენორმალურიები და კიდო ლოთები“ [თოფურიძე, ელვერსია]

აი, ამ „საზოგადოების“ წარმომადგენელი გახლავთ იგი. სინამდვილეში რას წარმოადგენს და ამდაგვარი ეპითეტებით რატომ ამკობენ, რამ ან ვინ მიიყვანა იგი ამ მდგომარეობამდე? მთავარ გმირს რომ ჰკითხოთ – თქვენ გამაგიჟეთ! – უყვირის დედას, მაგრამ მრავლობითში ნათქვამი – თქვენ, როგორც შევიტყობთ ყველას შეიძლება შეეხოს, გარდა დედისა, რომელსაც შვილის ნაფიქრალიც კი ესმის. **თქვენ**, უპირველეს ყოვლისა, სწორედ **ბაბუა-მეფისტოფელია**, რომელმაც ხუთი წლის ბიჭი ხელში აიყვანა... ფანჯრიდან გადაჰყო და რძალს, გველივით მიშტერებულმა, ულტიმატუმი წაუყენა – დატოვებ ჩემს შვილს და ამასაც ვეღარ ნახავ! [თოფურიძე, ელვერსია] აი, საიდან მომდინარეობს ახალგაზრდა კაცის ფსიქიკაში გამჯდარი ღია ფანჯრის შიში – ბავშვი ძალიან ხშირად კიოდა ღამით.

ბაბუის მხატვრულ სახეს შედარებაც შეემატა – **გველივით**.

დიდი ცოდვა იყო იმ სახლში გაჩერება, დედას გაქცევა სურდა, მაგრამ ეშინოდა, შვილს მომიკლავსო. თემურის ორბზაციან მოგონებაში ორი მნიშვნელოვანი კვანძი შეიკრა – რატომ უნდა მიეტოვებინა ცოლს ქმარი და რატომ იყო **დიდი ცოდვა** იმ სახლში გაჩერება? მთავარი გმირი ისევ მოგონებებში გადაეშვება და ავტორი კი, დამახასიათებელი ლაკონიურობით, უმარტივესად გადმოგვცემს, ბედნიერი ოჯახის იდილიას როგორ დაარღვევს და დაანგრევს **ვიღაც ორი კაცი**, რომლებიც მამას ისე წაიყვანენ, რომ ოჯახში კაცი დასრულებულ წინადადებასაც ვერ ტოვებს – „... მე შეიძლება... არ შეგეშინდეთ“ [თოფურიძე, ელვერსია].

სამი დღის შემდეგ დაბრუნებულ თემურს არავისთვის შეუხედავს, ბიჭისთვისაც კი (ნიშანდობლივია, რომ მამასაც თემური ჰქვია, ხოლო ბაბუის და პატარა ბიჭის სახელები ნაწარმოებში არ გვხვდება. ჩვენი აზრით, ესეც ერთგვარი მინიშნებაა ავტორის მიერ ამ სამი და, დამატებით მეოთხე, თაობის ერთიანობისა). მისი მონათხრობის გარეშე იგებს მკითხველი, სრულიად უდანაშაულოდ, მოადგილის მიერ ვიღაც ვლასოველის მიღების გამო, როგორ გაათავისუფლეს სამსახურიდან (ეს იმ ავადსახსენებელი წლებიდან უკეთესი შემთხვევა იყო, ვიდრე უგზოუკვლოდ დაკარგვა ან საშინელი წამებით აღსრულება, მაგრამ მორალური სასჯელი ნაკლები სატანჯველი არ აღმოჩნდება თემურისათვის, რომელიც ტრაგიკულად დაასრულებს

სიცოცხლეს). „დაწვა კაცი. კედლისაკენ გადატრიალდა და ერთი კვირა ხმა არ ამოუღია. ზოგჯერ შპალერს წიწკნიდა“ [თოფურიძე, ელვერსია].

ძუნწი მონასმებით დახატა მწერალმა კომუნისტური რეჟიმის სისასტიკე, სისტემის შიშით ფსიქიკა- და ოჯახდანგრეული პიროვნება. წერის ეს მანერა, სათქმელის ტევადობის თვალსაზრისით, სიტყვებს შორის ართქმულის თქმით, ძალიან ჰგავს ნიკო ლორთქიფანიძის სტილს (განსაკუთრებით, ალბათ, თავსაფრიანი დედაკაცის ტრაგედიის აღწერას).

თემურთან (მამასთან) სუფთახელებიანმა ექიმმა დაიწყო სიარული, რომლის უპირველესი რეკომენდაცია გახლდათ – მარტო ნუ დატოვებთ. ეს რჩევა ბიჭსაც ეხებოდა – ამასაც ნუ დატოვებთ მარტო. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კვანძი შეიკრა მოთხრობაში.

სახლში, რომელიც ადრე სტუმრიანობით გამოირჩეოდა, „ერთი წელი სიჩუმე იყო, მხოლოდ ექიმი დადიოდა, და ისიც გვიან, რომ დაბნელებოდა“ [თოფურიძე, ელვერსია]. ამ ორიოდ წინადადებით ავტორმა შეძლო გადმოეცა, განსაცდელში ჩავარდნილი ოჯახი, შიშის გამო, როგორ მიატოვეს ახლობლებმა; ექიმიც კი მხოლოდ სიბნელეში დაიარება. ასეთი გახლდათ ის საზოგადოებრივი ფორმაცია, რომელიც *მეფისტოფელმა ბაბუებმა* ააშენეს, რომელთაც შვილები - თვითმკვლელობამდე, ხოლო შვილიშვილები „ბროდიაგობამდე“, „ნენორმალურობამდე“ და, საბოლოოდ, კატასტროფამდე მიიყვანეს.

ერთი წლის შემდეგ მკურნალობამ თითქოს შედეგი გამოიღო, კაცმა ლაპარაკი დაიწყო, ბიჭიც ხმამაღლა იცინოდა, იქამდე პირზე ხელს აფარებდნენ, მამისთვის სიმყუდროვე რომ არ დაერღვია; მაგრამ ერთ მშვენიერ ღამესაც „ქალს ესიზმრებოდა, რომ ზღვაში იხრჩობოდა, სინამდვილეში კი ქმრის ხელები მაგრად უჭერდნენ ყელზე... ბავშვმა ტირილი დაიწყო, კაცი ხმამაღლა იცინოდა“ [თოფურიძე, ელვერსია] მკითხველისათვის ნათელი ხდება, თუ რატომ უნდა წასულიყო ქალი ამ სახლიდან - საკუთარი თავი და, უპირველეს ყოვლისა, ბიჭი რომ გადაერჩინა. მისი ქმრის მდგომარეობა ცხადზე ცხადი გახლდათ და ექიმის „ემველებაც“ ისე იყო ნათქვამი, როგორც ამბობენ - გამარჯობა, მშვიდობით.

ქალი ატირებულ ბავშვს ამშვიდებდა, თან ცდილობდა, ქმარი გულისხმაში ჩაეგდო – „თემურ! ჩვენ ვართ, შენი ჭირიმე, მე და შენი ბიჭი! ბებერი სასწრაფოში რეკავდა“ [თოფურიძე, ელვერსია].

მოთხრობის წინამდებარე პასაჟი ჩვენს საკვლევ თემატიკას ეხმიანება, ექსპრესიითა და უჩვეულო სიმართლითაა გაჯერებული იმდენად, რამდენადაც უკვე შეშლილი ადამიანის ხილვა-ჩვენებას წარმოადგენს.

ცხადში დანახული ხილვა შეეხება წარსულში ჩაძირულ ქალაქს – დიოსკურიას. კაცი იმდენად ცოცხლად აღწერს ამ ქალაქში მიმდინარე მოვლენებს, რომ მკითხველი თითქოს მართლაც ხედავს ზღვისა და ქალაქის ორთაბრძოლას და, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ეს ბრძოლაც და მისი მიზეზ-შედეგობრიობაც ავტორს მხოლოდ ორ აბზაცში აქვს გადმოცემული – *ერთ დროს სიცოცხლე იყო დიოსკურიაზე და ზღვა სულ არ იყო იქ. მერე ზღვა მივიდა. დიოსკურია კუნძულად გადაიქცა... ხალხი თავიდან აშენებდა დანგრეულ სახლებს და ოჯახებს. შემდეგ ისევ მოვარდებოდა ზღვა და თავიდან იწყებოდა ყველაფერი* [თოფურიძე, ელვერსია] შემდეგ რატომღაც აღარ ერჩოდა ზღვა ქალაქს, მაგრამ *ახლა ადამიანები დაერივნენ ერთმანეთს: ხოცავდნენ, ჟლეტდნენ, სპობდნენ! ადამიანები თავიანთ საკუთარ ოჯახებსაც ანგრევდნენ და სპობდნენ ფიზიკურად და მორალურად. შეგნებულად და შეუგნებლად, ნებით და უნებლიეთ* [თოფურიძე, ელვერსია].

კითხვისას შეუძლებელია აფხაზეთის ომი არ დაგვიდგეს თვალწინ, არ გაგვახსენდეს გასული საუკუნის 90-იანი წლების ომები, რომლებიც „დახვეწილი“ და „ცივილიზებული“ ფორმებით მიმდინარეობს დღესაც. ეს უმძიმესი პასაჟი ტექსტისა კომუნისტური, მეფისტოფელური სისტემის ანარეკლია, რეჟიმისაგან შეშლილი ადამიანის წინასწარმეტყველებაა - *ჯერ კიდევ 70-იან წლებში. ამ ყველაფერს შეშლილი ხედავს და როგორც მ ო მ ა ვ ა ლ ს, ისე აღწერს წ ა რ ს უ ლ ს ა წ მ ყ ო შ ი.* მთელ მოთხრობაში სამი დროის ერთიანობას ვხედავთ, მაგრამ თხზულების ამ მონაკვეთში ეს განსაკუთრებული სიმძაფრით ვლინდება.

დავაკვირდეთ, შეშლილის აზრით, რა იყო დიოსკურიის გაჩენისა და გაქრობის მიზეზი: „ზღვამ გააჩინა დიოსკურია და მისცა ადამიანებს სიცოცხლე და სიკეთე... რომ



გაიგო ხალხის ცოდვები, უკან დაბრუნდა და ჩაძირა მთლიანად თეთრი ქალაქი“ [თოფურიძე, ელვერსია].

ყველაზე მნიშვნელოვანი, რის თქმაც სურს ავტორს და რაც ამ აბზაცში ფიგურირებს, არის *ცოდვები, რომლებიც განაპირობებს ჩაძირვას*. შეუძლებელია არ გაგვახსენდეს გურამ ოდიშარიას ნარატივი, სადაც იმ საშინელებათა მიზეზი, რაც სვანეთის მთებში მიმავალ ლტოლვილებს გადახდათ თავს, სწორედ რომ ცოდვები იყო.

დიოსკურიის ტრაგედიით ავტორი კვლავ წინასწარმეტყველებს თითქოს, ისევე, როგორც მისი გმირი, მართლაც ხედავს 90-იანი წლების სოხუმს (და სრულიად საქართველოს), რომელიც ჩვენთვის, ქართველებისათვის, ისევე „ჩაძირა“, როგორც დიოსკურია. აქ აუცილებლად გაჩნდება კითხვა – რატომ სრულიად საქართველოს? მას საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მიღებულმა თავისუფლებამ ორი მარგალიტი წაართვა – სამაჩაბლო და აფხაზეთი. მოთხრობის სიუჟეტის მიხედვით ჯერ კიდევ 70-იან წლებში პერსონაჟები – ქალი და ბიჭი - უკვე ლტოლვილები არიან.

იმ საშინელი ღამის გახსენების შემდეგ, თემური კვლავ აწმყოში ბრუნდება, მაგრამ საინტერესოა, რას ხედავს იგი აწმყოში? რა ელოდება მომავალში? სამწუხაროდ, მხოლოდ პანაშვიდზე მიტანილ გვირგვინები წარწერით - *დავტირით უდროოდ დაღუპულ თემურს*. საშინელი წინათგრძნობა მოთხრობის ფინალში რეალობად იქცევა. პერსონაჟი კვლავ წარსულს უბრუნდება და თოვლს იხსენებს, რომელიც ასე იშვიათია სოხუმში, დროს, როცა მამა კარგად იყო და ათი წლის ბიჭი მეთევზეებთან უნდა წაეყვანა, მაგრამ ცარიელ სახლში ბიჭი მაღალჭერიანი ოთახის შუაგულში თოვზე დაკიდებულ მამას ხედავს. „დაგვიანებული იყო ყველაფერი. მე თოვს ხელები გავუშვი და მაგრად ჩავეხუტე მამას ისე, როგორც თვითონ მიხუტებდა ხოლმე... თოკი ცხოვრება იყო თითქოს და დაგვცინოდა თავისი სიძლიერით. ვის გიფრენიათ მამასთან ერთად ასეთ ღამაზე საქანელაზე?!“ [თოფურიძე, ელვერსია] ეს ტრაგედია, რა თქმა უნდა, უპირველესი მიზეზია ბიჭის ცხოვრების დანგრევისა, მაგრამ ამით არ მთავრდება მის ტრაგედიები მამის „ხელახალი“ სიკვდილი და ბიძის რამდენიმეწლიანი თვითმკვლელობა ჯერ კიდევ წინ ელის პერსონაჟს.

მამის შემზარავი სიკვდილის შემდეგ, პირველი სიტყვა, რომელიც მეფისტოფელი ბაბუის პირიდან გაიგონა, იყო – მოვისვენე. მშობლის ამ სიტყვისათვის, ძნელია რაიმე კომენტარის გაკეთება. უძლურია მთავარი გმირიც და ფიქრობს, რომ აღარ იფიქროს. აწმყოში ბრუნდება და ხედავს გახუნებულპალტოიან შუახნის ქალს. რატომღაც ყურადღებას ამახვილებს მასზე: „ძალიან საცოდავები არიან ასეთი - შუახნის უქმროდ დარჩენილი... გაწვალებული და დაღლილი ქალები, დედაჩემივით მეცოდებიან ისინი“ [თოფურიძე, ელრესურსი].

თემის წინა თავებში ვისაუბრეთ ქალის, როგორც საქართველოს სახე-სიმბოლოს შესახებ ქართულ მწერლობაში. ჩვენი აზრით, უქმროდ დარჩენილი ქალები, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მოთხრობაში ბიჭის დედის სახელსაც ვერ ვხვდებით, უპატრონოდ დარჩენილი ქვეყანაა, გაწვალებული, დაღლილი და საცოდავი, რომელსაც არაერთი შვილი დაელუპება იმ კატასტროფებში, რომელთაც აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ომები ჰქვია საქართველოს უახლეს ისტორიაში.

გახუნებულპალტოიანი ქალბატონის გაცილების შემდეგ, ჩვენი გმირი საშინელ მკვლელობას შეესწრება – „ზურგში ურტყია. როგორ ტკიოდა, ალბათ, როგორ არ უნდოდა. ავტობუსის შოფერმა კარი არ გაუღო. რომ გაეღო... ზურგზე აჯდა და ურტყამდა დანას...“ [თოფურიძე, ელვერსია]. როგორც ვხედავთ, ავტორი ამ შემზარავ მკვლელობას და მის თანამონაწილეებს – ავტობუსის მძღოლს და სეირის მაყურებელ საზოგადოებას, დამახასიათებელი სტილით, რამდენიმე დაუმთავრებელი, სამ-სამ სიტყვიანი წინადადებებით გადმოგვცემს და, რაც ყველაზე მთავარია, საზოგადოების წევრების დიალოგის საშუალებით აკონკრეტებს, რომ მკვლელიც და მოკლულიც ქართველები არიან. **სამწუხაროდ, არც ეს პრობლემა გამჭრალა არსად პირველი კაცის შვილებიდან მოყოლებული დღემდე კლავს ძმა ძმას.** ნაწარმოებში ვხედავთ, რომ მკვლელობის შემსწრეთა ნაწილი ხუმრობს კიდევ, ყველა თანამონაწილეა ამ ახალგაზრდის მკვლელობისა.

ამდენი ტრაგედიის შემდეგ მკითხველს აუცილებლად გაუჩნდება კითხვა – მხოლოდ უბედურება ხდება ამქვეყნად? არა, რასაკვირველია. ჩვენი გმირისგან განსხვავებული ბედისა და დამოკიდებულების ადამიანებიც არსებობენ. ზემელზე მომხდარი მკვლელობის გამო თემურს მედიკოსების დახმარება დასჭირდება, მისი

მეგობარი კი ამ ამბავს ყურსაც არ ათხოვებს – „თვალწინ წუხანდელი გრიალი ედგა. არიან ადამიანები, რომელთაც სხვებზე მეტად აქვთ შეგნებული, რომ **ერთხელ მოსულან ამქვეყანაზე**“. [თოფურიძე, ელვერსია], არავითარ სიამოვნებას არ იკლებენ... შოულობენ ბევრ ფულს... ქეიფობენ, მოგზაურობენ... ცდილობენ არაფერზე იდარდონ. **ერთხელ მოსულთ**, ერთი შეხედვით, დიდი გრძნობები უნდა გააჩნდეთ, თუ მათ მოლხენა-მხიარულებას გავითვალისწინებთ, სინამდვილეში კი საზოგადოების სწორედ ეს ნაწილი წარმოადგენს ვაჟა-ფშაველას „უგრძნობ კაცს“, რომელიც „მკვდარზე უსაზარლესია“ და რომელსაც არ უწერია „ტრფობის მთაზე ასვლა...“

თემური მომაკვდავ მეგობართან მიდის, სადაც მისი ადამიანურობისათვის დამახასიათებელი არა ერთი დადებითი ნიშან-თვისება იკვეთება. იმ ქვეყნიდან მოლაპარაკე კოტიკა ყველაზე მნიშვნელოვანს – მეუღლესთან შერიგებას სთხოვს: „აუცილებლად ერთად უნდა იყოთ თქვენ“ [თოფურიძე, ელვერსია] მართალია, ავადმყოფთან, კარგადაც რომ იყოს, თემურს მაინც ერიდება ამის თქმა, მაგრამ ბავშვობის მეგობარი თავად ეუბნება, რომ ის კარგად იქნება. კოტიკამ და მარინამ იციან, თემურს რომ ეშინია ღია ფანჯრის, მაგრამ კოტიკას ამაზე არასოდეს გაუცინია. მეუღლეს კვლავ ისე ახსენებს, თითქოს მასთან ერთად იყოს, ხოლო კოტიკას შესახებ ფიქრობს: „ძალიან კარგად არის ადამიანის ტვინი მოწყობილი - ბოლომდე არასოდეს არ სჯერა, რომ კვდება“ [თოფურიძე, ელვერსია]. იგივე შეიძლება ითქვას მის შესახებაც - თემურს გაცნობიერებული არა აქვს, რომ ცოლ-შვილი მისგან წასულია. ალბათ, იმიტომ, რომ თავად გადაწყვიტა ასე – ერთხელ, როცა არეული ნერვების გამო აყვირებულ მამას ბიჭმა კვილით უპასუხა, დამფრთხალი თემური მიხვდა, რომ უნდა წასულიყვნენ მისგან, თორემ ყველაფერი განმეორდებოდა - მარინაც დაიღუპება და შვილიც დამეღუპება [თოფურიძე, ელვერსია]. რა შეიძლებოდა განმეორებულიყო, ამის შესახებ უკვე ვისაუბრეთ. ცოლ-შვილის დაკარგვას იგი მხოლოდ მარინას ბებიასთან მისვლის შემდეგ ხვდება. ამაზე ცოტა მოგვიანებით. მომაკვდავ მეგობართან მისულ თემურს აბღავლების ეშინია და სწრაფად გადის ოთახიდან.

„ბიჭის ლოგინი ცარიელია. მარინა წასულია. კოტიკა მოკვდება“. [თოფურიძე, ელვერსია] - **მოჩვენება და სიცარიელე აწმყოში, ხოლო მომავალში - სიკვდილი. ისევ წარსულში გადაეშვება.**

პანაშვიდებს რომ ვერ იტანს მთავარი გმირი, გასაგებია, მაგრამ მკითხველი ამ მოგონებით იგებს, თუ რატომ ვერ იტანს ქორწილებს. ან როგორ შეიძლება აიტანოს, როცა იმ საშინელი ტრაგედიიდან, მხოლოდ ორი-სამი თვე იქნებოდა გასული, სასაფლაოდან დაბრუნებულ დედა-შვილს შინ წარმოუდგენელი სანახაობა დახვდათ: მეფისტოფელს თავზე ედგა წითელი ქაღალდისაგან გაკეთებული გვირგვინი. გვერდით ქალი ეჯდა. თეთრი საქორწინო კაბით მიხვდებოდით, რომ ქალი იყო. ცხადი გახლდათ – მეფისტოფელს ქორწილი გაემართა. დედა-შვილი უხმოდ შევლენ თავიანთ ოთახში. *„დედა ტიროდა... და ინგროდა ქვეყანა... ბიჭისთვის მეორედ მოკვდა მამა, ბებერს კი მუხლზე დაესვა საქორწინო კაბაში გამოწყობილი ურჩხული. წითელი გვირგვინი ისევ დაედო გველის თავზე“* [თოფურიძე, ელრესურსი]. ამ ეპითეტების მიხედვით მკითხველისათვის ადვილი წარმოსადგენია თემურის განცდები, არ გვიკვირს მისი ქმედება – საკუჭნაოში შევა და მამის ძველ თოფს დაუწყებს ძებნას და, როგორც კი მეფისტოფელი წამოდგომას შეეცდება, ესვრის. ამოგზოცავთ ყველას! – ტირის ბიჭი, ქუჩაში გაყრილი ბებრები იმუქრებიან, ბიჭი კი იცინის და ტირის ერთდროულად. დედა აღარ ტიროდა. სველ სახეს მიკოცნიდა ის და არაო! – მთხოვდა ჩემი მარტოდ დარჩენილი და საცოდავი დედა. [თოფურიძე ელრესურსი]. სწორედ ამ ტრაგიკომიკური ქორწილიდან იწყება მათი ლტოლვილობა - დედა-შვილისთვის სოხუმში ოჯახის საბოლოოდ დანგრევასთან ერთად ქვეყანაც დაინგრა.

ქორწილის ეპიზოდში ბევრ მნიშვნელოვან დეტალს და სახე-სიმბოლოს ვხვდებით. უპირველეს ყოვლისა, სიმბოლურია თავად ქორწილი. რატომ უწოდა ბებრების ღრეობას ავტორმა ქორწილი, ან ურჩხულს რატომ ჩააცვა საქორწინო კაბა? აღსანიშნავია ისიც, რომ ბაბუა მეფისტოფელს წითელი ქაღალდისაგან გაკეთებული გვირგვინი ადგას თავზე და ყველაზე მთავარი – ტრაგიკომედიის შემდეგ სოხუმში ბებრები რჩებიან, ბიჭი და დედამისი კი ტოვებენ სოხუმს.

როგორც ვიცით, ქორწილი, ქრისტიანული სიმბოლიკის მიხედვით, ქრისტესთან ერთობას, ქრისტეში გაერთიანებას ნიშნავს, ამ ქორწილში კი ეს საქორწინო გვირგვინი წითელია და თან გველს თავზე ადგას. ამაზე უფრო აშკარად 70-იან წლებში ვერაფრით იტყოდა მწერალი თავის სათქმელს. ჩვენი აზრით, თხზულების

ამ მონაკვეთის შექმნა ავტორის მხრიდან გმირობის ტოლფასია; მწერალი წინასწარმეტყველებს, რომ ოჯახური (ამ შემთხვევაში, ვგულისხმობთ ეროვნულ ოჯახს) ნგრევისა და დაპირისპირების საფუძველზე მომავალი თაობა ლტოლვილი გახდებოდა საკუთარ სამშობლოში, ბიჭს კი მატარებლის სადგურში ხვდება ბიძა, რომელსაც „მამის სუნი ჰქონდა და რომელიც არასოდეს ენახა“ [თოფურიძე, ელვერსია].

ყველაზე მთავარი ბიძა-მმისშვილის გაცნობა-შეცნობის ეპიზოდში ისაა, რომ „ქრისტეს ჰგავდა ის, ვინც მოდიოდა. მისი სისხლი და ხორცი უახლოვდებოდა, ერთადერთი დარჩენილი იმედი მისი, ერთადერთი საყრდენი მისი ბიჭობისა... ბიჭი ხედავდა ბიძამისის ზევით მზეს და ეგონა, მზეც მოჰყვებოდა ბიძამისს... ახლა ქრისტე იყო ის მისთვის“ [თოფურიძე, ელვერსია].

ტექსტის გამჭვირვალე ქარაგმით, აფხაზეთი მეფისტოფელს დარჩა, რომელმაც „წითელი გვირგვინი დაიდგა გველივით თავზე და ურჩხულთან იქორწინა“ [თოფურიძე, ელვერსია] იქაურობაც მათ დარჩათ, «Расстрелять его надо!» – ამას რომ ყვიროდნენ ბიჭის შესახებ, იმ ბებრებს... და რამდენი თემურისნაირი ბიჭი დახვრიტეს, კარგად გვახსოვს. მეფისტოფელს მომავალი არ გააჩნია. აფხაზეთის მომავალი აქ, ამერში, იბადება - თემურის ბიჭის სახით, რომელიც სოხუმში, მართალია, მამის გარეშე, მაგრამ აუცილებლად დაბრუნდება.

თბილისში თემურის ბედნიერი ბავშვობა იწყება, ისეთი ბედნიერი, რომ ეშინოდა კიდევ – ბედნიერება შემოდგომის მზიანი დღეებივითაა იმიტომ, რომ იცი, შემოდგომაზე მალე უნდა მოკვდეს მზე. თემურისთვისაც კიდევ ერთხელ მოკვდა მზე. თბილისში გადმოსვლის შემდეგ, სულ ორი წელი ათბო მისი პატარა სხეულიო, წერს ავტორი. კიდევ ერთხელ სიკვდილის მიზეზი უკვე ღალატია – ბიძამისის მაგივრად, მედიკოს საწოლში ვიღაც უცხო კაცი ნახა. გურამ! – განწირული ხმით ყვიროდა ბიჭი და თავქუდმოგლეჯილი გარბოდა. გურამ! ამ განწირული რბოლისას იგი ხან გამვლელს დაეჯახა, ხან - გამომვლელს, ზოგმა წყევლა მიაყოლა, ზოგმაც - ლანძღვა-გინება, მაგრამ „არავინ ფიქრობდა რატომ გარბოდა პატარა ბიჭი ასე გამეტებით... ან ვის გაურბოდა; რა უჭირდა...“ [თოფურიძე, ელვერსია] - ისევ გულგრილი, საკუთარ ნაჭუჭში ჩაკეტილი საზოგადოების შემზარავი სახე. ორი თვე გაგრძელდა წამება,

ვიდრე ერთ სადამოს, როდესაც მთვრალი დაბრუნდა გურამი სახლში, თემურს შეხედა თვალებში. თვალებით გამოუტყდა ბიძა-ძმისშვილი სიმართლეში ერთმანეთს – ბიჭმა ჩაიჩოქა მის წინ; ისე, როგორც **სალოცავის წინ** იჩოქებენ [თოფურიძე, ელრესურსი].

ამ უჩვეულო დიალოგის შემდეგ შვიდი წელი გავიდა და თემურს გურამი ფხიზელი აღარ უნახავს. ასე დაიწყო ჯერ ბიძის, ხოლო შემდეგ ძმისშვილის ხანგრძლივი თვითმკვლელობა.

ავადმყოფ ბიძასთან მისულ თემურს გურამი უჩვეულო კითხვით დახვდება – რატომ ჩამოხვედი? თითქოს საკუთარი აღსასრულის დასტურს ელოდა. დედას და ექთანს ოთახს დაატოვებინებს და ძმისშვილს სთხოვს, მაკოცეო, უთხრა ისე, როგორც ბიჭმა სთხოვა ათი წლის წინ.

მკითხველს აუცილებლად ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს იბრუნებს ბიძა იმას, რაც გასცა. ავტორი დიდი ოსტატობით აღწერს ადამიანის უსუსურობას გარდაცვალების წინ. ბიძა-ძმისშვილის დიალოგი უფრო აღსარებაა, ერთმანეთის წინაშე ნათქვამი: „შენ მამაზე მეტი ხარ ჩემთვის და ძმა ხარ!“ [თოფურიძე, ელვერსია] ერთი მხრივ გამოუტყდება თემური;

„ვერ მოვიკალი თავი... – მაგ დროს კაცმა თავი უნდა მოიკლას. თუმცა თვითმკვლელობა **ორნაირად** შეიძლება: უცებ და ისე, როგორც მე ვქენი,... ასე უფრო სუსტები იქცევიან...

ცხენი გახსოვს?

ცხენი მინდა“. [თოფურიძე, ელრესურსი]. კოცნა და ცხენი, მარადისობაში მიმავალი ბიძა საგზაღს ითხოვს, დათესილს იმკის და ამ ცხოვრებაში ერთადერთ საყრდენს – საკუთარ სისხლსა და ხორცს, გაყინული ხელებით მაგრად ებლაუჭება, მაგრამ ლურჯი კლდე, და არაფერი, მაინც მივა მასთან – შიში გაქრა და დაუტოვა თვალებს მარტო ის, რასაც სახტად დარჩენა ჰქვია... [თოფურიძე, ელვერსია].

ტერენტი გრანელს ხშირად *სიკვდილის პოეტსაც* უწოდებენ. ალბათ, შეიძლება ჯემალ თოფურიძეს *გარდაცვალების აღწერის დიდოსტატი* ვუწოდოთ.

თვითმკვლელობას (მამის), მკვლელობას (ზემელზე მოკლული ბიჭი), გარდაცვალებას (ბიძის) და მთავარი გმირის კატასტროფას ისეთი განცდით აღწერს ავტორი, რომ მკითხველი ამ გმირების ტრაგედიების თანამონაწილე ხდება. ლადო ასათიანი ფიროსმანის შესახებ წერდა, *მისი პრიმიტივიზმი უმაღლეს ხელოვნებად მიმაჩნიაო*. ჩვენი აზრით, ამ ნიჭიერი ავტორისა და მისი მოთხრობის შესახებ შეიძლება იგივე გავიმეოროთ.

მომაკვდავი ბიძის სარეცელთან, როცა ის ჰაერს მოითხოვს, თემური სძლევს ღია ფანჯრის შიშს, წამოხტება და ფანჯარას გამოაღებს. არ შეშინებია, მაგრამ ცხოვრების გასაგრძელებლად მხოლოდ ეს არაა საკმარისი, აუცილებელია „შუაზე გაჭრილი ადამიანი“ [თოფურიძე, ელვერსია] გამთლიანდეს. მეუღლესთან მიმავალი ფიქრობს, რომ *მარინა ერთადერთი ახლობელი ადამიანი იყო, ვინც ცოცხალი რჩებოდა ამ ქვეყანაზე* [თოფურიძე, ელვერსია]. თემურს, მართალია, შვილიც ჰყავდა და დედაც, მაგრამ, ავტორის აზრით, როდის ყოფილა დედას გაეგო და ემეგობრა შვილთან, ან კიდევ, შვილს - მამასთან?

მარინა რჩებოდა, რომელიც შვილზე მეტად უყვარდა, დედასა და კოტიკაზე მეტად, თავის თავზე მეტადაც [თოფურიძე, ელვერსია]. აქ კიდევ ერთ, ძალიან მნიშვნელოვან პრობლემას ეხება ავტორი – თაობებსა და ოჯახის წევრებს შორის ურთიერთგაუგებრობას. ჩვენ უკვე ვნახეთ და განვიხილეთ თუ როგორი სირთულით წარმოგვიდგება ნაწამოებში ეს საკითხი. თუ მწერლის მინიშნებებსა და მოთხრობის ქვეტექსტებს გავითვალისწინებთ, დავინახავთ, რომ ის გლობალურ სივრცეს მოიცავს და კონკრეტული ოჯახის მაგალითით სულაც არ შემოიფარგლება. ხოლო, რაც ამ ოჯახს შეეხება, მარინასთან მისული თემური შემზარავ ამბავს იგებს - მარინა გათხოვდა... ის, რაც თემურისთვის წარმოუდგენელი იყო („არ შეიძლება, ასე რომ იყოს!“), რეალობად ქცეულიყო.. მთავარი გმირისთვის ყველაფერი დამთავრდა. გარეთ თოვდა, ისე, როგორც მაშინ, მამის სიკვდილის დროს, სოხუმში.

მარინა სოხუმში თხოვდება, მაგრამ მწერალი ღიად ტოვებს, არ აკონკრეტებს, თუ ვის მიჰყვება ის. შესაძლოა ვიფიქროთ, რომ ავტორის ინტერესების სფეროს ეს საკითხი აღარ მოიცავს იმდენად, რამდენადაც გმირის სიცოცხლე იმ კატასტროფამდე

დამთავრდა, რომელშიც ის მოხვდება; ერთი რამ კი აშკარად აერთიანებს ბიძა-მძიშვილის ოჯახურ დრამას – ცოლების გათხოვება.

შეუძლებელია ამ გათხოვებებმა არ გაგვახსენოს მარგალიტა ყაფლანიშვილის გათხოვება ჯაყო ჯივაშვილზე, მითუმეტეს, თუ გავიხსენებთ ბიცოლას ლოგინში „ვიდაცის ბანჯგვლიან ფეხს“, რომელიც ნამდვილად იწვევს ჯაყოს პორტრეტთან ასოციაციას (ჩვენი აღქმით, დაკარგული ცოლები საქართველოს დროებით დაკარგული კუთხეებია სიმბოლურად, რომლებიც მომავალში, მომავალი თაობის ძალისხმევით, აუცილებლად დაგვიბრუნდება). თეიმურაზ ხევსთავიც ხომ გადაწყვეტს თავის მოკვლას, მაგრამ გურამივით ვერც ის შეძლებს ამის გაკეთებას, თემურს კი ვეღარ იმეტებს ავტორი თვითმკვლელობისთვის, ისევე, როგორც ვერ იმეტებს აკა მორჩილაძე ლუარსაბ თათქარიძეს იმისათვის, რომ ღორმუცელობას გადაჰყვებს და ოსმალეთის წინააღმდეგ ომში მიჰყავს საბრძოლველად. აქაც, მომაკვდავი მეგობრისთვის „წყალტუბოდან ვიდაც ბულგარელი ექიმი უნდა წამოეყვანა თემურს... კოტიკა ისე უნდა მომკვდარიყო, რომ არ უნდა ტკენოდა...

მარინა აღარ დაბრუნდება.

ბიჭის ლოგინი ცარიელი იქნება სულ“ [თოფურიძე, ელრესურსი] – კვლავ სიკვდილი, უიმედობა და სიცარიელე მომავალში; ამ ფიქრებში გართული თემური ხედავს – მთვრალეობით გატენილ მანქანას ბოძისთვის დაერთყა. მძლოლი ისევ აამუშავებს მანქანას და... „უკნიდან დაართყა... თემურმა სულ ახლოს უზარმაზარი ფარანი დაინახა...“ [თოფურიძე, ელრესურსი].

ერთადერთი სიტყვა, რასაც სიკვდილის წინ იტყვის თემური, არის *მცირა*, მაგრამ თოვლზე დაგდებულ მის სისხლიან სხეულს ვერავინ მიეკარება. მიშველე! – სთხოვს ვიდაცას, მაგრამ არც საშველად მივა არავინ. შემდეგ ვიდაცები საავადმყოფოში წაიყვანენ. „ის გზაზე მოკვდა, ვიდაც უცნობის მხარზე თავმიდებული.

როგორ მცირა?! – თქვა სიკვდილის წინ...

დედამიწას თეთრი და სისხლიანი პერანგი ეცვა“ [თოფურიძე ელრესურსი].



ადამიანი სამყაროს გვირგვინად გააჩინა უფალმა, მაგრამ, ცოდვის გამო, ეს გვირგვინი, დამშვენების ნაცვლად, ამახინჯებს ბუნებას. თუ გავიხსენებთ ვაჟა-ფშაველას მოთხრობას - „კლდემ მხოლოდ ერთხელ სთქვა“ - ვნახავთ, რომ სიყვარულდაშრეტილ ადამიანებს კლდე ეხვეწება, „გიყვარდეთ, კაცნო, ერთმანეთიო“, თითქოს პირდაპირ გაიმეორა ვაჟამ ქრისტეს სიტყვები - „იყვარებოდეთ ურთიერთას“.

კლდე, ადამიანისაგან განსხვავებით, წუხს კაცთა მიერ დაღვრილი სისხლის გამო, რომელიც მის გულ-მკერდს ამახინჯებს. დედამიწის თეთრი - სპეტაკი პერანგი ადამიანთა უგუნურების, უსიყვარულობის, ღალატის, ეჭვის, ცრუ საქმეებისა თუ გრძნობების გამო მარადის წითლად იღებება (მოგვაგონდება დავით კლდიაშვილის შემოქმედებითი პრინციპიც - მის მოთხრობებში არსად ჩანს სიტყვა *სიყვარული*; ერთადერთი ნაწარმოები „ირინეს ბედნიერება“, სადაც მთავარი გმირი უარყოფითი ნაწილაკის დართვით იყენებს ამ სიტყვას, *ცოლად ვერ გავყვები, არ მიყვარს და იმიტომო, ეუბნება იგი მამას*).

ნიშანდობლივია, რომ ჯემალ თოფურიძის მოთხრობაში *სიყვარული* მხოლოდ ერთხელ არის ნახსენები - „მარინა რჩებოდა, რომელიც შვილზე მეტად უყვარდა“, [თოფურიძე, ელვერსია] და ისიც უკვე დაკარგა.

იოანე მახარებლის მიხედვით, ღმერთი სიყვარულია, სადაც სიყვარული არ არის, იქ არც ღმერთია. უღმერთო საზოგადოებაში, მართლწმენის ნაცვლად, ცრურწმენა მეფობს (დავით კლდიაშვილის გმირების შემთხვევაში, ილიას თათქარიძეებში), ან უარესი - ღვთისმბრძოლი სული - მეფისტოფელი ბაბუები, რომლებიც საერთოდ არ იცნობდნენ ქრისტეს, ღვთის ერთგულებისა და სამსახურის ნაცვლად, დღენიდაც ცოდვების წყალობით ღალატობდნენ (და ღალატობენ) უფალს - უძღები შვილივით, მხოლოდ იმ უდიდესი განსხვავებით, რომ მან უპირობოდ შეინანა, სინანული კი ის წყაროა, რომელსაც ხმელი ტოტის განედლება (მართალი ლოტის მაგალითი) და მკვდარი სულების გაცოცხლება ხელეწიფება (უძღები ძე, სახარების კონცეპტით, მკვდარი იყო და გაცოცხლდა). აფხაზეთის ომში, მართალია, დავმარცხდით და ეს უმშვენიერესი კუთხე დაკარგეთ, მაგრამ, ღმერთის შეწევნითა და ჩვენი გონიერებით, იმედია, აუცილებლად დავიბრუნებთ.

ჯორჯ ბაირონი ერთ-ერთ ლექსში, რომელსაც ქალიშვილს, ადას, უძღვნის, წერს: „და სისხლი ჩემი შენს ძარღვებში გადარჩა ბედად.“ იმედს ვიტოვებთ, რომ ბიჭის ძარღვებში გადარჩენილი თემურის სისხლი, უპირობო სინანულის საშუალებით და ქრისტესმიერი სიყვარულის გზით, „უკანას დაივიწყებს და წინას მიეახლება“ [სამოციქულო, პავლე], რაც აფხაზეთში დააბრუნებს პერსონაჟს და, ზოგადად, ქართველთ.

### ნუგზარ შატაიძე, „მოგზაურობა აფრიკაში“

მორიგი მხატვრული ტექსტი, რომელსაც ჩვენი კვლევის ფარგლებში განვიხილავთ, არის ნუგზარ შატაიძის მოთხრობა, „მოგზაურობა აფრიკაში“. სათაურის მიხედვით, ბევრი რამ შესაძლოა ვიგულისხმოთ მოთხრობის სიუჟეტში, მაგრამ - არა აფხაზეთი. მართლაც, უცნაურად დაასათაურა ავტორმა მოთხრობა, რომელიც ოჩამჩირეში მცხოვრები ერთი ოჯახის ტრაგედიის გადმოცემით იმ დიდ უბედურებას ასახავს, თავისი საშინელი შედეგებით, რასაც აფხაზეთის ომი ჰქვია. ნაწარმოები, ერთდროულად, შესაძლოა ტრავმული და პოსტტრავმული პროზის ნიმუშადაც ჩაითვალოს, იმდენად, რამდენადაც მასში აღწერილია მთავარი გმირის ცხოვრება ომის შემდგომ, მაგრამ ბიჭი, ამავდროულად, იგონებს იმ საამურ დროს, როცა ოჯახი ერთად ცხოვრობდა. ომის საშინელებამ დააშორა ცოლ-ქმარი და მამა-შვილი ერთმანეთს.

ნაწარმოების მთავარი პერსონაჟი ათი-თორმეტი წლის ბიჭია, რომელმაც დედასთან ერთად გადმოიარა ის უღელტეხილი, გურამ ოდიშარია გოლგოთის გზას რომ ადარებს. ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი იმის შესახებ, თუ რამდენად შეესაბამება ასეთი შედარება სინამდვილეს, დაწვრილებით განვიხილეთ უმძიმესი მონაკვეთი ლტოლვილთა უღელტეხილი რომანიდან „სოხუმში დაბრუნება“, ამ პატარა მოთხრობაში კი მწერალი მხოლოდ ერთგან ათქმევინებს ბიჭს: „მერე სხვებთან ერთად ფეხით მოვდიოდით. უღელტეხილზე გაგვითოვდა. ხალხი გზადაგზა ეცემოდა და იხოცებოდა. ჩვენ გადავრჩით და ახლა აქა ვართ, ოლონდ - ცალ-ცალკე, ის - თავისთვის, მე - ჩემთვის“ [შატაიძე, 2012: 178].

ცხადია, ავტორს სხვა ჩანაფიქრი აქვს - მას, ჯოჯოხეთურ გზაზე მეტად, ჯოჯოხეთგამოვლილი ადამიანების ცხოვრება აინტერესებს - უღელტეხილს აქეთ. ყინვას, შიმშილს, ტყვიას კი გადაურჩნენ ეს ბავშვები, ქალები, მოხუცები, კაცებიც, მაგრამ აქ, ამერში, როგორ გააგრძელეს ცხოვრება, ან საერთოდ თუ გააგრძელეს, აქ რამ შეიწირა ეს ადამიანები; რადგან ყველასათვის ცნობილია, რომ აფხაზეთის ომი მხოლოდ იმ მსხვერპლით არ დამთავრებულა, რაც უშუალოდ აფხაზეთში გაიღო ქართველობამ, ომი მშვიდობიან პერიოდშიც გაგრძელდა; ეს უკვე გადარჩენისათვის ბრძოლა გახლდათ. მწერალს სწორედ ამის გადმოცემა სურს - როგორ იბრძვიან უქმროდ, უმამოდ დარჩენილი ოჯახები არსებობისათვის და როგორი შედეგით მთავრდება მათი ბრძოლა?!

ბიჭის დედა ჯიხურში იწყებს გამყიდველად მუშაობას, მაგრამ ზამთარში იქ ყოფნა იმდენად გაუსაძლისია, ქალი სმას მიეჩვევა. მთელი დღის განმავლობაში მიზერული თანხის სანაცვლოდ მუშაობს, ჯიხურის მეპატრონე ქურდობას აბრალებს. შემდეგ, როცა გაირკვევა, რომ ქალი მართალია, არაფერი მოუპარავს, ბოდიშსაც არავინ უხდის. გადმოცემული ამბიდან მკითხველისათვის არცთუ ადვილი წარმოსადგენია ფსიქოლოგიური მდგომარეობა ქალისა, ათი წლის განმავლობაში რომ არაფერი იცის ავადმყოფი მეუღლის შესახებ, რომელიც მტრის ხელში ჩატოვა და მცირეწლოვანი შვილისა და თავის რჩენისათვის უღმობელ გარემოსთან უწევს ბრძოლა ყოველდღიურად; გაჭირვება და ალკოჰოლი იმარჯვებს და ხშირად, მთვრალ მდგომარეობაში მყოფი, ჯავრს ბიჭზე იყრის, თითქოს ის არის დამნაშავე იმაში, რომ ტყვარჩელში სახლი მიატოვეს, რომ მეათე წელია, ქმრისა არაფერი ისმის, რომ ცივ ჯიხურში მუშაობს, რომლის პატრონი, ერთი ავყია დედაკაცი, მუდამ ქურდობას აბრალებს, რომ არყის სმას სიცივის გამო დაეჩვია, და ახლა იძულებულია, ყოველდღე სვას, რადგან ეშმაკი არ ასვენებს. სწორედ ეშმაკის, გაცვეთილი ნერვების თუ ამღვრეული გონების გამო ბიჭს სკამის ფეხით ისე სცემს, ბავშვს წარბი გაუსკდება, მარჯვენა ხელის ნეკა თითი მოსტყდება და, რომ არა ბიჭის ყვირილზე შემოცვენილი მეზობლები, შვილი შეიძლებოდა შემოჰკვდომოდა კიდეც, მაგრამ, როგორც მთხრობელი - ბიჭი ჰყვება, შინიდან ამისათვის არ წამოსულა, სულ სხვა რამის გამო წამოვიდა [შატაიძე, 2012: 178].

რას უნდა გულისხმობდეს ბავშვი? ავტორი თანაუგრძობს პატარას და იმიტომ, თუმცა მისანიშნებლად იმას გვამცნობს, რომ წუპაკა, ბიჭის მეგობარი, მაღავდა იმას, რომ და ჰყავდა, მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ გაიგებს ბიჭი სიმართლეს - ვიღაც გოგო მოვა მასთან, შენ ჩემი ძმის მეგობარი ყოფილხარო და თხუთმეტ ლარს აჩუქებს. მერე გოშკა ეტყვის, რომ იმ გოგოს ლუიზა ერქვა და ცირკთან იდგა. აი, თურმე რატომ მაღავდა წუპაკა დის არსებობას და რატომ არ ამხელს ჩვენი გმირი **სხვა რამეს** - მანაც ხომ დამალა მანანა დეიდასთან დედის არსებობა - „ერთხელ მანანა დეიდა მეკითხება, მართლა არავინა გყავსო? არა-მეთქი, ვინმე რომ მყავდეს, ქუჩაში რატომ ვიქნებოდი-მეთქი“ [შატაიძე, 2012: 180].

მოთხრობის მოტივებზე გადაღებულ ფილმში, „გაღმა ნაპირი“, რეჟისორი გიორგი ოვაშვილი სწორად აგნებს და გვიჩვენებს დედისაგან ბიჭის წამოსვლის ნამდვილ მიზეზს. სახლიდან წასვლისას ბიჭს ოცდაათი ლარი მიაქვს და დედის საქორწინო ბეჭედიც, რადგან იცის, რომ მამამისის ნაჩუქარია. ეს დეტალი ამტკიცებს, თუ რამდენად სწორად მიაგნო რეჟისორმა ბიჭის სახლიდან წასვლის მოტივაციას და ჩვენს ვარაუდს, რა მიზეზით წავიდა ბავშვი დედისგან (თუმც ისიც ფაქტია, რომ ლიტერატურა ქვეტექსტის ხელოვნებააა, იქნებ, უპირველესად, სწორედ ქვეტექსტის ხელოვნება).

მიუხედავად ყველაფრისა, ცხადია, ბიჭს დედა ძალიან უყვარს და პატივსაც სცემს. ეს ყველაზე უკეთ ჩანს იმ ეპიზოდში, როცა დედის თვალეხს წააწყდება უცნობი ქალის თვალეხში - „ვხედავ, დედაჩემისნაირი თვალეხი არა აქვს?! ერთი მწვანე და მეორე - ცისფერი. არ ვიცი, რა დამემართა, ყელში რაღაც გამეჩხირა, ხელი გამოვართვი და ზედ ვაკოცე“ [შატაიძე, 2012: 179]. ამაზე უფრო ოსტატურად შეუძლებელია იმ სიყვარულისა და პატივისცემის გადმოცემა, რომელიც გმირს, მიუხედავად ყველაფრისა, დედის მიმართ აქვს. ეს ქალი ის მანანა დეიდა გახლავთ, ქაშუეთის ეკლესიასთან წვნიანითა და პურით რომ უმასპინძლებოდა პატარა მაწანწალებს. აღნიშნული შემთხვევის შემდეგ კი ჩვენი გმირი ქაშუეთის ეკლესიას აღარ გაჰყარებია, სუპს თავად იხარშავს, ოცკაპიკიანი პაკეტით.

ვიდრე ბიჭის დამოუკიდებელი ცხოვრებისა და მოგზაურობის შესახებ დავიწყებდეთ საუბარს, გვსურს შევეხოთ დედის თვალეხს, ორიოდ სიტყვით.

როგორც ვნახეთ, ეს თვალეები ერთი ფერის არაა - ცალი ლურჯია, ცალი - მწვანე. ერთფეროვან ნაცრისფერს ისინი თბილისში იღებენ. ვფიქრობთ, ავტორი მიგვანიშნებს, რომ ქალის ცხოვრების მიხედვით იცვლიან ისინი ფერს. ვიდრე აფხაზეთის ფირუზსა და ზურმუხტში იყვნენ ჩაფლულნი, ვიდრე პატრონი ჰყავდათ, რომელიც არაფერს აკლებდათ, ისინიც ფირუზისა და ზურმუხტისფრად ელავდნენ, ხოლო, როდესაც ნაცრისფერ ქალაქში უპატრონოდ აღმოჩნდება ქალი, დაუცველი, მისი თვალეებიც იცვლიან ფერს. წმინდა მამათა თქმით, „ადამიანის თვალი სულის სარკეა“. ადვილი წარმოსადგენია, როგორი ტკივილი უსერავს ბიჭის დედას სულს.

მეტად საყურადღებოა, რომ ჩვენი გმირი, რომელიც ჯერ დედისგან გაიქცა და შემდეგ - მანანა დეიდასგან, როგორ და რით ირჩენს თავს ქუჩაში. როგორც თავად ამბობს, ქუჩაში ცხოვრებასაც თავისი წესი და რიგი აქვს. სად დაიძინო, სად შეიძლება მოწყალება ითხოვო, ვინ მოგცემს ორ კაპიკს და ვინ ვერ გაიმეტებს, ან ვიღაცას შეიძლება შემოელახო კიდეც. თავდაპირველად წუპაკასთან ერთად დიღმის ტრასის ხეივანში ძველ საბურავს ანთებს და ბავშვები ცეცხლთან ჩამომსხდარები იძინებენ. დიღმით, მართალია, გამურული თავ-პირით იღვიძებენ, მაგრამ ეს სასაცილოდაც არ ჰყოფნით; როცა ძალიან ყინავს, საბურავი ველარ შველით; ამიტომ გამოძებნეს იაფი გასათბობი საშუალება - „ტუბიკი ლარი... ეგ ჩაუშვი ცელოფანის პარკში და დავაი, ისუნთქე!“ [შატაიძე, 2012: 176].

გათბობის ამდაგვარი ხერხი ბავშვებს ე.წ. „კაიფში“ გადასდით, ასეთ დროს ისინი, მართალია, სიცივეს ველარ გრძნობენ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ თბილად არიან; ამიტომ გაიყინება წუპაკა, ან აცეტონის დიდმა დოზამ მოწამლა.

ასეთი საშინელი თავგადასავლების კითხვისას ძალიან ბევრი კითხვა ჩნდება. პირველ რიგში, დაისმის კითხვა - სად არის სახელმწიფო, საზოგადოება?!

90-იანი წლების განუკითხაობა შეიძლება ამართლებდეს ან ერთ, ან მეორე რგოლს - სახელმწიფო შეუმდგარია, ცხრა აპრილის ტრაგედიაგამოვლილი, სამაჩაბლოსა და აფხაზეთის ომებგადახდილი; საზოგადოება - დაღლილი, დაქანცული, განაწამები... აუცილებლად გაახსენდება მკითხველს ლტოლვილთა უღელტეხილგამოვლილი მწერალი გურამ ოდიშარია პურის რიგში გაყინულ თბილისელ კაცს რომ წააწყდება,

რომელსაც მთელი დღის განმავლობაში არ გამოუჩნდება პატრონი, გარდა იმისა, რომ ვიღაც მოიფიქრებს და სახეზე გაზეთს გადააფარებს. შეგვიძლია ვთქვათ (თუმცადა ეს ვერაფერი ნუგეშია), რომ ამ უსახლკაროდ და უპატრონოდ დარჩენილი ბავშვებისნაირად, შესაძლოა ბევრ სახლკარიანს უჭირდა მაშინ; მაგრამ, სამწუხაროდ, თითქმის ოცდაათი წლის შემდეგ, როცა, მეტ-ნაკლებად, ქვეყანა ფეხზე წამოდგა, ყოველ შემთხვევაში, გვაქვს ელექტროენერგია და გაზი, აღარ არის პურის გაუთავებელი რიგები, იგივე პრობლემები, სამწუხაროდ, დღესაც არის... დღესაც იყინებიან უსახლკარო ადამიანები ქუჩაში, დღესაც მრავლად არიან უპატრონოდ დარჩენილი ბავშვები მეტროში, გზაჯვარედინებსა თუ კაფეების წინ. საინტერესოა დღეს როგორ იმართლებს თავს ან სახელმწიფო, ან საზოგადოება?!

მოთხრობის სიუჟეტი ამგვარად ვითარდება: წუპაკას სიკვდილის შემდეგ ბიჭი მიტოვებულ სარდაფს იპოვის. გოშკა ასწავლის, რომ კარდონის ყუთი თბილია და ჩვენი გმირიც წებოთი კაიფს თავს დაანებებს. ცნობიერ გონებაზე მოსულს, დილის ჩირთიფირთის მომზადებისას, ახსენდება სოხუმის საავადმყოფოში მწოლიარე მამა. მართალია, მაშინ ექვსი წლისა იყო, მაგრამ დედ-მამის ლაპარაკი მაინც კარგად ახსოვს და უცებ - „რომ ავდგე და მამის მოსაძებნად წავიდე...“ [მატაიძე, 2012: 179], ეს აზრი იმდენად შეიპყრობს ბიჭს, საუზმესაც ვერ ამთავრებს, ხელები აუცახცახდება და მეორე კვერცხსაც ვეღარ გაფცქვნის.

დაისმის კითხვა: რა მოხდა? რატომ და როგორ მიიღო ასეთი უცაბედი გადაწყვეტილება ბიჭმა? პასუხი ერთადერთია - მამის საშუალებით ბიჭს იმედი აქვს, რომ დედას, ოჯახს დაიბრუნებს. მამის გარეშე, დამოუკიდებლად, ვნახეთ, მან ვერ შეძლო დედის შენარჩუნება და ეს პატარა ბიჭი იქნებ ამ ყველაფერს ვერც კი აცნობიერებს, მაგრამ მტკიცედ გადაწყვეტს, რომ ეს აუცილებლად უნდა გააკეთოს. ზრდასრულ ადამიანებს უჭირთ დიდი და გმირული გადაწყვეტილებების მიღება, არათუ სისრულეში მოყვანა, ბიჭი კი მაშინვე შეუდგება მის აღსრულებას; მართალია, სულ ორი კვირა იცხოვრა იმ სარდაფში, მაგრამ ისე შეეჩვია, რომ უკვე ენანება მისი მიტოვება, მაგრამ იმდენად მყარია გადაწყვეტილება, რომ, გოშკას შეგონების მიუხედავად, წასვლას არ გადაიფიქრებს.

მატარებელი უკან ჩამოიტოვებს სველ ბაქანს... გრძელ, გაჭიმულ ქუჩას... ტროტუარის გასწვრივ ჩალაგებულ სავაჭრო ჯიხურებს, იქვე ახლოს მარტოხელა მშვიერ ძაღლს... [შატაიძე, 2012: 179] რად დასჭირდა მწერალს იმ უღიმღამო გარემოს აღწერის შემდეგ, რომელსაც ბიჭი ტოვებს, მარტოხელა, მშვიერი ძაღლისთვისაც მიექცია ყურადღება? იმის თქმა ხომ არ სურს, რომ გმირი მშობლიურ გარემოში, ახალი ცხოვრების დასაწყებად მიემგზავრება და ქუჩას, მიუსაფრობას, შიმშილს, სევდას ტოვებს, ტოვებს უშიშრად, გმირულად - „რა შიში, რის შიში, პირიქით, მიხარია - მე ხომ იმას ვაკეთებ, რაც სხვამ ვერავინ შეძლო, ვერ გაბედა... ნეტა, წუპაკა ცოცხალი ყოფილიყო, ისიც ხომ წამოვიდოდა, ოჩამჩირემდე ერთად ვივლიდით, იქიდან ის გზას სოხუმისკენ გააგრძელებდა, მე კი ტყვარჩელში დავუბერავდი“ [შატაიძე, 2012: 180]. რამდენი სიყვარული, სითბო, სევდა, მონატრებაა ამ სიტყვებში; ყველაფრის მიუხედავად, პატარა გმირი შეუპოვრად აგრძელებს გზას მამისკენ და იხსენებს ბედნიერ ბავშვობას, როცა სამივენი მთელ დღეს ზღვის პირას ატარებდნენ. ამ ნეტარ მოგონებებში ჩამინებულს დილით მგზავრების ჩოჩქოლი აღვიძებს, ზუგდიდის სადგურში ენგურისაკენ მიმავალ „პაზიკს“ იპოვის, მძღოლს მოელაპარაკება, ენგურამდე გამოგყვებით და მხოლოდ ამის შემდეგ იაზრებს, რომ იმ ბიჭებს ჰგავდა ახლა, რომლებიც ალიკას კლდიდან გადმოსახტომად მიდიოდნენ: „ახლა მეც ასე ვიყავი: მეჩვენებოდა, რომ იმ კლდის თავზე ვიდექი და გადმოსახტომად ვემზადებოდი...“ [შატაიძე, 2012: 181].

ზოგჯერ სხვა ფიქრიც გაუელვებდა, უკან ხომ არ დავბრუნდებო, მაგრამ ამ აზრს მაშინვე თავიდან იშორებდა. შინაგან განცდებსა და ბრძოლებშია, მაგრამ იმდენად დიდია მონატრებული სახლ-კარისა და მამის ნახვის სურვილი, შიშის მიუხედავადაც კი, რაც უფრო უახლოვდებოდი ენგურს, მით უფრო განიცდიდა იმას, რა დახვდებოდა იქ, გული გამალებით უცემდა, ამის მიუხედავად, უკან არ იხევს და მისი გმირობაც სათანადოდ ფასდება, კეთილი ადამიანების დახმარებით ე. წ. საზღვარს გადაკვეთს, თანამგზავრი მოხუცის წყალობით ოჩამჩირეში მიმავალ მიკროავტობუსში მოხვდება.

აქ ნაწარმოებში კიდევ ერთი მთავარი გმირი - ზღვა - შემოდის. ბიჭი აღტაცებით ელოდება მის გამოჩენას: „ისე მიხარია, თითქოს როგორც კი მის თეთრქაფმოგდებულ

ტალღებს დავინახავ, მაშინვე ყველაფერი შეიცვლება და ის უზრუნველი დრო დაბრუნდება, კელასურის პლაჟზე რომ ვატარებდით სამივენი - დედა, მამა და მე. დღემდე მახსოვს ზღვის სუნი, გემო და ხმა“ [შატაიძე, 2012: 184].

ზღვის დახასიათებას აფხაზეთისადმი მიძღვნილ არაერთ ნაწარმოებში ვხვდებით, მაგრამ სულ სხვა განცდითა და დატვირთვით გადმოგვცემს ამას, გურამ ოდიშარიას მსგავსად, ნუგზარ შატაიძე. ამ ორ მწერალთან **ზღვის ორ სხვადასხვა სახეს ვხვდებით: ზღვა ომამდე და ზღვა ომის შემდგომ**. გურამ ოდიშარიასთან თოლიებით მოფარფატე ზღვას ცეცხლწაკიდებული ზღვა ცვლის, ხოლო ნუგზარ შატაიძესთან - აღრიალებული: „ღელავდა, თან შემზარავი ხმით ღრიალებდა. შიშით უკან დავიხიე. არა, ასეთი ზღვა არასოდეს მენახა. ამდენი ხნის მონატრებული, ზღვას იმედგაცრუებული, კრიჭაშეკრული ვუყურებდი“ [შატაიძე, 2012: 185].

ეს პირველი იმედგაცრუებაა ბიჭისა. **ზღვის სახით მას აღარ დახვდა მშვიდი და მოალერსე მასპინძელი**; თითქოს ადამიანების სისხლს წითლად შეეღებოს მისი თეთრქაფმოდებული ტალღები. ამიტომაცაა იგი ცეცხლწაკიდებული.

ვაჟას კლდის მსგავსად განიცდის ზღვა მის ტალღებში ადამიანთა სისხლის გარეგას. ბიჭი მკაცრ რეალობას უბრუნდება, სიცივეს, შიმშილსა და დაღლას ერთდროულად გრძნობს და არც ის უწყის, თავი სად შეაფაროს; მხსნელად ისევ კეთილი ადამიანი ევლინება - ამ შემთხვევაში, მძღოლის სახით, რომელიც ერთ ოჯახში მიიყვანს. მასპინძლისგან რუსულად საუბრის გაგონებისთანავე, აუ, აფხაზებიო, გაივლებს გულში, შიშისაგან თმა შმაშურს დაუწყებს, მაგრამ სულ მალე აღმოაჩენს, რომ ქართველობის გამო არ შეჭამენ; ოთახში არსებული სითბო სასიამოვნოდ დაუვლის ძარღვებში და ჯდომელა ძილის ოსტატი წარმოიდგენს, ვითომ შინ არის, დედა სუფრას აწყობს; მაგრამ მონატრებული ოჯახური იდილიიდან მალე ფხიზლდება და საკუთარ თავს ეუბნება: „ეს დედა როდია, ეს დევის ქალია, რომელმაც კარადის უკან დაგმალა, რომ ნადირობიდან შინ დაბრუნებულმა დევმა არ შეგჭამოს...“ [შატაიძე, 2012: 186].

დევი ქართულ მითოლოგიაში ბოროტებასთან, ბნელ ძალებთან ასოცირდება და ბიჭის წარმოდგენაშიც აფხაზებად წოდებული აფსუები, რომელთაც თბილი და



ტკბილი ოჯახი და ცხოვრება დაუნგრის, ლტოლვილთა უღელტეხილი გამოატარეს, მიუსაფარი ცხოვრების სიმწარე განაცდევინეს, რაღა უნდა იყვნენ, თუ არა ბოროტი დევები?! მაგრამ თურმე ყველაფერი ისე არ ყოფილა, როგორც ჩვენს გმირს წარმოედგინა: აღმოჩნდა, რომ ზიტამ ქართული იცოდა და გემრიელად კისკისებდა კიდევ, ხოლო ცოტა ხანში იმასაც აღმოაჩენს, რომ მისი ქმარი ჩვეულებრივი ადამიანი იყო - საშუალო ტანისა, სუფთად გაპარსული, რომელსაც ქართველისაგან ვერ გაარჩევდი. ფრაზა ქართველისაგან ვერ გაარჩევდი მარტივად გვაგებინებს, რომ, **ეთნიკური ნიშნის მიუხედავად, ყველანი, უპირველეს ყოვლისა, ადამიანები ვართ.** ცოლ-ქმრის საურთიერთობო ენა რუსულია. ამ დიდ პრობლემასაც მარტივი კითხვით გადმოგვცემს გმირი: აფხაზები თუ არიან, რუსულად რატომ ლაპარაკობენ? მისთვის თითქმის ორსაუკუნოვანი რუსიფიკატორული პოლიტიკის შედეგი გაუგებარია. ხოლო, როცა დაურიც ქართულად მიმართავს, გამარჯობა შენო, ბიჭი გაკვირვებას ვეღარ ფარავს და თავისთვის ამბობს, უყურე, ამასაც კარგი ქართული სცოდნიაო. კარგი ქართული ნამდვილად იცოდნენ აფსუებმა, და არამარტო ქართული. როგორც კონსტანტინე გამსახურდიას რომანში „მთვარის მოტაცება“ ვნახეთ, კაც ზვამბაია მეგრულსაც და სვანურსაც თავისუფლად ფლობს.

„ცოდვას ვერ ვიტყვი, ბიძაჩემიც კარგი მოქართულე გახლავთ და აფხაზს ვერ ნახავთ, მეგრული რომ არ იცოდეს“, - ამბობს ნოდარ დუმბაძე წერილში „გული“.

აფხაზური სკოლების უმეტესობაში სწავლა რუსულ ენაზე მიმდინარეობდა და მიმდინარეობს. რუსული სკოლა რომ ასეთი პოპულარული იყო და არის აფხაზეთში, მასპინძელი ცოლ-ქმარიც ადასტურებს: ორივეს რუსული სკოლა აქვს დამთავრებული, მიუხედავად იმისა, რომ ქართველი დედა ჰყავდა ორივეს;

იმ საღამოს ბიჭმა აფხაზებთან ივახშმა. ზიტამ ქართულ-აფსუური სტუმარ-მასპინძლობა გამოიჩინა, გაუწმინდა და გაუსუფთავა ტანსაცმელ-ფეხსაცმელი სტუმარს. დილით, წასასვლელად გამზადებული რომ ნახეს, საუზმის გარეშე არ გაუშვეს: „დავლიეთ ჩაი, მივაყოლეთ ცხელ-ცხელი ხაჭაპურები... შევნიშნე, როგორი თვალეებით მიყურებდა ზიტა...“ [შატაძე, 2012: 180]. ამ თვალეების შემხედვარეს, უეცრად ბიჭს მოუნდება ნამდვილი სახელის თქმა, მაგრამ მიხვდება, რომ კარგად არ გამოუვიდოდა. ისეთ მიღებას, ვახშამს, საუზმესა და გაცილებას აღწერს გმირი,

თითქოს დიდი ხნის უნახავ ნათესავებთან იყო სტუმრად; როგორი თვალებით უნდა შეეხედა ზიტას ბიჭისთვის, რომ გულწრფელობა მოენდომებინა მისთვის; ტყვარჩელში მიმავალი მანქანის მომლოდინე სტუმარ-მასპინძელი დუმილით უფრო მეტს ეუბნება ერთმანეთს, ვიდრე ენაჭარტალა მეზობლები: „რა უნდა მეკითხა, ისედაც ყველაფერი ნათელი იყო. ...ხელი დამიქნია. ისე მემშვიდობებოდა, თითქოს დროებით მივდიოდი სადღაც და უკან უნდა დავბრუნებულიყავი“ [შატაიძე, 2012: 1880].

მშობლიურ ქალაქში ჩასული იქაურობას ვეღარ ცნობს, ვეღარ იხსენებს მამის სახეს, რომელიც ფანჯრებჩამტვრეულ („მთელ კორპუსს ერთი ფანჯარაც აღარ შერჩენია“) და კარებჩამოხსნილ სახლში აღარ დახვდება, სამაგიეროდ, დახვდება თავისი დაგლეჯილ-დაფლეთილი ბავშვობა - დათუნია გერასიმეს სახით და მამის მხოლოდ სუნის გახსენებასღა შეძლებს: „ვიგონებდი მის გაფართოებულ თვალებს, სიბრაზისაგან მოღრეცილ პირს, მაგრამ ეს თვალები, ეს პირი... მაინც ცალ-ცალკე იყვნენ და ვერაფრით ვერ გამეერთიანებინა... საკვირველი იყო, მაგრამ მამისა ყველაზე მეტად სუნი მახსოვდა“ [შატაიძე, 2012: 188] გასაოცარი აღწერაა, ექვსი წლის ბიჭის მეხსიერებაში ჩარჩენილი სიმწრის, ტკივილისა და უსუსურობისაგან დაშლილი სახე მამისა, რომლის გამთლიანებაც ვერ შეძლო ბავშვობაში სიჭაბუკის ტვირთწამოწეულმა ბიჭმა. ეს სახე არ ეკუთვნის ერთ კონკრეტულ ადამიანს, ვინც ლტოლვილთა უღელტეხილი გამოიარა, ვინც 90-იანი წლები სამშობლოდან გაქცევის გარეშე, მასთან ერთად გადაიტანა ომებით, შიმშილით, სიცივით; ასეთ სახეებს ყველგან შეხვდებოდით... ზემოთ ჩვენ უკვე ვთქვით, რომ ბიჭს იმდენად გზისა და აფხაზების შიში არა აქვს, რამდენადაც იმისა, თუ რა დახვდება იქ... იქ კი ისეთი რამ ხვდება, რომ გახევებული დგას და აღარ იცის, როგორ მოიქცეს, ვერ ხვდება, სად წავიდა იმდენი ხალხი. უეცრად სადარბაზოდან ვიღაც შაოსანი დედაბერი გამობრუცუნდება და ბიჭი, რაღაც სასწაულის ძალით, იცნობს მეზობელს, სახელიც გაახსენდება..... ისიც იცნობს: ნენა, ქეთოსი ხარ, ბიჭო, შეენ?! მოხუცი, უპირველეს ყოვლისა, იმას ჰკითხავს, ცოცხალია თუ არა ქეთო.

ომის შემდგომ ეს ლოგიკური კითხვაა. სწორედ მარო ბებოსაგან შეიტყობს, რომ მამამისმა ცოლი შეირთო, მომვლელი ხომ ჭირდებოდა ავადმყოფ კაცსო, იქვე

გამართლებს მამის საქციელს მოხუცი. ადვილი წარმოსადგენია, ისეც გახევებული ბავშვი რა დღეში აღმოჩნდებოდა, კრინტი ვერ დავძარი... ერთხანს ჩუმად ვიდექიო [შატაიძე, 2012: 181], ამბობს ბიჭი; ბოლოს მოვა გონს, რადგან გაახსენდება, რომ წასასვლელია. მოხუცი ეწინააღმდეგება, მაგრამ, ჩაისა და მოხარშული კვერცხის გარდა, სხვა რამეს რომ ვერ სთავაზობს სტუმარს და ბიჭის ზურგჩანთიდან ამოღებული ხალვის დანახვაზე თვალები გაუბრწყინდება, მკითხველისათვის ადვილი წარმოსადგენია, რამდენად მძიმე მდგომარეობაში იყო აფხაზეთში ჩარჩენილი მოსახლეობა.

ბიჭი მაინც დაინტერესდება, ვინ ერთო მამამისმა, იმასაც გაიგებს, რომ დებიც ჰყოლია. მან სწორედ ახლა დაკარგა მამა, ახლა, როცა აფხაზი დედინაცვლის წყალობით, მართალია, მამამისი გადარჩა, მაგრამ ოჯახის გამთლიანების იმედი საბოლოოდ მოკვდა ბიჭისთვის. მოხუცის ხვეწნის მიუხედავად, აღარ რჩება მშობლიურ ქალაქსა და მხარეში, კვლავ წვალეზ-წვალეზით ბრუნდება უკან. მატარებელში ძილი არ ეკარება, იხსენებს ყველას, ვისაც ამ საოცარი მგზავრობისას გადაეყარა, იმასაც, მაროსთან თავისი კედლის საათი რომ ნახა, ცოტას ნანობს, რომ არ წამოიღო, იქნებ, დედას გახარებოდა კიდევ, მაგრამ არა უშავს, დედაჩემს თავისი ნიშნობის ბეჭედს მივუტან და მივუგდეზ, თავიანთ საქმეს თვითონ მიხედონო [შატაიძე, 2012: 191], ფიქრობს. ამ სიტყვებიდან ნათლად ჩანს, რომ ბავშვისათვის დედ-მამა უკვე აღარაა ოჯახი. თუ თავდაპირველად, დედაზე გაბრაზებული, ქვეცნობიერად იცავს მამას დედისათვის ბეჭდის მოპარვით, ახლა, მამის დაკარგვით დათრგუნული, გადაწყვეტს მიუგდოს დედას თავისი ნივთი. თითქოს უცხო გამხდარან მშობლები მისთვის, ფიქრობს: თავიანთ საქმეს თვითონ მიხედონ. თავად კი, მატარებლიდან ჩამოსული, პირდაპირ ბაზრობაზე წავა, სადაც ორ ოცკაპიკიან პარკს, ექვს ცალ წებოს იყიდის და თავის სარდაფს მიაშურებს. „მინდოდა გერასიმესთვის მკლავი მიმეკერებინა, მაგრამ აღარაფრის თავი აღარ მქონდა“. [შატაიძე, 2012: 182]....

ვერ გაამრთელა თავისი ბავშვობა, ისევე, როგორც ოჯახი, ან რის თავი უნდა ჰქონოდა აფხაზეთმოვლილ ბიჭუნას, რომელმაც საკუთარ ბავშვობაში იმოგზაურა და რაც ვერ მოკლა მასში ომმა და უღელტეხილმა, მოკლა „მშვიდობამ“, „გადარჩენამ“.

სარდაფის სახით მან თავის მარტოობას მიაშურა, მარტოობას, რომელსაც ზმანებული სპილოები, მარტორქები, ჟირაფები, ზებრები, კამეჩები, ლომები, ანტილოპები... შეუვსებდნენ, „მოდოდნენ და მოდიოდნენ... სულ ბოლოს ორი გიენაც მოვიდა“ [შატაიძე, 2012: 182]

მწერალი, ჩვენი აზრით, აბსოლუტურად ლოგიკურად ასრულებს მოთხრობას - ქუჩისა და მარტოობისათვის განწირული მოზარდი ამ სასტიკ ცხოვრებაში, ისეთივე ტრაგიკული აღსასრულისათვის არის განწირული, როგორც მრავალი სოხუმელი თუ ტყვარჩელელი ბიჭის სიცოცხლე დასრულდა საქართველოს დედაქალაქში.

რეჟისორი ვერ გაიმეტებს გმირს ასეთი სიკვდილისათვის - ფილმი ბიჭის თავდავიწყებული ცეკვით სრულდება, ცეკვით, რომელშიც გმირის განწირული სულის ძახილი ისმის თითქოს: „დაკოდილო გულო, ყვირი, ვერც ვერასდროს დადუმდები, სისხლიანი გზებით ვივლი, მაგრამ მაინც დავბრუნდები“ (*ჯანსუღ ჩარკვიანი*).

### **აფხაზეთი ქართველ ებრაელთა ლირიკაში**

საკვლევო საკითხის ფარგლებში საჭიროდ მივიჩნიეთ შევხებოდით **ქართველ ებრაელთა** იმ ლექსებს, რომლებშიც აფხაზეთის თემაა წარმოჩენილი. ჩვენ მიერ შერჩეულ ავტორებს საქართველო მეორე სამშობლოდ მიაჩნიათ, ზოგი მათგანისათვის ისევ აქაურობაა უპირველესი სამშობლო დედამიწაზე, ამდენად, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს საკითხი ისევე მტკივნეულია თითოეული მათგანისათვის, როგორც ქართველებისათვის.

ნოდარ დუმბაძე თავის წერილში, სხვა ეთნოსებთან ერთად, ებრაელებსაც იხსენიებს, როგორც საქართველოს ისტორიაში ჩვენს ტერიტორიაზე მოსახლე ერთადერთ ერს, ვისაც ჩვენი მიწა-წყლის მიტაცება არასოდეს უცდია, და დღენიადაგ ზრუნავს, საქართველოს შეძლებისდაგვარად დაეხმაროს. ისინი თავიანთ დამოკიდებულებასა და განცდებს საქართველოს მიმართ საკუთარ შემოქმედებაში ავლენენ.

საკვალიფიკაციო ნაშრომში **გია მოშიაშვილსა და ნუგზარ ჯანაშვილის** შემოქმედების იმ ნაწილს შევხებით, რომელიც აფხაზეთს ეძღვნება. ავტორები

გასაოცარი გულწრფელობითა და ტკივილით იხსენებენ საქართველოს ზღაპრულ მხარეს.

გია მოშიაშვილისთვის ოცნებად ქცეულა ერთიანი საქართველოს ხილვა ისევე, როგორც თითოეული ქართველისთვის:

„რასაცა გული შენი იტყვისა, ხუროთმოძღვარი თუ ხარ სიტყვისა,  
იმას გადმოსცემს შენი კალამი, რაც შენ გტკივა და რაც შენ გიჭირსა,  
ნიკოფსიიდან დარუბანდამდე ჩემი კვალია ყველგან სისხლისა,  
ნოე, ქართლოსში გაგრძელებული, მე ებრაელად გულში მიზისა,  
მოსეს დიადი შთამომავალი ქართული სულით ჩემში იწვისა“ [მოშიაშვილი,  
ელრესურსი, 2015].

მართალი და გულწრფელი გრძნობა არ არის ეს სიყვარული. ამავე ავტორს ეკუთვნის ლექსი „მე დავბრუნდები“:

„ჩემი ღუზა მაქვს ფსკერზე დასმული ნავსაყუდელში, რომელიც მიცდის,  
ცხრა მთას გადაღმა გარეთ გასული, რა ქარს მივყვები, ღმერთმაც არ იცის,  
არცა ლხინში ვარ, არცა მწუხარში, სული ძიების ლტოლვას განიცდის,  
ისეთ შენადნობს მინდა მივაგნო, ბრჭყალი რომ ჰქონდეს გულში არწივის,  
ისეთი ხმალი მინდა ავლესო, პირი რომ ჰქონდეს მტრისთვის გაწირვის...  
ისეთი ფარი მინდა მოვირგო, მკერდი რომ ჰქონდეს ვარგი დაცვისთვის,  
მთელ საქართველოს გადავაფარო, რომ ოთხი ქიმით ეყოს ჯვარისთვის,  
ისეთი ციხე მინდა ავაგო, აუღებელი ყველა ჯარისთვის,  
ისეთი დროშა ავაფრიალო, როგორც იყო დროშა დავითის,  
ისეთი მეფე მინდა ვიხილო, ვინც ერთგულია თავის ხალხისთვის...  
ჩემი ღუზა მაქვს ფსკერზე დასმული ნავსაყუდელში, რომელიც მიცდის,  
მე დავბრუნდები აბჯარასხმული, მაგრამ შიში მაქვს, დრო რომ არ იცდის,

არც მითენდება, არც მილამდება, გული ლოდინის ტკივილს განიცდის,

ვაი, თუ დედი, ვერ მოგისწარი, ფიქრი ზარებად გულში გაისმის,

იქნებ შენს აკვანს მუმლი შეეხო და გაიმეტა ვინმემ ქარისთვის!?

მე დავბრუნდები შურდულის ფრთებით, მე დავბრუნდები შენი დახსნისთვის!“

[მოშიაშვილი, ელრესურსი, 2017].

ლექსში წარმოდგენელია ტკივილი სამშობლოს მოწყვეტილი ადამიანისა, დაუოკებელი სურვილი, დაუბრუნდეს თავის ფესვებს, რომელთაც მოსწყდა და ურომლისოდაც ვერც ლხინი ლხინობს და ვერ მწუხარება მწუხარებს. პოეტს საქართველოში დაბრუნებაზე ფიქრი არ ასვენებს და ღრმად სწამს, რომ აუცილებლად დაბრუნდება, მაგრამ ისიც აკვნესებს, ვაითუ ვეღარ მოუსწროს სასიკვდილოდ დაჭრილ მშობელს.

პოეტი ლექსში „ბეწვის ხიდი“ უშუალოდ აფხაზეთის თემატიკას ეხება:

„აწმყო კავშირის ხიდია, წარსულის და მომავლისა,

იმას ბატონობს მავანი, რასაც დაყოფს და ყიდისა,

სხვის ომში ყველა ბრძენია, თავისი არვინ იცისა,

როდესაც სახლი ინგრევა, ბალავარს ცვლიან ძირისა,

შუღლი მახეა ბრიყვისა და განაჩენი სიბრძნისა...

ყაყაჩოების ღაწვებზე მუდამ ცვარია მინდვრისა,

აქ ამოსული დუმილი ქედს მოკრძალებით იხრისა,

ენგურის გაღმა-გამოღმა ხსოვნის სანთლები იწვისა,

აფხაზი დედა ქართველ შვილს ცხარე ცრემლებით ტირისა,

ქართველი დედის გალობა იავნანაა სიმწრისა,

რა პასუხს გავცემთ მომავალს ძუძუნაწოვი მკერდისა,

ერთი აკვანის შვილები, ერთი სამშობლო დედისა,

ძმა, ძმაზე ამხედრებული რას ფიქრობს და რას ელისა?!  
 რა პასუხს გავცემთ საფლავებს დიადი წინაპრებისა!?,  
 მავანმა ჯვარი აპყარა მორდუს სიწმინდის ცნებასა,  
 შორიშორ გაგვანაპირა ოჯახი ერთი მიწისა,  
 ორივე ობლად დაგვტოვა იმედად ბეწვის ხიდისა,  
 თავი სად არის ნეტავი სალი გონის და სიტყვისა?!  
 მოსაკვეთია ის ხელი მამულს რომელიც ყიდისა,  
 მოსაჭრელია ის ენა, სიმართლეს თუ არ იტყვისა...  
 ქვების გროვების დრო არის, გადაყრილს ვინდა ითვლისა!?,  
 ძალა რომ ერთობაშია, ბალღმაც კი კარგად იცისა,  
 თვალი ვუსწოროთ ერთმანეთს, გავშალოთ სუფრა ლხინისა,  
 შესანდობარით ვახსენოთ სული ყოველი გმირისა,  
 ერთია ჩვენი სამშობლო, ჩვენი გზაც ერთად მიდისა,  
 მზის დაბნელებას მოჰყვება შუქი ნათელი სხივისა...“

[მოშიაშვილი, ელრესურსი, 2018]

ლექსი აზრობრივად ტევადია. მკაფიოდაა დანახული ორ მოძმე ერს შორის  
 დატრიალებული ტრაგედია და, რაც მთავარია, მომავლის იმედია გადმოცემული.

**საინტერესოა ნუგზარ ჯანაშვილის ლექსი „სოხუმი, მაგნოლია“** (რომლის  
 შთამბეჭქდავ და ემოციურ პოეტურ ტექსტზე ცნობილმა ქართველმა რეპატრიანტმა,  
 მუსიკოსმა და კომპოზიტორმა ალექსანდრე პელეგმა შექმნა საუცხოო სიმღერა)  
 შეეხება აფხაზეთის ომით გამოწვეული ტრაგედიის გამო ცისფერი ზღვისა და კამკამა  
 ცის უსაზღვრო მონატრებას, წუხილს დაგლეჯილი (მაგრამ ვერდაჩოქებული)  
 საქართველოს ბედზე:

„ვით სამყაროს ნაღები, ჩემი მიწა ზრაპრული,

მახსოვს ცისკრის გაღება და ტყეების ალღუმი,

მახსოვს ფაცხა-ოდები და წისქვილის ბორბლები,

მერე ომი, გოდება... ჩემი შენი ობლები.

ზღვაო ჩემო, ცისფერო, ცაო ჩემო, კრიალა,

გაგლეჯილო ივერო, დაჩოქილო კი არა!

შემოდგომა ყვითელი, ფოთლების აგონია,

სიყვარული პირველი - სოხუმი, მაგნოლია!

რა მუხთალი ყოფილა, მართლაც, წუთისოფელი,

უნდა გქონდეს თოფი, ან თავი ყულფისოდენა

რომ გაუძლო ამდენ მეს და ბურთს, ყელში მოწოლილს,

რალა ჩვენთვის დაემხო ბაბილონის გოდოლი!

ზღვაო ჩემო, ცისფერო, ცაო ჩემო, კრიალა, გაგლეჯილო ივერო, დაჩოქილო კი არა!

შემოდგომა ყვითელი, ფოთლების აგონია,

სიყვარული პირველი - სოხუმი, მაგნოლია!“ [ჯანაშვილი, ელრესურსი]

მეოცე საუკუნის 90-იანი წლების ქართული ლიტერატურა და ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისი ხანის მხატვრული ნარატივი თვალნათლივ ასახავს ქვეყანაში წარმოებული ომების შედეგად საქართველოში არსებულ მეტად მძიმე ტრავმულ და პოსტტრავმულ მდგომარეობას. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ აფხაზეთის ომმა ასახვა პოვა ქართველ ებრაელთა შემოქმედებაშიც.

### ***3.2. აფხაზეთი თანამედროვე ქართულ პუბლიცისტიკაში***

წინამდებარე თავის მომდევნო ეპიზოდი ეთმობა პუბლიცისტიკას, კერძოდ, ვისაუბრებთ იმის შესახებ, თუ როგორ არის წარმოჩენილი ეროვნულ-ტრავმული სატკივარი ქართულ პუბლიცისტიკაში. განვიხილავთ აკაკი ბაქრაძის, ნოდარ



დუმბადის, ზურაბ რატიანის, დავით ჭელიძის წერილებს აფხაზეთის ომთან დაკავშირებით.

უპირველეს ყოვლისა, გვსურს ყურადღება შევაჩეროთ ტრაგედიის აკაკი ბაქრაძისეულ ანალიზზე: „ერთადერთი ხალხი კავკასიაში, ვისაც წარსული გააჩნდა, სახელმწიფო, მწიგნობრობა, დამწერლობა ჰქონდა, საქართველო იყო.... მისი დაქუცმაცება, ეროვნული შეგნების (დარჩენილი შეგნების) დარღვევა, ეკლესიის გაუქმება იყო აუცილებელი. სხვანაირად მიზნის მიღწევა, კავკასიის გარუსება, ვერ მოხერხდებოდა“ [ბაქრაძე, 2002: 15].

მიზნის მისაღწევად მთავარი დარტყმა რუსეთს საქართველოსათვის უნდა მიეყენებინა. ამისათვის კი მოკავშირე ესაჭიროებოდა კავკასიაში. და მოკავშირეც არაჩვეულებრივი შეარჩია - სომხები რუსეთის მოკავშირეები გახდნენ კავკასიის გარუსების საქმეში, ამიტომაც ჩაასახლა იმპერიამ დიდი რაოდენობით აფხაზეთში და, დღევანდელი სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, აფხაზეთში 80 ათასი სომეხი, 60 ათასი ქართველი, 40 ათასი აფხაზი ცხოვრობს). მათ ძალიან კარგად იცოდნენ, რომ აფხაზებად წოდებული აფსუები ტომობრივად განსხვავებულნი, მაგრამ სახელმწიფოებრივად ქართველები არიან. სწორედ ამ ერთიანობის დაშლა გახდა რუსეთის უპირველესი ამოცანა და, რაც ვერ მოახერხა მეფის რუსეთმა, არ გასჭირვებია კომუნისტურ რეჟიმს.

აკაკი ბაქრაძე შენიშნავს, რომ *აფხაზეთში მე-19 საუკუნეში ძველი ქართული ეკლესია-მონასტრები რუსებს ყველგან განუახლებიათ - ლიხნი, ილორი, მოქვი.... ახალ ათონში ახალი კომპლექსი ააშენეს... ეს არ გაუკეთებიათ რუსებს არსად, საქართველოს არც ერთ სხვა კუთხეში.... მაჰმადიანობის მრავალსაუკუნოვანი გავლენის შედეგად აფხაზეთში შესუსტებულია ქართული ქრისტიანობა, რუსეთი აღადგენს ქრისტიანობას, ოღონდ - რუსულს და ამით აფხაზეთის გარუსების პრობლემას წყვეტს* [ბაქრაძე, 2002: 15]. გადაწყვიტა კიდევ - ქართული ენა და ქართული დამწერლობა ჩაანაცვლა რუსულმა. მაჰმადიანი აფსუები თურქეთის გზას გაუყენა, ხოლო შავი ზღვის სანაპირო ზოლში რუსები და სომხები ჩაასახლა.

„აფხაზეთის მუზეუმში ვიყავი, - იგონებს აკაკი ბაქრაძე, - საცოდაობაა. ორიოდ ანტიკური ან უფრო ძველი არქეოლოგიური ნივთი, ნაპოვნი აფხაზეთის ტერიტორიაზე (მაგრამ - არა აფსუების კუთვნილი), მერე უცებ თანამედროვეზე არიან გადმომხტარი, მთელი ორი ათასი წელი გამოტოვებული აქვთ, რადგან, მაშინ უნდა აღიარონ, რომ ქართული სახელმწიფოს ნაწილი იყვნენ და თავისი არაფერი ჰქონიათ... გამყიდველური ელემენტი აფუჭებს ყველაფერს - მაჭავარიანი, გულია - ჩოჩუა - აფხაზური ანბანის შედგენის ინიციატორები“ [ბაქრაძე, 2002: 17].

არ შეიძლება არ გაგვახსენდეს ილიას სიტყვები, „თვით ამბობენ მას, რის აღდგენაც სურთ, თვით შველიან მას, რასაც ებრძვიანო“. ბაქრაძე აღნიშნავს, „უსლარი ამბობდა, ქართული ანბანი ყველაზე სრულყოფილია და კავკასიის ხალხებისათვის ანბანი ქართულის მიხედვით უნდა შედგესო. პრაქტიკულად კი, აფხაზური ანბანის შედგენა რუსულის მიხედვით დაიწყო...“ [ბაქრაძე, 2002: 18].

წერილი „გული“ (ნაწარმოებს მხოლოდ წერილსაც ვერ დავარქმევთ) ნოდარ დუმბაძემ შოთა ნიშნიანიძის ლექსით („აფხაზური კანტატა“) შთაგონებულმა დაწერა. წერილი, მოცულობის სიმცირის მიუხედავად, რამდენიმე ეპიზოდს შეიცავს. თითოეული იმდენადაა მნიშვნელოვანი, რამდენადაც დროის სხვადასხვა მონაკვეთში (აფსუებთან ურთიერთობის არევაზე თუ მის შემდგომ) მომხდარ ამბებს გადმოგვცემს და, ამავდროულად, აფსუების სამ სხვადასხვა კატეგორიას წარმოგვიდგენს ქართველებთან, დამოკიდებულების თვალსაზრისით. ტექსტს გაცილებით მრავლისმომცველი დატვირთვა აქვს - ერთდროულად, ლექსის ანალიზიცაა, ოთხი პატარა მოთხრობაც და ერის სამოქმედო სტრატეგიაც.

ლექსის პირველ სტროფთან დაკავშირებით („ხვიჩას ზრდიდნენ აფხაზები ჩაუქად და რაინდად“) მწერალი ამბობს, ეს ხომ ჩემზეა დაწერილი, ეს ხომ მე ვარო და იხსენებს კარგ მოქართულე აფხაზ ბიძას, ზოსიმეს, დეიდა მაროს, რომელმაც, ქმრის ხატრით, აფხაზური ისე ისწავლა, აფხაზურად საბავშვო მოთხრობა დაწერა და გამოაქვეყნა; ნესტორ ლაკობას, მის ლამაზ მეუღლეს სარიას და მერცხალივით ბიჭს რაუფს. როგორ ეფერებოდა ნესტორი ატირებულს და თან არიგებდა, ვაჟკაცის ტირილი ვინ გაიგონაო.

„მაგ ტკბილ კალთაში თავს ჩაგიდებ და გავყუჩდები ლოცვით, მადლობით, აღსარებით მითრთის ტუჩები!“ [ნიშნინანიძე, ელრესურსი] - აფხაზეთმა თავის ტკბილ კალთაში თურმე ახალი სიცოცხლე აჩუქა მწერალს, როცა სოხუმის მეორე საავადმყოფოში ხელახლა დაიბადა: **თვალს ვახელ: ებრაელი, ბერძენი, სომეხი, აფხაზი, ქართველი - ყველა** ერთად მადგას თავზეო [დუმბაძე, ელრესურსი], წერს დუმბაძე და დამახასიათებელი იუმორით დასძენს, არ მეგონა, სიკვდილი თუ ასეთი ინტერნაციონალისტი იყო.

სოხუმი ეროვნებათა მრავალფეროვნებით მართლაც გამოირჩეოდა, გავიხსენოთ ბერძნებთან გამომშვიდობების სცენა „ჰელადოსიდან“: „იქიდან გვიყვიროდნენ ხელების ქნევით რაღაცას, ზოგს - ბერძნულად, ზოგს - რუსულად, ზოგს - აფხაზურად, ზოგს - სომხურად, ზოგს - ქართულად...“ [დუმბაძე, ელრესურსი], ეთნოსთა რაოდენობით სოხუმი თითქმის უსწრებდა კიდეც თბილისს.

კონსტანტინე გამსახურდიას მსგავსად (არა გვგონია, შემთხვევით), მწერალი ჩამოთვლის გულშემატკივართა გვარებს: „ბურანში წასული გულიებს ვხედავ, შინკუბებს, პაპასკირებს, თარბებს, ლასურიებს, ახუბებს, ლომიებს, კაკბებს, ანჩაბაძეებს, გოგუებს“ [დუმბაძე, ელრესურსი]. როგორც ვხედავთ, მეგრულ-აფსურული გვარები ისევე ენაცვლება საუკუნის ბოლოს ერთმანეთს, როგორც საუკუნის დასაწყისში ჩამოთვლიდა დიდი კონსტანტინე - გვერდიგვერდ.

სანატორიუმში გადაყვანილ ავადმყოფ მწერალს ორი ოჩამჩირელი გოგონა მოინახულებს - ერთი აფხაზი, მეორე - ქართველი. საკუთარ ბაღში დაკრეფილ ფორთოხალ-ლიმონს მოუკითხავენ; რომ წავიდნენ, აივნიდან გადავხედე, მხარზე მხოლოდ ანგელოზები ესხდნენო გვეუბნება წერილის ავტორი.

ეს ადამიანთა ის კატეგორიაა, რომელსაც ბოროტი, მიუხედავად ყველაფრისა, ვერ ეკარება და რომლის საშუალებითაც ჩვენ ისევ შევძლებთ თანაცხოვრებას; მაგრამ არსებობს ნაწილი ახირებული ადამიანებისა, რომელთა წყალობითაც ჩვენი ურთიერთობა ომამდე მივიდა. ამის სათქმელად მწერალი გუდაუთაში ბენზინგასამართ სადგურთან მომხდარ ამბავს იგონებს, თუ როგორ აუხირდა იქაური

ნასვამი კაცი, რომელსაც აშკარად ჩხუბი უნდოდა - „ვხედავ, მხარზე მარტო ჭინკა უზის, ანგელოზი არსად ჩანს“ [დუმბაძე, ელრესურსი].

მხოლოდ ამ ორ უკიდურესობაში მყოფი ადამიანებისგან არ შედგებოდა და შედგება ეს ეთნოსი. შუალედური მდგომარეობის მქონენიც არსებობენ, რომელთაც უნდათ ადამიანური, სათნო, კეთილი, ურთიერთპატივისცემისა და სიყვარულზე დამყარებული ურთიერთობები, როგორც მხარანგელოზებიან გოგონებს, მაგრამ *მიზეზთა სხვათა და სხვათა გამო* ბრკოლდებიან. ამასთან დაკავშირებით მწერალი მოსკოვის ერთ-ერთ რესტორანში მომხდარ შეხვედრას იხსენებს - როგორ მოესიყვარულება შორიდან აფხაზი მეგობრის ვაჟი შოკოლადისა და შამპანურის მირთმევით, ხოლო თანამეინახის კითხვას, რატომ თვითონ არ მოვიდაო, მხოლოდ საკუთარ გულში სცემს პასუხს: „როგორ ავუხსნა, რატომ არ მოვიდა აფხაზურ ოჯახში აღზრდილი ვაჟკაცი მამამისის ტოლ კაცთან,... რატომ არ გადაიდო ფეხი ფეხზე, რატომ გამომიცხადა ასე შორიდან სიყვარული და უხმოდ რატომ წავიდა?!“ [დუმბაძე, ელრესურსი].

ამ პატარა პასაჟით ბევრი რამ თქვა მწერალმა: პირველ რიგში, ეს ლამაზი, ახოვანი ვაჟკაცი, გვერდს ვერ უვლის მამის მეგობარს ისე, რომ სიყვარული და პატივისცემა არ გამოხატოს მის მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ თავად ადრესატმა იგი ვერ შეამჩნია. როგორც აფხაზურ ოჯახში აღზრდილს, აქვს რა უფროსებისადმი მოკრძალება და პატივისცემა, ვერ იკადრებს მამისტოლ კაცთან დაჯდომას. დაბოლოს: „მხარზე ამასაც ჩემი ჭინკა და ანგელოზი უზის“ [დუმბაძე, ელრესურსი] ეს *ჭინკა* აბრკოლებს ურთიერთობას. საჭირო და აუცილებელია აფსუათა იმ ნაწილთან, რომელიც აგრესიული ან გაორებულია ჩვენ მიმართ, რის მაგალითებიც ასე ნათლად, უბრალოდ და ადვილად გასაგებად წარმოაჩინა მწერალმა, სასაუბრო ენა მოგებნით, სამოქმედო სტრატეგია დავსახოთ. ამისთვის მეოთხედ საუკუნეზე მეტი, არაფერი გაგვიკეთებია. თავად ვერ ვხვდებით, არ ვიცით და არც ჩვენს მწერლობაში ვეძებთ პასუხებს; პასუხებს, რომლებიც ჩვენ რთული გვგონია, მარტივად პოულობენ მწერლები. ზემოთქმულის მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს აბზაცი დუმბაძის ამ პატარა წერილიდან: „ჩემს ისტორიკოს მეგობარს ვთხოვე, ჩვენი ისტორიული წარსულიდან აფხაზთა და ქართველთა ძმობის რაიმე ლამაზი ამბავი გაიხსენე მეთქი...“

არძმობის ამბავი ვერ გავიხსენე და ის როგორღა გავიხსენოო?!” [დუმბაძე, ელრესურსი], ასე უპასუხა მწერალს მეგობარმა.

ეს ან ბრძენი კაცის მოგონილი სიცრუეა, ან მართლაც ასე იყო, ყოველ შემთხვევაში, ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენმა შვილებმა და შვილიშვილებმა ასე უნდა იცოდნენ - ესეც გენიალური სტრატეგია, რომელიც ურთიერთობის აღსადგენად უნდა გამოვიყენოთ, რადგან ჩვენ მხოლოდ ტერიტორია არ დაგვიკარგავს, ჩვენ მათი გულები დაგვიკარგეთ და მამულის დაბრუნება თუ გვსურს, ჯერ გულების დაბრუნებაზე უნდა ვიფიქროთ და მათაც მოვანდომოთ ჩვენი გულებისაკენ მომავალი გზების ძიება. მაदლი მხოლოდ მაშინ ტრიალებს, გვმოდვრავდა დიდი ილია, როცა გამღებიც არის და მიმღებიცო, ამიტომაც მუდამ ახსოვს მწერალს, *აკაკი წერეთლის, კონსტანტინე გამსახურდიას, ლეო ქიაჩელისა და სხვათა შემდეგ კაცი როგორი სიფრთხილით უნდა შეეხოს აფხაზთა გულის სიმებს. ეს ჩემს აფხაზ ძმებსაც უნდა ახსოვდეთ, ქართველთა გულის სიმებს რომ შეეხებიან ხოლმე... რა დიდი ფერება და გაფრთხილება სჭირდება თურმე გულს* [დუმბაძე, ელრესურსი].

აქვე წარმოვაჩინო მწერალ ბექა ქურხულის ჩანაწერს (რომელსაც ზემოთაც ვციტირებთ) აფხაზეთის ომის შესახებ: „როდესაც აფხაზეთის ომის კადრებს ვუყურებ, მახსენდება, ამ არაორგანიზებულ, არეულ შპანას როგორ ეჭირა ზუსტად 13 თვე და 13 დღე ფრონტის ხაზი, როგორ იგერიებდა სოხუმზე შეტევებს და 14-16 მარტს როგორ გადაუარეს მტერს, როგორ გაანადგურეს ტამიშთან გასაიდუმლებული რუსული სამხედრო სპეციალური ქვედანაყოფი *ლეტუჩიე მიში*, ჩვენი თბილისელი ქურთის ბიჭების ანაბარა, და მაინც როგორ მაგრად იდგნენ, ... სულ მგონია, რომ ამ ომში საქართველო კი არ დამარცხდა – მოკვდა!“ [ქურხული, ელრესურსი].

მძიმე და ტკივილიანი განაცხადია მწერლისა, რომელიც თავადაც მონაწილეობდა ამ ომში და მსგავსი დასკვნის გაკეთების საფუძველს მას ნამდვილად აძლევდა ომის შედეგები: დაკარგული ულამაზესი კუთხე, ასობით ათასი ლტოლვილი, ათასობით დაღუპული და უგზო-უკვლოდ დაკარგული თანამემამულე.

ამასწინათ ვახტანგ ჭელიძის ვაჟმა – დავით ჭელიძემ გამოაქვეყნა მამის მიერ დაწერილი ძალიან საინტერესო ისტორიული წერილი. ავტორი საუბრობს თედო სახოკიას ივანე მაჩაბელთან იმ მიმოწერის შესახებ, რომელიც ეხება ივანე მაჩაბლის

სოხუმის მერად არჩევის საკითხს, ამავდროულად, იხსენებს სახოკიას ეთნოგრაფიულ ნარკვევებს „სამურზაყანო“ და „აფხაზეთი.“

ავტორი გადმოგვცემს, რომ გუდაუთა საკმაოდ მოზრდილი დაბაა აფხაზეთისა. აქ 172 კომლი – 1117 სული მცხოვრები ითვლება სხვადასხვა ეროვნებისა. მათ შორის რიცხვით, როგორც ყველგან, აქაც, პირველი ადგილი უჭირავს ქართველობას – 356 სული, შემდეგ რუსებს – 242 სული, მერე მოჰყვებიან ბერძნები – 133 სული, სომხები – 132 სული და სხვ.

ამ დროიდანვე იწყება რუსთა ახალშენების მომრავლება აფხაზეთში. აქედან მე-7 კილომეტრზე (*იგულისხმება ფსირცხის მონასტრიდან, ანუ ახალი ათონიდან - თ.კ.*) რუსთა ახალშენი გაჩნდა, პეტრეპავლოვსკად წოდებული, – განაგრძობს ნარკვევის ავტორი, – ადგილობრივ ადმინისტრაციას, რომელსაც ეხმარებოდა სოხუმში დაარსებული კომიტეტი, ადგილი საუკეთესოდ უცვნია გლეხთათვის: ნიადაგი ნაყოფიერი და ვაკე – სხვა მეტი რა უნდა რუსის გლეხსაო! არავის მოაგონდა, რომ ამ ნოყიერი ადგილების გვერდით ჭაობებიც ბევრი იყო, არავის მოაგონდა, რომ მალარია აქ დასაბამითვე ჰბუდობდა; არავის მოაგონდა, რომ ამ მალარიის შიშით აქ აფხაზებიც კი ერიდებოდნენ დასახლებას. როცა ვიღაცას მალარია უხსენებია, კომიტეტის ერთ წევრს (ექიმს) ისიც ეთქვა: „თუ ახალმოსულები ციებამ გასწყვიტა, მათ ალაგას სხვანი მოვლენო...“ [ჭელიძე, ელრესურსი] (გვახსენდება ალექსანდრე ყაზბეგის სიტყვები, „ელგუჯადან“: „ასი ივანე თუ გაწყდება, მომდევნო ასი მოვა“. ოღონდაც კავკასია აეთვისებინა და დაეპყრო რუსეთს და საკუთარი მოსახლეობის მასობრივ გაწყვეტასაც კი არ ერიდებოდა).

„ეს ვაჟბატონები უმაღლესი მოსაზრებით ხელმძღვანელობენ, – მოგვითხრობს ავტორი, – ხელი უნდა შევუშალოთ ქართველთა გამრავლებას, თუნდაც მთელი სოფლის სიცოცხლედ დაგვიჯდეს ეს ხელის შეშლაო“. [ჭელიძე, ელრესურსი] ციებამ, თურმე, მოახალშენეთა ერთი მოდგმა იმსხვერპლა. ახლები მოიყვანეს და დაასახლეს.

სწორედ ამ ჭაობებზე, ხშირ ტყეში, მეგრელებს თავიანთი საცოდავი ფაცხები წამოუდგამთ. ჰკვირობთ, რამ გააბედინა ამ საცოდავებს ამ ციებ-ცხელების ბუდეში დასახლკარებულიყვნენ... მხნედ მოჰკიდეს საქმეს ხელი, ჭაობები დააშრეს, გააჩინეს სახნავ-სათესი, გააშენეს ვენახი და გაჩნდა ეგრეთწოდებული სოფელი „მაიაკი...“ მაგრამ გავიდა დრო, და როცა ქართველებმა მუხლჩაუხრელი შრომით ეს ჭაობიანი

ადგილი, ციების ბუდე, სამოთხეს დაამსგავსეს, „სოხუმის მაშინდელმა ბატონმა ბერენსმა აითვალისწუნა მეგრელები და უთხრა, აქედან მიბრძანდით, მატროსები უნდა დავასახლო ამ მიწებზედაო. მეგრელებმა მოახსენეს: ოცი წელიწადია ჩვენი ძალ-ღონე აქაურობის გაწმენდას, ციებ-ცხელებასთან ბრძოლას შევალიეთ, და ახლა მზამზარეულზე სხვები უნდა დაასახლოთო?! ეგ თუნდ არაფერი, მატროსებიც რომ არსად არიან ჯერ, რაღად დგებით ჩვენს ცოდვაში და რად გვიწყვეტთ ლუკმა პურსაო!...“ [ჭელიძე, ელრესურსი].

ასეთ პოლიტიკას, ბუნებრივია, ხელს უშლიდა აფხაზეთის მთავარი შერვაშიძე. ამავე ნარკვევში თედო სახოკიას მოთხრობილი აქვს სევდიანი ისტორია, როგორ ძალდატანებით გამოიყვანეს მთავარი მიხეილ შერვაშიძე სასახლიდან და რუსეთს გადაასახლეს. ჯერ მოატყუეს – ქუთაისში გაგასახლებთო. და როგორც თედო სახოკია წერს, მთავრისთვის ეს ერთგვარი შვება იყო – რაკი სამშობლოში ვიცხოვრებ, ჭირს ადვილად გავუძლებო.

მაგრამ ეს დამპყრობელთა ჩვეულებრივი ფანდი გამოდგა, ადგილობრივი მოსახლეობის დასაშოშმინებლად მოგონილი. როცა გენერალმა შატილოვმა, 700 ჯარისკაცის თანხლებით, მთავარი სასახლიდან გამოიყვანა და გემში ჩასვა; ჯერ ფოთისკენ აიღეს გეზი, თითქოს მართლაც ქუთაისში მიჰყავდათ, მაგრამ *როცა ღრმად შევიდა გემი ზღვაში, კაპიტნის ბრძანება გაისმა, გემმა ნელ-ნელა პირი იბრუნა რუსეთისაკენ... მთავარს გონი ვერ მოეკრიფნა, თვალებს არ უჯერებდა... გემმა მთავარი ნოვოროსიისკში გაიყვანა. ხოლო იქიდან ვორონეჟში წაიყვანეს საცხოვრებლად* [ჭელიძე, ელრესურსი].

საგულისხმოა ერთი ცნობაც: როცა მთავრის წასაყვანად მივიდნენ 1864 წლის ნოემბერში, მთავარს თავის საზამთრო სასახლეში, დაბა ოჩამჩირეში, *თან ახლდნენ ეპისკოპოსი ალექსანდრე (ოქროპირიძე), მოძღვარი დეკანოზი ბასილ მიქაბერიძე, მთავარდიაკონნი ივანე თვალთვაძე და იოსებ ტიტვინიძე, მედავითნენი გრიგოლ კასრაძე და ალექსი დგებუაძე; იქვე ჰყავდა ბაზიერი ოტია კახიანი, მემიმინოვე მანჩა შარაშენიძე, მემძებრე ბესო მიქელაძე...* [ჭელიძე, ელრესურსი].

როგორც ვხედავთ, მთავრის სასახლეში სულ ქართველები ტრიალებენ. ეს გასაკვირი სულაც არ არის; თედო სახოკიასი არ იყოს, საქართველოში ქართველების ყოფნა მხოლოდ გიჟს ან ბოროტგანმზრახველს შეიძლება გაუკვირდეს. ნეტავ, რას

იტყვიან აფხაზი სეპარატისტები, რომლებიც ხმის ჩახლეჩამდე გაჰყვირიან, თითქოს ქართველები აფხაზეთში მხოლოდ სტალინსა და ბერიას ჩაესახლებინოთ. ზემოთ მოთხრობილი ამბავი 1864 წელს მოხდა.

ასეთია მკაცრი სინამდვილე ისტორიისა, და მას „არძინბასნაირი მეცნიერები ვერ შეცვლიან“, წერს ვახტანგ ჭელიძე. წერილიდან ნათლად ჩანს, ვინ არის აფხაზეთის მკვიდრი მოსახლეობა და როგორ ებრძვის მეფის რუსეთი მას - აფხაზეთის მთავრით დაწყებული, უბრალო მეგრელი გლეხით დამთავრებული, ქართულ ჯიშსა და გენს აფხაზეთის მიწაზე.

რაც შეეხება კავკასიონის ქედს, კომუნისტებმა მხოლოდ ქართველების საშუალებით შეძლეს ძვირადღირებული გვირაბის (როკის) გაყვანა.

ერთ-ერთ საგაზეთო სტატიაში წავიკითხეთ, რომ შემოვლითი გზა, ბაქოდან ან სოჭიდან საბჭოთა კავშირს უჯდებოდა 28 მილიონი მანეთი, ხოლო როკის გვირაბი დაჯდა 71 მილიონი, რამდენად მეტი მილიონი დახარჯა საბჭოთა იმპერიამ კავკასიონის გასათხრელად იმისათვის, რომ, ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ სახით, კავკასიის დასაპყრობი სამხედრო პლაცდარმი ჰქონოდა.

აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ომების თემატიკასთან დაკავშირებით ქართულ პუბლიცისტურ ნარატივში, შესაძლოა ითქვას, ზღვა მასალა მოიპოვება. ჩვენი ყურადღება მიიპყრო უპირველეს ყოვლისა ტესტებმა იმ ავტორებისა, რომელთაც უშუალო შეხება ჰქონდათ აფხაზეთთან; ისინი არა ზედაპირულად, მშრალი სტატისტიკით, არამედ გულისმიერი აზროვნებიდან გამომდინარე, ღრმად და საფუძვლიანად ხსნიან ამ კონფლიქტის გამომწვევ მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს, წანამძღვრებს ქართველთა ეთნოწმენდისა, ასეულ ათასობით ქართველის საკუთარ სამშობლოში ლტოლვილად ქცევისა. ჩვენ მიერ განხილული ავტორები, ამავდროულად, საუკუნოვან ძმებს შორის კონფლიქტის აღმოფხვრისათვის სამომავლო პერსპექტივას ჰვრეტენ ნათლად, რაც ურთიერთობის აღდგენისათვის (რომელიც გარდაუვალი აუცილებლობაა) ძალიან მნიშვნელოვანია.



## დასკვნა

საკვალიფიკაციო ნაშრომში შევისწავლეთ აფხაზეთის კონცეპტი ქართულ ლიტერატურაში (ძველი, ახალი, უახლესი). სადისერტაციო ნაშრომის შესავალში გამოვკვეთეთ იმ პრობლემის აქტუალობა, რომელსაც განვიხილავთ ნაშრომში, ჩამოვყალიბეთ დისერტაციის კვლევის წყაროები, მიზანი და ამოცანები. განვიხილეთ საკვალიფიკაციო ნაშრომის კვლევის მეთოდოლოგია და თეორიული ბაზა; განვსაზღვრეთ სადისერტაციო ნაშრომის სიახლე, მეცნიერული და პრაქტიკული ღირებულება; საკითხის ფარგლებში შევისწავლეთ აფხაზეთის ომისა და, ზოგადად, აფხაზეთის შესახებ შექმნილი მხატვრული ტექსტები ქართულ მწერლობაში.

სადისერტაციო ნაშრომის I თავში „აფხაზეთი ძველ ქართულ ლიტერატურაში“ განხილულია ძველ ქართულ მწერლობაში წარმოდგენილი ლიტერატურული და იდეოლოგიური კონტექსტები აფხაზეთის შესახებ. ყურადღება გამახვილებულია იმაზე, რომ აფხაზეთი საქართველოს ეროვნული, პოლიტიკური და რელიგიურ-კულტურული მთლიანობის ორგანული ნაწილია.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ იოანე საბანისძე პირველი ქართველი მწერალია, რომლის თხზულებაშიც აფხაზეთსა და მის მოსახლეობას განსაკუთრებული ადგილი ეთმობა. ავტორი არა მხოლოდ დიდებული მწერალი, არამედ თავისი ეპოქის დიდი მოაზროვნე და სახელმწიფო იდეოლოგიის მიზანმიმართულად და სრულფასოვნად წარმომჩენია. იგი ობიექტურად აღწერს არაბთაგან დაპყრობილ და ტრავმულ მდგომარეობაში მყოფ ქართლს: „შიშისაგან განილევინ და ირყევიან, ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა“, მაშინ, როცა აფხაზეთში, დასავლეთ საქართველოში ქართული ენა და მწიგნობრობა აღმავლობის გზას ადგას.

გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ შესწავლამ ცხადჰყო, რომ აფხაზეთს ამ ტექსტში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ავტორი ნაწარმოებში ქართულ სახელმწიფოსა და მის საზღვრებს ზუსტი ლიტერატურული ფორმულით განსაზღვრავს. მან ჩამოაყალიბა ის სამი ფენომენი, რომლებიც აუცილებელია ქვეყნისათვის, რომ შედგეს იგი, როგორც სახელმწიფო. ეს გახლავთ

ტერიტორია - „ფრიადი ქვეყანა“, შემდეგ ენა - „ქართულითა ენითა“ და სარწმუნოება - „ჟამი შეიწირვის“.

ნაწარმოების ავტორს სრულად და ფართოდ აქვს გააზრებული ის გარემოება, რომ გრიგოლის მოგზაურობა აფხაზეთში სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის აქტია, რადგან ქართლისა და აფხაზეთის გზა-შესაყარზე უბისის ტაძრის აგება ფაქტობრივად დღევანდელი საქართველოს აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილების ერთი სკიპტრისა და გვირგვინის ქვეშ სამომავლო გაერთიანების მტკიცე საწინდარი გახლდათ, რაც მომდევნო საუკუნეებში რეალობად იქცა.

რაც შეეხება გიორგი მთაწმინდელის „იოანესა და ექვთიმეს ცხოვრებას“ კვლევის შედეგად მივედით დასკვნამდე, რომ ქვეყნის ფარგლებს გარეთ მყოფი წმინდა მამებისათვის აფხაზეთის სამეფო იგივე მთელი დასავლეთ საქართველოს სახელია (ისევე, როგორც აღმოსავლეთისა - ქართლი/იბერია).

ამრიგად, აფხაზეთი როგორც სახე-იდეა ძველი ქართული მწერლობის ამ ძეგლებში დიდად მნიშვნელოვან ლიტერატურულ და იდეოლოგიურ კონტექსტებს შეიცავს.

II თავის საკვლევი საკითხია **„აფხაზეთი ახალ და უახლეს ქართულ მწერლობაში“**.

პირველ ქვეთავში (აფხაზური კონცეპტები აკაკი წერეთლის პოემა „გამზრდელში“) შევისწავლეთ, რომ დიდმა პოეტმა დახატა აღმზრდელის, როგორც განსაკუთრებულ სულიერ სიმაღლეზე მყოფი პიროვნების, პორტრეტი.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ პოემა სიმბოლიკითა და არაორდინარული მხატვრული სახეებითაა დატვირთული. ჰაჯი-უსუბის ნაწარმოებში შემოსვლას ორი განსხვავებული არეალი შემოაქვს: ერთი გეოგრაფიული - ყაბარდო, ხოლო მეორე - რელიგიური - მაჰმადიანური სამყარო.

პოემაში უხვადაა ქრისტიანული სახე-სიმბოლოები - მღვიმე, რომელიც სამყაროს სიმბოლოა, სადაც იშვა ჩვენი მაცხოვარი იესო ქრისტე; მთა, რომლის საშუალებითაც,

წმინდა წერილის თანახმად, ადამიანს ხელეწიფება შემოქმედთან კავშირის დამყარება და ცა, რომელიც ქრისტიანობისათვის საყდარია ღვთისა. პოემა, ამავდროულად, დატვირთულია დასავლეთ საქართველოში, კერძოდ კი, სამეგრელოსა და აფხაზეთში არსებული გამორჩეული ტრადიციებითაც; აფხაზ გლეხ ბათუსა და ყაზარდოელ თავად საფარს შორის მორღუობის ნათესაური კავშირის შესახებ გვამცნობს ავტორი. მოგვიანებით ქართულმა მწერლობამ მორღუობის სხვადასხვა შემთხვევა დახატა უკვე ეთნოსის სახელდასაკუთრებულ აფსუა-აფხაზთა და ქართველ-აფხაზთა ურთიერთობისა, კერძოდ, კომუნისტ არზაყან ზვამბაიასა და თარაშ ემხვარს შორის, ჰაკი ამბასა და უჯუმ ემხას შორის. რის ანალიზსაც მომდევნო ორი ქვეთავი წარმოადგენს. ამ ორი გააფხაზებული აფსუადან ერთი ირიბად კლავს ძუძუმტეს, ხოლო მეორე საკუთარ სიცოცხლეს წირავს მისთვის. ურთიერთობის ამ ფორმამ რადგან ასეთი კონტრასტული განვითარება პოვა ქართულ მწერლობაში, შესაძლოა ასეთ დასკვნამდეც მიგვიყვანოს: ხომ არ მიდის პოეტი გაცილებით უფრო შორს, ვიდრე წარმოგვიდგენია?! კერძოდ, მწერალი ხედავს, მორღუობის საფარქვეშ როგორ შემოდიან იმიერკავკასიიდან უცხო ტომისა და სარწმუნოების ადამიანები იმიერკავკასიაში, რაც ძვირად უჯდება ქართველთ - აფხაზებს, სვანებსა და მეგრელებს; კვლევის შედეგად გამოიკვეთა აზრი: ჩვენი დიდი მწერლები ხედავდნენ ეთნოსის სახელის მითვისების საშიშროებას შემოსული ტომის მხრიდან და ამიტომაც მეტად დელიკატურად სვამენ ტოლობის ნიშანს აფხაზსა და მეგრელს შორის, ოსტატურად გადმოგვცემენ მორღუობის ტრადიციას და თანაც ღირსეულად წარმოაჩენენ სტუმრად მოსულ გარემუს, რომელმაც შინაური გააგდო; მაგრამ ბოროტება ბოროტებით არ იკურნება, მას მაღალი ზნეობისა და გმირობის მაგალითი აცამტვერებს.

ამავე თავში შევისწავლეთ კონსტანტინე გამსახურდიას რომანი-ეპოპეა „მთვარის მოტაცება“ განსახილველი თემატიკის ჭრილში. აფხაზეთის მოსახლეობის არისტოკრატია და სამღვდლოება (ნახუცარი, ბაბუა ტარიელი, გვარად შარვაშიძე) ქართველი აფხაზები არიან, ხოლო აფსუა აფხაზები კი სოციალურად დაბალ წრეს განეკუთვნებიან. კონსტანტინე გამსახურდიას რომანის დასაწყისშივე თავად შემოაქვს დიფერენციაცია; „მიდის ჩაბალახით თავგაკრული აფხაზი ვაჟკაცი“, მომდევნო აბზაცში კი წერს: „მიდის უშიშარი და შეუპოვარი აფსუა.“ ეს აფხაზი ვაჟკაცი და

შეუპოვარი აფსუა იდენტიფიცირდება კაც ზვამზაიასთან. მსგავს მინიშნებას მწერალი სხვა შემთხვევებშიც მიმართავს. იგი ეთნიკურად ორგვარი სახის აფხაზის, თუ შეიძლება ასე ითქვას, არსებობას აფხაზეთში უდიდესი ტაქტითა და სიფრთხილით აგებინებს მკითხველს ანუ ერთი უშუალოდ აფხაზია, ისეთივე ქართველი ეთნიკურად, როგორც მეგრელი, სვანი, აჭარელი და ა.შ., ხოლო მეორე - შემოსული (მიხეილ ჯავახიშვილის ტერმინით, შემოხიზნული) აფსუა, რომელმაც მიითვისა ეთნოსის სახელწოდება **აფხაზი** და მეგრული გვარების დაბოლოება.

რაც შეეხება პირველ შემთხვევას, თამარ შარვაშიძისა და ძაბულის პარალელური დახასიათებისას მწერალი მათ შესახებ აღნიშნავს: „თამარი ხომ აფხაზი ქალია“, „ძაბული მეგრელი ქალია“ (აფხაზი და მეგრელი ქალი ისეთივე თანაფარდობითაა ნათქვამი, როგორც კახელი, რაჭველი, გურული ქალი) აღნიშნული კვლევის **შედეგად** მივედით ისეც ცხად დასკვნამდე - თამარ შარვაშიძე ისეთივე ქართველი=აფხაზი ქალია, როგორც ძაბული ქართველი=მეგრელი ქალი (აღმოსავლეთ საქართველოშიც არსებობს ანალოგია - ქართველი თუშებისა და წოვა-თუშებისა - წოვები ჩეჩენ-ინგუშური მოდგმის ხალხია).

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ტარიელ შარვაშიძის ოჯახი ზუგდიდს სწორედ კომუნისტების გამოა ლტოლვილი. ასევე, კომუნისტი არზაყანი მამასაც გაუყოფს კარ-მიდამოს და სიცოცხლესაც წაართმევს თარაშ ემხვარს. ჯაყოს მხატვრული სახეც წარმოგვიდგება თვალწინ (ხიზანი აფსუა, ხიზანი ოსი). განსხვავება მათ შორის, ფაქტობრივად, არც არის - სისხლისმსმელი კომუნისტი, სისხლის მწოველი მედროვე. საუკუნით ადრე თითქმის საუკუნის შემდგომი ტრაგედია ორმა დიდმა მწერალმა იწინასწარმეტყველა - ორივე მათგანი მიგვანიშნებს იმაზე, რომ თუ **ღირსებას, სარწმუნოებას და ნაყოფიერებას** არ დაიბრუნებს ქართველი ამ რეგიონებში, **ნაჭყვედად და ნაშინდარად** იქცევა იქაურობა, რაც ასეც მოხდა.

კვლევის შედეგად ასევე დავადგინეთ მთავარი გმირის მხატვრული სახისა და გვარის წარმომავლობის საკითხი. რომანში თარაშ ემხვარი ღვთის შვილად მოიაზრება, ირმის ძუძუნაწოვ ზღაპრულ პერსონაჟად, მისი გვარის ფუძეში მეგრული ენა ვაზის ეპითეტსაც მოიაზრებს, იგი **„ნამდვილი, ძირძველი აფხაზია“**. ემხვარების განმარცვლ, გაცამტვერებულ კარ-მიდამოს გვარის უკანასკნელი შთამომავალი უკანმოუხედავად

ტოვებს და, თითქოს განგების ნებით, შეუპოვრად გადაეშვება ადიდებულ ენგურში, რომელსაც, იცის, რომ ვერ გადალახავს, მაგრამ დინების საწინააღმდეგოდ მაინც გაცურავს. მთვარეს წყალი მხოლოდ და მხოლოდ დიდი მსოფლიო კატაკლიზმების დროს „იტაცებს.“ სწორედ ამ კატაკლიზმების დაწყებაზე მიგვანიშნებს მწერალი, როცა, ფაქტობრივად, სამი განსაკუთრებული ჯიშის მქონე სულიერი ტოვებს ამქვეყნიურ სამყოფელს – თამარი, თარაში და არაბია, და ასპარეზი ზვამბაიებსა და ალანიებს რჩებათ.

მწერალი იდეოლოგიური მინიშნებებითა და მეტაფორული სახე-სიმბოლოებით აფხაზეთში საუკუნეების განმავლობაში დამკვიდრებულ რეალობაში გარკვეულწილად გამოკვეთილ სახიფათო ტენდენციებს წინა პლანზე წამოწევს და ქვეტექსტების სწორად გააზრებით გვაჩვენებს ცვლილებათა საერთო სურათს.

მომდევნო ქვეთავი შეეხება **ლეო ქიაჩელის მოთხრობას „ჰაკი აძბა“**.

მოცემულ ქვეთავში განვიხილეთ უმნიშვნელოვანესი ნაწარმოები, რომელიც 1918 წლის სოხუმში მიმდინარე მოვლენებს შეეხება. მწერალი ეპოქალური მნიშვნელობის ისტორიულ ცვლილებებს გადმოგვცემს მორდუობის ტრადიციის ფონზე აფხაზ თავადასა და აფსუა გლეხს შორის არსებული ერთგულების მაგალითის მიხედვით.

ლეო ქიაჩელის ამ მოთხრობის შესახებ კრიტიკოსთა აზრი არაერთგვაროვანი იყო: ე. წ. სოციალისტური რეალიზმის წარმომადგენლები მას რევოლუციურ მოთხრობად აღიქვამდნენ, ზოგიერთი კი ნამდვილად ხვდებოდა, რომ მასში ავტორი გაცილებით ღრმა, სოციალურ-კულტურულ-ეთნიკურ პრობლემებს ეხებოდა, ვიდრე მხოლოდ რევოლუციას, მაგრამ ამის პირდაპირ თქმა 1933 წელს, როდესაც მოთხრობა დაიბეჭდა, შეუძლებელი იყო. კრიტიკოსებს ამ ნაწარმოების ლიტერატურული ჟანრის განსაზღვრაც გაუჭირდათ; მწერლის სტილზე იმპრესიონიზმის ლიტერატურული სკოლის გავლენას უსვამს ხაზს სარგის ცაიშვილი. მკვლევარი მიიჩნევს, რომ იმპრესიონიზმმა, სტილის ლაკონიურობასა და უბრალოებასთან ერთად, განუვითარა ლეო ქიაჩელს *ღრმა ქვეტექსტებისა და იდუმალის გრძნობის გამძაფრებისაკენ*

*მიდრეკილება.* სწორედ ეს ლიტერატურულ-იდეოლოგიური კონტექსტები გამოიკვეთა და გამოვლინდა კვლევის შედეგად.

XX საუკუნის დასაწყისში, როგორც ვიცით, აფხაზეთში, ქართველებისა და აფსუების გარდა, ცხოვრობდნენ რუსები, ბერძნები, სომხები... ამის შესახებ ცნობებს ჩვენი ავტორიც გვაწვდის, მაგრამ ისეთი დაფასება, როგორც ქართველთაგან ჰქონდათ აფსუებს, არც ერთი სხვა ეთნოსის წარმომადგენლებისაგან არ ჰქონიათ.

ბეიერბი ჩაჩბას გასაოცარი მხატვრული სახის აღწერას რომ თავი დავანებოთ, მხოლოდ ერთი ფრაზა – „აფხაზური იერით შემკული სახიერება“ – მეტყველებს და მიუთითებს იმაზე, თუ როგორ ფასდებოდა ქართველთა მიერ აფხაზთა „მოდგმის არისტოკრატიული ნიშნები“.

**უჯუმ ემხას ჰყავს რეალური პროტოტიპი - ნიკოლოზ ემხა ანუ ემხვარი.** კონსტანტინე გამსახურდიას რომანში თარაშ ემხვარი ენგურში იღუპება, ლეო ქიაჩელის მოთხრობაში კი უჯუმ ემხას კლავენ და მის გვამს ზღვაში აგდებენ. მოთხრობის პროტოტიპსაც კლავენ. ამგვარად, სამივე ემხვარი იღუპება სხვადასხვანაირად, მაგრამ - გმირულად. რაც მთავარია, ორივე მწერალს სხვადასხვა ხედვა აქვს მომავლის შესახებ: თარაშ ემხვარი მდინარეში იხრჩობა, რითაც მწერალი გვეუბნება, რომ მისი მარადისობაში გადასვლა არ გამოირიცხავს „დაბრუნებას“ განახლებული სახით; უჯუმ ემხას კლავენ და მის გვამს ზღვაში აგდებენ. ზღვა, როგორც ვიცით, ბოროტ ძალთა სიმბოლოა: ზღვაში ჩანთქა იონა წინასწარმეტყველი ვეშაპმა, ზღვაში კარგავს ბოროტების სიმბოლო – დავარი – თავის ძმიშვილს – ნესტან-დარეჯანს.

კიდევ ერთი მხატვრული სახე, რომელიც ასევე დატვირთულია სიმბოლიკით, გემის კაპიტანია, რომელიც მკითხველში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. მისმა დანახვამ სოხუმელები ისე გააოცა, კისერწაგრძელებულები ქვემოდან შესცქეროდნენ უფროსის სიდინჯით მათკენ მიმავალ **საკვირველებას**. მათი გაოცების მიზეზი ის იყო, რომ „ამ კაცის ერთ ტანზე ორ პირსახესა და სამ თვალს ხედავდნენ სრულიად გარკვეულად“. გემის კაპიტანი საბჭოური იმპერიის ერთგვარ სახე-სიმბოლოდ

შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რადგანაც მისი ასეთი ორსახოვნება იმპერიისათვის დამახასიათებელი იყო (როგორც ყოვლისმომცველი და მხედველი მესამე თავალი).

**ტრავმული** კონცეპტები თანამედროვე მწერლების ნაწარმოებებში უხვად გვხვდება. მესამე თავში სწორედ ტრავმულ ლიტერატურას შევხებით და განვიხილეთ ნოდარ დუმბაძის მოთხრობა „ჰელადოსი“, გურამ ოდიშარას რომანი „სოხუმში დაბრუნება“, ჯემალ თოფურიძის თხზულება „დიოსკურია ზღვაში ჩაძირული ქალაქია“ და ნუგზარ შატაიძის ნაწარმოები „მოგზაურობა აფრიკაში“; ასევე გავანალიზებთ, თუ როგორაა ეს თემატიკა წარმოდგენილი ქართულ პუბლიცისტიკასა და ქართველ ებრაელთა პოეტურ ნარატივში.

III თავი – „აფხაზეთი უახლეს ქართულ მწერლობასა და პუბლიცისტიკაში“, შედგება ორი ქვეთავისაგან: 1. ტრავმული კონცეპტები თანამედროვე მხატვრულ ტექსტებში (ნოდარ დუმბაძე, გურამ ოდიშარია, ჯემალ თოფურიძე, ნუგზარ შატაიძე, გია მოშიაშვილი, ნუგზარ ჯანაშვილი). 2. აფხაზეთი თანამედროვე ქართულ პუბლიცისტიკაში.

**ნოდარ დუმბაძის** პატარა, მაგრამ მეტად მნიშვნელოვანი და პრობლემატიკით დატვირთული მოთხრობით, უპირველეს ყოვლისა, მართლაც, ძალიან კარგად ჩანს, რაოდენ მრავალფეროვანი იყო აფხაზეთის მოსახლეობა ეთნიკური თვალსაზრისით; მოთხრობის გმირების უჩვეულო ურთიერთობის ფონზე კვლევის შედეგად გამოვლინდა ის საოცარი დამოკიდებულება ერთმანეთისადმი, რომელიც მათ შორის არსებობდა და ისინი მშობლიური ქალაქების დიდი სიყვარულით იყვნენ განმსჭვალულნი.

გასული საუკუნის მიწურულს ჩვენს ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებს (თბილისის, აფხაზეთისა თუ სამაჩაბლოს ომებს), უცხო ძალის მიერ ინსპირირებულს, ახლდა მრავალი გამომწვევი მიზეზი, რაც დეტალურადაა ასახული **გურამ ოდიშარას ისტორიულ-დოკუმენტურ რომანში „სოხუმში დაბრუნება“**. ავტორი დეტალურად განიხილავს აფხაზეთის ომს და მის შედეგებს, რის შემდეგაც მიდის დასკვნამდე, რომ ეს ომი იქამდე წავაგეთ ქართველებმა, ვიდრე დაიწყებოდა.

ჯემალ თოფურიძე მოთხრობაში (მცირე რომანში) „დიოსკურია ზღვაში ჩადირული ქალაქია“ ხატავს ათეისტურ საზოგადოებას, სადაც, რწმენის ნაცვლად, ცრურწმენა მეფობს ან უფრო უარესი - ღვთისმბრძოლი სული – „მეფისტოფელი ბაბუები“ საერთოდ არ იცნობდნენ ქრისტეს, ღვთის ერთგულებისა და სამსახურის ნაცვლად, დღენიდაც ცოდვებს სჩადიან „უძღები შვილივით“, რის გამოც იძირება ძველი დიოსკურია. ზემოთქმულით ავტორი სოხუმის დაკარგვას წინასწარმეტყველებს.

ნუგზარ შატაიძე თავის მოთხრობაში „მოგზაურობა აფრიკაში“ მძაფრად წარმოაჩენს ომისშემდგომ ომში აღმოჩენილ დედა-შვილს, რომელთაც უწევთ გადარჩენისათვის ბრძოლა ე. წ. მშვიდობიანობის დროს. მწერალი შეულამაზებლად წარმოაჩენს ქუჩისა და მარტოობისათვის განწირული მოზარდის მომავალს მეტად სასტიკ ცხოვრებაში, რომელიც ისეთივე ტრაგიკული დასასრულისათვის არის განწირული, როგორც მრავალი სოხუმელი თუ ტყვარჩელი ბიჭის სიცოცხლე დასრულდა საქართველოს დედაქალაქში.

პასაჟში „აფხაზეთი ქართველ ებრაელთა შემოქმედებაში“ წარმოდგენილია გია მოშიაშვილისა და ნუგზარ ჯანაშვილის პოეზიის მცირე დისკურსი აფხაზეთის შესახებ. ლირიკულ ნაწარმოებებში თავიანთ დამოკიდებულებასა და განცდებს გამოხატავენ პოეტები აფხაზეთის მიმართ, გასაოცარი გულწრფელობითა და ტკივილით იხსენებენ თავის შემოქმედებაში ამ ზღაპრულ მხარეს, რადგან საქართველო მეორე სამშობლოდ მიაჩნიათ და ზოგი მათგანისათვის ისევ აქაურობაა უპირველესი სამშობლო დედამიწაზე. აფხაზეთისა და სამაჩაბლოს საკითხი ისევე მტკივნეულია თითოეული მათგანისათვის, როგორც ჩვენთვის, ქართველებისათვის.

მეორე ქვეთავში „აფხაზეთი თანამედროვე ქართულ პუბლიცისტიკაში“ წარმოჩენილია აკაკი ბაქრაძის, ნოდარ დუმბაძის, დავით ჭელიძის და ბექა ქურხულის წერილებში აფხაზეთის ომის თემატიკაა, ვლინდება ეროვნულ-ტრავმული სატკივარის რეფლექსია ქართულ პუბლიცისტიკაში.

აღნიშნული თავი ერთგვარი ექსკურსია გასული საუკუნის 90-იანი წლების საქართველოში პოლიტიკური კრიზისის ფონზე განვითარებული მოვლენების



ლიტერატურულ დისკურსში შესწავლა-გაანალიზების თვალსაზრისით. მასში, ქართველ მწერალთა ბელეტრისტულ ნარატივზე დაყრდნობით, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს პოსტკოლონიურ სივრცეში მომხდარი სოციალ-პოლიტიკური, კულტურულ-ფსიქოლოგიური ძვრების განხილვას. შესწავლილი მასალის საფუძველზე ჩამოყალიბდა დასკვნა, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში დამოუკიდებლობის რელსებზე მდგომ საქართველოში განვითარებული ტრაგიკული მოვლენები, წინა პერიოდებთან შედარებით, სრულიად განსხვავებული ინტერპრეტაციით - რეალური სახით აისახა თანამედროვე ქართულ ლიტერატურულ დისკურსში. ეროვნული თვითმყოფადობის დამკვიდრების მცდელობა იყო ახალი ნიშნული კოლექტიური ტრავმისა, რომელიც მომავალ თაობას მემკვიდრეობით გადაეცა და თითოეული მოქალაქის სულზე აღიბეჭდა უმძიმეს ტრავმად.

წარმოდგენილი დისკურსის მიხედვით, თანამედროვე ქართულ მწერლობაში აფხაზეთს, როგორც პარადიგმას, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. რუსეთის მიერ ინსპირირებული ქართულ-აფხაზური კონფლიქტი კარგადაა ასახული ქართულ ლიტერატურულ ნარატივში, წარმოდგენილია ფაქტის ლიტერატურული რეპრეზენტაცია, რაც იმის თქმის საშუალებას იძლევა, რომ მხატვრულ ტექსტებში წარმოჩენილია კოლექტიური ტრავმის ის კონცეპტები, რომლებიც უშუალოდ აისახა საზოგადოების ცნობიერებაში. განხილული მხატვრული ტექსტები ქრონოტოპული მოდელებითაც ხასიათდება, რაც კიდევ უფრო საინტერესოს ხდის კვლევას. სხვადასხვა დროსა და სივრცეში განვითარებულ მოვლენებს სამშობლოს სიყვარული, ტკივილი და მონატრება აერთიანებს. სახეზეა ასევე კულტურული ტრავმის მხატვრული ინტერპრეტაციები.

## ბიბლიოგრაფია

1. ანჩაბაძე გ., ქართულ-აფხაზური ურთიერთობის საკითხები, I , თბ., 2006.
2. ანჩაბაძე გ., ქართულ-აფხაზური ურთიერთობის საკითხები, II, თბ., 2011.
3. აგიაშვილი ნ, პირად-პირადი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ. 1986.
4. ახალაძე ლ., ეგრის-აფხაზეთის (“აფხაზეთა”) მეფეთა წარწერები, საინფორმაციო ანალიტიკური ჟურნალი “აფხაზეთი”, N 1.- თბილისი, 2004
5. ასათიანი გ., სათავეებთან, თბ. გამომცემლობა -„საბჭოთა საქართველო“, 1982, 368.
6. ახალაძე ლ., აფხაზეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო (ლაპიდარული და ფრესკული წარწერები), I, თბ., 2005
7. ახალაძე ლ., ქართული დამწერლობის პალეოგრაფიული მახასიათებლები აფხაზეთის ეპიგრაფიკულ ძეგლებში, „კულტურათაშორისი კომუნიკაციები“, N 1.- თბილისი, 2007.
8. ახალაძე ლ., წერილობითი კულტურა შუა საუკუნეების აფხაზეთში, „სპეკალი“, რეცენზირებადი ელექტრონული ბილინგვური სამეცნიერო ჟურნალი, № 1, 2010
9. ამბოკაძე ნ., საბჭოური მემკვიდრეობა: ტრავმული მეხსიერება კოლონიურ/პოსტკოლონიურ ქართულ ლიტერატურულ დისკურსში. დისერტაცია, თბ. 2020. 210გვ)
10. . ბაკურაძე შ., მოსაზრება გ. ოდიშარის „პრეზიდენტის კატის“ შესახებ. ჟურნალი „ახალი საუნჯე“, N 1,2019.45
11. ბატაშვილი დ., სიმართლე 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შესახებ. ელრესურსი, <https://rm.coe.int/168008eb50>.
12. ბრეგაძე ლ.. მოთხრობები ლიტერატურაზე. ქართული პოსტმოდერნიზმი. თბილისი.: „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“. 2008, 248გვ
13. 25.08.2019. ელექტრონული რესურსი: <https://civil.ge>
14. ბაქრაძე ა., აფხაზეთისათვის, კრებული, თბ., 2002
15. ბაქრაძე ა. აკაკი ბაქრაძე სკოლას, თბ., გამომცემლობა „ინტელექტი“, 2013, 374.
16. ბახია-ოქრუაშვილი ს., აფხაზეთა ეთნოლოგია, თბ., 2010.

17. ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები (აფხაზეთის შესახებ), ტ. III, თბილისი, 1965.
18. ბითაძე ლ., აფხაზების ანთროპოლოგიური ისტორია, თბილისი, 2008
19. ბუკია მ., ნარკვევები ქართველურ-აფხაზური ლინგვოკულტურული ურთიერთობის ისტორიიდან, I, თბ., 2013.
20. გამსახურდია კ., „მთვარის მოტაცება“, თბ., გამომცემლობა „მერანი“, 1990, 136.
21. გასვიანი გ., ქართველი მეცნიერები პავლე ინგოროყვას შეხედულებებზე აფხაზეთისა და აფხაზების შესახებ, თბ., 2003
22. გასვიანი გ., აფხაზეთი ისტორიული საქართველოა, თბ., 2011
23. გაფრინდაშვილი ნ. კოლონიური და პოსტკოლონიური კვლევების კულტუროლოგიური პრობლემატიკა. შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის თეორიული საფუძვლები. თბ.: „მერიდიანი“, 2012. 318 გვ.
24. გაჩუქებული ტერიტორიები. ელექტრონული რესურსი:  
<https://iberiana2.wordpress.co>
25. გელაშვილი ნ., უნდა ენდოთ მემპტიანეს. ლიტერატურული წერილები, ესეები. ტ. 14. თბ.: „კავკასიური სახლი“, 2014. 640 გვ.
26. გელაშვილი, კ. ომის პარადიგმა თანამედროვე ქართულ მწერლობაში, დისერტაცია, თბილისი, 2021.
27. გვანცელაძე თ., აფხაზეთის ეთნიკური ისტორიის ლინგვისტური საფუძვლები, ძირითადი პრობლემები, თბ., 2008.
28. გვანცელაძე თ., რა ენაზე ლაპარაკობდნენ თანამედროვე აფხაზეთის მიწაზე ახ. წ. VII საუკუნემდე? „ქართველური მემკვიდრეობა“, ქუთაისი, 2009.
29. გვანცელაძე თ., აფხაზური ენა, სტრუქტურა, ისტორია, ფუნქციონირება, თბილისი, 2011.
30. გვანცელაძე თ., აფხაზეთის ტოპონიმის ისტორიის გაყალბების მორიგი მცდელობის შესახებ. „ქართველური ონომასტიკა“, VI, თბ., 2013
31. გვანცელაძე გ., გვანცელაძე თ. აფხაზეთის ტოპონიმები შუა საუკუნეთა ევროპულ პორტოლანებზე. ონომასტიკური კრებული. ახალციხე, 2015.
32. გვერდწითელი გ., ლეო ქიაჩელის ოთხტომეულის წინასიტყვაობა, ტ. I, თბ., 1984, 21.

33. გლოველი შ., დასავლურ-ქართული სახელმწიფო - „აფხაზთა სამეფო“ და მისი საზღვრები, თბ., 2008.
34. გლოველი შ., დასავლურ-ქართული სახელმწიფოს - „აფხაზთა სამეფოს“ ჩამოყალიბება, ჟურნალი - ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი, X, თბ., 2008.
35. გლოველი შ., „მეფეთა დივანი“ როგორც საისტორიო წყარო, ჟურნალი - ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი, XI, თბ., 2009, გვ. 61-105.
36. გომართელი ა. კლასიკოსების ფარული მხატვრული პოლემიკა, გამომცემლობა - „უნივერსალი“, 2013, 7.
37. დუმბაძე ნ., ელრესურსი, <https://www.aura.ge/103-saskolo/8098-nodar-dumbadze--HELLADOS.html>.
38. ვაჟა-ფშაველა, რჩეული, თბ., სახელმწიფო გამომცემლობა, 1953, 116 გვ.
39. ვახანია ნ. ქართველ და აფხაზ მწერალთა თვალთ დანახული ომი. ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ურთიერთობები: წარსული, დღევანდელი, მომავალი. თბ.: „უნივერსალი“, 2011. 174 გვ.
40. თბილისის ომი. ელექტრონული მისამართი: <http://www.tabula.ge>.
41. თოლორაია ნ. მიხეილ ბლაჟბა - ხიდი ქართველებსა და აფხაზებს შორის. 2017. გვ.
42. ინაძე მ., ძველი აფხაზეთის ეთნოპოლიტიკური ისტორიის საკითხები, „მაცნე“, ისტორიის... სერია, N1, 1992.
43. თოფურაძე ჯემალ, ელრესურსი. <https://saba.com.ge/books/details/3111>.
44. იმნაიშვილი ა, XX საუკუნის 90-იანი წლების ქართული პროზის ტენდენციები (პოსტაბჭოთა თაობა). დისერტაცია, თბ. : 2010: 3.
45. იმნაძე ა. ფაქტი და ლიტერატურული რეფლექსია (XX საუკუნის 90-იანი წლების რეალობა ქართულ ბელეტრისტიკაში). დისერტაცია, თბ. :2013. 151 გვ.
46. ინგოროყვა პ., გიორგი მერჩულე, თბ., 1954
47. ინგოროყვა პ., ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა, თხზულებათა კრებული, ტ. IV, თბ., გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1978.
48. ინგოროყვა პ., თხზულებათა კრებული, ტ. I, თბ., გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1963.

49. კაპანაძე ს., მარადიული დაბრუნების პოსტმოდერნისტული ვარიაციები.  
„კონტექსტი“- წერილები ქართულ მწერლობასა და კულტურაზე. „სვეტი“, 2016.  
236 გვ.
50. კეკელია ი., აფხაზეთის ზოგიერთი ტოპონიმის მართებული გააზრებისათვის  
(კამანი, ნაა, ტყაურუ, ტყვარჩელი), „დიალექტოლოგიური კრებული“, 37, 2017.
51. კეკელიძე კ., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ., „თბილისის  
უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1969 გვ. 77.
52. კეკელიძე კ., ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, 1980, გვ. 129-132.
53. კეკელიძე კ., ეტიუდები, ტ. I, თბ. „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“,  
1957, 168-182.
54. კეკუა ს., ოდიშ-აფხაზეთის ონომასტიკა ისტორიული საეკლესიო საბუთების  
მიხედვით, თბილისი, 2017.
55. კვაჭანტირაძე მ., ტრავმული მეხსიერება პოსტსაბჭოთა ქართულ ნარატივში.  
ელექტრონული მისამართი: <http://www.nplg.gov.ge>.
56. კობაიძე ნ. თანამედროვე ქართული პროზა. ლიტერატურული ჟურნალი „არილი“,  
2013. N2(217). 45.
57. კობერიძე თ. „ახალი განათლება“, „მთვარის მოტაცება, როგორც  
წინასწარმეტყველება აფხაზეთის ტრაგედიისა“, 2020, 25 04  
<https://akhaliganatleba.ge/%e1%83%9b%e1%83%97%e1%83%95%e1%83%90%e1%83%a0%e1%83%98%e1%83%a1-%e1%83%9b%e1%83%9d%e1%83%a2%e1%83%90%e1%83%aa%e1%83%94%e1%83%91%e1%83%90-%e1%83%a0%e1%83%9d%e1%83%92%e1%83%9d/>
58. კონფლიქტები საქართველოში. ელექტრონული რესურსი: <http://geworld.ge/ge>
59. კუპრეიშვილი ნ. გურამ ოდიშარია. აფხაზეთის ქართული მწერლობის  
ისტორიიდან. თბ. : „საარი“, 2017. 416.
60. კუცია ნ. ჟამის რეფლექსია მეოცე საუკუნის ოთხმოცდანი წლების ქართულ  
კრიტიკაში. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 2015. 161.  
<https://tenders.procurement.gov.ge/public/library/files.php?mode=app&file=1565597&code=1454341335>

61. კუცია ნ., მამულიშვილთა აბრისი, „ორი თარიღი: პიროვნებისაც, წიგნისაც“, თბ., 2015.
62. კუცია ნ. „აფხაზეთი - ენის კონცეპტი“, ლიტერატურათმცოდნეობა, 2021, 48-59.  
file:///C:/Users/Dell/Downloads/admin,+21+%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98-49-62%20(2).pdf
63. კუცია ნ., სსუ სამეცნიერო შრომების კრებული, 2015, 122.
64. კუცია ნ., ლეო ქიაჩელის პროზის მოდერნისტული ასპექტები, 2021, გვ. 203.
65. ლორთქიფანიძე მ., აფხაზები და აფხაზეთი, თბ., გამომცემლობა „განათლება“, 1990.
66. მაისურაძე კ., საშვილიშვილო ღალატი: კომუნისტების მიერ გაჩუქებული ქართული ტერიტორიები – სერგო ორჯონიკიძე: „თუ არ გაჩუქდებით, სომხეთის საზღვარს ავლაზარში გადმოვიტან!“ 2002. ელექტრონული რესურსი: <https://iberiana2.wordpress.com>
67. მთაწმინდელი გ., „იოანესა და ექვთიმეს ცხოვრება“, ქართული მწერლობა, ტ. II, თბ., „ნაკადული“, 1987, გვ. 20.
68. მიბჩუანი, თ. აფხაზეთის მატერიალური კულტურის ძეგლები და ეპიგრაფიკა, თბ., 1999.
69. მიბჩუანი თ., აფხაზეთი, ნაწ. I, თბ., 2003.
70. მინდიაშვილი ნ. „ავტორის დესაკრალიზაცია ტრავმულ ლიტერატურაში“[https://bsu.edu.ge/text\\_files/ge\\_file\\_17092\\_6.pdf](https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_17092_6.pdf)
71. მინდიაშვილი ნ., კუცია ნ., კოლექტიური ტრავმა დევნილთა ლიტერატურაში (კრებულების „14 გიგაბაიტისა“ და „ალილუიას“ მიხედვით), <http://sciencejournals.ge/index.php/NJ/article/view/104>
72. მირესაშვილი მ., ქართველები აფხაზების თვალთახედვით. ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ურთიერთობები: წარსული, დღევანდელი, მომავალი. თბ.: „უნივერსალი“, 2011.
73. მირესაშვილი მ., პოსტკოლონიური კვლევები და კოლექტიური/კულტურული ტრავმული მეხსიერება, 2016, გვ.24.
74. მოშიაშვილი გ. ლექსები, ელრესურსი, 2015.

75. მუმლაძე ნ. “სოხუმში მოსალოდნელია წვიმა“ - გურამ ოდიშარას საჯარო ლექცია სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში (მაია ბასარაია). შემეცნებითი პორტალი „ქართული აზრი“, 2017. ელექტრონული რესურსი: <http://qartuliazri.reportiori.ge>
76. ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, აფხაზეთი - უძველესი დროიდან დღემდე, გამახარია ჯემალ, ახალაძე ლია, ბარამიძე მალხაზ, ბერაძე თამაზ, ბითაძე ლია, გელენავა ირაკლი, გვანცელაძე თეიმურაზ, გოგია ბადრი, ოკუჯავა კობა, ფხაკაძე, გურანდა, ხვისტანი რეზო, ხორავა ბექან, ჯოჯუა დაზმირ, თბილისი, 2007.
77. ოდიშარია გ., სოხუმში დაბრუნება, თბ. გამომცემლობა „მერანი“, 1999, 3.
78. ორბელიანი ს., ლექსიკონი ქართული, ტ. I, თბ. გამომცემლობა „მერანი“, 1991, 44.
79. პაპასქირი ზ., ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან, ნაკვ. I. უძველესი დროიდან 1917 წლამდე. თბ., გამომცემლობა „მერიდიანი“. 2004.
80. პაპასქირი ზ., ცრუ ისტორია, რეცენზია ოლეგ ბლაჟბას და სტანისლავ ლაკობას “აფხაზეთის ისტორიის” სახელმძღვანელოზე, 2009.
81. საბანისძე ი., ქართული მწერლობა, ტ. I, თბ.: „ნაკადული“, 1987 წ. 455.
82. სიგუა ს., მარტვილი და ალამდარი, თბ. გამომცემლობა „დიდოსტატი“, 1977, 204.
83. სირაძე რ., ქართული აგიოგრაფია, თბ. „ნაკადული“ 1987, 50.
84. სორდია ლ., ანტიციპაცია XX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში, თბ., გამომცემლობა „უნივერსალი“, 2011, გვ. 239.
85. ტურავა მ. სოხუმი-თბილისი, თბ, „ჩვენი მწერლობა“, 2019.96 გვ.
86. ტურავა მ. არ გამორთოთ მთვარე. სამეცნიერო შრომების კრებული VII-VIII, თბ.: სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
87. ტურავა მ., გენო კალანდია. აფხაზეთის ქართული მწერლობის ისტორიიდან ტ. I.
88. ტურავა, 2020 (ელექტრონული რესურსი)
89. ფიფია კ., აფსილებისა და აბაზგების „სამეფოები“ რომის პოლიტიკურ სისტემაში, ახ. წ. II საუკუნე (ე. წ. „აფხაზური სახელმწიფოებრიობის“ საკითხისათვის), ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი, IX, თბილისი, 2007.
90. ფიფია კ., აფხაზური სახელმწიფოებრიობა - მითი თუ ისტორიული რეალობა? ელრესურსი, [https://iberiana2.wordpress.com/abkhazia/k\\_pipia-2/](https://iberiana2.wordpress.com/abkhazia/k_pipia-2/).

91. ქავთარაძე გ., საქართველოს სახელმწიფოებრივი განვითარების საკითხები (ადრეული ხანიდან), თბილისი, 2006.
92. ქართლის ცხოვრება, ავტორთა კოლექტივი, თბილისი, 2008.
93. ქართლის ცხოვრება, გამომცემლობა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, 1942, 178.
94. ქიაჩელი ლ., „თავადის ქალი მაია“, მოთხრობები, გამომცემლობა-„ბაკმი“, 2006 წ. 5 -67.
95. ქუთათელაძე ნ., „მწერლის არქივიდან“ ჟურნალი „დროშა“, 1984 წ.
96. ქურხული ბ., ელრესურსი,  
<https://www.facebook.com/wcf10/posts/1453310081700846/>
97. შატაძე ნ., სასკოლო სახელმძღვანელო, IX კლ. გიგინეიშვილი მ., გრიგოლაშვილი ლ., როდონაია ვ., თბ. გამომცემლობა „სწავლანი“, 2012. 178.
98. ჭავჭავაძე ი., ლექსები, პოემები, მოთხრობები, წერილები, თბ. გამომცემლობა „ნაკადული“, 1985, 298.
99. ჭელიძე ე., ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები, ტ. I. თბ., 2008.
100. ჭილაია ს., „უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორია“, თბ., 1975, 125
101. ჭირი სამოთხეში: ქართულ-აფხაზური ომი 1992-93. ელექტრონული რესურსი:  
<https://topwar.ru>
102. ჭელიძე ვლ., ადრეული პერიოდის ქართული (ქართველური) წერილობითი კულტურის ტრადიციები (წინანახანური და ანახანური დამწერლობები - საინფორმაციო კომუნიკაციის საშუალებები), კავკასიოლოგთა IV საერთაშორისო კონგრესის მასალები, თბ., 2016.
103. ჭელიძე ვლ., აფხაზეთის ერისთავთა და მეფეთა დინასტიური წარმომავლობა (ლეონტი მროველის საისტორიო გადმოცემების კვალდაკვალ), ჩერქეზული (ადიღეური) კულტურის ცენტრის I საერთაშორისო სამეცნიერო სესია, მასალები, თბ., 2016.
104. ჭელიძე ვლ., ადრექრისტიანული ხანის ქართული წერილობითი კულტურის ტრადიციები („ქუეყანა ზღვს ყურისა ... და ზღვსპირისა“), ჩვენი სულიერების ბალავარი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, ბათუმი, 2017.



105. წერეთელი ა., პოემები, ტ. V, თბ., საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა, 1956, 235.
106. ცაიშვილი ს., 1990, 344.
107. ხალვაში რ., ანდრია პირველწოდებული საქართველოში, ბათუმი, 2011
108. ხორავა ბ., აფხაზეთის ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა, patriarchate.ge/geo/afxazetis-istoriul-geografiuli-mimoxilva
109. ხომტარია-ბროსე ე., აფხაზეთის ისტორიის საკითხები ქართულ ისტორიოგრაფიაში, თბ., 2000.
110. ჯავახიშვილი ივ., ძველი ქართული საისტორიო მწერლობა (V-VIII სს.), 1945, გვ. 76-85.
111. ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წიგნი პირველი, II ა) დამატება - „ქართველთა სხვადასხვა სატომო სახელები, სამშობლო და უძველესი ბინადრობა”, თბ., 1960, გვ. 401-441 (მონაცემები აფხაზების თაობაზე ძველ ბერძნულ წყაროებში)
112. ჯაველიძე ნ., აფხაზეთი და აფხაზნი, თბ., 2011.
113. ჯანაშვილი ნ., ელრესურსი, 2015.
114. Alexander Jeffrey Charles . Cultural Trauma and Collective Identity. 2004. Published by: University of California Press .
115. Штомпка, 2001: 7.
116. Агрба И. Ш., Абхазское царство и Византия (VIII—X вв.), Сухум, 2011.
117. Аджинджал Е. К., Из истории христианства в Абхазии, Сухум, 2000.
118. Аджинджал Е. К., О титулатуре абхазских царей, Сухум, 2014.
119. Амичба Г. А., Папуашвили Т. Г., Из истории совместной борьбы грузин и абхазов против иноземных завоевателей (VI-VIII вв.), Тб., 1985.
120. Сообщения средневековых грузинских письменных источников об Абхазии, Тексты собрал, перевел на русский язык, предисловием и комментариями снабдил Г. А. Амичба, Научный редактор — проф. Э. В. Хоштария-Броссе, Сухуми, 1986
121. Абхазия и абхазцы средневековых грузинских повествовательных источников. Груз. тексты на русский язык перевел, предисловием и примечаниями снабдил Г. А. Амичба, Тб., 1988.

122. Анчабадзе З. В., История и культура древней Абхазии, М., 1964.
123. Анчабадзе З. В., Очерк этнической истории абхазского народа, Сухуми, 1976.
124. Анчабадзе Г., Изучение вопросов этнической истории абхазов на фоне грузино-абхазского конфликта, Аспекты грузино-абхазского конфликта, Выпуск 2. Ирвайн, 2000.
125. Анчабадзе Г., Грузино-Абхазское государство: историческая традиция и перспективы, Аспекты грузино-абхазского конфликта. Выпуск 5. Ирвайн, 2001.
126. Анчабадзе Г., О чем повествует летопись, газета "Абхазский меридиан".
127. Бгажба Х. С., Из истории письменности в Абхазии, Тбилиси, 1967.
128. Бгажба О. Х., Лакоба С. З., История Абхазии. Сухум[и], 2006.
129. Гумба Г. Д., Еще раз о восточной границе Абхазии в раннем средневековье // Абхазоведение (историческая серия). Вып. X. Сухум. 2016.
130. Гунба М. М., Абхазия в I тысячелетии н. э. (Социально-экономические и политические отношения), Сухуми, 1989.
131. Инал-ипа Ш. Д., Вопросы этно-культурной истории абхазов, Сухуми, 1976.
132. Кварчия В.Е., Историческая и современная топонимия Абхазии (Историко-этимологическое исследование). Сухум[и], 2006.
133. Картлис цховреба» («История Грузии»), Тбилиси, 2008.
134. Нусков В., Из истории апсило-византийских взаимоотношений в восточно-причерноморском бассейне, 2011.
135. Маан О. В., Культурно-этнические контакты абхазов в раннем средневековье (VI-X вв. ), Сухум, 2014..
136. Пайчадзе Г. Г., Название Грузии в русских письменных источниках, Тб., 1989.
137. Папаскир А., Обезы и их грузинские истолкователи, Сухум, 2004.
138. Папаскири З., Абхазия, Тбилиси, 2010.
139. Чачхалиа Д., Хроника абхазских царей, М., 2000.
140. *Т.М. Шамба и А.Ю. Непрошин. Абхазия, Правовые основы государственности и суверенитета, М., 2004*
141. Цулая Г., Абхазия и абхазы в контексте истории Грузии (Домонг. период), 1995
142. Джеффри А. Культурная травма и коллективная идентичность Адрес электронной почты: <https://www.isras.ru>